

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მანანა ნიკოლაძე

შალვა დადიანის მხატვრული პროზა

10.01.01. - ქართული ლიტერატურა

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნესტან კუტივაძე

ქუთაისი

2011

ს ა რ ჩ გ ვ ი

შესავალი	3
თავი I – შ. დადიანის ადრინდელი პროზა	18
თავი II – მინიატურები	26
თავი III – მოთხრობები	43
თავი IV – რომანები	75
ა) „ებედური რუსი“	75
ბ) „გვირგვილიანების ოჯახი“	122
გ) შ. დადიანის დაუსრულებელი რომანები	148
დასკვნები	154
გამოყენებული ლიტერატურა	158

შმაგალი

შალვა დადიანი (1874-1959) ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატია. მან, როგორც მრავალმხრივმა შემოქმედმა, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პულტურის განვითარებაში, სიტყვაკაზმული მწერლობის თითქმის ყველა უძრავი მოსინჯა შ. დადიანმა კალამი და შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებშიც დასმული მრავალი პრობლემატური საკითხი დღესაც აქტუალური და მტკიცნეულია თანამედროვე საქართველოსთვის.

შ. დადიანის შემოქმედებითი გზა XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შალვა დადიანის ხელნაწერი უკრნალი „მოზარდი“, რომელსაც 1888-1892 წლებში უშეგდა. მასში იგი ათავსებდა წერილებს, კორესპონდენციებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ლექსებსა და მოთხოვნებს.

შ. დადიანი თავიდანვე მრავალფეროვან შემოქმედად წარდგა საზოგადოების წინაშე: მსახიობი, რეჟისორი, პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. მართებულად აღნიშნავდა კონსტანტინე გამსახურდია: „დიდი ილიას დაღუპვის შემდეგ ასეთი მრავალფეროვანი ბუნების მოდგაწე ჯერ არ გვყოლია... ეს ადამიანი რომ არ იყოს ამ ქვეყანაზე, მე შემზარდებოდა ცხოვრება. შალვა არის ჩვენი იმედი და ჩვენი სინდისი. მე მიკვირს, პირდაპირ მიკვირს, საიდან აქვს მას ამდენი ულეველი ცოდნა, ის ხომ ცოდნის ნამდვილი სიძველეთა მუზეუმია“ (სიგუა, 1975: №2).

დიდია შ. დადიანის დამსახურება ქართული კინოხელოვნების შექმნის საქმეშიც. ის იყო ქართული კინემატოგრაფიის შექმნის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი, ერთ-ერთი პირველი კინომსახიობი და სცენარისტი. „იგი მდგარა ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების სათავესთან და ბევრი გაუკეთებია იმისათვის, რომ ახალგაზრდა კინემატოგრაფია ორივე ფეხით მყარად დამდგარის ქართულ ნიადაგზე. ამისათვის შალვა დადიანს არ დაუშურებია არც შემოქმედის ნიჭი და არც ორგანიზატორის ძალა და ენერგია“ (კვანძილაშვილი, 1976: 69).

აღსანიშნავია, რომ შ. დადიანმა სამწერლო მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო. 1893 წელს გამოიცა მისი ლექსთა პატარა კრებული „ნაპერწკალი“. ამ კრებულს ქართული კრიტიკისა და საზოგადოების ყურადღება არ მიუქცევია,

მხოლოდ ერთმა ლექსიმა მოიპოვა პოპულარობა და ისიც ნათარგმნა: „მხოლოდ შენ ერთს“.

1896 წელს „ივერიაში“ შ. დადიანი „ქუჯის“ ფსევდონიმით ბეჭდავს თავის პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებს „წმინდა ცრემლები“. „მაშინ „ივერიას“ ჯერ კიდევ თვითონ ილია ხელმძღვანელობდა და უთუოდ წარმოიდგენთ ჩემს გახარებას, როდესაც გაზეთის ფელეტონში ჩამწერივებულად ჩემი მოთხრობა დავინახე“ – ისესენებდა მოგვიანებით მწერალი (დადიანი, 1958: 532). ეს დებიუტი მხატვრულ პროზაში ფეხბედნიერი გამოდგა. მწერალმა შექმნა თემატურად და უანრობრივად განსხვავებული უამრავი პროზაული ნაწარმოები, რომლებშიც გააშექა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მომენტი. მის ნაწარმოებებში ვეცნობით საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და კლასის წარმომადგენლებს მათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით.

შ. დადიანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ბელეტრისტიკის განვითარების საქმეში. მისი მხატვრული პროზის ყოველმხრივ შესწავლას აქტუალური მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. ამდენად, ამ მწერლის შემოქმედების ღრმად გაცნობა უდავოდ საინტერესოა და აუცილებელი, ერთობ დირექტული ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპების თავისებურებათა დახასიათებისათვის.

შალვა დადიანის შემოქმედებას ქართველ კრიტიკოსთა უერადღება არასდროს მოკლებია. მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მწერლის შემოქმედების შესახებ ძირითადად საბჭოთა ეპოქაშია დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევები, რის გამოც სრულად და ობიექტურად არ არის წარმოჩენილი მწერლის შემოქმედების მრავალი საინტერესო ასპექტი.

ცნობილია, რომ კრიტიკაც ისევე ემორჩილებოდა ტოტალიტალური სახელმწიფოს მოთხოვნებს, როგორც ლიტერატურა. სწორედ კრიტიკის საშუალებით ხდებოდა მწერლობის მართვა, რაც თავის დაღს ასვამდა მწერლის შემოქმედებასაც და მის მეცნიერულ ანალიზსაც.

შალვა დადიანს, როგორც მინიატურებისა და ისტორიული რომანის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედება უაღრესად საინტერესოა ამ კონტექსტში. XX საუკუნის პირველი ნახევრის პროზის ტენდენციებისა და მხატვრული ასპექტების სრულყოფილად წარმოსახენად მნიშვნელოვანია სიღრმისეულად, ობიექტურად

იქნეს გამოკვეთილი შ. დადიანის მხატვრული პროზის უმთავრესი თავისებურებანი, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ნაშრომში დღეგანდელობის პოზიციებიდანაა შესწავლილი შ. დადიანის მხატვრული პროზის თავისებურებანი.

დღესდღეობით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული ლიტერატურულ-კრიტიკული სკოლების მეცნიერული მიღწევების საფუძველზე გავაანალიზოთ XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ მოხდეს ქართული კულტურის, როგორც ერთი უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი შენაკადის, ჩართვა მსოფლიოს ლიტერატურულ პროცესში. ამ თვალსაზრისით შ. დადიანის მხატვრული პროზა სპეციალურად დღემდე არავის უკვლევია. ასევე, მნიშვნელოვანია ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ასახული ეროვნული მრწამსის ანალიზი თანამედროვე თვალსაზრისით. ამ მხრივ შ. დადიანის შემოქმედებაც ახლებურ მიღგომას საჭიროებს.

ლიტერატურულ კრიტიკაში კონიუნქტურის მიღმა დარჩენილ საინტერესო შეხედულებებზე უურადღების გამახვილებით, ვფიქრობთ, გავაღრმავებთ და მწყობრ, გამოკვეთილ ხასიათს მივცემთ ცალკეულ წერილებში გაბნეულ საინტერესო შეხედულებებს.

ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ შ. დადიანის მხატვრული პროზის უმთავრესი თავისებურებანი, მისი მიმართება იმ ტენდენციებთან, რომლებიც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის ქართული მწერლობისათვის.

ყურადღება გამახვილდება მხატვრული სტილის საკითხებზე. შეჯერდება და გადაფასდება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული მოსაზრებები, რის საფუძველზეც უფრო დეტალურად წარმოჩინდება შ. დადიანის წვლილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია შ. დადიანის მხატვრული პროზის შემსწავლელი მკალევარების შრომები, ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც განხილულია მწერლის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი ინდივიდუალური სტილის საკითხები. ჩვენი კვლევა ძირითადად წარმართულია ისტორიულ-შედარებითი და ახალი ისტორიზმის გამოყენებით.

ნაშრომში წარმოჩენილი თეორიული დასკვნები გამოყენებული იქნება XX საუკუნის ქართული ლიტერატურის, კერძოდ, შ. დადიანის მხატვრული პროზის სრულყოფილად შესასწავლად.

აღსანიშნავია, რომ მწერლის შემოქმედების შესწავლა დაემთხვა საბჭოთა პერიოდს. მიუხედავად კრიტიკოსთა ტენდენციურობისა, ბევრი რამ მაინც მართებულადაა შეფასებული, თუმცა გარკვეულ საკითხებზე შეგნებულად მოხდა გვერდის ავლა. ასეთ მომენტებზე ყურადღების გამახვილებით უკეთ წარმოჩინდება შ. დადიანის მემკვიდრეობის მხატვრული ლირებულება და შეფასდება მწერლის როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

შალვა დადიანის შესახებ მრავალი ნარკვევი, გამოკვლევა, წერილი დაიბეჭდა. არსებული პუბლიკაციები მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებით ძირითადად 1970-80-იან წლებშია შექმნილი. თუმცა პირველად სალიტერატურ კრიტიკის ყურადღება 1900-იან წლებში გამოქვეყნებულმა ნაწარმოებებმა, უპირატესად მინიატურებმა, მიიქციეს. ერთ-ერთი პირველი, ვინც შ. დადიანის მინიატურებს გაკვრით შეეხო, ა. პაპავა იყო, რომელმაც მწერალი იმპრესიონიზმის საყურადღებო წარმომადგენლად გამოაცხადა. „რაც შეეხება იმპრესიონიზმის წარმომადგენლებს, ჩემის აზრით, ყურადღების დირსია ახალგაზრდა მწერალი შალვა დადიანი“ (პაპავა, 1911: №287). ამ დებულებას ა. პაპავა შემდეგნაირად ასაბუთებს: 900-იან წლებში „საშინელის სისწრაფით ერთი მოვლენა მეორეს სცვლის... ამისდა მიხედვით სწრაფად იცვლება... შემოქმედების ხასიათიც... საშინელი სისწრაფით ბრუნვისა გამო მხოლოდ წუთიერი შთაბეჭდილება რჩება თითოეულ მომენტიდან, თითოეულ სურათიდან“ (პაპავა, 1911: №287). სწორედ ამიტომ, ა. პაპავას მოსაზრებით, მწერლები მოკლე-მოკლე წინადადებებით წერენ, „სტრიქონებს მოსდევს მრავალწერტილი (...), რათა? იმიტომ რომ პოეტს უჭირს დროის დაკარგვა, ის ერთს აზრს და ერთს წინადადებას ვერ ამთავრებს, ეშინია აზრების დაკარგვის, უეცრად სწყვეტს და მეორეზე გადადის“ (პაპავა, 1911, №287). ამ ციტატიდან ჩანს, რომ მაშინდელ კრიტიკას მინიატურის ჟანრობრივი თავისებურების აღქმა გაუჭირდა.

შ. დადიანის 900-იანი წლების შემოქმედებას ვრცელი წერილი მიუძღვა გ. ჭუმბურიძემ. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „ახალმა პოეზიამ სრულებით ახალი მანერა შემოიღო წერისა, ახალი ენა, ახალი სტილი. ეს არის რეალისტურ-ნატურალისტური მწერლობის ენა... ეს წმინდა იმპრესიონიული მეთოდია წერისა,

რომელიც ჩვენს მწერლობაში შალვა დადიანმა შემოიტანა“ (ჭუმბურიძე, 1912, №586). გ. ჭუმბურიძის მტკიცებით, „სიმბოლიური მწერლობა მოითხოვდა წერის ახალ მანერას, ფორმას. ჩვენმა მწერლებმაც... გადმოიღეს, გადმოიტანეს უცხო მწერლობიდან იმპრესიონისტული მეთოდი. პირველი ადგილი აქ შალვა დადიანს უჭირავს“ (ჭუმბურიძე, 1912, №586).

გ. ჭუმბურიძე შ. დადიანს მიიჩნევს იმპრესიონისტული მეთოდის შემომტანად ქართულ მწერლობაში. აღსანიშნავია, რომ ის თითქმის იმეორებს აკაკი პაპავას აზრს.

გ. ჭუმბურიძე მაღალ შეფასებას აძლევს შ. დადიანის მინიატურებს, სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ „დადიანისეური „ჩამოკრულებით“ წერა ლიტერატურული ნაწარმოებისა მაშინ, როცა თითქმის სულიერ ავადმყოფობასა და ნერვებაშლილობას განვიცდით, პირდაპირ ხსნა იყო ჩვენი დროისათვის. ჩვენ კი, ძველს მიჩვეულნი, ამას ვერ ვამჩნევთ“ (ჭუმბურიძე, 1912: №586).

შ. დადიანის მინიატურების შესახებ დაწერილ წერილში გ. ჭუმბურიძეს წინააღმდეგობრივი მოსაზრებები აქვს ჩამოყალიბებული. დასაწყისში აღნიშნავს, რომ შ. დადიანმა „დაიწყო „ჩამოკრულებით“ წერა, მოგვცა ამის მშვენიერი ნიმუშები და დაპირის გაიჩინა მთელი დასი ახალგაზრდა მიმდევართა... მაგრამ დადიანის სტილამდის ვერც ერთი ვერ ამაღლებულა“ (ჭუმბურიძე, 1912: №586). ცოტა ქვემოთ კი აღნიშნავს: „ყველა...ეტიუდი დადიანისა ერთსა და იმავე აზრს ემსახურება. მათ უფრო პუბლიცისტური ხასიათი აქვთ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი მაშინდელი პუბლიცისტური და გაზეთის წერილების მოკლე შინაარსის მხატვრულად გადმოცემა უფროა, ვიღრე წმინდა ხელოვნური ნაწარმოებები“ (ჭუმბურიძე, 1912: №588). ამდენად, ამ წერილის ბოლო ნაწილში კრიტიკოსი შ. დადიანის მინიატურებს მხატვრულობის თვალსაზრისით იწუნებს და მიიჩნევს, რომ ისინი უფრო პუბლიცისტური ხასიათისაა.

გ. ჭუმბურიძის წერილში საუბარია შ. დადიანის ორ პროზაულ ნაწარმოებზე. ესენია: „შვილი“ და „სამსონის თმები“. ავტორი მათ შესახებ ძირითადად პოზიტიურ მოსაზრებას გამოთქვამს, რაც დასაბუთებულია მოთხოვნებიდან სათანადო მასალის მოხმობით. კრიტიკოსი „სამსონის თმებს“ მხატვრულობის თვალსაზრისით საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევს.

გ. ჭუმბურიძე აღნიშნული მოთხოვნების შესახებ კრიტიკულ შენიშვნებსაც სთავაზობს მკითხველს. კერძოდ, „შვილის“ შესახებ წერს:

„საზოგადოდ „შვილი“ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მართალია, ზოგიერთი ადგილი დიდის ხელოვნებით არის შესრულებული, მაგრამ ამანაც კერ დაჰფარა და ვერ გამოისყიდა სავსებით პროპაგანდისტული ნაკლულევანებანი ამ ნაწარმოების“ (ჭუმბურიძე, 1912: №588). „სამსონის თმებს“ კი ტენდენციურობას უწუნებს კრიტიკოსი.

900-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკაში შ. დადიანის პროზის შესახებ სხვა მასალას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ზემოქმედიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდის ქართულმა კრიტიკამ ვერ მოგვცა შ. დადიანის ადრინდელი მხატვრული პროზის სრულყოფილი დახასიათება.

შ. დადიანის შემოქმედების შესწავლა უფრო ინტენსიური გახდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. გამოქვეყნდა ბევრი რეცენზია, სტატია თუ წიგნი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ ჩვენ, ამჯერად, გვაინტერესებს ის მასალა, რომელიც ბელეტრისტულ ნაწარმოებებს ეხება.

1923 წელს გაზ. „ლომისში“ დაიბეჭდა ი. ელეფთერიძის (ი. ზურაბიშვილი), მართალია, ზოგადი, მაგრამ მაინც საგულისხმო წერილი „საამური მწერალი“. ავტორი შ. დადიანში, უპირველესად, ბელეტრისტს ხედავს და შემდეგ დრამატურგს. კრიტიკოსი მხატვრულ პროზაში შ. დადიანის წინამორბედად ალექსანდრე ყაზბეგს ასახელებს, საბუთად კი მათი ბიოგრაფიების ზოგიერთი ეპიზოდის იდენტურობა მოაქვს. მაგრამ ბიოგრაფიულ მომენტთა მსგავსება არ ნიშნავს შემოქმედებით ნათესაობას.

ი. ელეფთერიძე შ. დადიანის იმდროისათვის დაუმთავრებელი რომანის „უბედური რუსის“ პირველ რეცეზენტად გვევლინება. „ჩემის აზრით, – წერს ის, – პირველი ისტორიული რომანი... სადაც ინტრიგაც არის, მისი ხლართი, სადაც ხასიათისა და ტიპების, აგრეთვე ეპოქის მხატვრული დასაბუთებაა, ეს რომანი შალვა დადიანმა დაიწყო და, სამწუხაროდ, აქამდე მისი დასასრული ვერა ვნახეთ“ (ელეფთერიძე, 1923: №23). შემდეგ კრიტიკოსი გვიჩვენებს, თუ როგორ ავითარებს მოქმედებას რომანისტი, როგორ ღრმად სწვდება აღებული ეპოქის სულს და ა.შ. ოდონდ რამდენადმე აზვიადებს ავტორის მხატვრულ შესაძლებლობებს: „თვითოვეული კალმის მოსმა მოგაგონებთ პენრიკ სენკვიჩს ან ალექსანდრე დიუმას“ (ელეფთერიძე, 1923: №23). ჩვენი აზრით, დაუმთავრებელი ნაწარმოების ასეთი მაღალი შეფასება გადაჭარბებულია.

1923 წელს შ. დადიანის საიუბილეო კომისიამ გამოსცა წიგნი – „შალვა დადიანი“ (1874-1923 წელი), რომელშიც გაანალიზებულია შ. დადიანის ორიოდე პროზაული ნიმუში. აქ ერთგვარად განმეორებულია გ. ჭუმბურიძის აზრი იმის შესახებ, რომ ფორმალური თვალსაზრისით შ. დადიანი ახალი ხელოვნების საზღვართან დგას, ხოლო ფორმის შინაგანი სახე უთუოდ ძველია. კონკრეტულად მსჯელობა ორ მინიატურას ეხება. ესენია: „სამსონის თმები“ და „დღიურიდან“. ავტორის აზრით, ეს ორი ნაწარმოები ახალი პროზის ნიმუშია. ამ თვალსაზრისის ავტორისეული არგუმენტირება ძალზე სუსტია. „სამსონის თმების“ წაკითხვის შემდეგ, მისი აზრით, „...უთუოდ იგრძნობთ ახალ სითბოს და ახალი ხელოვნების ესთეტიკურ პრინციპებს. პოეზია არ არის საგნის გადმოდება თავისთვად, არამედ იმისი ასახვა, თუ რას იწვევს ესა თუ ის საგანი შემოქმედში“ (დადიანი, 1923: 59). კრიტიკოსს მოსწონს მწერლის ენა. ის გამოყოფს ზმნებს: ეტყუები, ეცრუები, გაუზინარდა და სხვ. და მიიჩნევს, რომ ისინი შ. დადიანის შექმნილია, რაც არადამაჯერებელია.

პლატონ ქიქოძემ კი „უბედური რუსი“ „ობიექტურად რეაქციონერ“ ნაწარმოებად მიიჩნია. „ჩვენ არა ერთი ყოფილი ადამიანი გვინახავს, რომელიც გაგიჟებით გვეჩერჩულება იმის შესახებ, თუ როგორი მშვენიერებაა ეს რომანი. რომ აქ მთელი ქართული „სული“ და „გენია“ გადაშლილი...“ (ქიქოძე, 1928: 177). მისი აზრით, რომანის იდეები ყალბია და კომიკური. „ეს იდეები დღევანდელი თვალსაზრისით სასაცილოა! სასაცილოა ის ადამიანი და მკითხველი ამ რომანისა, რომელიც მეოცე საუკუნეში, როდესაც „კომუნიზმის აჩრდილი დაპქრის“ საქართველოში სერიოზულად არ ანებებს თავს ფიქრს იმის შესახებ, რომ საქართველოს დიდ იმპერიად, ბიზანტიად გადაქცევის ბედი მოელის წინ... ამიტომ საქართველოში საჭიროა ახალი სერვანტესი, რომელიც „უბედური რუსს“ პაროდიის სახით დასწერს. ამ ხალხზე ახალ დონ-კიხოტს, სადაც გმირი გულუბრყვილო და ქარის წისქვილებზე მონადირე დონ-კიხოტი კი არ იქნება, არამედ..., თვით“... თამარ მეფე პლიუს თანამედროვე მეოცნებებს პატრიოტი რომანტიკოსი, რომელიც საბჭოთა საქართველოში თამარ მეფის სასახლის ილუზიებით სცხოვრობს“ (ქიქოძე, 1928: 178-179).

პ. ქიქოძე რომ გამონაკლისი არ ყოფილა და მის ამგვარ თვალსაზრისს სხვა პროლეტარული კრიტიკოსებიც იზიარებდნენ, ეს ნათლად ჩანს მაშინდელი ჩვენი პრესის გაცნობით. მაგალითად, შალვა რადიანმა „მნათობში“ (1931, №3. 31-32) დასტამბულ თავის მიმოხილვითი ხასიათის ვრცელ სტატიაში – „ქართული

მწერლობის ათი წელი – შ. დადიანის „უბედური რუსი“ და მოთხოვბა „ა.თ.ქ“ ისეთ ნაწარმოებად მიიჩნია, რომელთა სახითაც „მწერალი წარსულის სიმაღლეებიდან გადმოჰყურებს ახალ ქვეყანას და არქეოლოგიის სამყაროდან ებრძის თანამედროვეობას“.

მ. ტოროშელიძე კი შ. დადიანის მინიატურებში სრულად განუსჯელად, უმართებულოდ წარსულის გაიდეალებას ხედავდა მხოლოდ (ტოროშელიძე, 1934: 59).

შ. დადიანის „უბედურ რუსზე“ საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის დიმიტრი ბენაშვილიც (ბენაშვილი, 1941: 56-59). მეცნიერი საერთოდ ისტორიულ რომანზე მსჯელობისას მიმოხილავს „უბედურ რუსსაც“. ის მწერლის ერთ-ერთ ლირსებად თვლის იმას, რომ ნაწარმოებში კარგადაა გაშიშვლებული ფეოდალთა შუღლი და ქიშკობა, მათი ვერაგობა, ხალხის ჩაგვრა და ა.შ. მოსწონს ვარდან დადიანისა და უტანდარის სახელთა მწერლისეული ინტერპეტაცია. რუსი უფლისწულის ზნეობრივი დამახინჯება და ერთგვარად მისი ტრაგედიაც არსებითად ცუდმა აღზრდამაც განაპირობა. შ. დადიანი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს იმის აღწერას, თუ როგორ იზრდებოდა მამულს მოწყვეტილი უფლისწული. მკვლევარი ამ მომენტზე საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას.

ამრიგად, დ. ბენაშვილი „უბედურ რუსს“ დადებითად აფასებს.

შ. დადიანის პროზის ზოგიერთ ასპექტს შეეხო შალვა აფხაიძე. ის საუბრობს ორ რომანზე: „უბედურ რუსსა“ და „ურდუმზე“. შ. აფხაიძე რამდენადმე ცდება, როცა წერს: „ისეთ ცნობილ ისტორიულ რომანშიც კი, როგორიც „გიორგი რუსია“, შ. დადიანი მთავარ ადგილს ხალხის კეთილდღეობის საკითხს უთმობს, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ სოციალურ რომანზე, როგორც „ურდუმია“ (აფხაიძე, 1944: 22. VI). ვფიქრობთ, რომ ხალხის გამოსახვის თვალსაზრისით ამ ორი რომანის შედარება შეუძლებელია.

საბჭოთა რეალობის შეცვლასთან ერთად ლიტერატურის ისტორიის არაერთი დებულება გადაისინჯა. შესაბამისად, მწერლობაც გადახედვას და სრულყოფილ შესწავლას მოითხოვს. შ. დადიანის შემოქმედების განხილვისას, ხშირად არაობიექტური, ტენდენციური იყო სალიტერატურო კრიტიკა. ეს განსაკუთრებით მის ისტორიულ რომანს „უბედურ რუსს“ შეეხო. ამ მხრივ, საინტერესოა გიორგი ნატროშვილის წერილი „მანქიერი რომანი და რედაქტორის უპრინციპო ბოლოსიტყვაობა“ (ნატროშვილი, 1952: №135).

გკვლევარი ბრალს სდებს შ. დადიანს წარსულის არასწორ გაშუქებაში. „ამ წიგნს შეუძლია მხოლოდ ზიანი მოუტანოს ხალხთა მეგობრობის საქმეს... ისტორიის ისეთი წარმოსახვა... როგორიც შალვა დადიანის რომანშია მოცემული, საგულისხმოს არაფერს შეიცავს და მკითხველისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია... როგორც სახელგამმა, ისე „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ უხეში შეცდომა დაუშვეს, შ. დადიანის მანკიერი წიგნი რომ გამოაქვეყნეს (ნატროშვილი, 1952: №135).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნ. ჩხეიძის წერილი „პროზა უურნალ „მნათობის“ ფურცლებზე“ (გაზ. „გამარჯვება“, №43, 1952), რომელშიც ტენდენციურად, უარყოფითადად შევასებული „ტბედური რუსი“ და „გირგვილიანების ოჯახი“.

1952 წელს ა. ბურთიკაშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „შალვა დადიანი“, სადაც შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი შ. დადიანის მხატვრულ პროზას. „იმ პერიოდში, როცა შალვა გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მინიატურების ჟანრი ძალიან გავრცელებულ ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენდა. შალვა დადიანის მინიატურები თავისი ლაპონიურობით, პოლიტიკური აქტუალობით, მიზანდასახულობით, აზრის სიღრმით მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენას წარმოადგენდა“ (ბურთიკაშვილი, 1952: 50). რაც შეეხება შ. დადიანის რომანებს, მათ შესახებაც გვაწვდის მკვლევარი საკუთარ მოსაზრებებს. „რომანში სიმართლითა და მხატვრული სრულყოფით არ არის ასახული ეპოქის სოციალური და პოლიტიკური ვითარება, მწერალმა მოახდინა თამარის, როგორც მეფის ერთგვარი იდეალიზაცია, ვერ გვიჩვენა მშრომელთა მწარე ხვედრი, საჭაო სისრულით ვერ დახატა ხალხი“ (ბურთიკაშვილი, 1952: 52).

შ. აფხაიძე მოგვიანებით „გირგვილიანების ოჯახსაც“ აანალიზებს (აფხაიძე, 1959, 195-206). მის მიერ ეს რომანი სავსებით სამართლიანად არის დასახული 1905 წლის რევოლუციის მოსამზადებელი ხანის მხატვრულად ამსახველ დიდებულ ტილოდ. ის თანმიმდევრულად აცნობს მკითხველს რომანის მთავარ პერსონაჟებს.

შ. დადიანისადმი მიძღვნილ კრიტიკულ ეტიუდში გიორგი ჯიბლაძემ მაღალი შეფასება მისცა მწერლის მხატვრულ პალიტრას. მეცნიერის მართებული მოსაზრებით, ბელეტრისტმა „თავიდანვე გვიჩვენა ჭეშმარიტი სისადავის ხელოვნება, მისი ძალა და მნიშვნელობა“ (ჯიბლაძე, 1959: 165). გ.

ჯიბლაძე მიიჩნევდა, რომ შ. დადიანის მინიატურები და მოთხოვბები ტენდენციური იყო.

1962 წელს კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ გამოსცა წიგნი „შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება“. წიგნის მირითადი ნაწილი შ. დადიანის მხატვრული პროზის ანალიზს ეძღვნება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი შრომა, სადაც ასე ვრცლად არის გაანალიზებული შ. დადიანის მოთხოვბები და მინიატურები.

მკვლევარი განიხილავს შ. დადიანის ქრმობის დროინდელ პროზას, ჭიათურისადმი მიძღვნილ ეტიუდებს, „ჩამოქრულებს“ და, აგრეთვე, უთარილო ეტიუდებს.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ვართაგავას მოსაზრებანი ყოველთვის არაა დაზღვეული ხარვეზისაგან, მან პირველმა მოგვცა შ. დადიანის რამდენიმე მოთხოვბისა და მინიატურის ვრცელი ანალიზი. სამწუხაროდ, ამ ნაშრომში სათანადო შეფასება შ. დადიანის ბევრმა მოთხოვბამ და მინიატურამ ვერ პკოვა. ასევე, კრიტიკოსმა რატომდაც თავი აარიდა მწერლის რომანებზე საუბარს.

„უბედურ რესზე“ ამახვილებს საგანგებო ყურადღებას მკვლევარი გურამ კანგავა. მისი აზრით, „ქართველ ისტორიულ რომანისტებს შორის შალვა დადიანი ყველაზე ახლო დგას ვასილ ბარნოვის ისტორიულ მსოფლმხედველობასთან... „შ. დადიანი წარსულის ფურცლებს უყურებს, როგორც თანამედროვეთა გაკვეთილებს...“ (კანკავა, 1962: 101-109). მკვლევარი თავის მოსაზრებას გამოთქვამს იური ბოგოლიუბსკის სახის შესახებ. „გიორგი რესზი“ ყოველ გმირს ის საზღაური და სვედრი მიეზღვევა, რასაც იმსახურებს მათი ზნეობრივი ქცევა და სახე. მთავარი გმირის, იური ბოგოლიუბსკის ბედი იმთავითვე განწირული იყო, რადგან თვით მისი ჩამოსვლა საქართველოში იყო არასწორად მოფიქრებული... ასეთ პრინციპზე აშენებული მეფობა კი უნდა დამხობილიყო, განადგურებულიყო, და ასე მოხდა კიდეც (კანკავა, 1962: 101-109).

საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახის“ შესახებ, კრიტიკოსმა გ. ქიქოძემ. მისი აზრით, შ. დადიანმა გამოავლინა რევოლუციის წინადროინდელი ქართული საზოგადოების ყველა ფენის მისწრაფებებისა და განცდების ბრწყინვალე ცოდნა, სათქმელი კი მშვენიერი ქართულით გადმოსცა (ქიქოძე, 1963, 317-321). კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებით საუბრობს ნექტარინას სახეზე, მაღალი ოსტატობით გამოძერწილ ტიპს უწოდებს მას. კრიტიკოსს მოსწონს შ. დადიანის მიუკერძოებლობის

გრძნობა, რის წყალობითაც რომანისტი თავადაზნაურთა წრეშიც ხედავს პროგრესულ ადამიანებს და მშრომელთა წრეშიც გაიძვერებსა და მლიქნელებს.

აღსანიშნავია შ. რადიანის მოსაზრებები შ. დადიანის რომანების შესახებ. კრიტიკოსი მიუთითებს, რომ „გიორგი რუსზე“ მუშაობისას მწერალმა დაამუშავა თამარის ეპოქის შესახებ არსებული ლიტერატურა. ავტორი მკითხველს აცნობს ისტორიულ და მწერლის ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟებს, ის სათანადო ადგილს უთმობს „ურდუმისა“ და „გვირგვილიანების ოჯახის“ ანალიზსაც.

წიგნში „ქართული რომანის პრობლემები“ მკვლევარი შალვა ჩიხუა დიდ ადგილს უთმობს „უბედური რუსის“ პრობლემატიკის გაშუქებას. შ. ჩიხუა მიუთითებს, რომ მწერალმა ჭარბად გადმოიტანა რომანში ბოგოლუბსკის ცნობილი მანკიერი თვისებები, რითაც ასე უხვად „დააჯილდოვა“ ის მემატიანებ. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ის ასკვნის, რომ „რუსი ხალხის განზოგადებულ ტიპად უფრო უნდა მივიჩნიოთ შ. დადიანის გამოგონილი გმირი – კუზმა, რომელიც საქართველოში თავის აღზრდილთან – იურისთან ერთად ჩამოვიდა. კუზმა რუსს შ. დადიანი სულიერი სითბოთი ხატავს. მწერალი მასში ავლენს უკეთეს ადამიანურ თვისებებს“ (ჩიხუა, 1972, 71). კრიტიკოსი უცხო უფლისტულის მოწვევას საქართველოს სამეცნ კარზე დიდებულთა თავგასულობით ხსნის. მკვლევარს მხედველობიდან არ გამოპარვია ისიც, რომ მწერალი არ უვლის გვერდს ქართველი ხალხის ნაკლოვან მხარეებსაც.

შ. დადიანის პროზას კრიტიკული წერილი მიუძღვნა ლევან ასათიანმა. ვიდრე უშუალოდ განიხილავდეს შ. დადიანის პროზაულ ნაწარმოებებს, მკვლევარი ეხება მინიატურის ჟანრს, მისთვის დამახასიათებელ მომენტებს. მისი მართებული მოსაზრებით, „მინიატურებში გვიჩვენა მწერალმა თავისი სიტყვის ძალა, ლაკონიზმი გამოთქმისა, დახვეწილობა სალიტერატურო ენისა. მისი მინიატურებისათვის, ამასთან ერთად, დამახასიათებელი იყო პოლიტიკური აქტუალობა, პროგრესული იდეურობა, აზრის სიღრმე და მდიდარი შინაარსი (ასათიანი, 1974, 150). ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარი მოკლედ აანალიზებს რამდენიმე მინიატურას.

წერილის დანარჩენი ნაწილი ეძღვნება „გიორგი რუსის“ განხილვას. კრიტიკოსი ნათლად წარმოაჩენს შ. დადიანის ისტორიული რომანის მაღალ დირსებას. ის მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ სუსტი იყო და თვით მწერალს შემოქმედებითი ენერგიის დიდი ნაწილი უნდა დაეხარჯა

მეცნიერული მუშაობის ჩასატარებლად. მიუხედავად ამისა, ლ. ასათიანი მწერალს გამარჯვებულად თვლის, „რადგან... მან ქართულ ლიტერატურას შესძინა იდეური და მხატვრული თვალსაზრისით თვალსაჩინო ნაწარმოები“ (ასათიანი, 1974, 155). მკვლევარი ახასიათებს რომანის სიუჟეტურ აღნაგობას, შემდეგ კი ეხება რომანისტის ოსტატობას; გამოყოფს ძირითად მოქმედ პირებს: გიორგი რუსს, თამარ მეფეს, უტანდარს, ვარდან დადიანს, გოდერძი ჩორჩანელს, კუზმას; განსაკუთრებით დიდ ღირსებად უთვლის მწერალს კუზმა რუსის უდიდესი სიყვარულითა და სიმპათიით დახატვას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მომენტზე არ გაუმახვილებია ყურადღება, პირველად სწორედ ლევან ასათიანმა შეაფასა ობიექტურად „უბედური რუსი“:

1974 წელს ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ გიორგი ციციშვილმა გამოსცა მონოგრაფია „შალვა დადიანი“. ნაშრომში მოცემულია მრავალი წლის მეცნიერული დაკვირვების შედეგები. ავტორი აანალიზებს შ. დადიანის როგორც პროზაულ, ისე დრამატურგიულ ქმნილებებს, ამასთანავე წარმოგვიდგენს მწერლის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს.

მონოგრაფიაში ცალკე თავადაა გამოყოფილი „შალვა დადიანის მხატვრული პროზა“, რომელშიც ორი ქვეთავია: შ. დადიანის რევოლუციამდელი პროზა და შალვა დადიანის პროზა საბჭოთა პერიოდში. პირველ ქვეთავში განხილულია მწერლის მცირე უანრის ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილში რომანები.

გ. ციციშვილი მწერლის რევოლუციამდელ პროზას მეტად საყურადღებოდ თვლის არა მარტო თავისი იდეურ-თემატური მიზანდასახულობით, არამედ იდეური გააზრებითა და თანამიმდევრული რეალისტური ამსახველობითაც. მას მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით შ. დადიანის მხატვრული ეკოლუციისათვის, ისე იმ პერიოდის ქართული მხატვრული პროზის ისტორიისათვისაც (ციციშვილი, 1974, 208).

გ. ციციშვილი შ. დადიანს მიიჩნევს მინიატურული უანრის შემომტანად ქართულ პროზაში. „მან პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში მცირე ფორმის სახეობა – მინიატურული უანრი და ამით ქართული პროზის გერსიფიკაციის საქმეში საკუთარი წვლილიც შეიტანა“ (ციციშვილი, 1974, 195).

მონოგრაფიაში მკვლევარი „უბედური რუსის“ შესახებ წერს: „რომ ეს ნაწარმოები პირველი საბჭოთა ისტორიული რომანია... ის წინ უსწრებს ალექსეი

ტოლსტოის „პეტრე პირველებ“, რომლითაც ჩვეულებრივ იწყებენ რუსული საბჭოთა ისტორიული რომანის ისტორიას“ (ციციშვილი, 1974, 210).

გ. ციციშვილის ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. შ. დადიანი ნამდვილად ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მაგრამ არა უპირველესი.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი „ურდუმის“ განხილვას. მიუხედავად დაუმთავრებლობისა, ის მაინც მიჩნეულია მწერლის ერთ-ერთ უძლიერეს ქმნილებად. „შეიძლება ითქვას, რომ „ურდუმი“ არის პირველი ნაწარმოები, სადაც ასე სრულად და კარგად გამოჩნდა შალვა დადიანის მიერ თავისი ქვეყნის წარსულის დრმა ცოდნა, ისტორიაში ხალხის როლის სწორი გაგება და მისი შთამბეჭდავად ასახვის უნარი (ციციშვილი, 1974, 245).

„გვირგვილიანების ოჯახის“ განხილვისას მკვლევარი განსაკუთრებით ამახვილებს უურადღებას რომანის კომპოზიციურ-სტრუქტურულ თრიგინალობაზე. ის ვრცლად ახასიათებს „შენაკადებს“, რომლებიც განაპირობებენ ნაწარმოების ფორმალურ სიახლესაც. „ისინი თავისებურ სახეს სძენენ ნაწარმოებს და, უმრავლეს შემთხვევაში, თავიანთი ნართაული, სიმბოლური აზრით იმ თემასა და იდეაზე მიგვანიშნებენ, რაც სათანადო ქვეთავში მხატვრულ სახეებში უნდა გაიშალოს (ციციშვილი, 1974, 253).

შ. დადიანის მხატვრულ პროზაზე საუბარს გ. ციციშვილი ამთავრებს მოგონებათა წიგნის – „რაც გამახსენდას“ შეფასებით. „რაც გამახსენდა“ დაწერილია საოცარი გულწრფელობით, ნამდვილი ექსპრესიოთ, ზოგჯერ რაღაც ნათელი სევდით და დიდი სიმართლით. მასში ხშირად მოჩანს მწერლის ლაპიდარული, მეტყველი, ფერადოვანი სტილი“ (ციციშვილი, 1974, 279).

ამგვარად, გ. ციციშვილმა მოგვცა შ. დადიანის მხატვრული პროზის შედარებით სრული მეცნიერული დახასიათება, მაგრამ შრომის ხასიათიდან გამომდინარე მეცნიერს არ შეეძლო მოკეთა შ. დადიანის მხატვრული პროზის ამომწურავი ანალიზი.

ცნობილი მკვლევარი სერგი ჭილაძა თავის წიგნში „უახლესი ქართული მწერლობა“ ზოგადად ახასიათებს შ. დადიანის ადრეულ ნაწარმოებებს, ასევე განიხილავს მინიატურებს „შვილი“, „სამსონის თმები“ და „ა.თ.ქ“. შედარებით ვრცლადაა განხილული რომანები.

შ. დადიანის ბელებრისტიკის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ტარიელ კვანძილაშვილს. მისი მართებული გაგებით „შალვა დადიანის რომანები მრავალ ახალ თაობას მიაწვდის სულიერ საზრდოს, ჩახედებს საქართველოს წარსულში... გააცნობს წინაპრებს... მათ ტკივილებს და სიხარულს. ინტერესი ამ ნაწარმოებთა მიმართ არასოდეს განელდება“ (კვანძილაშვილი, 1976, 69). კრიტიკოსი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ „გიორგი რუსი“ ჯერაც ვერაა ჯეროვნად შეფასებული (კვანძილაშვილი, 1976, 70).

მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს „გვირგვილიანების ოჯახსაც“.

შ. დადიანის შემოქმედების შესახებ პერიოდულ პრესაში იძექდებოდა: ნ. მაისურაძის, ა. სიგუას, ვ. ჭელიძის, გ. აბაშიძის, ლ. ბახტრიონელის. რ. სალიას, ჯ. კორძაიას, შ. ფუტგარაძის, ლ. კალანდაძის, ა. აბრამიშვილის, დ. კასრაძის წერილები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კრიტიკის ტენდენციურობისა, მაინც ხერხდებოდა მწერლის დვაწლის მეტ-ნაკლები ობიექტურობით წარმოჩენა.

საბჭოური იდეოლოგიური წნევისაგან სრულიად თავისუფალია 2003 წელს გამოცემული ავთანდილ ნიკოლეიშვილის „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომი, რომელშიც ავტორი განიხილავს შალვა დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალ საინტერესო საკითხს. „900-იანი წლების ბევრი რევოლუციონერი თავისი სამოღვაწეო პროგრამის განუყოფელ ნაწილად ეროვნულობის წინააღმდეგ თავგამოდებულ ბრძოლასაც სახავდა და მხოლოდ სოციალური უსამართლობის მოსპობას აღიარებდა თავის უზენაეს იდეალად... შ. დადიანი, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი აქტიური მხარდაჭერისა, არათუ არ თანაუგრძნობდა ამ პოზიციას, არამედ, პირიქით, უღრმესი მოწიწებითა და სიყვარულით ეთაყვანებოდა ილიას, საერთოდ, ჩვენი ერის პატრიოტ შვილებს და მას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა არასდროს გაუმიჯნავს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაგან (ნიკოლეიშვილი, 2003: 83-84).

უაღრესად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. ა. ნიკოლეიშვილი შ. დადიანის „უბედური რუსის“ შესახებ. მისი აზრით, „უბედური რუსი“ ჩვენი ეროვნული ბუნებისთვის მარადიულად თანამდევი ნაკლოვანებების მამხილებელი რომანიცაა. ერთ-ერთი მათგანია მეტისმეტი მიმნდობელობა სხვათადმი, რაც ხშირად ურთიერთშედლით, შინაგანი ამბიციებით, პატივმოყვარეობითაა და სხვა თვისებებითაცაა განმტკიცებული. ბედისწერის მწარე ირონიად აღიქმება,

თუნდაც, ის ფაქტი, რომ ისეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის მოგვარება, როგორიც თამარის დაქორწინება იყო, დიდებულების გადაწყვეტილებით, სომებ დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიენდო... ეს ფაქტი... წარმოაჩენს... ერთ უაღრესად საგულისხმო მოქმედს – სხვა ერების წარმომადგენელთა საბედისწერო როლს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 102).

მკვლევარი გარკვეულ ადგილს უთმობს აგრეთვე შ. დადიანის რომანს „გვირგვილიანების ოჯახი“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 113).

როგორც ვხედავთ, დიდია ინტერესი შ. დადიანის მხატვრული პროზის მიმართ, გამოთქმულია ბეგრი უაღრესად საურადღებო შეხედულება, რომელთაც უცილოდ აქვთ უდიდესი მნიშვნელობა მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შ. დადიანის მხატვრული პროზა დღემდე არ ქცეულა მონოგრაფიული შესწავლის საგნად. მრავალრიცხოვან წერილებსა თუ გამოკვლევებში არა გვაქვს მისი მრავალი პროზაული ნაწარმოების სათანადო შეფასება; უკურადღებოდაა დარჩენილი ის პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც შ. დადიანმა ყრმობის პერიოდში შექმნა და უმრავლესობა „მოზარდში“ გამოაქვეყნა, ასევე, შეიძლება ითქვას, სუსტად არის წარმოდგენილი შ. დადიანის ლიტერატურული ოსტატობის საკითხები, არ არის შესწავლილი მწერლის მდიდარი არქივი, ურომლისოდაც ამა თუ იმ ნაწარმოების სრულყოფილი შეფასება წარმოუდგენელია.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ ცდას რათა სათანადოდ იქნეს გაანალიზებული შ. დადიანის მხატვრული პროზის თავისებურებანი. დისერტაციაში შევეცადეთ მოგვეცა შ. დადიანის პროზის უანრობრივ-თემატური და მხატვრული ანალიზი. ამ მიზნით საგანგებოდ შევისწავლეთ მწერლის როგორც დაბეჭდილი პროზაული ობულებანი, ისე მისი პირადი არქივი, რომელიც დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში და აგრეთვე, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში. გავეცანით შ. დადიანის პროზის შესახებ საარქივო თუ პრესის მასალებს, პირველად გავაანალიზეთ ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელთა შესახებ სალიტერატურო კრიტიკაში არაფერია ნათქვამი. ყოველივე ამან კი შეგვაძლებინა უკეთ შეგვესწავლა შ. დადიანის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი.

თავი პირველი

შალვა დადიანის ადრინდელი პროზა

შ. დადიანის ყრმობისდროინდელი ნაწარმოებები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის შემოქმედებით ზრდაზე. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი ანალიზი. თუმცა შ. დადიანი მიიჩნევდა, რომ ეს ნაწარმოებები არ იყო მაღალი მხატვრული ღირებულების და საჭიროდ არ თვლიდა მათ გამოქვეყნებას. „მე წინააღმდეგი ვიყავი საერთოდ ჩემი ადრინდელი და განსაკუთრებით ახალგაზრდობისას დაწერილი მოთხოვების მოთავსებისა ჩემს ახლანდელ ტომეულებში, მაგრამ მეგობრებმა შემაგონეს და დამითანხმეს კიდეც... ეს ნაადრევი ნაწერებიც მომეთავსებინა... რადგან მარწმუნებდნენ მეგობრები, ასეთი გამოცემა ერთგვარ წარმოდგენას მისცემს მკითხველს შენს, როგორც მწერლის ზრდასა და განვითარებაზეო“ (დადიანი, 1958: 532). თუმცა შ. დადიანის ყრმობისდროინდელი პროზის გარკვეული ნაწილი დღესაც გამოუქვეყნებელია და მისი გაცნობა მხოლოდ მწერლის პირად არქივშია შესაძლებელი. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება მათგან ყველაზე საყურადღებო ნიმუშები.

შ. დადიანის მხატვრული პროზის უფრო სრულყოფილად შესწავლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა მწერლის ლიტერატურული საქმიანობისა და ესთეტიკური შეხედულებების გაცნობა.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან წარმოადგენს შალვა დადიანის ხელნაწერი უურნალი „მოზარდი“, რომელსაც 1888-1892 წლებში უშვებდა. მასში იგი ათავსებდა წერილებს, კორესპონდენციებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ლექსებსა და მოთხოვებებს. უურნალი ინახება საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

„მწერლობა“ ძალიან ადრე დავიწყე, – წერს შ. დადიანი – 14 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელ ბერთემში საკუთარი ხელნაწერი უურნალი დავაარსე (1888წ) და მალე ძალიან „დახელოვნებული“ რედაქტორი გავხდი: მოწინავე სტატიები, ფელეტონები, პატარ-პატარა მოთხოვები, დრამატული სცენები, ლექსები უმეტესად ჩემს კალამს ეკუთვნოდა, თუმცა ჩემს უურნალ „მოზარდში“ სხვებიც ღებულობდნენ მონაწილეობას“ (დადიანი, 1958: 531).

„მოზარდის“ ნომრების გაცნობა კი ცხადყოფს, თუ რა დიდი მონდომებითა და ენერგიით ემზადებოდა ახალგაზრდა შ. დადიანი სამწერლო მოღვაწეობისათვის.

შ. დადიანის არქივში ინახება 1889-1895 წლებში დაწერილი მოთხოვობები და მინიატურები, რომლებიც ნათელყოფენ მათი ახალგაზრდა ავტორის საზოგადოებრივად აქტიური საკითხებით დაინტერესებას. ეს ნაწარმოებები თემატურად სხვადასხვა ხასიათისაა.

ეურნალ „მოზარდის“ 1889 წლის X ნომერში შ. დადიანმა მოათავსა წერილი „უსაქმური ახალგაზრდობა“, რომელშიც 15 წლის პუბლიცისტმა გააკრიტიკა ფუქსავატი ახალგაზრდების მოქმედება. თურმე ისინი მხოლოდ სიმღერა-თამაშით ერთობიან, ლოთობენ და ასეთი საქციელით ხალხს თავს აბეზრებენ. ავტორი ასეთი უმიზნო დროსტარების წინააღმდეგია და ახალგაზრდების სასარგებლო საქმიანობაში ჩაყენებას მოითხოვს. აქ გამოთქმული აზრების მხატვრული განზოგადება ცადა მწერალმა თავის ადრინდელ ნაწარმოებებში.

ავიდოთ მოთხოვობა „სკვინჩამ უმტყუნა“. მის საექსპოზიციო ნაწილში აღწერილია ერთი ახალგაზრდა თავადის ოჯახის სააღდგომო სამზადისი. მზადაა თავლაში სიმონის ცხენი სკვინჩაც, რომელსაც ძუა-ფაფარი დვინოსა და რძეში ჩაურეცხეს, გაასუფთავეს ოქრო-ვერცხლით მოსევადებული მისი მოკაზმულობა. ეს დეტალი მიგვანიშნებს, თუ როგორ პიროვნებასთან გვექნება საქმე. ქვრივმა დედამ ნებიერად აღზარდა ერთადერთი შვილი და... სიმონის სახით, ჩვენ წინაშეა საქმაოდ ნაცნობი ფიგურა თავადისა, რომლის მსგავსთ აკრიტიკებდა შ. დადიანი ზემოთ დასახელებულ წერილში.

აღდგომას სიმონმა გამართა დიდი წვეულება. შ. დადიანი ირონიულად შენიშნავს: „...თურმე ძველი ლხენა სხვა რამ ყოფილა და ახალი კი – სულ სხვა, ახლის იდეალი თურმე სხვა არის“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი: 1. ხ – 11276/43-44). ეს ახალი იდეალი კი ისაა, რომ შეზარხოშებული ახალგაზრდები წაკინკლავდნენ და მასპინძელმა ხანჯალიც კი იძრო, მაგრამ, მოახერხეს და გააჩუმეს. საღამოს კი ახალგაზრდობამ მარტინ გამართა. სიმონს სურვილი პქონდა ყველაზე უკეთესი ყოფილიყო, ცხენიც უმართლებდა ჯერჯერობით, მაგრამ აი გაიჭრა წინ შავცხენიანი მხედარი, რაც არ მოეწონათ ჩვენს გმირსა და მის რაშს და... საშინელის სისწრაფით გაქანებულმა მოსახვევში ბჟოლის ხეს მიანარცხეს ტვინი.

აგტორის შენიშვნით, ამ ტრაგედიის მიზეზი უმიზნო დროსტარებაა. აქ შეიძლება გავიხსენოთ შ. დადიანის სიტყვები ზემოხსენებული წერილიდან: „ეს ახალგაზრდები კვდებიან ისე, რომ ცოცხლებში მათი ხსენება ერთ კვირაში ქრებაო“.

რამდენადმე ანალოგიურია უფრო პატარა მოცულობის ნაწარმოები „აღდგომას!“ აქაც სააღდგომო ფაცი-ფუცია აღწერილი. აღდგომის წინა დღეს სოფელში დიდი სამზადისია. ემზადება ფარნას ოჯახიც, თვითონ ფარნა ქალაქში თერმად მუშაობს და სოფელში სააღდგომოდ ჩამოდის ხოლმე. დიდი სიხარულით შეხვდა ოჯახი ფარნას, რიმელმაც საჩუქრები დაურიგა ყველას. მეორე დღეს კი ნაღვინებმა ახალგაზრდებმა თავი მოიყარეს სოფლის „სალხინო მოედანზე“, სადაც მოხდა უბედურება – ფარნა და ერთი ცხენოსანი უბრალო მიზეზს აჟყვნენ, ატყდა ჩხუბი და ფარნა დაიდუპა.

ორივე ნაწარმოებში შ. დადიანმა ადამიანის ტრაგედია უმიზნო დროსტარებას დაუკავშირა, რაც მაინცდამაინც აღდგომას მოხდა. ამ ადამიანებს არავითარი რწმენა აღარ შერჩენიათ დვთისა და ეს უდიდესი საუფლო დღესასწაული მხოლოდ თავაშვებულობისა და დრეობის მიზეზად გაუხდიათ, რასაც ეწირებიან კიდევაც. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა დღესაც არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვეობასაც ეხმიანება.

შ. დადიანის ადრინდელ ნაწარმოებთაგან აგტორის სინამდვილის მხატვრული აღქმის უნარი ყველაზე მეტად გამოჩნდა მოთხოვნილი „ხშირი ამბავი“.

მოქმედება ამ მოთხოვნიც სოფელში ხდება, სოფლის სახელწოდებაა გარმშვენიერი. მთავარი პერსონაჟი დათა წურწუფია სოფლიდან ქალაქს მიდის, რათა ფული იშოვოს. ასეთი ამბავი ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროისათვის. „დათას არსებაში ფულის სიყვარულმა ძლიერად გაიდგა ფესვები. შ. დადიანი კიდეც მიგვანიშნებს ამაზე: „ხელი მაგრად მოუჭირა ასიანს, თითქოს უნდა დაუმტკიცოს ნამდვილი სიყვარულიო“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 1: ხ – 11276/18). როდესაც ვკითხულობთ ამ სტრიქონებს, ჩვენს წინ ტიპური გაჭარი გაიყლვებს.

სოფელში დათას დიდი პატივით ეპყრობიან. „...პირმოონეობას საზღვარი არ ჰქონდა, სულ დათას ქებაში იყვნენ, სულ დათას ჭკუას, ხერხიანობას, ფულის შოვნას აქებდნენ“ – წერს შ. დადიანი (შ. დადიანის არქივი: ხ – 11276/18.). ხოლო, როცა მდგდლის ოდა იყიდა, დათას უფრო შორს გაუვარდა

სახელი. მდგდელსაც მოეწონა „სქელი ჯიბე დათასი“ და ამიტომ ასეთი რამ მოიფიქრა: თავის ვაჟს დათას დას – ცაბუის შერთავდა, მდიდარ მზითებელი და დიდხალ ფულსაც იშოვიდა. სხვათაშორის, შ. დადიანი „მოზარდის“ ფურცლებზე მკაცრად აკრიტიკებდა სამდგდელოებას. მდგდლებს, ზოგიერთის გამოკლებით, ანაფორაში გახვეულ მგელს უწოდებდა. ერთ ლექსში ის ასე ამათრახებს მათ:

„უნდა ხალხი გააბას,
სამოსში მალოს მტერი,
ხალხს ეწვენოს ცხვარივით,

შიგნით კი იყოს მგელი“ (შ. დადიანის არქივი, ქ. მოზარდის 1898 წლის დამატება).

მამა იოანე არ მოტყუვდა ანგარიშში, მისმა ლევანმა მზითებონ ერთად ოთხასი თუმანი მიიღო.

სულ მალე დათას თავზე უბედურება დატრიალდა. დათას დის გათხოვების შემდეგ მათ ოჯახს გადაემტერა სოფელში ავი კაცის სახელის მქონე ხვიჩარია, რომლის ვაჟიც უყვარდა ცაბუის (ცაბუი თავისი სურვილის წინააღმდეგ გაათხოვეს ლევანზე). ერთ დღეს აჰყვნენ დავას და დათამ დაჭრა ხვიჩარია. მართალია, ჭრილობა საშიში არ იყო, მაგრამ დაზარალებულს დახმარების ხელი გაუწოდა თავადმა თემუგამ და დათა გააციმბირებინა.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვობისთვის „ხშირი ამბავი“ მწერალს შემთხვევით არ დაურქმევია. იმ ეპოქისათვის, მართლაც ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქორწინება ძალდატანებით, სიყვარულის გარეშე, ქონების გამო ხდებოდა, რასაც საბოლოოდ უბედურება მოპქონდა. აღნიშნულ თემაზე ასევე შეიძლება გავიხსენოთ დ. კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება“ და გ. ლეონიძის „მარიტა“. ორივე შემთხვევაში, ირინესაც და მარიტასაც, მიუხედავად იმისა, რომ სხვა უყვართ ძალდატანებით ათხოვებენ მდიდარ საქმროებზე, რაც მათი და მათი ვითომდა „კეთილისმყოფელთა“ ტრაგედიის მიზეზი ხდება.

აღსანიშნავია, რომ ზემოგანხილული მოთხოვობისაგან განსხვავებით შ. დადიანი აქ უფრო კრიტიკულადაა განწყობილი მოვლენების მიმართ, გარდა ამისა, ეს ნაწარმოები მხატვრული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილია.

შ. დადიანი ისტორიულ თემასაც მიმართავს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „დედა-მოკა“ (ძველი თქმულება) (ქ. „მოზარდი“, №21, 1889).

„დედა-მოკას“ თქმულების შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის შ. დადიანი „რაც გამახსენდაში“. „მურვან-ყრუს დროს, როდესაც მერმეროე გარს

ადგა ქუჯის ციხეს და ადებული არა პქონდა, ციხესთან ჩრდილოეთის მხრიდან მცხოვრებლებს, ეტყობა, მსვლელობა შეწყვეტილი არა პქონიათ და აი ერთ დღეს სწორედ ჩრდილოეთის მხრიდან... ციხისაკენ მიდიოდა ერთი ორსული ქალი. ეს დაინახეს თურმე იმ არემარეზე მოთარეშე არაბმა ჯარისკაცებმა და ქალს დაედევნენ. ქალმაც შეამჩნია მდევრები და ფეხს გაუჩქარა, მაგრამ აქ კი მდინარე ტეხურს მიადგა. ახლა რა ქნას? სასოწარკვეთილმა ქუჯის ციხეს მიაჰყრო თვალი. ციხეში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც იყო თურმე და სწორედ ამ წმინდა გიორგის შეთხოვა შეშველებოდა.

ლეგენდა ამბობს, რომ სწორედ ამ ქალის ვედრების დროს მოისმა საშინელი ჭექა-ქუხილი, შეირყა დედამიწა და ტეხურის ორივე მხრიდან გადმოცვივდა კლდეების უზარმაზარი ქვები. ამ ქვებმა კი ისე დაავიწროვა ტეხურის კალაპოტი, რომ ქალმა თავისუფლად გაადგა ფეხი და მეორე მხარეზე გადავიდა, მხოლოდ როდესაც მდევრებმაც მიაღწიეს ამ ალაგს, დავიწროებულმა მდინარის კალაპოტმა კვლავ იმდენზე გაიწია, რომ ადამიანი იქ ვეღარ გადააბიჯებდა.

ამ ამბის შემდეგ დაერქვა ამ ადგილს – „დედა-მოკა“... (დადიანი, 1959: 57-58).

თხუთმეტი წლის შ. დადიანს ეს ლეგენდა ძალიან საინტერესოდ აქვს გაცოცხლებული, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდა და ნაწარმოები თითქმის ერთმანეთის იდენტურია.

აქვე გვინდა შევეხოთ შ. დადიანის ერთ ესკიზს „ციხე-დარბაზი“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 1. ხ - 11276/52). ერთ საღამოს სასეირნოდ გამოდის ნაწარმოების მთავარი გმირი, რომლის თვალწინ ლამაზი სანახაობა გადაიშალა. ასეთ დროს ავტორი თავისი პერსონაჟის მზერას შეაჩერებს სახურავჩაქცეულ, სუროშემოვლებულ ციხე-დარბაზზე, რომელიც თავის დროზე, ეტყობა, დიდი ხელოვნებით იყო აგებული. ამას მოწმობდა კედელზე აქა-იქ შემორჩენილი სხვადასხვა ნახატი... ნაწარმოების მთავარ გმირს ამ სანახაობამ გული აუზევა და ცრემლებიც მოერია. შეიძლება ძალიან სენტიმეტრულ იყოს ფინალი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ახალგაზრდა აგტორს შესტკიოდა გული იმაზე, რომ ჩვენი ციხე-ტაძრები სათანადოდ არ იყო მოვლილი.

„მოზარდის“ ფურცლებიდან შ. დადიანი ხშირად ილაშქრებდა საზოგადოების გულგრილობისა და უსულგულობის წინააღმდეგ. ის გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ძალიან ბევრჯერ შემოსევია

მტერი, მაგრამ ქართველს იმედი არ დაუკარგავს. დღეს კი მტერი არ გვაწუხებს, მაგრამ საერთო საქმეს და მომავალზე ზრუნვას ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევთო.

ამ თემას ეხმაურება შ. დადიანის პატარა მოთხოვის „ორი ნიკო“ (შ. დადიანის არქივი ფონდი 1. ხ - 11275/20), რომელიც ეძღვნება მწერლის მამას. ნაწარმოები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში, რომელსაც ავტორი „ერთობას“ უწოდებს, მთავარი მოქმედი პირია დედისერთა მებატონე ნიკო ფარჯანიანი, რომელიც შესანიშნავი მეურნე, მწერალი და კეთილი ბუნების ადამიანია.

ერთხელ სპარსელებმა ომი გამოუცხადეს ქართველებს. ნიკო დაუფიქრებლად ჩაება ამ ბრძოლაში და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. „...ერთობა იყო მაშინ, მაშინ ყველა ერთად იყო და ერთს საქმეს, ერთს რამეს ემსახურებოდნენ“, – წერს ავტორი.

ნაწარმოების მეორე ნაწილს ეპიგრაფად წამბდვარებული აქვს ილიას სტრიქონები – „აწმუო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“. ამ ნაწილში კი მთავარი პერსონაჟი ნიკო შაბაშაძეა. ომი უკვე ისტორიას ჩაბარდა, ამიტომ ნიკომაც სწავლას მიჰყო ხელი. სწავლა და განათლება ხალხის კეთილდღეობისკენ მიმართა, მაგრამ ხალხი მაინც არ სცემდა პატივს. „რატომ? – იმიტომ, რომ ახლა აღარ იყო ის ერთობა, ახლა ვედარ ემსახურებოდა ყველა ერთ საგანს...“ სწორედ ამის გამო, ნიკო შაბაშიძემ, ვერ შეძლო წარმატების მოპოვება. მაგრამ ავტორი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ შაბაშაძეები მომრავლდებიან. პიროვნების რეალიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია გარემო. ორი ნიკო, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მხატვრული სახეა, სხვადასხვა დროში გარდასახული.

შ. დადიანი თავისი შემოქმედების დასაწყისში საბავშვო ნაწარმოებებსაც ქმნის. ასეთებია: „კეთილი დები“, „რომელი უფრო ბედნიერია“, „სვლეპია-ტვლეპია“. ტვლეპია“.

„კეთილი დები“ პატარებს ასწავლის უფროსების პატივისცემას, შრომის სიყვარულს. „რომელი უფრო ბედნიერია“ კი ბავშვებს სწავლა-განათლების მიღებას ჩააგონებს. ძალიან სახალისო ნაწარმოებია „სვლეპია-ტვლეპია“ (ქ. ოქტომბერი, 1939, №2), რომელიც მსუნავ დათუნიას ამბავს მოგვითხოვბს, როგორ ჩაუსაფრდა ხის ფუღუროში ცხვრის ფარას, „უთუოდ იმისათვის, რომ იქიდან უფრო კარგა გამოერჩია საუკეთესო და მსუქანი კრავი... იმ ფუღუროში,

საცა ჩვენი დათუნა ჩამძვრალიყო, თურმე ფუტკრების სკა იყო მოთავსებული... მაშინვე მომართეს თავიანთი შხამიანი შაშარი და მწვავედ უჩხვრიტეს ამ დაუპატიუებელ სტუმარს... სასაცილო სანახავი იყო ჩვენი სვლეპია-ტვლეპია ამ დროს...“ (დადიანი, 1939: №2).

საყურადღებოა პატარა მოთხრობა „ერთი ჩანგურის ამბავი“, რომელსაც ავტორი „ზდაპრულ მოთხრობას“ უწოდებს (ქუჯი ბეთლემელი, ერთი ჩანგურის ამბავი, ქ. მოზარდი, №11, 1891). შეიძლება ეს პატარა მოთხრობა სინამდვილის ალეგორიულ-სიმბოლური წარმოსახვის ნიმუშადაც მივიჩნიოთ. მოთხრობაში ავტორი გვიხატავს ზამთრის მკაცრ ბუნებას და ამის შემდეგ გვიყვება ჩონგურის ამბავს, ჩონგურს ერთგვარი დანიშნულება ჰქონდა ზამთრის გრძელ, მოსაწყენ დამეებული, მისი ხმა ყველას ატკობდა, ასე გრძელდებოდა ერთხანს, მაგრამ ჩონგურმა ერთ მშვენიერ დღეს ხმა შეიცვალა, ლომის ბრდდვინვას დაემსგავსა, ყველას ეგონა, საცაა სიმები დაწყდებიანო, მაგრამ გადარჩენ, ოდონდ ახლა ჩონგურმა „მიიღო ხმა რაღაც დაჩაგრულისა, დამარცხებულისა, მოღალულისა, თითქო ვინმეს შესახვეწი აქეს რამეო, იმნაირი იყო კილო ჩონგურისა და ის ის იყო ტირილის ხმაც უნდა დაეწყო, მაგრამ... ჩონგურს სიმები დაწყდა...“ (ქ. „მოზარდი“, №11, 1891).

ჩონგურის სახით ავტორმა სიმბოლურად საქართველოს ყოფა გამოხატა, მისი ძლიერი წარსულითა და უიმედო აწმყოთი. „გავიდა კიდევ დღეები, კვირეები, თვეები, წელიწადებიც, აგერ საუკუნეც გასვლასა ლამობს, მაგრამ ჯერ კიდევ სიმები მოძებნილი არ არის... და ჩონგურისათვის კაცს ხელი არ უხლია“ (ქ. მოზარდი, 1891, №11).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს სიმბოლოდ ჩონგური შ. დადიანმა თვით ა. წერეთელზე (აკაკის „ნათელას სიმღერა“ – 1897წ. შ. დადიანი „ერთი ჩანგურის ამბავი“ – 1891წ) ადრე გამოაქვეყნა.

„მოზარდის“ შინაარსის გაცნობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ შალვა დადიანი დიდი გულმოდგინებით მუშაობდა თითოეულ ნომერზე, რათა უურნალი რეგულარულად გამოსულიყო, თვალნათლივ მიუთითებს ახალგაზრდა დადიანის დიდ ერუდიციასა და შრომისმოყვარებაზე. „მოზარდმა“ დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში, აქ ჩაეყარა საფუძველი შალვა დადიანის მომავალ სამწერლო და სათეატრო მოგაწეობას (გაგოშიძე, 1971: 15).

შ. დადიანის ყრმობისდროინდელ პროზაში ზოგჯერ ნაწარმოებების სიუჟეტი პრიმიტიულია, მოვლენების განვითარება გულუბრყვილო ხასიათის

მატარებელი, მაგრამ აქვე გვხვდება ნიშნები, რომლებშიც საბოლოო ჯამში განვითარდნენ და მწერლის პროზისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ თვისებებად ჩამოყალიბდნენ. ასეთია, პირველ რიგში, თემატიკის მრავალფეროვნება, ფოლკლორული ნიმუშებისა და ცნობილ პოეტთა სტრიქონთა გამოყენება აზრის ნათლად გადმოსაცემად.

შ. დადიანი „მოზარდის“ დამსახურებად თვლის იმ ფაქტს, რომ 1896 წელს ილიას გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი მოზრდილი მოთხოვნა „წმინდა ცრემლები“: „ამ ჩემმა ჟურნალმაც შემაჩვია წერას და 1896 წელს „ვირისკე“ და ქ. თბილისის, გაზეთ „ივერიის“ რედაქციას გავუგზავნე ჩემი პირველი მოთხოვნა „წმინდა ცრემლები“, მხოლოდ ჩემი ნამდვილი სახელი და გგარი კი არ მომიწერია, არამედ „ქუჯის“ ფსევდონიმით იყო წარგზავნილი...“ (დადიანი, 1958: 532).

„ივერიაში“ დაბეჭდილმა შ. დადიანის თხზულებებმა სათავე დაუდეს მოთხოვნის ეანრს მწერლის შემოქმედებაში. მართალია, მწერლის ყრმობისდროინდელი პროზა განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მაგრამ დიდ როლს ასრულებს შ. დადიანის დაოსტატებაში, მისი მწერლური გემოვნების დახვეწასა და ჩამოყალიბებაში. როგორც თავადაც აღნიშნავდა, იგი სწორედ ჟურნალმა „მოზარდმა“ „შეაჩვია წერას“.

თავი მეორე

მინიატურები

900-იანი წლების მწერლობა პროზის მცირე ფორმების – მინიატურის, ეტიუდის, ხოველის მოძალებით აღინიშნა. ეს მოვლენა, ერთი მხრივ, თვით დრომაც განაპირობა, რომელიც შთაბეჭდილებათა, განცდათა და სულიერ ტკივილთა ნაირფერობითა და სწრაფმონაცვლეობით ხასიათდებოდა და, მეორე მხრივ კი, იმპრესიონიზმის გავლენითაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ლიტერატურაში ძირითადი ადგილი მაინც კრიტიკულ რეალიზმს უჭირა, ქართული პროზა მნიშვნელოვან გადახასილებას განიცდიდა.

მართალია, მცირე პროზაული ნიმუშები ქართულად ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იწერებოდა, მაგრამ სისტემური ხასიათი ამ უანრმა XIX საუკუნის მიწურულიდან მიიღო. ამ პერიოდში მცირე ფორმის აღორძინება სამართლიანად უკავშირდება ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძისა და იროდიონ ევდოშვილის სახელებს.

საერთოდ კი ქართული მინიატურის სტრუქტურა და უანრობრივი სპეციფიკა ბევრად განსაზღვრა ვაჟა-ფშაველამ, მისმა უაღრესად წარმატებულმა სტილურმა ძიებებმა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული როსტომ ჩხეიძეს წერილში „მინიატურა“: „ვაჟას, როგორც პროზაიკოსის და, კერძოდ, მინიატურისტის, ტალანტსა და გამორჩეულ ხელოვნებას დიდად აფასებდნენ მომდევნო თაობის თანამოკალმენი, იმასაც აღიარებდნენ, რომ ქართულ ლიტერატურაში ვაჟამ დაუდო სათავე მინიატურის უანრს... ქართული მინიატურის მძლავრი შინაგანი მუხტი ვაჟას წყალობაა“ (ჩხეიძე, 1992: 12-13).

შ. დადიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა მცირე უანრის ნაწარმოებებს. თუმცა იგი ამ უანრში განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ აღწევს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მწერლებთან ერთად გარკვეულ როლს ასრულებს მის განვითარებაში, რომლის დიდოსტატადაც შემდგომში ნიკო ლორთქიფანიძე გვევლინება.

როგორც ცნობილია, შ. დადიანმა მოთხრობებით დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა. მცირე უანრით კი მისი დაინტერესება ცნობილი მწერლის, მულტატულის მინიატურებს გამოუწვევია. „...ამ უანრმა მომხიბლა და მეც შევუდექი ესეთი მანერით წერას; მხოლოდ ერთი შემიძლიან ვთქვა: მისი და მისებური მწერლების ეპიგონი არასდროს გავმხდარვარ“ (დადიანი, 1958: 533) – წერდა მწერალი (მულტატული, ფსევდონიმია ცნობილი პოლანდიელი მწერლის ედუარდ დაუეს დეკერისა (1820-1887). მულტატული ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ბევრი ვიტანჯე“, უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ „ბევრი რამ გადავიტანე“.

დეკერის მამა იყო გემის კაპიტანი. ის ცდილობდა შვილი გაჭრობაში ჩაება, მას არ ხიბლავდა ერთფეროვანი ცხოვრების პერსპექტივა. დეკერმა დაიწყო მუშაობა სამოქალაქო მოხელედ. ის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადადიოდა. ამ დროისათვის მისთვის უკვე ცნობილი იყო პოლანდიური ადმინისტრაციის საიდუმლოებანი და მას დაწყებული პქონდა კოლონიალური სისტემის საჯაროდ გაპროტესტება. ბუნებრივია, სიტყვის თავისუფლების გამო მას დაემუქრნენ სამსახურიდან გათავისუფლებით, რომელიც პროტესტის ნიშნად მან თავის ნებით დატოვა და აღშფოთებული დაბრუნდა პოლანდიაში. მას დიდი სურვილი პქონდა გამოეაშკარავებინა ის სკანდალები, რომელთა მოწმეც თავად გახდა და დაიწყო კიდევაც ამის ბეჭდვა საგაზეთო სტატიებსა და პამპლეტებში. მის პროტესტს მცირე ყურადღება ეთმობოდა მანამ, სანამ 1860 წელს, მან ფსევდონიმით მულტატული, გამოაქვეყნა რომანი „მაქს პაველაარი“. დეკერის ფსევდონიმი სავარაუდოდ გულისხმობს, რომ ის იყო მსხვერპლი იმ უსამართლობისა, რომელსაც ის ხედავდა. ცდილობდნენ მისი წიგნი არ გავრცელებულიყო, მაგრამ ამაოდ, ის მოელმა ევროპამ წაიკითხა. დეკერმა სააშკარაოზე გამოიტანა და დაგმო კოლონიალიზმის ბოროტება დას ინდის კოლონიაში (დღევანდელი ინდონეზია).

დეკერმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ თაობებზე. 2002 წელს პოლანდიური ლიტერატურის საზოგადოებამ მულტატული ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვან მწერლად გამოაცხადა.

შ. დადიანის მინიატურები თემატურად სხვადასხვაგვარია, რაც, ჩვენი აზრით, ისტორიული ვთარების მონაცემებითაც არის გამოწვეული. ამ გარემოების გათვალისწინებით მწერლის მინიატურები დისერტაციაში

შემდეგნაირად დავაჯგუფეთ: ა) რევოლუციის აღმავლობის პერიოდისა და ბ) რევოლუციის უკანდახევისა და რეაქციის წლების მინიატურები.

ა) რევოლუციის აღმავლობის პერიოდის მინიატურა

რევოლუციის წინა წლებში შ. დადიანს დაუწერია: „მგზავრები“, „მარჯვენა ფეხზე“, „ტყე გაკაფეს“ (1902 წ) და „სიხარულის არის ცრემლები“ (1904 წ). სამწუხაროდ პირველი სამი ნაწარმოები, როგორც მწერლის შენიშვნიდან ჩანს, არსად არ დაბეჭდილა. ისინი ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა (შ. დადიანის არქივი. ფონდი 11. ხ - 15248).

„სიხარულის არის ცრემლები“ მწერალს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაუბეჭდავს, რაც მწერალ ილია აღლაძის დამსახურება ყოფილა. საერთოდ, ილია აღლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის შ. დადიანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაში. ილია აღლაძეს მინიატურისათვის „სიხარულის არის ცრემლები“ „ლექსისებური“ დაურქმევია.

„...ცარიზმის სასტიკი რეაქციის პირობებში, მაშინ როცა ცენზურა ყოველივე თავისუფალ სიტყვას დევნიდა, პროგრესულად მოაზროვნე მწერლები, რომელთა რიცხვს შალვაც ეკუთვნოდა, იძულებული იყვნენ თავიანთი აზრების გასავრცელებლად ხშირად ერთგვარი ალეგორიული ფორმები გამოენახათ, რათა უფრო თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი საბრძოლო სულისკვეთება“ (ბურთიკაშვილი, 1952: 32).

მინიატურაში მწერალმა რუსეთის სინამდვილე, მისი უღიმდამო ცხოვრება ასე დახატა: „...სიბნელე იყო... ამ სიბნელეში თვალებშეჩვეულს ჩემსა გარემოს სურათს შავსა, მივჩერებოდი...არცა სინათლე, არცა ხმა არ მოისმოდა... თავს ცა მრისხანედ მოქუშული ჩამომწოდოდა... პგავდა შუაღამეს...“ (დადიანი, 1958: 13). მინიატურის გმირი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ გარემოში იმყოფებოდა, მისი ამგვარი სულიერი მდგომარეობა დროებითია, რადგან აგერ „ქარმა წამოუქროლა“, „ტყე აშრიალდა“, „ზღვა აღელდა“, „ქალაქში ყიჟინა გაისმა“. მწერალმა ხალხის გამოფხილება შესანიშნავად გამოხატა ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენებით.

შ. დადიანის ეს მინიატურა ოპტიმისტური განწყობით მთავრდება: „...ხმა მესმის საიმედო, გმირული ხმები: „წელი გავმართოთ, აწ შევინძრეთ, ირიქრაჟაო!

აღსდეგი, მონავ, აწ შეიგნე – ბნელში აღარ ხარ! რაღად ემხობი აბა პირქვე, თამამად და წინ!“ (დადიანი, 1958: 14).

მწერალი თითქოს გრძნობდა, რომ ადამიანებში რაღაც ახალი ძალა ჩნდებოდა და ეს იყო საფუძველი მისი სიხარულისა: „...ცრემლები მახრხობს. მხოლოდ... სიხარულის არის ცრემლები“ (დადიანი, 1958: 14).

პირველი მინიატურა, რომელიც შ. დადიანმა 1905 წელს დაწერა, იყო „მონა-ყმა-მუშა“. მასში მოკლედაა გადმოცემული მთელი ისტორია ჩაგრულისა და მზაგვრელისა, სუსტისა და ძლიერისა. „საზოგადოების მთელი ისტორია შ. დადიანს, ამ მინიატურის მიხედვით, მდიდრებისა და დარიბების მარადიულ დაპირისპირებად მიაჩნია. ერთ მხარეზე მდიდარი დგას, მეორეზე მონა. უამთასვლის მანძილზე ერთადერთი რამ, რაც იცვლებოდა, ამ მონის სახელი იყო მხოლოდ... სხვა ყველაფერი ძველებურად რჩებოდა“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 82). „...ჯერ მონა ვიყავ სულიერი ვითომ უსულო. მერე ყმად ვიქაც, ბევრი სული არც მაშინ მქონდა!.. ახლა მეძახი მუშა ხარო, სულიც გიღგასო. მწამს რომ კაცი ხარ და კაცური გინდა მოპყრობა“ (დადიანი, 1958: 15) – ესაა ჩაგრული ადამიანის სიტყვები, რომლის პირითაც მწერალი პირდაპირ ამბობს თავის საოქმელს: „...სისხლისმსმელო პარაზიტო მოგივა ის, რომ მოესწრები იმ დღეს საზაროს, რომ სულ ყოველგან დამყარდება თანასწორობა და ეს იქნება სახტიკი რამ შენი სასჯელი!“ (დადიანი, 1958: 16). „...ასეთია არსი ამ მინიატურისა, ავტორის მიერ საბრძოლო სააგიტაციო ფორმით, აშკარად და შეუნიდბავად გამოხატული“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 82).

სრულიად საპირისპიროა თავისი სულისკვეთებით 6. ლორთქიფანიძის „მონა“, რომელიც შეგუებულია საკუთარ ხვედრს და არც კი ფიქრობს მონობიდან თავის დაღწევაზე, ამიტომაც მწერალი ასეთი სიტყვებით მიმართავს: „მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზდარი“ (ლორთქიფანიძე, 1989: 62).

„მონა-ყმა-მუშას“ მოჰყვა „მდინარე“, რომელიც 1905 წელსაა დაწერილი. რევოლუციის გამარჯვებაში დარწმუნებული მწერალი წერს: „...გზა ოდნავ სათავისაკენ უკვე გადიჯება ხალხის ფეხისაგან... ბევრი დაშავდა ამ გზაზე, ბევრი გაკაწრა გზის ეკალნარმა... მაგრამ მაინც წინ მივდივართ. უკვე ვეღარაფერი შეგვაკავებს... მივაღწევთ კიდეც სათავეს და... გავიწმინდებით მწიკვლისაგან!“ (დადიანი, 1958, 20).

შ. დადიანმა ამ მინიატურაში საშინელი მსჯავრი გამოუტანა ყველა იმას, ვინც კიდევ ვერ ხედავს „უბედურების მიზეზს: „...თუკი ვინმე ჩამოგვრჩა უკან და კვლავ მიზეზს ძველებურად სხვაგან დაემებს, ის საუკუნოთ გამოგლოვილია, ის ვერც არას ჩვენს დაგვაკლებს და ვერც არას თავს შემატებს, ის ციების მსხვერპლია“ (დადიანი, 1958, 20).

„ცხოვრების სიმყრალის“ გაქრობა და „სათავის გაწმენდა“ აუცილებელ პირობად აქვს მწერალს დასახული ამ პატარა მინიატურაში.

მინიატურა „მდინარე“ ალეგორიულ-სიმბოლური ოვალსაზრისით წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს მცირე პროზის ჟანრში.

ანალოგიური ხასიათისაა „ენგური“, რომელსაც „თვალსაჩინოდ ატყვია ილია ჭავჭავაძის სტილური და შინაარსობრივი გავლენის კვალი“ (ციციშვილი, 1974: 178). შ. დადიანი ამ მინიატურის შესახებ შენიშნავდა, რომ „მაშინდელმა ცენტურამ – ახლა უკვე დაკარგული ტექსტის მაგივრად – დასვა წერტილები“ (დადიანი, 1958: 17). მიუხედავად ამისა, მწერალმა მაინც მოახერხა მთავარი საოქმელის გადმოცემა. ის ხსნის და ასაბუთებს, თუ რატომ უყვარს ენგური, რატომაა აუცილებელი სულ მოძრაობა და სულ ბრძოლა... მწერალი დრმადად დარწმუნებული „რომ კალაპოტს ხშირი ცვლა უნდა...“ (დადიანი, 1958: 17).

1905 წელს დაიწერა შ. დადიანის მინიატურები: „თითები“ (ეს მინიატურა მოგვიანებით მწერალმა შეიტანა „გვირგვილიანების ოჯახში“ XI შენაკადად, სათაურით „ძველი აბგიდან“), „ჩრდილი-სინათლე“, „მზის ჭიატი“, რომელნიც, როგორც ერთგვარად სათაურებიდანაც ჩანს, სიმბოლურად გვიხატავენ საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას.

იგივე შინაარსისაა 1905 წელს დაწერილი მინიატურა „მეორე მდინარე“. „ჩვენ სოფელს გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა და ეს გარემოება ვიცოდით ყველამ, რადგან გვესმოდა მისი ხმაურობა, მისი შხეილი. თუმცა დანახვით კი თავის დღეში არ დაგვინახავს. უეცრად კი... განიფანტა ეს ჯანყი და ბურუსი... დიდებული მიდამო ჩვენ თვალწინ გადაიშალა. მდინარის იქით მხარეს გადაჭიმულიყო თვალუწვდომელი, უსაზღვრო ველი. აღსავსე იყო იგი მწვანედ მობიბინე სხვადასხვა მასაზრდოებელი მცენარეებით... არ გვეგონა, თუ სხვაგან სადმე იყო ისეთი ადგილი, სადაც ყველანი კიდეც მივეტვოდით და კიდეც ვისაზრდოებდით... მოვინდომეთ კიდეც ფონს გასვლა, მაგრამ... ძნელი იყო გაცურვა. ამას გამბედაობაც უნდოდა და დონეც... ჩვენ კი ნაპირზე ვყვიროდით მხოლოდ...“ (დადიანი, 1958: 23). იმ დროს მკითხველისათვის სრულიად გასაგები

იყო ამ მინიატურის დედააზრი. მწერალი მდინარის გაღმა ნაპირს გვიხატავს, სადაც სხვადასხვა მასაზრდოებელი მცენარეა. მისი სურვილია გააპონ ტალღები და გაღმა გავიდნენ. მინიატურაში, მართალია, მოცემულია რწმენა, რომ „...გავცურავთ, ტალღა ვერ ჩაგვითრევს“ (დადიანი, 1958: 24), მაგრამ მწერალს რადაც აფიქრებს: „წინ და წინ! მხოლოდ... ერთი მხოლოდ, რომ კიდე არსებობს, ამას ყველა ვგრძნობთ“ (დადიანი, 1958: 24).

ცხადია, ამ მინიატურის შინაარსს წარმოადგენდა ალეგორიულად გამოხატული სოციალური ვითარება. მისი დედააზრი მარტივი და ყველასათვის ადვილად გასაგებია. „მეორე მდინარე“, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის სიმბოლოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადაურჩა ცენზორის ულმობელ კალამს. იგი იმდენად მცირე მოცულობისაა, სადაა და უპრეტენზიო ალეგორითაა გადმოცემული, რომ ბუნებრივია, ცენზორმაც ვერაფერი იპოვა ამ მინიატურიდან ამოსაკვეთი.

1906 წლის 6 იანვარს გამოქვეყნდა შ. დადიანის მინიატურა „ფალავანი“. მინიატურაში მწერალი იძლევა ზუსტ შეფასებას იმდროინდელი მოვლენებისას. „იყო ფალავანი. იყო კედელი. ფალავანს ზურგი ამ კედელზე ჰქონდა მიყრდნობილი. კედელი ყინვის იყო... ფალავანი კი მხურვალე იყო, გულს ქონი ჰქონდა მორეული, იმიტომაც ზურგს სიხარულით იცივებდა. ...მზე პირველ ხანებში ალმაცერად უყურებდა ამ კედელს, მაგრამ აი დადგა გაზაფხული და იწყო დნობა ყინვამ, წამოვიდა წყლად. საშინელი ტბა დადგა ფალავანის გარშემო...“ (დადიანი, 1958: 29).

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციამ ვერ მოახერხა „ყინულის“ გადნობა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ შ. დადიანი წინ უსწრებს დროს და აცხადებს: „...მზემ კი უკვე დაიუფლა ეს ყინვის კედელიც“ (დადიანი, 1958: 30).

ამრიგად, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში შ. დადიანის მინიატურებში გამოხატული განწყობილება მიგვანიშნებს, რომ მწერალი აშკარად თანაუგრძნობდა ამ მოვლენას და მასთან აკავშირებდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ცვლილებებს და მას აღიქვამდა ახალი ცხოვრების დასაწყისად, რომელიც ჩაინაცვლებდა არსებულ ისტორიულ ეპოქას.

ბ) რეაქციის წლების მინიატურა

საინტერესოა ამ პერიოდის შ. დადიანის მინიატურების ხასიათი. მართალია, მათში აქა-იქ თავი იჩინა ერთგვარმა დაუჭვებამ, მაგრამ მინიატურების უმრავლესობაში მოჩანს ძველებური რწმენა და იმედი. რეაქციის პერიოდის მინიატურები აშკარად ამჟღავნებენ მწერლის ინტერესს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემებისადმი.

1906 წელს დაიბეჭდა შ. დადიანის „უსათაურო მინიატურა „...დაიბადა მშვენიერი ბავშვი“, რომელიც თავის ალეგორიულ-სიმბოლური დატვირთვით მეტად მნიშვნელოვანია. „დაიბადა მშვენიერი ბავშვი. სიმართლის შვილი იყო, გაჭირვება აკვანს ურწევდა, ჭეშმარიტებამ მონათლა, დაჩაგრულები ძუძუს აწოვებდნენ, ჰენიოდებმა აღზარდეს“ (დადიანი, 1958: 59). ამ ბავშვს მითოლოგიური ორთეოსის ნიჭი დაჲყვა მუსიკისა. მის ხმას სახწაულებრივი ძალა ჰქონდა, „...მისი ხმა, მისი ლაპარაკიც კი ცოტრი რამ მუსიკა იყო და ისეთი ძალა ჰქონდა ამ გამომეტყველებას, რომ მის მომსმენელს თვით მხეცსაც კი იმორჩილებდა. ძალა მომრჯულებელი, გამაადამიანებელი“ (დადიანი, 1958: 59) – ასე შეაფასა მწერალმა სამართლიანობის ძალა.

ბავშვს „თავზე თავისუფლების სხივ-ცისკროვანი გვირგვინი ედგა“. ის ერთ ტყეში მოხვდა. „ზამთარი იყო, მუნ დათვს ეძინა“. მწერალს ისტორიული ფაქტი შესანიშნავად აქვს სიმბოლიზებული. „უცნაური გვირგვინის სინათლემ ძილი დაუფრთხო და გაბრაზებულმა ახლო მისულ ჭაბუკს ტორი გაარტყა“ (დადიანი, 1958: 59). ჭაბუკი ცოტა დაშავდა, რამაც „ცრემლი წასტაცა ამქვეყნიურ ყველა იმას, რაც უგონიერესია, უნიჭიერესია, უწრფელესია“ (დადიანი, 1958: 59). მაგრამ მწერალი იმედს არ კარგავს. „მოფრენილა ზღაპრული ფასკუნჯი და თავისი უებარი ფრთის შეხებით იარას უმრთელებს ჭაბუკს“ (დადიანი, 1958: 59).

დროებითი აღმოჩნდა „სვავთა ხარხარის გაქრობა“, რასაც მწერალი მინიატურაში „„მზის ჭიატი“ წინასწარმეტყველებდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი უსათაურო მინიატურა „...კალამი ხელს არ ემორჩილება“. მინიატურას ეპიგრაფად წამდღვარებული აქვს ჰამლეტის სიტყვები: „რად არ მეშლება ეს სხეული, ესრეთ მაგარი“ და ამავე სიტყვებით მთავრდება.

მწერალი გვიცოცხლებს იმ სინამდვილეს, რაც მეფის ხელისუფლების შემოტევას მოჲყვა: „...ირგვლივ სხვა სურათებია! გოლგოთა, გოლგითა, გოლგოთა! სახრჩობელა, სახრჩობელა, სახრჩობელა!“ (დადიანი, 1958: 60).

ტურფა ხევებში სისხლის რუებია! უწმინდესი გრძნობანი შეგინებულია, საუკეთესო ლტოლვილებანი დამარცხებული. მაღლა ყვავ-ყორანი! სვავთა ხარხარი! ისმის ჩხრიალი... ბორკილის მტვრევისა კი არა, მისი შეჭედვის. მამას გაუყარეს იგი ფეხებში. დედა კი ტყვ-ტყვ დაძრწის თავის პაწია უმანკოთი... და ნამუსახდილი გამოესალმა წუთისოფელს. მეგობრები, მმები და ამხანაგები?

—მათია სისხლის რუები.

—საყვარელი?

—გული გაუპეს!

...აქ კიდევ ცის ტატნობზე ჩონჩხიანი შიმშილი მოჩანს. გარს კი მათრახები გამზადებულან“ (დადიანი, 1958: 60). ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქ ნათლად იგრძნობა უკვე დამყარებული საშინელება და მწერალი თითქოს უარესის მოლოდინშია.

შ. დადიანმა ამ მინიატურებში გვიჩვენა შედეგი უკანდახევისა. მომდევნო მინიატურებში კი უკვე შეფასებას იძლევა მომხდარი ამბებისას.

შ. დადიანი ხედავს, „სოციალური ჩაგვრის დასამხობლად ამბოხებული ხალხის განწყობილებას და სწამს, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება და ბედნიერებას მოუტანს ადამიანებს“ (ნიკოლეიშვილი, 2003, 82-83). რწმენა და იმედი ასაზრდოებს ადამიანებს. ამ რწმენამ დაარწმუნა ისინი გამარჯვებაში. ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული შ. დადიანის მინიატურები: „ხმა“, „მაგრამ, მაგრამ“, „მშვიდობით“, „წამოვიზარდენით“ და „შინ“.

განსაკუთრებით საინტერესოა „ხმა“. ამ პატარა მინიატურაში ნაჩვენებია, თუ როგორ გაძლიერდა სიმართლისათვის მებრძოლთა ხმა და როგორ მოედო ის მთელ ქვეყანას. ეს ხმა ყველა სხვა ხმაზე უფრო ძლიერია: „...ეს ხმა, მთრთოლვარე, უკვე ფარავდა, უკვე ჯობდა სხვა ხმებს ძლიერსა. ცა კვლავაც გრგვინავს, ზღვაც დრიალებს, ლომნიც ბრდდვინავენ. მაგრამ ეს ხმა თავისუფლად მაინც მოისმის.

ხმა ადამიანისა, ხმა სიმართლისა, ხმა ჭეშმარიტებისა.

ხმა!“ (დადიანი, 1958: 33).

მსგავს განწყობილებას გამოხატავენ მინიატურები „მაგრამ...მაგრამ“ და „მშვიდობით!“. მწერალი ოსტატურად გვიჩვენებს ალეგორიული ხერხების საშუალებით მასების გათვიცნობიერებას და მეფის მთავრობის ზნეობრივ დამარცხებას. შ. დადიანი გვარწმუნებს, რომ მას უკვე უფსკრულისაკენ აქვს გეზი აღებული.

მნიშვნელოვანია 1906 წელს გამოქვეყნებული მინიატურა „წამოვიზარდენით!“ „ჭკუა მომწიფდა და თვალს, ძველად წარმტაცი, ვარდის ფერი ბინდი გადაშორდა... წინეთ ზღაპარი გვაქმაყოფილებდა, მის შესაქცევ შინაარსს მივდევდით... გვართობდა შინაარსი... მაგრამ, რომ წამოვიჩიტეთ, ცხოვრების ტალღამ ერთი კარგა რომ მოგვცხო ზურგში, მაშინ ვიგრძენით ჩვენს გარშემო: ოფლი, სისხლი, სისხლი, ოფლი ადამიანთა“ (დადიანი, 1958: 36). მინიატურაში მწერალი გვიჩვენებს რევოლუციონერთა გამოწრობას, მასში დიდი სითამამითაა ნათქვამი სიტყვები: „წამოვიზარდენით. ეს ძველი ჯუბა აღარ გვარგია, მოკლეა და ვიწრო“ (დადიანი, 1958: 36).

„...ავტორი პათეტიკური ფორმით ამცნობს საზოგადოებას, რომ სოციალურად დაჩაგრულთა „ტორტმანი, მიხეთ-მოხეთქვა, ეს ძებნაა ნამდვილის, მტკიცე მომავლისა“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 82).

ამრიგად, 1906 წელს დაწერილი მინიატურები გამოხატავენ რევოლუციის მწერლისეულ შეფასებას, განსაკუთრებით „დაიბადა მშვენიერი ბაგშვი“, „ხმა“ და „წამოვიზარდენით“.

რევოლუციის დამარცხებამ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა ხალხი. მეფის მთავრობამ სასტიკ შურისძიებას მიმართა. ქვეყანაში დამკვიდრდა ის, რასაც ასე განიცდიდა მწერალი ზემოგანხილულ ერთ უსათაურო მინიატურაში.

„...საინტერესოა, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც გამდინვარებული რეაქციის შიშით ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი აშკარა რენეგატობის გზას დაადგა და საბოლოოდ დაჰკარგა რწმენა მუშათა კლასის მომავალ გამარჯვებაში, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა კიდეც იმ დროის ლიტერატურაში, – შ. დადიანი მთელ რიგ ნაწარმოებებში ამჟღავნებს თავის სიმპათიებს მუშათა კლასის საქმისადმი...“ (ასათიანი, 1974: 151-152).

შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ისევ მიყვება ადრე არჩეულ გზას. ავიდოთ მინიატურა „მთის ყვავილი“. ეს მინიატურა თავისუფლებას უმდერის: „...მე არ მიყვარს ადამიანები: მათ არ იციან რა არის თავისუფლება. უთუოდ იმიტომ არ აფასებენ... სხვისას მაინც. მე კი რითი უნდა ვიძიო შური – ჩემის სურნელებით. იგი მთის არის, თავისუფალი... ჩვენ განგვიცდია მთის საარაკო მყუდროება, სადაც ორბის თავისუფალი ფრთხების ქნევა გაისმის“ (დადიანი, 1958: 46). აქ ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ავტორი აკრიტიკებს მეფის მთავრობას და მას უპირისპირებს თავისუფლების ძლიერ სიყვარულს.

მთის ყვავილი – თავისუფლებაა, რომლისთვისაც სიძნელეები უცხო არაა: „...წარდგნისებური მსხვილი წვიმაც ბევრი მომხვედრია და ჩემი ტურფა კაბა, გარემო ფოთლები, მთის უბიწო ტალახითაც გამსვრია... მაგრამ უმანკო წყაროს... ჩემთვისაც დაუბანიათ პირი და ჩემი კაბისთვისაც ლაქა მოუშორებიათ“ (დადიანი, 1958: 46).

ანალოგიური ხასიათისაა „ილია“. მწერალმა მინიატურა საგანგებოდ მიუძღვნა ილიას მკვლელობას.

ცნობილია, რომ შ. დადიანი ყოველთვის თაყვანისმცემელი იყო ილიას პიროვნებისა. მწერლის სიტყვით, მისი მამის ოჯახში გაბატონებული იყო ილიას კულტი. ჩვენ, ზემოთ ვისაუბრეთ, როგორ უკურთხა ილიაშ შ. დადიანს კალამი; ილიას „ივერიაშ“ გააცნო საზოგადოებას შ. დადიანის სახელი... ილიას მკვლელობის ფაქტი მთელი საქართველოს დაობლებას ნიშნავდა... სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა შ. დადიანის „ილია“. „ეს დიდი ლამპარი იყო. ლამპარი დანთებული ჩვენი სულის საუკეთესო ეთერისაგან, უმშვენიერეს ჩვენს გრძნობათაგან აციმციმებული და ჩააქრეს იგი ტლანქად, მხეცურად. მაგრამ ჩააქრეს მხოლოდ ხილული ნათელი, უხილავი კი მუდამქამს ჩვენს გრძნობას და გონებას უცხო შუქად ჩამდინარებს...“ (დადიანი, 1958: 47).

ამ მინიატურასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო და ობიექტური შენიშვნა აქვს გამოთქმული ი. ვართაგავას: „...არ მომწონდა შალვას „ილია“, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ვადარებდი ვაჟას ელვა-ჭექა-ქუხილით აღსავსე ლექსე... „მოკლეს ილია? ვერა, ვერ მოკლეს“. აი, ეს „ილია“ ორმოცდაათი წლის შემდეგ კიდევ წავიკითხე როგორც კრიტიკოს-შემფასებელმა და გულახდილად ვაღიარებ, არც ახლა დამაკმაყოფილა შ. დადიანის ამ „გლოვამ“. მშრალია, უემოციო, გულს არ აღელვებს, არ აღაშფოთებს, არ წვაგს...“ (ვართაგავა, 1962: 213-214).

ამ შემთხვევაში გასაზიარებელია კრიტიკოსის აღშფოთება და იმედგაცრუება, რომელიც შ. დადიანისაგან მოელოდა უფრო „ამაღელვებელს“ და „ცეცხლოვანს“.

1907 წელსაა დაწერილი შ. დადიანის ძალიან საინტერესო მინიატურა „ხახვი“. „რა მყრალი სუნი უდის და თან... რა ტკბილია... მომიტანეს უკვე დაბერძულებული, მთავარი ხახვი. გავჭერ... გაჭრილ ხახვს, თავისი პოტენციალურად შენახული ყლორტები – ამ მკვდარს – მაიც ზევით წამოუვიდა. როგორც პობედონოსცემა, ჩავკარ თავში დანის ბრტყელი პირი,

მინდოდა ეს ყლორტები ქვევით ჩაწეულიყო... რადგან არღვევდა... პარმონიას... შეაგულში, ყლორტი აფუჭებდა ყოველივეს... გადაჭრილ იქნა ეს ყლორტებიც... გადაჭრილნი... მაინც და მაინც ზევით ამოდიოდნენ. ამას ჩადიოდნენ მკვდრები. რას იზამდნენ ცოცხლები! მათ დანახვაზე მოკვდა, გული გაუსკდა... პობედონოსცევს (დადიანი, 1958: 94). აი, მთელი მინიატურა. თუ შევთანხმდებით, რომ სახვი მეფის რუსეთის იმპერიის სიმბოლოა, როგორც ი. ვართაგავა წერს, შენახული ყლორტები — საზოგადოების პროგრესული ძალებისა და პობედონოსცევი — თვითმპურობელობისა (პობედონოსცევი XIX საუკუნეში მოვაწე ცნობილი იურისტი და სახელმწიფო პირია, მან ქართველებს დიდი ზიანი მოგვაუნა, მხოლოდ იმ ფაქტითაც, რომ საქართველოს ეგზარქოსად დანიშნა შავრაზმელი ეგზარქოსი პავლე, რომელმაც მოიმიზეზა რა სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობა, საჯაროდ დასწყვევლა საქართველო) მაშინ ამ მინიატურაში მოვლენები უკვე 1907 წელს აღარ ხდება. პობედონოსცევი დანას ურტყამს მწვანე ყლორტებს, მაგრამ ისინი მაინც იზრდებიან. ამის შემხედვარე პობედონოსცევს გული გაუკსდა და მოკვდა, ე.ი. დაემხო თვითმპურობელობა. ეს კი, როგორც ცნობილია, 1907 წელს არ მომხდარა - ე. ი. მწერალმა სწორად ივარაუდა, რა მოხდებოდა მომავალში.

1908 წელს დაწერა შ. დადიანმა „ხე“ და „წინათ და ახლა“. მწერალი ორ სინამდვილეს ადარებს ერთმანეთს, კონტრასტის ეს ხერხი საერთოდ დამახასიათებელია შ. დადიანისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა „წინათ და ახლა“. მონასტრის „მძიმე და ტლანქ თაღებს შორის არ მოდიოდა არავითარი სინათლე...“ (დადიანი, 1958: 50). მწერალი, როგორც ჩანს, რევოლუციის დამსახურებად თვლის, რომ თაღები გაიწია და „ლადად და თამამად გაისმის თავისუფალი ადამიანის ხმა...“ მაგრამ ამ ხმას ერთი უცნაური ხმოვანებაც გაერია — „ოქრიალისა! — ეს არის სისხლი — სისხლი ადამიანთა დანთხეული, მისთვის, რომ... წინათ ყოფილიყო მონასტერი და შემდეგ კი თავისუფლება!“ (დადიანი, 1958: 50) საყურადღებო აქ ისაა, რომ ავტორს ესმის თავისუფლების მოპოვებისათვის სისხლის დაღვრის აუცილებლობა“.

საყურადღებოა პატარა ესკიზი „უბის წიგნაკიდან“, რომელიც 1909 წელსაა დაწერილი (აღდგომის დამის ნაფიქრი). „...როცა მათრახი და საღრჩობელა ყველაზე მძაფრად ბატონობდნენ“ (ციციშვილი, 1974: 204). ესკიზის პირველ ნაწილში მოისმის გმირის აღშფოთებული ხმა: „...აგერ საცაა გაშუალამდება და ეკლესიებიც გვამცნობენ აღდგომას! ზემითა და ზათქით მორთავენ რეკას.

რა დაცინვაა!

...დიალ, დაცინვა. აღდგომა სიმართლისა, გამარჯვება ერთურთის სიყვარულისა და მიტევებისა.

მერე როდის? ჩვენს დროში?

...როდესაც ესე უდიერად დაგვიღრჩეს დიადი, საყოველთაო მშვიდობა და სათნოება!“ (დადიანი, 1958: 199). მოტანილი აღგილი აშკარად გვიჩვენებს ჭ. დადიანისა და ჭ. ლომთათიძის განწყობილებათა სიახლოვეს.

ესკიზი ძალიან საინტერესოდ და ორაზროვნად არის გადმოცემული ცეცხლის ამბავი. „დაინთო... მხოლოდ რამდენი ხელის შეწყობა დასჭირდა, სანამ რიგზე აპრიალდებოდა. ...ნაფოტი კი რამდენიმე დაიწვა, ზოგიც თითქო სულ უსარგებლოდ... მაგრამ სიმხურვალე ხომ შეჰქმნეს... ბოლოს დიდი ცეცხლი გაჩაღდება...“ (დადიანი, 1958: 200).

ეს პატარა ესკიზი ძალიან დრმაა შინაარსობრივად და მისი ალეგორიული ხასიათიდან გამომდინარე ჩანს, რომ ჭ. დადიანი იმედს მაინც არ კარგავს, მას სწამს, რომ სიმართლე მაინც გაიმარჯვებს. მწერალი დარწმუნებულია, რომ უშედეგოდ არაფერი არ იკარგება.

1909 წელსაა დაწერილი „მშენებლობა“, „ბანი“, რომლებშიც მწერალი გვეუბნება, რომ ცხოვრება ისევ თავისი გზით მიდის, „შენდება სოფელი“, რომ თავისუფლების „კრიალა ხმა ისარივით გასრიალდა ცის კამარაში და იქ ათას ფერად განიბნია“ (დადიანი, 1958: 55), რომ მწერალს უყვარს სწორედ ეს „ლალად მოკრიალე ხმა, მოძახილის შეკრიმანჭულება და ტკბილი ღუღუნი დინჯის, მამაცის ბანისა“ (დადიანი, 1958: 55).

ცნობილია, რომ როგორც ყველა მწერალი იმ დროისა, ჭ. დადიანიც ჩააფიქრა ირგვლივ არსებულმა სინამდვილემ. რამდენიმე მის ნაწარმოებს, ამ დროისას, პესიმიზმის კვალი ეტყობა. „ოთხი კედელი“, „შენი ნათქვამი“, „ეჭვი“, „საუბარი“, „მე რომ... მე რომ“, „ყურიდან ყურში“, „პქს“, „ოთახი“, ამ ნაწარმოებებით მწერალი გვეუბნება, რომ „ყოველივე გაყვითლებულია, ჩამჭკნარა, ბუნება იძარცვება, სულ გამხმარა მდელო“, ირდვევა ყველაფერი, რომ „...გარშემო მაინც კედლებია, მაინც ჩარჩო“, რომ „ადამიანი ტლანქია, გაუგებარი“, რომ ირგვლივ სულის შემხუთველი გარემოა და სხვა. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჭ. დადიანმა რეაქციის წლებშიც შეინარჩუნა მომავლის მტკიცე რწმენა. მის ნაწარმოებებში არ შეინიშნება დადლა, უიმედობა.

„...ჩარჩოების ტყვეობაში მოქცეული სული მონობას ვერ ეგუებოდა, იბრძოდა და თავისუფლებას მიელტვოდა. აი, რამ მიიყვანა შ. დადიანი რევოლუციასთან, იმ მოძრაობასთან, რომელიც მეოცე საუკუნის გარიერაჟზე არნახულად აღზევდა და ბედნიერი ხვალინდელი დღის იღუზიებით გადაუბრუნა ტვინი ადამიანებს“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 83).

რევოლუციის აღმავლობის წლებში შ. დადიანი ისევ აქტუალურ პრობლემებს ეხმაურება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ჩემებური“ და „ცისიერი“. პირველ მინიატურაში ავტორი გვეუბნება, რომ ცას ბინდი გადაკვრია, „ბუდი დგას, ბუდი! ეგერ ტყე იწვის... მაშ, ცავ, რას უცდი!.. „იჭექ-იქუხე, იგრიალე ცავ!“ გადმოხეთქე სულ ნიაღვარი. შენი დაგაჟაცებული შეილი ზაფხული სიცხისაგან იწვის. ბურანშია. „მიეცი ძალა დავრდომილსა პვლავ აღდგომისა!“ (დადიანი, 1958: 67). მწერალი, როგორც ვხედავთ, კვლავ ალეგორიული ფორმით გვიხატავს სურათს და ხალხს ისევ ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

პატარა ესკიზში „ცისიერი“ მწერალი იხსენებს რეაქციის ხანას, როცა „შავბნელი დამე იდგა“, მაგრამ „გადავიდა შუალამე, გრიგალმა გადაიარა. წვიმა მიწყდა“ (დადიანი, 1958: 74). ახლა კი ისევ „ცას ოდნავ საგრძნობელი ნათელი გადაევლო ვარსკვლავები კვლავ გამოციმციმდნენ... ეტყობა კი ბუნებას, რაღაც დიადისათვის ემზადება. წვიმისაგან განაბული ხე-ბურქნარები თითქოს ცისკენ წარიზიდნენ, ყელს იდერებენ, წელში იმართებიან. ეგერ, შორს, გაჰყივლა განთიადის მახარობელმა...“ (დადიანი, 1958: 74). უეჭველია, რომ ეს ნაწარმოები ავტორმა ახალი რევოლუციური აღმავლობის გავლენით შექმნა.

1910-იან წლებში შ. დადიანი წერს მინიატურებს „კახეთი“ და „სურნელება“. ორივე მინიატურა პატრიოტული ხასიათისაა.

კახეთის ნახვით მოხიბლულმა მწერალმა, უძღვნა მას მინიატურა „კახეთი“. მინიატურაში გამოთქმულია ავტორის რწმენა, რომ კახეთი, რომლის „...შვენებას უბუმბერაზო არა შედგამს-რა“, კვლავ წარმოშობს დიდ ადამიანებს. ის ხომ ილიას, პატარა კახის შემქმნელია... „...აგერ მალე გადაიწინებს შენს გულ-მკერდზე ორთქლმავალი და შენთა შვილთა გმირული, თავისუფლად გამომყურე თვალები ახლა შემკრთალნი, გაუგებელნი... ნახავენ სანახავებსა“ (დადიანი, 1958: 65).

მხოლოდ თვალმა გადაირბინა – მიმართავს მწერალი კახეთს, – მაგრამ გულს მაინც ჩარჩა შენი გოლიათური სილამაზე, შენი ბუმბერაზული მშვენებაო.

მინიატურა „სურნელება“ საქართველოს ერთ-ერთ უდამაზეს კუთხეს –აჭარას ეძღვნება. ავტორი გადმოგვცემს აჭარის თავგადასავალს. ის წერს, რომ საქართველოს ეს უმშვენიერესი მხარე დიდხანს „ჩრდილში იყო“. ერთი ნაგრევის გვერდით ობლად მიყუჟული ყვავილის სახეშია ეს კუთხე სიმბოლიზებული. ეს ყვავილი ადრე იშვიათი სურნელებით ატკბობდა არემარეს, „მაგრამ...იჭექა, დაიელვა, მეხი გავარდა. ტაძრები ჩაინგრა, ციხე-კოშკები განადგურდნენ...“ (დადიანი, 1958: 82). ჩამოცილდა თავის სამშობლოს ეს კუთხე, რაც უთუოდ „ცუდბალახას“ დამსახურება იყო. ამას წვიმაც დაემატა, „...წვიმაში ხომ იცი ცუდბალახა როგორ იზრდება... აი, როგორ წამოგვერია...“ (დადიანი, 1958: 82). „ობლად მიყუჟული“ ყვავილი განიცდის, პგრია, რომ დაკარგა მნიშვნელობა, მაგრამ არა, გადის დრო და ეს კუთხე ისევ უბრუნდება თავის ქვეყანას. ამიტომ მინიატურაც ოპტიმისტური განწყობით მთავრდება: „...ახლა უკვე იმედით დავიწყე მზერა“ (დადიანი, 1958: 83).

შ. დადიანის მინიატურა „შესახვედრი“ ქართველი და ბელორუსი ხალხის მეგობრობას ეძღვნება. კონკრეტულად ნაწარმოები ეხება ბელორუსი მწერლების ჩამოსვლას საქართველოში. „...მათ მოაქვთ თავიანთი ნიჭი და უნარი, რომ შემდეგ გაიშალოს სიტყვის სურათოვნებაში და სურათოვან სიტყვიერებაში, რომ აედერდეს ჩანგი, ამეტყველდეს მათი ნიჭიერი წიგნი, ამოქმედდეს მათი მომხიბლავი სახიობა...“ (დადიანი, 1958: 93). ხალხთა ასეთი ურთიერთობა სამართლიანად მიაჩნია მწერალს და ახალი სამყაროს შექნის ერთ-ერთ ძლიერ პირობად თვლის მას.

საყურადღებო მინიატურებია: „აკაკის“ და „ქარვა“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მინიატურებს სახელდახელოდ შედგენილი მისასალმებელი სიტყვის იერი დაჲკრაგს. მინიატურა „აკაკის“ დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო შეიქმნა და მასში მოცემულია შ. დადიანისეული შეფასება მწერლის შემოქმედებისა. „...ცის ნიჭად მოვლენილი მგოსანი“ უთუოდ შეამჩნევდი, რომ ყველა ამ შენგან დაზრდილებს უკვე დიდი ხანია თავზე დასთამაშებს ერთი უცხო შარავანდედი... რომელიც აი ახლა, შენი „გარდაცვლის“ ხანაში კიდევ უფრო ძლიერდება. მათ შორის... ისახება... გაისრული სიტყვები: „ახალი საქართველო“ (დადიანი, 1958: 73).

მინიატურაში „ქარვა“ კი მწერალი გამოხატავს დიდ აღფრთოვანებას იმის გამო, რომ ქართველი ხალხის შვილთა გმირულმა ბრძოლამ საუკუნეების

განმავლობაში ბოლოს და ბოლოს მიზანს მიაღწია და აღსდგა სამშობლო, ისიც ჩაება განახლების საერთო ფერხულში.

ახალი ცხოვრების გამარჯებით განცდილი სიხარული გამოხატა შ. დადიანმა, აგრეთვე, მინიატურაში „ზღაპრული“. აქ ლამაზ მხატვრულ ფერებშია ნაჩვენები „ზამთრის“ აღსასრული და გაზაფხულისა და თავისუფლების ზეიმი.

მხატვრული თვალსაზრისით ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს „მწვერვალის ახლო“, რომელშიც მწერალი ახალი დროის ძლიერებას ჯადოსნური ასულის ძალაში ასახიერებს. საითაც ეს ასული მიიხედავს, ყველგან სიკეთე და ბედნიერება მკვიდრდება, ვითარდება ხელოვნება, წინ მიდის ცხოვრება.

შ. დადიანს აქვს ერთი ციკლი მინიატურებისა, რომელთა საერთო სათაურით – „ლია კარი გულის, გულის!“ – აქვეყნებდა სხვადასხვა დროს. ამ ნაწარმოებებში ავტორი გულს გადაუშლის მკითხველს, იძლევა „ერთგვარ პირად აღიარებას“ (მწერლის სიტყვებია) სხვადასხვა საკითხებზე, ხელოვნებაზე, სიყვარულზე, ადამიანის ბუნებაზე და ა.შ. ამ „ლია კარით“ მთლად აღტაცებული არ არის მწერალი და თითქოს საკუთარ თავს შენიშვნას აძლევს: „...ან რა დროსია ახლა, კაცობრიობის ამ დვართქაფში კერძო გატაცება?

რა მოცლილები ვართ, არა?

ან ჩემი ხნის კაცს ვით შეჰვერის ეგრე შემჩატება?“ (დადიანი, 1958, 86).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ციკლი – „ნასხვისარი – გაჩქ- მებურებული“. როგორც საერთო სახელწოდება მიგვანიშნებს, ციკლში შემავალი მინიატურები: „ნასხვისარი-გაჩქმებურებული“, „დობემდვრალას“, „სახელსა და დიდებას“ გაღმოკეთებული უნდა იყოს.

1916 წელს შ. დადიანმა დაწერა ესკიზი „მატარებელში“, რომელშიც დაასაბუთა, რომ ერთსა და იმავე ფაქტს სხვადასხვა ადამიანი კონტრასტულად აღიქვამს. რადიკალურად საწინააღმდეგო სულიერი განწყობილება ერთს ათქმევინებს „მიყვარს“, მეორეს – „არ მიყვარს“.

შ. დადიანს ეპუთვნის საინტერესო ესკიზი „ქარბუქი“. ამ ნაწარმოებში გადმოცემულია პოლიტიკური პატიმრის გაქცევა ციმბირიდან და მისი თავდაუზოგავი შეჯახება ბუნების სტიქიასთან. „...ქარის რაზმები შეუყენა მგზავრის მკერდსა და ზურგს. სადგისივით მჩხვლებავი, ცივი და თან სიქსიქა ენები ყოველი მხრით მოდგნენ მგზავრის სხეულისა. საყელოში, სახელოებში, კალთებში ძვრებოდნენ დაუნდობლად და ლამობდნენ ამ სხეულის დატყვევებას...“

მაგრამ ის არ შეჩერებულა... განაგრძობდა თავის გზას ნაბიჯით, მტკიცედ და შეურყევლად...“ (დადიანი, 1958: 10).

ესკიზს საფუძვლად უდევს სტალინის გამოქვევა შორეული ციმბირიდან. „...მას პყავდა ამხანაგები, პყავდა ხალხი, პყავდა დიდი მასწავლებელი, მხოლოდ ამჟამად შორს იყვნენ მისგან... თუმცა მანვე იცოდა, რომ ამჟამადაც მასთან იყო ხალხის სიყვარული და ეს ათბობდა მის ვაჟკაცურ გულსა...“ (დადიანი, 1958: 11). ნაწარმოებში პირდაპირ არ არის მითითებული სტალინი, მაგრამ ესკიზის ბოლო სტრიქონებიდან ადვილად მისახვედრია თუ ვის გულისხმობს მწერალი: „...ეს იყო ის, გავსილის ნაბიჯით რომ მოდიოდა მძვინვარე ქარბუქში, მტკიცედ და შეურყევლად.

ი.ს.

ქართულად ამ ნაცვალსახელში გამოთქმულია მისი ვინაობა“ (დადიანი, 1958, 12).

შ. დადიანის სულ ბოლო მხატვრული ნაწარმოებია მინიატურა „უკანასკნელი სიყვარული“ (სიგუა, 1975: 137-138), რომელიც მწერალმა სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე დაწერა. ლოგინად ჩავარდნილი მწერალი საოცარი სინაზით ეფერება აკაციის ტოტს, რომელიც მის ფანჯარაშია შემოსული. „...შენ ჩემი უკანასკნელი სიყვარული ხარ, ჩემ ფანჯარასთან მოლამუნე ლამაზო შტოვ!“ შ. დადიანს უზომოდ უყვარდა სამყარო და ამ სიყვარულმა უპავ საკმაოდ ხანდაზმულ მწერალს ასე „აახესნევინა“ უკანასკნელი სიყვარული ხის ტოტისადმი. ასეთ ლირიულ, ამაღლებულ ნოტაზე დაასრულა შ. დადიანმა თავისი ხანგრძლივი მუშაობა მცირე ჟანრში.

ცნობილია, რომ პროზის მცირე ჟანრში მუშაობა საკმაოდ რთულია, რასაც იწვევს მოქმედების გაუშლელობა და მკაცრად დაცული ლაკონიზმი წერისა, სიტყვათა შემცირება ისეთი დოზით, რომ ნაწარმოებმა მიაღწიოს იდეური და ესთეტიკური ზემოქმედების მაქსიმუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში მცირე ფორმა ვერ გაამართლებდა მიზანს.

შ. დადიანმა კარგად გაართვა თავი ამ სიძნელეებს და სხვა ქართველ მწერლებთან ერთად გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ცხოვრების განახლებასა და განვითარებას მხატვრული სიტყვა.

მინიატურებში შ. დადიანმა გამოავლინა სინამდვილის დრმად წვდომის უნარი. მწერალი ყოველთვის ცხოვრებისეულ მომენტებზე ამახვილებს

მკითხველის უურადღებას, მისი ფანტაზია ძირითადად სინამდვილის ფარგლებში ტრიალებს.

შ. დადიანმა მინიატურებში გამოიყენა ხელოვნებაში ანტიკური დროიდან ცნობილი ალეგორიულ-სიმბოლური წარმოსახვა (ამიტომაც უწოდა მინიატურებს „ჩამოქრულები“). გარდა ამისა, მისი ნაწარმოებები გამოირჩევიან ფრაზათა დახვეწილობით, გარეგნულად პროზის ფორმით გადმოცემულ სათქმელში სალექსო წყობის დანახვაც არაა ძნელი. მაგ., „...ზოგჯერ მესმოდა მისი გრგვინვა ყრუ და ძლიერი, / ზოგჯერ ზვირთების ნელი ჩქროლა მინანავებდა... / თავს ცა მრისხანედ მოქუშული ჩამომწოლოდა, / თითქოს უნდოდა ღრუბელთ ზვავქვეშ რომ მოვყოლოდი... (დადიანი, 1958: 13) – მწერალმა პოეზიისა და პროზის სინთეზის საშუალებით გააძლიერა სიტყვის ემოციურობა. ამ მხრივ აღსანიშნავია „მონა-ყმა-მუშა“, „სიხარულის არის ცრემლები“, „მთის ყვავილი“, „ბანი“, „ხმა“ და სხვ.

პრობლემატიკა, რომელზეც შ. დადიანი წერდა, მართალია, იმ ეპოქის მწერლობისათვის დამახასიათებელი იყო, მაგრამ მწერლის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან შეძლო სხვებისგან განსხვავებული საინტერესო შტრიხებით გაემდიდრებინა აღნიშნული თემატიკა.

სავსებით ბუნებრივი და გასაგებია, როცა მწერალი ილიასა და აკაკიზე წერს, მაგრამ როცა ის მინიატურას უძღვნის სტალინს, აქ შეიძლება გაჩნდეს რამდენიმე კითხვა: რა იყო ეს, მწერლის ერთგვარი ხარკი და გადარჩენის გზა 30-იან წლებში? მწერლის გულუბრყვილობა, მისი მსოფლმხედველობრივი მოუმწიფებლობა? თუ სტალინი მას სიბლავდა როგორც ძლიერი პიროვნება?

ჩვენი აზრით, შ. დადიანი სრულიად გულწრფელი იყო როცა სტალინზე წერდა, რადგან როგორც დისერტაციის ერთ-ერთ ქვეთავეში მიგუთითეთ, იგი თანაუგრძნობდა რევოლუციას და სტალინი კი ამ რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი იყო. სტალინი ქართულ ლიტერატურაში (უფრო პოეზიაში) აისახა, მაგრამ შ. დადიანთან ცოტა მოულოდნელიც კი არის მის ფიგურას როგორ იტევს ეს ჟანრი, მაგრამ მწერალმა ეს მოახერხა (სტალინის ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდი აქცია მინიატურად). სწორედ ამიტომაა მინიატურის ჟანრი მოსახერხებელი. მართალია, შ. დადიანის მინიატურა არაა მცირე პროზის უმაღლესი საფეხური, მაგრამ მან ნამდვილად შეუწყო ხელი ამ ჟანრის დამკვიდრებას და შემდგომ განვითარებას ჩვენს სინამდვილეში.

თავი მესამე

მოთხოვბები

ქართული მწერლობა ასახავდა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, მის ტკივილსა და სიხარულს. ბუნებრივია, შ. დადიანის მოთხოვბებიც, რომლებიც მან სხვადასხვა დროს დაწერა, თავისი ეპოქის აქტუალურ პრობლემებს ეხებოდა. მწერალმა მათში გვიჩვენა არისტოკრატიის დეგრადაცია, ბურჟუაზიის პირველ წარმომადგენელთა სახეები და სოციალური ჩაგვრის სიმძიმე, დასვა ქალისა და ოჯახის პრობლემა, აგრეთვე საინტერესოა მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე შექმნილი მოთხოვბები.

შ. დადიანმა მოთხოვბების გამოქვეყნება 1896 წლიდან დაიწყო (მისი პირველი ბელებრისტული ნაწარმოები „წმინდა ცრემლები“ 1896 წელს დაიბეჭდა ილიასეულ „ივერიაში“). ეს იყო დრო, როცა ქართულ მწერლობაში ბატონობდა კრიტიკული რეალიზმის მეთოდი. ბუნებრივია, რომ შ. დადიანის პირველი მხატვრული თხზულებები ვერ ასცდებოდნენ იმხანად გაბატონებული მხატვრული მეთოდისა და დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიციების ზეგავლენას და, მართლაც, მის პირველ მოთხოვბებში იგრძნობა გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის მხატვრულ ნაწარმოებთა ზემოქმედების კვალი.

ა) არისტოკრატიის დეგრადაციის ასახვა

კაპიტალიზმის შემოსვლამ გამოიწვია საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება. თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი, გამოეცალა რა არსებობის წყარო, დაადგა მორალური და ზნეობრივი დაცემის გზას. მის ნათელსაყოფად დისერტაციაში განვიხილავთ რამოდენიმე მოთხოვბას: „წმინდა ცრემლები“, „არ მოგმკვდარვარ“, „იახში ხანუმ“.

ამ მოთხოვბების მთავარ პერსონაჟთა ტრაგედიის გადმოცემისას შ. დადიანი კრიტიკულად აღწერს სოციალურ გარემოს, რომელმაც დასცა და გაანადგურა ადამიანი.

მოთხოვბაში „„შმინდა ცრემლები“ (1896) ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი არის ტოქრატიული ფენის წარმომადგენელია. ნაწარმოების დასაწყისში მწერალს მთავარი პერსონაჟის, კოწიას ოთახში შევყვარო, სადაც ყველაფერი უწესრიგოდა მიყრილ-მოყრილი. ერთგვარი პესიმისტური განწყობა იქმნება დასაწყისშივე. „თითქოს ადარ ფეთქავდა ძარღვი მომავლის სიცოცხლისათვის... სხივი ცუდ უბრალოდ მიმოიფანტა ოთახში და, თითქოს, მასაც წაუხდა ხალისი, გაუტყდა გული, როგორც ყოველს ხელმოცარულს კაცს ცხოვრებაში“ (დადიანი, 1958: 109).

ოთახში გამეფებული გამყინავი სიჩუმის ფონზე მწერალი გვიჩვენებს, რომ ამ ოთახში ადამიანიცაა. თუმცა არც მას ემჩნეოდა სიცოცხლე, თითქოს ისიც უსულო ნივთად გადაქცეულიყო.

კოწიას სახით შ. დადიანს დახატული ჰყავს თავადაზნაურობის ტიპური წარმომადგენელი. ის ლადად და უდარდელად ცხოვრობდა მემკვიდრეობით მიღებული ქონებით, მაგრამ მასაც დაუდგა ის დღე, როდესაც ცხოვრების სახსარი მოესპო. „კოწია ამ ცოტა ხნის წინათ, ვინ იცის რას არ ჩადიოდა... დღეს კი ყველაფერი მოსრულდა... მიხვდა, რომ უფრსკულისკენ გადახრილა... გრძნობს გავლილს დროს უსარგებლოსა...“ (დადიანი, 1958: 112).

მწერლის თქმით, „კოწია არ იყო ბუნებით ავი, არ პქონდა ცუდი გული...“ (დადიანი, 1958: 112). პირველ ხანებში, გიმნაზიაში ბეჭითი მოწავე იყო, შემდეგ კი უკლო მეცადინეობას იმის მიზეზით, რომ გაეცნო მის შორეულ ნათესავს ვარლამს. ამ დღიდან შეიცვალა კოწიას ცხოვრება. ის გაერთო ამ გამაბრუებელ ცხოვრებაში. შინიდან გამოგზავნილი ფული სულ ამგვარი ხარჯისათვის პქონდა გადადებული. კოწია თავისი ცხოვრების წესით მოგვაგონებს დათიკოს (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“).

საინტერესოა კოწიას დედის სახეც, რომელიც ყოველგვარ სურვილს უსრულებს შვილს და თან ამშვიდებს: „რა ვუყოთ, მამული ხომ გვაქვს, დაჯე, ჭამე, ერთი თავადიშვილი წვენში ვინ გაჯობებსო“ (დადიანი, 1958: 114). ასეთმა შეგონებამ მიიყვანა კოწია უძლურებამდე. ქონება გამოელია და ყველასაგან მიტოვებულმა თავის მოკვლა გადაწყვიტა. „საბრძოლველად ძალი არ მომდევს და უბრძოლველად კი ახლა მაინც ცხოვრება არ შეიძლება“, – ფიქრობდა კოწია (დადიანი, 1958: 114).

მოთხოვბის დასასრულს მწერალი სასიკვდილოდ ვერ იმეტებს კოწიას და მიგვანიშნებს, რომ თუ მას სათანადო ხელშემწყობი პირობები ექნა, ანდა ისეთი

თავდადებული დამცველი და გზის გამკვლევი გამოუჩნდა, როგორიც ნინოა, კოწია შეიძლება გამოსწორდეს და სასარგებლო პიროვნებად იქცეს.

„კარგი ცოლი მას ძირიანად შეცვლისო... ო, ქალს ბევრი რამე შეუძლია, თუკი კარგად მოიხმარა ეს თავისი ძალაო“, - შენიშნავს ავტორი (დადიანი, 1958: 121). მართლაც, ნინოს დააკისრა მწერალმა კოწიას გამოსწორება და ამით გადაარჩინა მოთხოვნის პერსონაჟი.

სალიტერატურო კრიტიკაში უსაყველურებლენენ შ. დადიანს მოთხოვნის არალოგიკური დასასრულის გამო. „შ. დადიანი... მხატვრული ლოგიკის წინააღმდეგ მიდის, რათა თავისი აკვიატებული იდეა გაატაროს და „კრიტიკული მათრახის“ დახმარებით მისთვის მახლობელი თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები დააკვალიანოს, გამოაფხიზოს, დამოძღვროს და გამოაკეთოს, ცხოვრებასთან შეარიგოს (ციციშვილი, 1974: 153).

გაცილებით მკაცრ შეფასებას აძლევს ნაწარმოებს იპოლიტე ვართაგავა. „ნინომ კოწია გადაარჩინა სიკვდილს, ავტორმა კი ვერ შეძლო თავისი გმირის მხატვრული სახის სიკვდილისაგან გადარჩენა, იგი ვერ შეიყვანა დაუგიწყარ სახეთა გალერეაში. მხატვრული სიყალბე ყოველთვის მომაკვდინებელია“ (ვართაგავა, 1962: 120).

ჩვენი აზრით, მწერალი მოთხოვნაში შესანიშნავად გვიჩვენებს თავადაზნაურობის სულიერ დაცემასა და გადაგვარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, მან ბოლომდე ვერ შეინარჩუნა კრიტიკული განწყობა და მოთხოვნის პერსონაჟი გადაარჩინა.

თავად შ. დადიანი ამ მოთხოვნის შესახებ წერდა: „...ეს ჩემი პირველი „წმინდა ცრემლები“ მხატვრულად ბევრს ვერას დაიქადნის“ (დადიანი, 1958: 532), მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მწერალი 22 წლის იუო და მხოლოდ მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს სამწერლო ასპარეზზე.

კვლავ გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა შ. დადიანის ეტიუდი „არ მოვქვდარვარ“ (1897), ამ მოთხოვნას რედაქციამ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „პტოვებთ ამ მოთხოვნის იმ კილოს, რა კილოთიც იგი ავტორს აქვს დაწერილი“ (სიგუა, 1975: 134).

ეტიუდში თხოვბა მიმდინარეობს პირველ პირში, თვითონ ავტორია ამბის მთხოვბელი. ნაწარმოების დასაწყისში მთავარი პერსონაჟი წუხს იმის გამო, რომ დაუგვიანდა სტუმრობა სოფელში, რომელიც მას ესახება თავისუფლების, სიმშვიდის წყაროდ. სიმბოლურია სოფლის მწერლისეული დახასიათება:

„დადალულს სხეულს მოსვენება სჭირდებოდა, დამაშვრალს სულს, გალიაში მომწყვდეულს, ერთი განავარდება ამ უმანკო ცის სივრცეში, საცა მას ვერაფერი შემწიკლავდა, ვერაფერი ვერ შეჰლახავდა“ (დადიანი, 1958: 123).

ვაჟი ისვენებდა ბუნების წიაღში, უკვე მოცოცხლდა, ძალა მოეცა. ამ დროს მასთან მოდის ერთი ცხენოსანი და წერილს გადასცემს. წერილი მაროსგანაა, რომელიც თავის ნიშნობაში ეპატიუებოდა ნაწარმოების მთავარ გმირს.

შ. დადიანისათვის დამახასიათებელი სტილი ახლა ისევ პერსონაჟის წარსულში გვაძრუნებს. მოგვითხრობს მაროს ისტორიას, რომ ის იყო შეძლებული თავადის შვილი „და ერთადერთი შვილიც, იმ გვარის დედ-მამის, როგორ დედ-მამასაც შექნატრიან ბევრნი ჩვენში... ამიტომ მაროს ქმრობა, რასაკვირველია, სანატრელი ამბავი გახლდათ“ (დადიანი, 1958: 126).

მართალია, მაროს ყველა პირობა პქონდა საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნება რომ გამხდარიყო, მაგრამ „იგი იმ ქმნილებათაგანი გახლდათ... რომლებიც თავის თავს ბევრში არ აძლევენ ანგარიშს და გულის სურვილისამებრ მიმოქრიან“... (დადიანი, 1958: 137). მარო პიროვნულმა თავისუფლებამ, რაც ძალიან ცუდად გამოიყენა, ყოველგვარი კეთილი აზრისაგან განძარცვა. მწერალი ძალიან მკაცრად აკრიტიკებს მას: აი, როგორ მიმართავს ამ ქალს სატრფო: „...ყველაფერი ცბიერებით მოგდის!.. შენ სიყვარული სრულიად არ შეგიძლია! ...შენ მხოლოდ შენს ვნებათა ლელვას დაეძებდი... სხვისი გრძნობა საბუთად მიგაჩნია, სხვისი გული – შენს გამართობელ ნივთად!.. გამეცალე... მეზიზდება შენი ყურება...“ (დადიანი, 1958: 142). მწერალმა ეს პოზიცია, ასეთი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი, ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. ნაწარმოების დასასრულში გამოკვეთილი არაა, თუ რა ბედი ეწია საბოლოოდ მაროს.

რაც შეეხება მეორე გმირს, ვაჟს, თითქოს უსისხლო პერსონაჟია. ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ მაროსგან განსხვავებით, მას განათლება მიუღია, მაგრამ ეს ფაქტი მაინც არ ცვლის მის სახეს. ავტორი მთელი თხრობის განმავლობაში ცდილობს დადებით პერსონაჟად წარმოგვიდგინოს ვაჟი, მაგრამ მას ბევრი თვისება აკლია მკითხველის თანაგრძნობა რომ დაიმსახუროს...

1898 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა შ. დადიანის მოთხრობა „იახში ხანუმ!“. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირია მაღალი წრის შვილი პელაგია. პელაგიას მამის „სახლი წარმოადგენდა ჩვენებურს „კლუბს“, სადაც დროზე და უდროოდაც იკრიბებოდა მაშინდელი დიდგაცობა“ (დადიანი, 1958: 148). აი, ამ

წრეში ტრიალებდა პელაგია. ნიჭიერი და ლამაზი გოგონა ადრე „მიეჩვია კაცების ცნობას, იმათს ხერხს, იმათს საქციელს და ისიც სხვასავით დროზე თვალს იქნევდა ეშმაკურად, დროზე იბუტებოდა, დროზედ გულიანად იცინოდა“ (დადიანი, 1958: 149). „...ცოცხალმა, ხალისიანმა ასულმა მალე აიცრუა გული სწავლაზე და მხიარული ნადირობის დედოფალი შეიქმნა“ (ციციშვილი, 1974: 159).

ამ დროისათვის უბავ პელაგიას მშობლები აღარ ჰყავდა და არც არაფერი ებადა. როდესაც მშობლები გარდაუცვალა ის ბიძამ შეიფარა. მართალია, ბევრი კარგი სასიძო ცდილობდა მის მოხიბებლას, მაგრამ ყველას გასაკვირად პელაგია ცოლად გაჟყვა უსაქმერსა და არაფრის მქონე სისინას. „აი, ეს კაცი, ყველასაგან ათვალწუნებული, ყველასაგან განრიდებული, პელაგიას მოეწონა, თვალში მოუვიდა... გიუ და გადარეული ვინმე... ქალაქში ყველა ერიდებოდა, ციმბირში ალაგი დიდი ხანია დამზადებული აქვსო, ოხუნჯობდნენ ხოლმე“ (დადიანი, 1958: 150).

ცუდად წარიმართა პელაგიასა და სისინას ცხოვრება. „პელაგია მარტოობასა, ტირილსა და რაც ყველაზე უარესია – შიმშილ-წყურვილში ატარებდა დროს...“ (დადიანი, 1958: 151). „...მაგრამ მალე უარესი დღე დაუდგა: სისინა მორიგი დებოშის დროს მოჰკლეს და ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებული ქალი, გადარიბებული და დაბერებული, მარტოდ მარტო დარჩა“ (ციციშვილი, 1974: 160). თუ ადრე სილამაზის წყალობით „ერთგული“ ხალხი არ აკლდა, ახლა ადარავის ახსოვდა ერთ დროს უმშვენიერესი პელაგია. აი, რას ამბობს შ. დადიანი ერთი პერსონაჟის პირით: „...ქალო, შენი საქმე წასულია... ვედარაფერი ვერ გიშველის... იახში ხანუმ!..“ (დადიანი, 1958: 154).

მწერალმა მკაცრი, მაგრამ ობიექტური განაჩენი გამოუტანა თავის გმირს. პელაგიას ტრაგედიის ჩვენებით მან უფრო გააშიშვლა ის სოციალური გარემო, რომელიც ასე დაუნდობლად ანადგურებდა ადამიანს.

როგორც სალიტერატურო კრიტიკაშია აღნიშნული, „იახში ხანუმ!“ მხატვრულობის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავებულია სხვა მოთხოვნებისაგან. ეხება რა ამ ნაწარმოებს, გ. ციციშვილი აღნიშნავს, რომ შ. დადიანი „მოთხოვნიდან მოთხოვნამდე შესამჩნევად იზრდება და ოსტატდება“ (ციციშვილი, 1974: 159). მასში იგრძნობა სტილის დახვეწილობა, პერსონაჟები, განსაკუთრებით პელაგია, შთამბეჭდავად არიან დახატული.

აქვე გვინდა მოვიხსენიოთ შ. დადიანის მოთხოვბა „გარმშვენიერი“. „ამ სოფლის სილამაზის ამბავი ვინ არ იცის“ (დადიანი, 1958: 302) – ასე იწყება ნაწარმოები. „გარმშვენიერი“... ერთ დროს ამ სოფელში თურმე სიცოცხლე სდევდა, ახლა კი ყოველივე ჩამოფხავებულა, ჩამონგრეულა, განადგურების გზას დასდგომია. სოფლის მკვიდრთ აწუხებთ გარმშვენიერის ასეთი გავერანება. ისინი ცდილობენ ყოველივე ისევ გამოაწყონ, განაახლონ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

ერთ საკვირველ დღეს ცნობა მოდის: მაზრის უფროსი თვით ჩამოვა, რომ სოფლის მდგომარეობას ადგილზე გაეცნოსო. სოფელი თითქო გამოცოცხლდა. მზადება იწყებს. ნაწარმოებიდან იკვეთება აზრი, რომ სოფელი ერთსულოვანი არ არის საქმის კეთებისას, მათ დრო გაყაგო უქმად, უშედეგოდ... ამასობაში მაზრის უფროსიც მობრძანდება. მამასახლისმა პურ-მარილი მიართვა... მეორე დღეს მაზრის უფროსი დიდად ნასიამოვნები წავიდა: „...რაინდი ხალხი ყოფილხართ, სტუმრის პატივისცემა გცოდნიათ... მეხსომებითო!“ (დადიანი, 1958: 305).

„...წავიდნენ მგზავრები და სოფელი თითქო დაცარიელდა. თითქო სულ შეჩერდა ცხოვრების მაჯის ცემა. მკვიდრნი თითქოს „სახტად დარჩენენ“ (დადიანი, 1958, 306). სოფელში კი კვლავ ისე გამოიყურებოდა ყოველივე: ციხე – სიმაგრე დანგრეული, ტაძარი – გუმბათგადამტვრეული, სასწავლებელი – კიბეჩამონგრეული, ბალი – გავერანებული, გზები – ოდრო-ჩოლორო... მოთხოვბის სიუჟეტი („დიდი კაცის“ მოლოდინი, მის დასახვედრად მზადება, ფაცი-ფუცი) მოგვაგონებს გოგოლის „რევიზორს“.

აღსანიშნავია, რომ თავად სოფლის სახელი „გარმშვენიერი“ გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს (შემთხვევითი არაა, რომ სოფელი ამ სახელით უკვე შეგვხდა შ. დადიანის მოთხოვბაში „ხშირი ამბავი“).

აღნიშნულ ხერხს (სახელის სიმბოლიზირება – მ.ნ.) სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც ვხვდებით. მაგალითად, სალტიკოვ-შჩედრინთან ქალაქი გლუკოვი (ე.ი. ბრიუვეთი), – (სალტიკოვ-შჩედრინი „ერთი ქალაქის ისტორია“); ამ ხერხს აგრეთვე წარმატებით იყენებს გ. დოჩანაშვილიც. მაგალითად, პარალეტი (დოჩანაშვილი „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“), ლამაზ-ქალაქი (დოჩანაშვილი „სამოსელი პირველი“).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შ. დადიანმა მოთხოვბაში „გარმშვენიერი“ არა მარტო თავადაზნაურთა გადაგვარება გვიჩვენა, არამედ სოფლის სოციალური და ზნეობრივი დაცემა. ავტორმა კარგად მიგვანიშნა, რომ ამ სოფლის ადამიანებში აპსოლუტურად გამქრალია საზოგადოებრივი აქტივობა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეს პრობლემა დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის. ამიტომ ამ პერიოდის მხატვრულ ინტერპრეტაციას ვხვდებით როგორც ქართულ, ისე რუსულ მწერლობაში. ამ კუთხით რუსი მწერლის გონჩაროვის ცნობილი რომანის „ობლომოვის“ ან თუნდაც დ. კლდიაშვილის მთელი შემოქმედების გახსენებაც საკმარისია. მწერალს ამ მხრივ თითქმის ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი კარგად ამჩნევდა ამ ადამიანების ტრაგედიის მიზეზებს, თავისთავად ბევრის მთქმელია.

ბ) ბურჟუაზიის პირგელ წარმომადგენელთა სახეები და სოციალური ჩაგვრის მხილება

შ. დადიანის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მას მემკვიდრეობით მარგანეციანი მამულები ერგო. ის ერთ დროს შავი ქვის მრეწველიც გახდა, მაგრამ მწერალმა, რომელიც სულ სხვა ასპარეზისათვის იყო დაბადებული, გული ვერ დაუდო შავი ქვის წარმოებას და მალე მიანება თავი. აქ მიღებული შთაბეჭდილებები კი გაგვიზიარა მოთხოვნებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილმა ჭიათურის მარგანეცმა „ოქროს ციებ-ცხელება“ გამოიწვია საქართველოში. „ქვეყნის ყოველი კუთხიდან მიაწყდა ჭიათურას ბედისა და სიმდიდრის მაძიებელი ხალხი: ვაჭრები, სპეცულანტები, მრეწველები, ხელოსნები. ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული გლეხები და მუშებიც მრავლად ჩაებნენ შავი ქვის წარმოებაში... გამდიდრების მოსურნე მრავალი აღმოჩნდა“ (ასათიანი, 1974: 330), მაგრამ შავმა ქვამ ბევრს მოუტანა უბედურება. ერთ-ერთი ასეთი მოტყუებული ადამიანის მწარე ხვედრი აღწერა შ. დადიანმა მოთხოვნებში „საზღაპრო ქვეყანა“ (1900).

მოთხოვნა „საზღაპრო ქვეყანა“, მართლაც, ზღაპარივით იწყება, მაგრამ დასასრული ნამდვილად აღარ გავს ზღაპარს. მწერალი დაწვრილებით გვიყვაბა გმირის ისტორიას. დასაწყისშივე, როდესაც თავის ოდას გვიხატავს მთხოვნელი, ერთგვარი სიბრალულით განგვარების მის მიმართ: „სახურავი ცხრილს დაემსგავსა და საცა ყავარი დარჩა, იმაზე ხავსი წამევიდა, მწვანედ გადაბიბინდა. თითქოს მდომოდეს ბალი გამეშენებინა; კიბე ჩამპალია და თუ გურულივით სწრაფი არ ხარ, ცოტა მაღალზე დგას სახლი, ზედ შესვლის რა

მოგახსენო!.. ფანჯრებიც ქალალდგადაკრულია ბევრგან და ერთგან ყავრითაც აგჭედე...“ (დადიანი, 1958, 219).

ღარიბ აზნაურს არაფერი გააჩნია ვალების გარდა. ჭიათურის მარგანეცმა იმედები ჩაუსახა: „...ბევრი რამ შეძლებია ფეხის აყოლას!.. ზეცაში ვფრინავდი... გულის ფრთქიალით მივქროდი ჭიათურისაკენ...“ (დადიანი, 1958, 222). ისიც ეწვია საზღაპრო ქვეყანას. მაგრამ გამოდგა, რომ მარტო სურვილი საქმარისი არა ყოფილა და მოთხოვობის გმირი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას ის ცოტაოდენი ფულიც შემოეხარჯა, რომელიც ჭიათურაში წასვლის წინ ვალად აიღო, ხოლო თავისი წამოწყების სარგებელი კი ვერაფერი ნახა.

ლამაზი ოცნება უმალვე დაანგრია სინამდვილემ. მხოლოდ წაგება, მხოლოდ ზარალი – აი, რა აედევნა ჩვენს გმირს. „ჭიათურამ ბევრი გამოცდილება მიმაღებინა, ბევრი რამ გავიგე ცხოვრებისაც და შავი ქვის წარმოებისაც. ცალკე ვნახე რომ, როგორც ყველაფერში, ძლიერი სუსტს აზის კისერზე, ფულიანი უფულოს და საერთოდ კი ყველა ერთი მეორის დალატსა და მატყუარობას ცდილობს...“ – ამბობს იმედგაცრუებული ნაწარმოების გმირი (დადიანი, 1958: 228).

მალზე მრავლისმეტყველია იმედგაცრუებული ადამიანის აღსარება: „...ერთი საზღაპრო ქვეყანა გვქონდა მეგონა, იქაც ფეხი მომისხლტა...“ (დადიანი, 1958: 228). პერსონაჟის ამ აღსარებაში შ. დადიანი კაპიტალიზმის ბუნებას გვიჩვენებს და ამავე დროს იმუამინდელ სოციალურ პრობლემატიკასაც, თავისი უთანასწორო და კლასობრივი ჩაგვრით.

ჭიათურის ამბებს ეძღვნება შ. დადიანის კიდევ ერთი მოთხოვობა „შავი ქვის მხარე“(1899). მასში ორი გაქნილი პერსონაჟია გამოყვანილი: გიგია კვინტრიშაძე და იტალიელი ებრაელი.

გიგიამ გამოიარა მალზე მმიმე გზა მედუქნე ბიჭიდან მსხვილ მრეწველამდე. ახლა ის „ს. ხრიოკიანში ერთ თვალსაჩინო შეძლებულ კაცად და ჭკუიან ვინმედ ითვლებოდა... არავითარი განათლება მას არ პქონდა მიღებული. წერა-კითხვაც კი არ იცოდა... მას ძლივსძლიობით მხოლოდ თავის სახელის და გვარის მოწერა თუ შეეძლო, ისიც ისეთის გაჭირვებით, რომ სწორედ საცოდავი სანახავი იყო თვითონ იგიც წერის დროს და მისი ნაწერიც...“ (დადიანი, 1958: 205).

გიგია კვინტრიშაძის სახით, შ. დადიანს დახატული პყავს მეწარმე, რომელმაც უხვად შეითვისა ბურუუაზისათვის ნიშანდობლივი გაიძვერობა და

სხვა მანკიურებანი. ამით მწერალს თემატური სიახლე შემოაქვს ქართულ მოთხოვნაში.

ანალოგიური გზა გაიარა იტალიანომაც, რომელიც ვერაგობასა და ცბიერებაში ტოლს არ უდებს გიგიას.

მოთხოვნაში შ. დადიანმა, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა მწონავთა ვერაგობაზეც. ისინი ატყუებდნენ ხალხს, რომლებიც შავი ქვის დამუშავებაზე მუშაობდნენ. „მწონავები ყოვლად უსირცხვილოდ ძარცვავდნენ ბნელსა და უვიც ჩალვადრებს: წონაში ატყუებდნენ, ათი ფუთის მაგიერ დავთარში ერთს უწერდნენ, მოპარული ქვის ლირებულებას კი თვითონ ითვისებდნენ და მრეწველებსაც უზიარებდნენ“ (ასათიანი, 1974: 331) – წერს ლ. ასათიანი. მაშასადამე, შ. დადიანმა ცხოვრებისეული მოვლენა განაზოგადა, რაც მის მწერლურ დაოსტატებაზე მიუთითებს.

მოთხოვნაში გაკრიტიკებულია სასულიერო წოდებაც, მამა იოსები, რომელმაც კარგად იცის თავისი ფასი. „...მისთვის დინჯობდა, სიდინჯე ყველაფერში, აუჩქარებლობაო – ეს თითქო დევიზი იყო მამა იოსების. მიტომაც იყო, რომ მთელი სოფელი ძალაუნებურად განკრძალვით ეპყრობოდა და პატივის ცემით ექცეოდა...“ (დადიანი, 1958: 205). მართალია, სოფელს გულით არ უყვარდა მამა იოსები და ამისი მიზეზიც პქონდათ, „ნამეტანი ხელს გვიჭერს ხოლმე, მაგრამ ისე იცის თავის დაკავება, რომ ძალაუნებურად პატივს გაცემინებს კაცსაო...“ (დადიანი, 1958: 205).

მამა იოსები დარდობს, რომ ქვეყანა გასწორდათ. „...იმათ წამოყვეს თავი, აქამდე ნატეხი ჭადი რომ ენატრებოდათ! არ ვარგა ეს!“ (დადიანი, 1958, 210). ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ მამა იოსები მშრომელი ხალხის ხარჯზე არსებობდა. აქეთ უნდა აღვნიშნოთ, მამა იოსების ერთი თვისებაც. „...არ სწამდა უცხოელების მოყვრობა (რასაც მწერალი დადებითად აფასებდა) რამდენჯერ უთქვამს თავის მრევლში, არამც თუ ასეთი ახლოს დაკავშირება უცხოელთან, არამედ თვით მათ ნათლობასაც კი სწორი თვალით ვერ ვუმზერო. იმისთანა კაცი მოიკიდე, ბიძია, ნათლიად, რომ შენ იმას მიწვდე და ის შენ მოგწვდეს, თვარა უგენი დღეს აქ არიან, ხვალ იქ, წარმავალი ხალხია...“ (დადიანი, 1958: 211). კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვებოდა უცხოელ ბიზნესმენთა ქვეყანაში შემოსვლა, რასაც, როგორც ჩანს, მწერალი ეჭვით უყურებდა.

მოთხოვნა რატომლაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დასრულებული არაა.

გიგია კვინტრიშაძე შეიძლება შევადაროთ ე. ნინოშვილის დავით დროიძეს (ნინოშვილი, „სიმონა“). გიგიამაც გამდიდრებამდე თითქმის იგივე გზა განვლო, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი განათლება არ ჰქონდა კარგად აუღო ალლო ახალ ცხოვრებას და სოფელში ერთ-ერთ გავლენიან, ძალაუფლების მქონე პიროვნებად მოგვევლინა.

შ. დადიანზე ადრე ბურუჟაზიის შემოსვლის თემატიკაზე გ. ერისთავი და ლ. არდაზიანი წერდნენ. მათ თავის ეპოქასთან შეფარდებით დაახასიათეს სავაჭრო ბურუჟაზიის მისწრაფებები. გ. წერეთელმა კი აღნიშნულ თემაზე შექმნა საეტაპო ნაწარმოები „პირველი ნაბიჯი“, რომელიც წოდებათა სოციალურ-მორალური და სამართლებრივი ურთიერთობის ახალ ტენდენციებს ავლენს.

მშრომელთა საშინელი შევიწროება და უკიდურესი გაჭირვება დამაჯერებლი მხატვრულობით გვიჩვენა შ. დადიანმა მოთხოვნაში „აღდგომაა?“ (1912).

ბათუმის ერთ-ერთი ქარხანა უკვე სამი თვეა რაც დაიხურა. მუშები ულუქმაპუროდ დარჩნენ. მთელი სიმწვავით დაატყდა ახალგაზრდა თომას ოჯახს ეს გარემოება. გაჭირდა ცხოვრება. თომამ ვერსად იშოვა სამუშაო, სახლში კი მშიერი პატარა კარლო და მშვენიერი მაკა ელოდებოდა. ის გრძნობს, რომ ისპობა მშვენიერი და ტკბილი მყუდროება მისი ოჯახისა. სასოწარკვეთილებამდე მისულმა თომამ ნაცნობი მეწვრილმანე გაქურდა, ხოლო მისი მეუღლე, იმ ქარხნის გამგეს დანებდა, რათა ცოტაოდენი ფული და საჩუქრები მიეღო. ამ უკუნასკნელმა ფაქტმა თომა მდგომარეობიდან გამოიყვანა. ის მივარდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სცემდა მაკას... მოცვივიან მეზობლები და ამშვიდებენ, „....ამ დღეს მაინც ეცი პატივი... საცაა ხომ აღდგომა გათენდება?..“ (დადიანი, 1958: 287).

აღდგომაა? – მრავალმნიშვნელოვნად ეკითხება თავის თავს თომა და მწერალიც ამ ერთი სიტყვით მძაფრად ამხელს იმ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელმაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ასე მოუშხამა ცხოვრება. ბუნებრივია, ავტორი თანაუგრძნობს ასე უმოწყალოდ განადგურებულ ადამიანებს და მისი სიმპათია მათ მხარეზეა.

დაახლოებით იგივე თემაა განვითარებული მოთხოვნაში „ნიკოს ნაამბობი“. სულიერი დაცემა აქ ჯერ კიდევ ეპიზოდურადა ნაჩვენები.

იპოლიტე ვართაგავა აღნიშნული ნაწარმოების შესახებ აღნიშნავს, რომ შ. დადიანის „ნიკოს ნაამბობი“ დაწერილია 1912 წელს, განიხილავს მოთხოვობას და ბოლოს ისევ „აზუსტებს“, „...მწერალმა ნიკოს ნაამბობი მოთხოვობად დაწერა, 1958 წელს, 12 სექტემბერს. მე ამ ეტიუდის შესახებ სიტყვა ჩამოვუგდე შ. დადიანს. მან გადმომცა, რომ ეს ეტიუდი ნამდვილ ფაქტზეა აგებული. ვინმე ნიკო თუ კოლია მარჯანიშვილს უამბნია ეს შალვასთვის“ (ვართაგავა. 1962: 221-230).

ლუიზა მოთხოვობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ტრაგედია ეკონომიკურ სიდუხეჭირებია. ულუქმაპურიდ დარჩენილი ოჯახის ხსნას გადაგარებული დედა ქალიშვილის საკუთარი ხორცით გაჭრობაში ხედავს, მაგრამ სათხო და კეთილმა ლუიზამ ასეთ ცხოვრებას სიკვდილი ამჯობინა და თავი დაიხრჩო.

ამ ნაწარმოებს უარყოფით შეფასებას აძლევს გ. ციციშვილი. „ნიკოს ნაამბობი“... ხელოვნური, ნაძალადევი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი სენტიმენტალური ყაიდის გამრთობი ლიტერატურის ზეგავლენით დაწერილსა პგავს და არც შინაარსობრივად, არც მხატვრულ-ფორმისეული თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანს არ შეიცავს... მქრალი, სიუჟეტური სახეები, მიამიტური სიუჟეტები, გაჭიანურებული თხრობა ძნელ საკითხავად ხდის ამ ნაწარმოებს, რომელიც შ. დადიანის შემოქმედებით ევოლუციაში არ ასრულებს რაიმე სერიოზულ ფუნქციას“ (ციციშვილი, 1974: 167-168).

ჩვენი აზრით, გ. ციციშვილი ზედმეტად მკაცრ შეფასებას აძლევს ამ ნაწარმოებს. მასში კარგადაა გამოკვეთილი რამდენიმე პრობლემა. მაგალითად, სიყვარულის და ლირსების დაცვის. შ. დადიანის ეს ნაწარმოები ერთი ამოსუნთქვით, თავისუფლად იკითხება.

ამრიგად, შ. დადიანი მოთხოვობათა ამ ციკლში აშიშვლებს ჩაგვრასა და შევიწროებას, რომელიც თან სდევს კლასთა დაპირისპირებას, ფორმაციის ცვლილებას. ამით მან ქართულ მწერლობაში თემატური სიახლე შეიტანა. მართალია, ქართულ ლიტერატურაში სოციალური პრობლემატიკა აქტუალური იყო და ბუნებრივია, შ. დადიანის შემოქმედებისთვისაც ეს თემატიკა მნიშვნელოვანია. აღსანიშნავი აქ ის არის, რომ მწერლისათვის მხოლოდ კლასობრივი შეხედულებები არ არის ამოსავალი. მისთვის, ამასთანავე, მთავარია ადამიანი და საყოველთაო ლირებულებები.

გ) ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მხატვრული სახეები

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში შ. დადიანის უერადღება ინტელიგენციის თემაზ მიიქცია. მან შექმნა ინტელიგენციის სახეები, რომელთაც გულთან ახლოს მიაქვთ ეპოქის პრობლემები.

შ. დადიანმა პირველსავე მოთხრობებში სცადა, მოეცა ინტელიგენტთა სახეები, მაგ.: ნინო („შმინდა ცრემლები“), ვაჟი („არ მოვმკვდარვარ“), ამით მას სურდა ეჩვენებინა არისტოკრატიული წრის ერთი ნაწილი და გაეკრიტიკებინა მათი სოციალური გარემო.

სულ სხვა ბუნების ინტელიგენტი დახატა შ. დადიანმა 1898 წელს დაწერილ მოთხრობაში „ფიქრი, ფიქრი“.

ნაწარმოების მთავარმა გმირმა სანდრომ ხალხის სამსახურის საშუალებად ხელოვნება აირჩია. ის უკვე პოეტია, მხატვარიც. მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, რადაც აწუხებს. ეტიუდში გადმოცემულია სანდროს ფიქრები. ის ისეთ მდგომარეობამდეა მისული, რომ პამლეტივით ეკითხება საკუთარ თავს: ყოფნა თუ არყოფნაო...

საინტერესოა სანდროს ფიქრები, ის თვითპრიტიკულია საკუთარი ხელოვნების მიმართ. მისი ღრმა რწმენით, ხელოვნების ნაწარმოები საზოგადო ჭირ-ვარამზე უნდა მიგვითითებდეს, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს.

შ. დადიანმა კარგად იცის, რომ ეს საკითხი გაცილებით ადრე იყო გადაჭრილი. ავტორს მოაქვს ციტატები ბარათაშვილისა და აკაკის ლექსებიდან. ჩვენი აზრით, მწერალმა აქ თავისი შემოქმედების ერთი მოკლე პერიოდი შეაჯამა.

ინტელიგენციის თემას შ. დადიანმა ერთგვარი ინტენსივობით რეაქციისა და მის მომდევნო წლებში მოჰკიდა ხელი. ეს ბუნებრივიცაა. ამ პერიოდში ინტელიგენციის თემას საერთოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა.

ინტელიგენციის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა შ. დადიანის მოთხრობა „სამსონის თმები“, რომელიც 1910 წელს დაწერა.

„სამსონის თმები“ ეძღვნება მარსიალ ფუასის. ეს საუცხოო ფრანგი პედაგოგი თავის დროზე ფრანგულ ენას ასწავლიდა კავკავის მაშინდელ ქართულ სკოლაში, ცოლად ჰყავდა ცნობილი ქართველი მხატვრის ბერიძის ქალი თამარი და დიდხანს იყვნენ საქართველოში. ორივენი ჩვენი

ინტელიგენციის დირსეული წევრები გახლდათ. მეც ამ მარსიალს კუძღვენი ხსენებული მოთხოვთა“, – წერს შ. დადიანი „რჩეული თხზულებანის“ შენიშვნებში (დადიანი, 1958: 533).

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია მწერალი გოგლო. ავტორი მას იდეალისტ ხელოვნად წარმოგვიღგენს. მისი აზრით, „ხელოვნება განმარტოებულია, ეს თვით „თვისით უნდა იყოს მშვენიერი“. იგი თვითმიზანია... პირამიდებიც შედარებით დროებითია და ხელოვნების ტაძარი კი უკვდავია, სამარადისო. მეც ამ ტაძრისაკენ მიმიწევს გული, სული და გრძნობა...“ (დადიანი, 1958: 331).

გოგლომ ზურგი შეაქცია ცხოვრებას, განმარტოვდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება მოთხოვთას ის ადგილი, სადაც ძლიერი მხატვრული ფერებით არის აღწერილი ხანძარი, რომელმაც ქალაქის ერთი უბანი გაანადგურა: „მის გვერდით ადამიანები გარბოდნენ ცეცხლის გასაქრობად და მოყვასთა საშველად. გოგლო კი იდგა განზე და შესქცეროდა სანახაობას (დადიანი, 1958: 322).

გოგლოს უპირისპირდება მისი ერთ-ერთი სატრუტო ცაბულო, რომელიც კარგად იცნობს ცხოვრებას, სწორად ესმის ხელოვნების დანიშნულებაც. ის საყვედურობს გოგლოს, რომ მის ნაწარმოებში ცხოვრება არაა ასახული, „...მძლავრი ცხოვრება, თავისი რკინის კანონებით, თავისი ტანჯვითა და დავებით, თავისი მომავალი სიხარულით, უკეთესი მერმისით...“ (დადიანი, 1958: 324).

„...გოგლო არ ეთანხმება ამ ბრალდებას და იმის დახტურად, რომ იგი ცხოვრებისაგან განზე არ დგას, მის „ჩამოკრულებს“ ასახელებს... გოგლოს მსჯელობაში... თავისებური, თუმცა არაორაზროვანი ფორმით, ვლინდება ტრადიციული კამათი ე.წ. წმინდა და უტილიტალურ ხელოვნებას შორის. ეს კამათი... ამ შემთხვევაში ჩვენთვის იმათაცაა საინტერესო, რომ იგი, გარკვეულწილად, თვით ავტორის – შ. დადიანის თვალსაზრისსაც გამოხატავს და საგულისხმო დოკუმენტს წარმოადგენს თავად მწერლის იმდროინდელი ლიტერატურული პრინციპების გასარკვევად“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 85).

საგულისხმოა, რომ გოგლო ფინალში მთლად გამოიყიტა, დაიშრიიტა. მან იგრძნო, რომ მის სულში ოჯახმა და სიყვარულმა მოკლეს მუზა და მას უეცრად სამსონის ბიბლიური თავგადასავალი გაახსენდა, რომელიც მოთხოვთას სათაურის სიმბოლოს ხსნის და განმარტავს.

მოვიყვანოთ ბიბლიიდან ადგილი, რომელიც სამსონის თმებთანაა დაკავშირებული. „უთხრა დალილამ: საიდან გაქვს ეგ დიდი ძალა. რაკი ყოველდღე ამ სიტყვებს ჩასჩიჩინებდა და საშველს არ აძლევდა, სიცოცხლე მოსძულდა სამსონს. გამოუტყდა და უთხრა: სამართებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან დედის მუცლიდან ლვთის მოწმიდარი ვარ. თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება, დაგძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქმნები... კალთაში ჩააძინა იგი დალილამ, კაცი იხმო და მისი თმის შვიდივე კოწოლი მოაპარსვინა. იწყო სამსონმა დასუსტება, გამოეცალა თავისი დიდი ძალა“ (ძველი აღთქმა „მსაჯულნი“).

შ. დადიანმა გოგლოს გამოფიტგა სწორად ვერ ახსნა. მწერლის მოსაზრებით, ცოლი, ოჯახი კლავს შემოქმედებას, რომ სიყვარული და შემოქმედება სხვადასხვაა და ერთდროულად ორივეს თაყვანს ვერ სცემო – ყოფითი პრობლემები კლავს ხელოვნებას, ყოფა კლავს სულს.

თემატურად ეს ნაწარმოები შეიძლება შევადაროთ გოგოლის მოთხოვბას „ნევის პროსპექტი“, რომლის მთავარი გმირია ნიჭიერი მხატვარი პისკარიოვი, იმის გამო, რომ მისი ოცნების ქალი ცხოვრების სიღუხვირემ სამუდამოდ გარევნა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.

ინტელიგენციის თემა უფრო საინტერესოდ არის გაშლილი მოთხოვბაში „ტყვე“. მასში ავტორს დახატული ჰყავს სხვადასხვა მსოფლმხედველობის ინტელიგენტები. განსაკუთრებული სიმპატიით მასწავლებელი ფაცია სარგებლობს, რომელსაც გიმნაზიის ცხრა კლასიც დაუსრულებია და რევოლუციაში მონაწილეობისათვის ციხეშიც ყოფილა. ერთ-ერთი პერსონაჟის, ტიტიკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაცია ხალხში ჩატრიალებული და მისი ჭირვარამის გამზიარებელიცაა. მას სოფელში რიდით და კრძალვით ეპურობიან.

განსხვავებული, საწინააღმდეგო ხასიათისაა ტიტიკო, მაგრამ ამასთანავე განათლებული და ენამეტყველია. მისი მოსაზრებით, „...ბუნების წიაღში ბრძოლაა გაჩაღებული, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო...“ (დადიანი, 1958: 160). ტიტიკო ნიკილისტურად განწყობილია რამდენადმე. მას არ სწამს ადამიანის სიკეთე: „...ადამიანს არ შეუძლია კეთილი იყოს. მარტო ის ტანჯვა-წვალება, არ ვიტყვი სოციალურზე, რაც მას ბუნების ძალთა თუ „მადლთა“ გამოყენებაში უხდება, მას აღიზიანებს, აბრაზებს და მუდამ საომარ ფეხზე აყენებს“ (დადიანი, 1958: 163).

როგორც ვხედავთ, ტიტიკო სხვაგვარად აზროვნებს, მას სწორად არ ესმის მუდმივი ბრძოლის მიზანი. ის განათლებულია, მებრძოლი ბუნებისაა, მაგრამ იდეალური პერსონაჟი არაა. მიუხედავად ამისა, სრულიად ბუნებრივია ფაციასა და ტიტიკოს შეუღლება.

საყურადღებოა ნაწარმოების სხვა პერსონაჟებიც, რომლებიც თავიანთი განათლებით გამოირჩევიან სხვებისაგან. ასეთია, პირველ რიგში, სანდრო, განათლებული, თავდაჭერილი და ზრდილი ახალგაზრდა. ასევე საინტერესო სახეებია: იასონი, ზურაბი, ესენი ერთგვარად უპირისპირდებიან მიმავალი კლასის შვილებს: თიკოს, ელისაბედს, ფოფოდიას, მდვდელს, უსაქმო ახალგაზრდა თავადიშვილს სიმონიკას.

ცხადია, რომ თავის რევოლუციამდელ მოთხობებში შ. დადიანის სიმპათია თუმცა მთლიანად ინტელიგენტთა მხარესაა, მაგრამ ისინიც ჯერ კიდევ ნათლად ვერ ხედავენ მომავალს, გარკვეულწილად წარსულში რჩებიან და მხარს ვერ უბამენ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს. ისინი პასუხს ვერ სცემენ ეპოქის მიერ დასმულ კითხვებს ანუ დროში დაპარგულები არიან და მომავალი არა აქვთ. ამიტომაც მწერლის ეს სიმპათია უფრო თანაგრძნობით, სიბრალულით არის გამოხატული.

დ) მოთხობები ისტორიულ თემებზე

შ. დადიანი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიის მიმართ. მან ისტორიულ თემებზე შექმნა, როგორც დრამატული, ისე პროზაული ნაწარმოებები. ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, საყურადღებოა მწერლის ორი მოთხობა: „ლელა“ და „დღესა ერთსა“.

მოთხობაში „ლელა“ ავტორი ეხება არაბთა ბატონობის პერიოდს. ამ დროს თბილისის ამირა ყოფილა ყურთ-ასლანი, ძალიან სასტიკი ადამიანი, რომელსაც სიტყვა საქართველო სასაცილოდ მიაჩნია. „...სადღად საქართველო?! ეს მხარე, შავშეთი და იმერხევი ოსმალებს უჭირავს, თბილისი და ქართლი არაბებისაა... საქართველო სად არსებობს?! გამოიბერტყველ ყურიდან ეს ამბავი თქვენ, გიაურებო!..“ (დადიანი, 1958: 291).

ამ ასპექტით ეს მოთხობა მოგვაგონებს პროსპერ მერიმეს „კოლომბას“ (1840). შეურისძიება შეადგენს კოლომბას წმიდათაწმიდა მოვალეობას. იგი

მოითხოვს თავისი ძმისგან, ორსოსაგან – შურისძიებას მოკლული მამისათვის და არაჩვეულებრივი სიმტკიცითა და თანამიმდევრობით აღწევს კიდევაც მიზანს.

ეს მოთხოვთ 1916 წელსაა დაწერილი, რევოლუციამდევ სინამდვილეში, ადვილი მისახვედრია, თუ როგორ ეხმაურებოდა ეს ნაწარმოები იმდროინდელ კითარებას.

მეორე მოთხოვთ „დღესა ერთსა“ დაწერილია საგანგებოდ რუსთაველის იუბილისათვის, შეპვეთით, 1937 წელს.

როგორც ცნობილია, შ. დადიანმა უფრო ადრე, 1924 წელს, ცალკე წიგნად გამოსცა ისტორიული რომანი რუსთაველისა და თამარის ეპოქაზე – „უბედური რუსი“, ინტერესი რუსთველისადმი არც შემდგება განელებია მწერალს, რასაც მოწმობს მისი „დღესა ერთსა“. ნაწარმოებში რუსთაველის ცხოვრების ერთი დღეა მოცემული და ამ პატარა მონაკვეთშიც კარგად ჩანს უდიდესი პოეტის სულისკვეთება და პირადი ცხოვრება.

მოთხოვთის დასაწყისში ახალგაზრდობის პაექტობაა აღწერილი. ამ ფონზე მწერალი გვიჩვენებს ერგასლიძის შურს შოთას მიმართ. „...განზე იდგა ახალგაზრდა ერგასლიძე და შურით შესცემოდა შოთას გამარჯვებას, მაგრამ, – არავინ შემამჩნიოსო და – იმანაც მიულოცა მარჯვე სელი და უტყუარი თვალი...“ (დადიანი, 1958: 493). ერგასლიძეს პგონია, რომ შოთა მისი მეტოქეა თამჰთასთან და ამიტომაა მტრულად განწყობილი მის მიმართ. როცა გაიგებს ერგასლიძე ეჭვის უსაფუძვლობას „...სამტროდ... ალესილი... ახლა როგორც ძმა და მეგობარი ეგრე გადაეხვია შოთას“ (დადიანი, 1958: 514).

მოთხოვთაში შოთა დახატულია როგორც შესანიშნავი მოასპარეზე, „მართალი სიმართლის“ მქმნელი, პირად ცხოვრებაში კი რამდენადმე ტრაგიული ადამიანია...

ნაწარმოები სოციალურ თემასაც ეხება. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ეპიზოდი. შოთამ ყური მოჰკრა მომკელთა სიმდერას:

„ქორო, ფრენა ვინ გასწავლა,
შევარდენო–ნადირობა,
გლეხო–კაცო–მუშაობა,
დიდებულო–ნადიმობა!“

აი როგორ უყურებს ხალხი დიდებულებს: ისინი სულ ნადიმობენ, ჩვენ კი მუშაობაში ვართო. თითქოს ნელი დაცინვაა, უწყინარი, მაგრამ დიდი და მწვავე

სიმართლე კია შიგა... გლეხებაცი მუშაობს და დიდებული კი ნადიმობს... რად არის ესე გაჩენილი? გაჩენილი! ეს ხომ შერიგებაა ბედისა...“ (დადიანი, 1958: 497).

ეს თემა, ასეთი შეხედულებები შ. დადიანის მხატვრულ პროზაში ძალიან ხშირად პოულობენ გამოხატულებას. კონკრეტულად, ეს მოთხოვობა კი ერთ მიზანს ემსახურება – რაც შეიძლება მეტი ბრწყინვალებით გამოავლინოს შოთას სიბრძნე, სიკეთე და საერთოდ მისი ავტორიტეტი.

ე) ოჯახის, ქალისა და სიყვარულის პრობლემა

შ. დადიანი თავის პროზაულ ნაწარმოებებში შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულება, ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში და ა.შ. მან 1907 წელს დაწერა მოთხოვობა „შვილი“, რომელშიც ძალზე საინტერესო პრობლემებია დასმული.

„...შ. დადიანის ცხოვრებაში ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მან გადაწყვიტა სწავლა-განათლების გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წასვლა და იქ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. გზად მან გაიარა ოდესაში და აქ, საქართველოდან ფულის მოლოდინში რამდენიმე თვე დარჩა. აქ ის დაუკავშირდა ქართველ სტუდენტობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათ წრეში. უეჭველად „შვილში“ გამოხმაურება პოვა და აღიბეჭდა ის იდეები და შეხედულებები, რაც მაშინ მოწინავე ახალგაზრდობას აინტერესებდა და აღელვებდა“ (ვართაგავა, 1962: 176).

მოთხოვობის შესავალ ნაწილში ნაჩვენებია ჩვილი ბავშვისადმი დედ-მამის განსაკუთრებული დამოკიდებულება. „...თავიდან, ერთი შეხედვით, ნაწარმოებში ისეთი საკითხებია დასმული, რომელიც არავითარ საკამაოო განწყობილებას არ შეიძლება უჩენდნენ ადამიანს. შვილისადმი სიყვარული ხომ ჩვეულებრივი, მარადიული ადამიანური გრძნობაა ყველა დროსა და ეპოქაში. ამ გრძნობით არიან შეპყრობილნი მოთხოვობის მთავარი პერსონაჟებიც – ახლადშობილი ქათუნიას მშობლები. მწერალი იდეალური რომანტიკით აღწერს მათ მყუდრო ოჯახურ „სამეფოში“ ამ „უმწეო მბრძანებლის“ გაჩენას“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 87).

მწერალს შემდეგ შემოჰყავს ნაწარმოებში ახალი პერსონაჟი, რომელიც დედაშვილურ სიყვარულს სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს: „...მე მოელის

ჩემის არსებით წინააღმდეგი ვარ დედობრივის გრძნობისა, შვილის სიყვარულისა... იგი ზედმეტია, იგი ჩვენ მიერ, კაცობრიობის მიერ გაბერილი ხორცმეტი, რომელიც კაცობრიობის წინსვლას ეფობება, ხელს უშლის, ო, რა საშინლად უშლის...“ (დადიანი, 1958: 247-248) – ასეთი იდეები პქონდათ ხალხოსნებსა და სოციალ-დემოკრატებს, მათვის პრიმიტიული იყო სამშობლოს სიყვარულიც.

როგორც ვხედავთ, ამ კაცმა მშობლების ძლიერი სიყვარული შვილისადმი, ეს ჯანსაღი გრძნობა, საზოგადოების შემაფერხებელ ძალად აღიარა. მეგობარს დედაშვილური სიყვარული ცხოველურ ინსტიქტამდე დაჟყავს, რის გამოც მას ცოლ-ქმარი დამთხვევულს, სიცხიანს უწოდებს. „...ასე გრძელდება ეს უცნაური მსჯელობა „დედობის სიმახინჯეზე“, როგორც „ავალმყოფურ“ მოვლენაზე, რისგანაც, მეგობრის მტკიცებით, სასწრაფოდ უნდა განიკურნოს კაცობრიობა, თუ მას თავისი თავის სიკეთე უნდა“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 88).

მოთხოვთ საყურადღებო სახეა მთხოვბელის ძველი ნაცნობი აზნაური ქაიხოსრო, რომელსაც ბეჭრი რამ გადახდენია თავს. მაგრამ ქაიხოსროსათვის ყველაზე უფრო საშინელი ის არის, რომ მისი თვალის ჩინი, მისი ნუგეში, ელენიჩა, „პროპაგანდისტს“ მიჰყვება თურმე ცოლად. ამის გამო ქაიხოსრო გულამოსკვნით ამბობს: „ღმერთმა ნურავის ანატროს შვილის გაჩენა. ტანჯვაა, მწუხარება, უბედურება და სხვა არაფერი“ (დადიანი, 1958: 268).

„...ძველი. დახავსებული ცხოვრებისეული ნორმებით შებოჭილ მამას ვერ აუტანია და უბედურებად მიუჩნევია ის ფაქტი, რომ მის შვილს მისგან განსხვავებული აზრები პქონდა“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 89).

კრიტიკოსი ი. ვართაგავა მიუთითებს, რომ მწერალმა ქაიხოსრო შემოიყვანა იმ მიზნით, რათა მოთხოვბაში საყოფაცხოვრებო მომენტი შეეტანა (ვართაგავა. 1962: 174). მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართებული მოსაზრება. ვფიქრობთ, მწერალმა ამ ეპიზოდით მთხოვბელის მეგობარს გამართლება მოუძებნა, ამასვე ადასტურებს ცოლ-ქმრის ერთგვარი დაჟვევბა, მაგრამ საბოლოოდ მათ მაინც მტკიცედ სწამთ, რომ „ქალის უდიდესი ბედნიერება დედობაა“.

მოთხოვბაში დასმულია სხვა პრობლემებიც. ესენია: ოჯახის გარდაქმნის საკითხი, ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში და სხვ. აქ უკვე ელენიჩა გვევლინება მთავარ პერსონაჟად და მთხოვბელის ოჯახს აკრიტიკებს.

„...ახლანდელი ქალის აზრები და მიმართულება ხომ ძველი დროისაა, წინანდელი დრო კი იცვლება, ე.ო. იცვლება ცხოვრების პირობები; იცვლება ადამიანთა შეგნებაში წარმოდგენა სილამაზეზე, სიკეთეზე და საერთოდ ჰეშმარიტებაზე. იცვლებიან ადამიანები, რადგან ყოველივე ეს საზოგადოებრივი ყოფის პირობების შეცვლაზეა დამოკიდებული... ყოველ ეპოქას, ყოველ ხალხს თავისი ზნეობა, მეცნიერება და ხელოვნება აქვს. ჩვენ კი ისეთ დროს ვცხოვრობთ, როდესაც გამწვავებული ბრძოლაა ძველს და ახალ იდეებს შორის... დრომ ქალს წინ გაუსწრო...“ (დადიანი, 1958: 278).

ელენიჩკას საკუთარი, მტკიცე შეხედულებები აქვს ოჯახზე, სიყვარულზე და ცოლ-ქმრობაზე. ეს ეყრდნობა კლარა ცეტკინის ბროშურას – „დედაქაცი და მისი ეკონომიკური მდგომარეობა“. ელენიჩკას მოსაზრებით „...ქალი თავისუფალი უნდა იყოს, რომ არამც თუ როგორც მეოჯახემ და დიასახლისმა, არამედ, როგორც დედამაც აირჩიოს რომელიც უნდა ისეთი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი, რასაკვირველია, იმის მიუხედავად თუ რისი ნიჭი უფრო აქვს და საზოგადოებასაც რა უფრო უჭირვება. მისი სოციალური მდგომარეობა თანდაობან უნდა დაედაროს მამაკაცის მდგომარეობას“ (დადიანი, 1958: 275). სხვათაშორის, ეს საკითხი შ. დადიანმა გარკვეულწილად „სამსონის თმებშიც“ დასვა. ცაბულო ხედავს, რომ ქალს არ აქვს საზოგადოებრივი ასპარეზი, ქალი და კაცი ჯერ კიდევ არ არიან თანასწორნი, მაგრამ მას სჯერა, რომ ქალიც „გაებმება ცხოვრების უდელში და მამაკაცთან ერთად შექმნის პარმონიულს, სრულს არსებას...“ (დადიანი, 1958: 329).

შ. დადიანს მართებული მოსაზრებანი პქონდა აღნიშნულ საკითხებზე. ის ქალში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდა მამაკაცის თანასწორუფლებიან არსებას, საზოგადოების ღირსეულ წევრს, რომელსაც შეუძლია აქტიურად იმოქმედოს იმ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

1900-იან წლებში საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ქალის როლი არამართებულად ესმოდა. როგორც ჩანს, შ. დადიანი დაინტერესდა ამ გარემოებით და გადაწყვიტა ამ პრობლემისთვისაც მიემდვნა ნაწარმოები. 1908 წელს მან დაიწყო მოთხოვნა „ველური“, რომელიც სამწუხაროდ, არ დაუსრულებია.

მოთხოვნის მთავარი მოქმედი პირია ბარნაბა ლელიანი, რომელიც შეძლებული ოჯახის შვილია და მალიან ბევრს მოგზაურობს, ეცნობა მრავალ მოძღვრებას, მაგრამ ვერც ერთს ვერ უდებს გულს. ბარნაბა უკვე 12 წელიწადია

ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტია. მას განსხვავებული, თავისებური შეხედულება აქვს ქალზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე. მისთვის არ არის მოსაწონი რომ „...თავისუფალი სიყვარული დაშლილია, რომ თუ ჯვარდაწერილნი არ არიან, ისრე სქესთა შეკავშირება სასტიკად აკრძალული ხილია...“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11. ხ - 11276/149). ბარნაბა ხენას სოციალიზმი ხედავს, მისი აზრით „სოციალიზმი დამყარდება და ადამიანი პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მონობას თავს დააღწევს“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11. ხ - 11276/149).

როგორც ვხედავთ, ბარნაბას არასწორად ესმის ქალისა და პიროვნების ცნება. სხვათაშორის უნდა აღვნიშნოთ, რომ შ. დადიანის ამ მოთხოვნის ხელნაწერს მიწერილი აქვს ციტატები ა. ბებელის წიგნიდან „დედაკაცი და სოციალიზმი“. „მომავალს საზოგადოებაში კაცს და ქალს მეტი თვით-აღზრდა აქვს და მეტი ცოდნა თავის საკუთარ არსების, ვინემ დღევანდელ საზოგადოების ქალსა და კაცს...“ (ბებელი, 1912 648). ცეტკინი და ბებელი იმდროინდელ საქართველოში საქმაოდ პოპულარულები იყვნენ და, როგორც ჩანს, მათმა იდეებმა შ. დადიანზეც გავლენა იქონია.

მნელია ვისაუბროთ დაუსრულებელ მოთხოვნაზე იმ კუთხით, თუ როგორ განვითარდებოდა მასში მოვლენები, მაგრამ ამ პრობლემის დასმაც საყურადღებოა და მწერლის ფართო ინტერესებზე მეტყველებს.

ვ) სიკეთის თემა შ. დადიანის მოთხოვნებში

1915 წელს შ. დადიანმა დაწერა მოთხოვნა „უხამსი“, რომელშიც კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა ნაჩვენები. მწერალს ამის საჩვენებლად მაგალითები მოაქვს მითოლოგიიდან, ფოლკლორიდან და ისტორიიდან.

„...ადამის ვაჟი ლამაზი და სათნო აბელი მოპკლაო მისმა მმამ გულკერამა და ღონიერმა კაენმა... თარხუჯიმეს, მაღალსა და სახელოვან მეფეს, სიცოცხლე მოუსწრავა მისმა ხერხიანმა ბიძაშვილმა ტარხუნდარაბამ, მაგრამ ტარხუნდარაბასაც არ შერჩა დიდ ხანს კეთილდღეობა და მისი ღვიძლი შვილისაგან ტუშრატისა მიერ სიცოცხლით განივლტოო.

...ნებროთი დალატით მოიკლა მის მონათესავისაგანაო.

...ამირანი მისმა მოძმეუბმა შეიპყრეს და ჯაჭვით მიაკრეს რკინის პალოსაო“ (დადიანი, 1958: 78).

ნაწარმოების გმირი დადის მშვენიერ ბუნების წალკოტში და ცდილობს იპოვოს ამ უსამართლობის მიზეზი. ის წაადგება ადამიანთა ჯგუფს, რომლის შუაგულში „მოხუცი შერმაზინი მოციქულებრ მეტყველებდა... თქვენ ყველას გენახებათ სურათი ჩვენებურ რაინდისა, რომელიც თეთრ ცხენზედა ზის და შუბით ამ უხამსისათვის გული გაუპია. ეს მთელი სახეა ჩვენი ყოფისა და სანამ ეს უხამსი არ მოკვდება, მანამ ჩვენ წალკოტს ნამდვილი აყვავება არ ეღირსება“ (დადიანი, 1958: 79).

აქ, ადგილი მისახვედრია, რომ საუბარია ქართველთა მფარველ წმინდანზე წმინდა გიორგიზე.

შ. დადიანი ცდილობს მკითხველს ჩაუნერგოს რწმენა სიკეთის უძლეველობაზე და მის საბოლოო გამარჯვებაზე. ამასთან ერთად მიუთითებს ადამიანის აქტიურობის აუცილებლობაზე, რომლის გარეშეც სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ძალიან ძნელია.

სიკეთის ყოვლისშემძლეობაა ნაჩვენები შ. დადიანის შესანიშნავ მოთხრობაში „ჯადო“. ის შედგება ათი პატარა „თავისაგან“. ნაწარმოების ნახევარი ნაწილი მთავარი პერსონაჟის გედეს დახასიათებაა. „ამ კაცს პქონდა ჯადო. ნამდვილად... გედემ გალუცინაციები არ იცოდა: ძილი კარგი პქონდა, მადა მშვენიერი, გულიც საუცხოვო... გედეს თვალები შორსმხედველი პქონდა და ძლიერი... გედეს არ სწამდა საიქიო და არც რამ ცრუმორწმუნეობა... გედეს უყვარდა სიცოცხლე“ (დადიანი, 1958: 295-300).

გედეს ჯადო მდგომარეობს მის კეთილ გულსა და წმინდა ზრახვებში.

მოხუცი, ქვრივი ფრიდონი კაცსაც დავიწყებოდა და ღმერთსაც. მაგრამ გედეს სტუმრობამ სასწაული მოახდინა: „...ოთასს ეცვალა ფერი. ოოკზე გაბმული დაკონკილი სარეცხი ძვირფას, სალუქ ქსოვილებად იქცა... წეკოს სუნი პავანის გლარჯმილის სურნელებად გარდაიქცა... თვით ბებრისა და მისრწნილი ფრიდონის წყალმანკიანი გამომეტყველება ბიბლიურ წინასწარმეტყველისას დაემსგავსა... ფრიდონმაც თითქოს იგრძნო გედეს მიერ შემოტანილი ჯადოსნური ცვლილება, მისმა დასხეულებულმა გულმა უცხო სიხარულით გაიკრთომა“ (დადიანი, 1958: 296). ამ პატარა ეპიზოდში შესანიშნავადაა ნაჩვენები ადამიანური სიკეთის ჯადოსნური ძალა.

იგივე აზრია გატარებული ეპიზოდში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან გედე და კუნიანი მათიკო. „გედემ გაუღიმა და... მათიკო მიმზიდველ ქალწულად გადაიქცა. კუზი გაუსწორდა, ტანში გაიშალა, გულ-მკერდი გაევსო“ (დადიანი, 1958: 297).

გედეს უყვარდა სიცოცხლე და ცოცხალი ბუნება, მისი აზრით, ყველას შეუძლია თესოს სიკეთე და ბედნიერება, ამისათვის განსაკუთრებულობა, რჩეულობა სულაც არ არის აუცილებელი. სწორედ ამაში მდგომარეობს გედეს ჯადოსნური ძალა.

ზ) „ახალი ცხოვრების“ ამსახველი მოთხოვნები

XX საუკუნის 20-30-იან წლებში შ. დადიანმა თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო ახალი ცხოვრების დახატვას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პროზაული ნაწარმოებები „ა.ო.ე.“ (1928) და „ვერისცვალება“.

„ა.ო.ე.“ ძალზე ორიგინალურადაა გააზრებული. შ. დადიანმა ნაწარმოებს „მონაკენჭი მოთხოვნა“ უწოდა. „...ამ მოთხოვნაში სულ შვიდი კენჭია. მათ შორის თეთრი ხუთია და შავი ორი. ამგვარად მოთხოვნა გათეთრებულია“ (დადიანი, 1958: 395).

ს. ჭილაიას აზრით, ის „დიდი შინაგანი მხატვრული ენერგიით და პოეტური ხილვებით დაწერილი მოთხოვნაა“ (ჭილაია, 1975: 9).

„მოთხოვნა „ა.ო.ე.“ ძირითადად ორი ასპექტით იქცევს ყურადღებას. ერთის მხრივ, იგი, ფრაგმენტულად წარმოაჩენს საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკლესიისადმი დამოკიდებულებას, მეორე მხრივ კი წარმოადგენს ცხოვრების წარმავლობისა და მარადიულობის ფილოსოფიური პრობლემის თავისებური გააზრების ცდას“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 89-90).

მოთხოვნის ორი პერსონაჟი მიხო სეხნიაშვილი და დიტო დოლაბერიძე ხუროთმოძვარია, მათ ჯვრის მონასტრის განახლება აქვთ გადაწყვეტილი. ამ ფაქტმა ძალიან გააოცა მშვენიერი ელო, რომელიც მათთან ერთად მგზავრობდა მატარებლით. საყურადღებოა დიალოგი, რომელიც ახალგაზრდებს შორის იმართება.

„...რა დროს ტაძრებია! ვერ ხედავთ, სად მივდივართ?.. ჩვენი დროის საუკეთესო მშენებლობის წყაროსთან: ძრავები, ტურბინები, ლარეჟაპები, ელექტრონი, დინამიკა... – თქვენ კი რა გინდათ?.. დრომოჭმული ეკლესია, საუკუნოებით ხავსმოკიდებული რაღაც კედელი კიდევ გინდათ სულელურ წმინდანთა ხატებით მორთოთ და... შეიძლება მონასტრის გუმბათზე ჯვარიც წამოასკუპოთ, არა?“ (დადიანი, 1958: 381) – ელო და მასთან ერთად ზაჟესის მუშები აღშფოთებასა და საყვედურს გამოთქვამენ ამ ფაქტის გამო. „...ძლივს მოვრჩით მღვდლებს და ბერების მატყუარობას“ (დადიანი, 1958: 381), აცხადებენ ზაჟესის მუშები. ამ დიალოგში კარგად იგრძნობა 20-30-იანი წლების ბოლშეგიგური საქართველოს სუნთქვა, მისი დამოკიდებულება ეკლესია-მონასტრების მიმართ.

ელო და ზაჟესელი მუშები დამშვიდნენ, როცა შეიტყვას ახალგაზრდა სურომოძღვართა ნამდვილი მიზანი. მათ სურდათ განეახლებინათ ჯვრის მონასტერი, როგორც ხელოვნების ძვირფასი ნაშთი და არა სამლოცველო ეკლესია.

მონასტერში მისულმა ახალგაზრდებმა ეპიფანე ბერისაგან შეიტყვას, რომ „კერპთაყვანისმცემლობის დროს აქ რომელიდაც საქართველოს დედოფალმა საბერძნეთით მოიტანა შიშველი ქალის ქანდაკება და მარმარილოს თეთრ სვეტებს შორის აღმართა სწორედ ამ აღგილას. ეს იყო „თეთრი ეშმაკეული“ საცოლებლად ხალხისა და აღსატკინებლად ჭაბუკთა, იტყვის გადმოცემა“ (დადიანი, 1958: 282).

საუბარია საბერძნეთიდან ჩამოტანილ აფროდიტეს ქანდაკებაზე, რომელსაც ბერი „სატანის მიერ შთაგონებულ და შექმნილ ნაწარმოებს“ (დადიანი, 1958: 383) უწოდებს. გავიდა წლები და იმ აღგილზე სადაც ქანდაკება იყო ქრისტიანული ეკლესია აშენდა, რომლის ერთ კედელსაც ქალის სახე ამშვენებდა. ეს იყო მონასტრის აღმშენებელი მიქელის სატრფო თემესტია (ნაწარმოების სათაურიც აქვთანაა მიღებული – აფროდიტე – თემესტია – ელო).

„...თემესტია, ჯვრის მონასტრის მშენებლობის დროინდელი წარჩინებული გვარისშვილი, უმშვენიერესი ქალწული, მიხოს წარმოსახვაში ელოს პროტოტიპად გარდასახული პიროვნება. მონასტრის კედელზე ამოკვეთილი წარწერითა და ნახატით მიხოსა და მისი მეგობრებისათვის ცხადი გახდა ცამეტი საუკუნის წინათ მცხოვრები თემესტიასა და მისი უბედური მიჯნურის,

კალატოზ მიქელას ტრაგიკული სამიჯნურო თავგადასავალი“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 91).

მიხო აღმატებულია ყოველივეთი, რაც იხილა და მოისმინა. „... მოდი და ნუ გაეცნობი იმ საფეხურებს, იმ კვარცხლბეკსა, საცა პირველად ქართველმა გააღმერთა სილამაზის კულტი ქალის სხეულის სახით... შემდეგ ჯვარი, მოყვასთათვის თავადების სიმბოლო და ახლა კიდევ რეალ სინათლის და სითბოს მომცემი ჩქერი ისტორიული მტკვრისა, ესეც სიმბოლო მუდმივი მოძრაობისა, წინსვლისა და წარმატებისა“ (დადიანი, 1958: 384).

ახალგაზრდა ხუროთმოძღვრებმა მყარი გადაწყვეტილება მიიღეს, განახლონ არა მარტო ჯგრის მონასტერი, არამედ სხვა ეკლესია-მონასტრებიც. მაგრამ მათ გადაწყვეტილებაში იკვეთება აზრი, რომელიც ჩვენი წარსულისათვის, 20-30-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. „...ყველა ეს ძვირფასი ნაშთები ქართული გენისა უნდა განახლდნენ, შენახულ და გამონახულ იქნან სადღეისო საჭიროებისათვის. მაგ., რადიო საღგურები, საავიაციო ანგარები, ახალი ცხოვრება უნდა ეღირსოთ ამ საუკუნოებით გამომდგარ კედლებს. ახალი სული უნდა შთაებეროს მათ... თითქოს გამოუსადეგ ციხე-დარბაზებს უნდა მიეცეს საჭირო მნიშვნელობა...“ (დადიანი, 1958: 388).

ა. ნიკოლეიშვილის მართებული მოსაზრებით „ამ ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ, სამწუხაროდ, ჩვენი წარსულის არაერთი უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლი შეიწირა და მოსპო სამუდამოდ“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 91).

1933 წელს ურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა შ. დადიანის მოთხოვა „ფერისცვალება“. სამწუხაროდ, ეს ნაწარმოები დასრულებული არაა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მწერალს სურდა ეჩვენებინა ახალი ცხოვრება და მისი გავლენა ადამიანის ცნობიერებაზე.

მოთხოვაბის მთავარი პერსონაჟია ინდიკო. მას დედა ადრე გარდაეცვალა. მამა და ბებია კი ანებივრებდნენ თბოლ ბაგშვებს. მამაც მალე გარდაეცვალა, ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ ინდიკო ცუდ გარემოში მოხვდა, რამაც იგი ციხემდე მიიყვანა... მოთხოვაბაში მოქმედება მიმდინარეობს 20-იანი წლების დასასრულს. ციხეში ინდიკო დაუახლოვდება ერთ პატიმარს, რომელსაც მტკიცებ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ გათავისუფლების შემდეგ სასარგებლო საქმისათვის მოეკიდა ხელი, მექანიკოსი გამოსულიყო. მოთხოვაბა აქ წყდება,

მაგრამ სათაურიდან გამომდინარე, გვჯერა, რომ ინდიცო მართლაც იცვლის ფერს...

ამრიგად, „ა.თ.ქ“-სა და ნაწილობრივ „ფერისცვალებაში“ შ. დადიანმა დაგვიხატა 30-იანი წლების ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების სურათები, სადაც აქცენტი მხოლოდ გარეგნულ მხარეზეა გაკეთებული.

თ) მეორე მსოფლიო ომის ასახვა

ქართულ მწერლობაში ომის თემაზე არაერთი დირსშესანიშნავი ნაწარმოები შეიქმნა. ბუნებრივია, შ. დადიანიც ვერ აუგლიდა გვერდს მეოცე საუკუნის ისეთ უდიდეს ტრაგიკულ მოვლენას როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა მისი მოთხოვნები, რომლებიც ომის თემაზეა დაწერილი. ესენია: „თამბაქო“, „განგაშა“, „დაუწერელი პოემა“, „საომარი შემართებანი“.

მოთხოვნა „თამბაქო“ უფრო ნაჩვენებია ზურგის ცხოვრება. ფრონტის ამბებს კი მხოლოდ მებრძოლთა ბარათებით ვგებულობთ.

ნაწარმოებში ნაჩვენებია თუ როგორ შეიფარებს ქართველი გოგონა დესი ჩრდილოეთიდან ჩამოსულ, ევაკუირებულ ლიუდმილას. „...უთუოდ მალე შევეწყობით... სახელი კი მშვენიერი რქმევია. ლიუდმილა ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, „კაცთა სამური“ გამოვა...“ (დადიანი, 1958: 451) – ფიქრობს დესი. ამ მომენტზე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეო, რაგდან შ. დადიანი ხშირად მიმართავს თავის ნაწარმოებებში პერსონაჟთა სახელების ორმაგ დატვირთვას ანუ „მოლაპარაკე სახელებს“. მაგალითისთვის გავიხსენოთ: სისინა („იახში ხანუმ“), განგაშა („განგაშა“, ლიუდმილა „თამბაქო“).

დესი ობოლია, ის ძმამ გაზარდა, რომელიც ახლა ომშია. მოთხოვნიდან ცხადი ხდება, რომ დესი ძალიან ყოჩალი და გამრჯეა. ის დაუსწრებელზე სწავლობს და თან ფაბრიკაში მუშაობს. დესი ქართული სტუმართმოყვარებით გაუმასპინძლდა ლიუდმილას, შეიყვარა და დაუმეგობრდა. დესის ძმა, პეტრე და ლიუდმილას შვილი, იგორ სოკოლოვი ფრონტზე იმყოფებოდნენ. სწორედ მათი ბარათებით ვეცნობით ომის ამბებს.

„ავტორს ფართოდ გამოუყენებია სამამულო ომის დროს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები და ცდილა „რეალისტურად“ აეწერა

ფრონტული ცხოვრება, მძაფრი შეტაპებებით, მზვერავთა ჯგუფების საქმიანობით, სისხლისმდვრელი იერიშებით და თავდაცვითი ბრძოლებით (ციციშვილი, 1974: 247). ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში იგორის სიცოცხლე მტერმა შეიწირა, პეტრე კი გამოიჩენს სიმამაცეს და გმირის წოდებას დებულობს. ბუნებრივია, იგორის სიკვდილმა ორივე ქალი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ „...გავიდა რამდენიმე დღე. ამ ორივე ქალის ცხოვრება თითქო თავისი გზით წამდინარდა. ...იგორის სიკვდილმა სრულიად მიჩრდილა ამ ოთახში და დესის გულშიც მისი მმის სასიხარულო მდგომარეობა“ (დადიანი, 1958: 473).

ერთადერთი შვილის დაღუპვის შემდეგ ლიუდმილას პერსონაჟში იკვეთება მისი მებრძოლი ხასიათი. ის კვლავ განაგრძობს მუშაობას და უფრო მეტი თავდავიწყებითაც კი. ნაწარმოების ბოლო სტრიქონებიდან ირკვევა, თუ რატომ პქვია მოთხრობას „თამბაქო“. ერთ დღეს დესი დაინახავს, რომ „...ლიუდმილა იჯდა სავარძელში, გასცემროდა სარკმელს და თამბაქოს აბოლებდა. დესიმ კინალამ მიაკივლა: –როგორ დეიდა ლიუდმილა, თქვენ ეწევით? ლიუდმილა თითქოს რაღაც ღრმა ფიქრებისაგან გამოერკვაო, თავი მიიბრუნა და დესის სრულიად უბრალოდ უპასუხა: –დიახ, დავიწყე თამბაქოს წევა, თან ღიმილი დააყოლა“ (დადიანი, 1958: 476).

სამართლიანად მიუთითებს გ. ციციშვილი, რომ „...შ. დადიანის ეს საქმაოდ ვრცელი პროზაული თხზულება ვერ დაიქადნის მხატვრულ სრულყოფას...“ (ციციშვილი, 1974: 247). მაგრამ მოთხრობა „თამბაქოს“ გარკვეული მნიშვნელობა მაინც პქონდა. მწერალმა ოსტატურად დახატა რიგითი ადამიანების დასამახსოვრებელი სახეები, ავტორი მთელი ნაწარმოების მანძილზე ცდილობს ღრმად ჩაგვახედოს მათს სულიერ სამყაროში.

ომის თემაზეა დაწერილი შ. დადიანის მეორე მოთხრობა „განგაშა“. მის შესახებ შ. დადიანი წერს: „...„განგაშას“ შინაარსი გადმომცა გარე კახელმა გლეხმა, ნიკა დულარიძემ, რაიც ეხება მისი ვაჟის თავგადასავალს და მოთხრობაც მასვე ვუძღვენი...“ (დადიანი, 1958: 533). შ. დადიანის არქივში ინახება „განგაშას“ მასალები. მოთხრობას პირველ ვარიანტში ერქვა „მოსაოხი“ და სათაურის ქვემოთ ეწერა: „ძღვნად ნიკა დულარიძეს“.

მწერალმა მოელი სათქმელი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის წერილებში მოაქცია. ამ წერილებით შ. დადიანმა მეტად მოხერხებულად და ოსტატურად დაგვიხასიათა ქართველი ადამიანები, როგორდაც „შიგნიდან“ გახსნა მათი ხასიათები. წერილებიდან ირკვევა, თუ როგორი სპეციალი სიყვარული

აკავშირებდათ ერთმანეთთან ნაწარმოების მთავარ პერსონაჟებს – მიხეილ დულარიძესა და მერი ლორთქიფანიძეს.

მიხეილი მწერალს დახატული პყავს, როგორც „მშობლიური“ ქავენის კეთილდღებისათვის თავდადებული ადამიანი. ის თითქოს ივიწყებს, იმორჩილებს ყველა სხვა გრძნობას და მერის სწერს: „...თუ რამე მოხდა... ამასაც უნდა შეეგუო. კარგად იცი, რომ სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება უმსხვერპლოდ არ იქნება“ (დადიანი, 1958: 480). მართლაც მფრინავი მიხეილი იღუპება. როცა ამ ტრაგედიას გაიგებს მერი, გულს შემოეყრება, დაეცემა, კიბის ნაწილის დაარტყამს საფეხქელს და გარდაიცვლება. მერის გარდაცვალებამდე, ორიოდე წუთით ადრე, შვილი შეეძინება, რომელსაც მისი სურვილის თანახმად განგაშას დაარქმევენ. „...ამ პატარა კიბის საფეხურთან სრულდებოდა ბუნების ორი უდიდესი აქტი: ერთი სიკვდილისა, ცხოვრებიდან განსვლისა და მეორე – წარმოშობისა, დაბადებისა, ცხოვრებაში შემოსვლის. ერთი ადამიანი ესალმებოდა სიცოცხლეს, მეორე კი სალამს აძლევდა“ (დადიანი, 1958: 490).

მერისა და მიშას ოჯახების იმედი ახლა პატარა განგაშა იყო. „...ერთიცა და მეორეც მასში თავისი უდროოდ დაკარგული შვილის განსახიერებას ხედავს, ერთიცა და მეორეც თავისი შვილის ქამმოკლე სიცოცხლის გაგრძელებას“ (დადიანი, 1958: 491). ასე მთავრდება შ. დადიანის ეს ნაწარმოები, რომელშიც მოთხოვთ ამბავი განსაკუთრებულ თანაგრძნობას იწვევს, რაც მწერლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ განხილულ მოთხოვთაგან კომპოზიციურად რამდენადმე განსხვავდება „დაუწერელი პოემა“ და „საომარი შემართებანი“, ამჯერად მწერალმა მიმდინარე ომის ამბები დაუკავშირა ისტორიულ წარსულს.

„დაუწერელი პოემის“ შესახებ შ. დადიანი წერს: „...დაუწერელი პოემა“ მივუძღვენი ომში დაღუპულ ახალგაზრდას, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს ჩახავას“ (დადიანი, 1958: 533).

მოთხოვბაში ავტორმა გამოიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი გური მილორაა, რომელიც ლიტერატურითაც არის დაინტერესებული. მას გადაუწყვეტია დაწეროს ისტორიული პოემა ცნობილ მამულიშვილზე დავით მაჩაბელზე. ამ პიროვნების ცხოვრება და ტრაგიკული ბედი მოსვენებას არ აძლევს გურის. ის ყველგან თავის მომავალ როლებსა და ისტორიულ პოემაზე ფიქრობს. მან შეაგროვა მასალები დავით მაჩაბელზე და პოემის პროზაული ვარიანტის დაწერა დაიწყო. მაგრამ ამ დროს იწყება ომი და გურიც ომის

მონაწილე ხდება. იქაც ახერხებს და ხშირად ფიქრობს თავის პოემაზე გური... ასე მივიღეთ მოთხოვობა მოთხოვობაში.

შ. დადიანმა ამ ორი პიროვნების დაღუპვას ერთი საერთო მიზეზი მოუძებნა – თავგანწირვა „მშობელი“ ქვეყნის ინტერესებისათვის. მწერალმა „დავით მაჩაბლის... გმირულ მამულიშვილურ თავგანწირვას მოთხოვობაში შინაგანად დაუპირისპირა გური მილორაას ვაჟკაცური თავდადება მოსკოვისათვის. ერთის მხრივ, კრწანისის ბრძოლა და გმირული აღსასრული საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მეორეს მხრივ კი „დიდი სამშობლოს“ გადარჩენისათვის თავგანწირვა და მოწამეობრივი სიკვდილი მოსკოვის დასაცავად (ნიკოლეიშვილი, 2003: 93).

გური მილორაა დავით მაჩაბელისგან განსხვავებით ფაქტია, რომ სხვის თავისუფლებას შეეწირა, თუმცა მწერალი თავის გმირს ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: „ჩემი სამშობლო უფრო დიდია, დავით! ... საბჭოთა მოქალაქე ვარ, უსაზღვრო დიდი სოციალისტური სამშობლოსი... სადა ვართ ახლა! დიდი რუსეთის ყინულოვან ველზე... „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“... ამას მე ვერ ვიტყვი, ვერა... ეს ჩემი მამულია, სადაც მე ახლა სისხლისაგან ვიცლები... ეს მე ორგანულად მაქვს შეთვისებული...“ (დადიანი, 1958: 446).

„...გური, მილიონობით იმდროინდელ ადამიანთა მსგავსად, მართალი იყო, ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, მართალი იმიტომ, რომ იმხანად მას ასე სწამდა. მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ მისი რწმენა ცრუ ილუზია გამოდგა, თვალსაზრის გაწილებული კაცის ყალბი იდეალი“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 94).

ასევე წარსულისა და თანამედროვეობის დაპირისპირების ფონზეა აგებული პატარა მოთხოვობა „საომარი შემართებანი“. მოხუცი პედაგოგი ეგნატე ბალურაშვილი „პრავდის“ ფურცლებზე ეცნობა მეორე მსოფლიო ომის ამბებს, ფიქრით კი შორეულ წარსულს გადასწვდება, გაახსენდება წაკითხული – ვახტანგ გორგასლის დროინდელი ერთი ამბავი, თუ როგორ დაამარცხა ვახტანგმა თარხან-ხაზარი, აქაც შ. დადიანის პროზისათვის დამახასიათებელ ელემენტს ვაწყდებით: მოთხოვობაში კიდევ პატარა მოთხოვობაა მოცემული.

ეგნატეს მისი ძმისწული ირაკლი ამცნობს ასეთ ამბავს: „...მუხთლად დაგვესხნენ თავს გერმანელი ფაშისტები...“ (დადიანი, 1958: 529). ეგნატე დანანებით ამბობს: „...ეეჲ, რატომ არა ვარ ახალგაზრდა? ეგ კიდევ არაფერი! რატომ არა ვარ ჯანმრთელი?..“ (დადიანი, 1958: 330). მას სურვილი აქვს, რომ

მტერს ქართული შემართება უჩვენოს, მაგრამ, სამწუხაროდ ეს შეუძლებელია. ამ ნაწარმოებშიც პერსონაჟები ისევე ფიქრობენ და განიცდიან, როგორც გური მილორაა („დაუწერელი პოემა“).

როგორც ვნახეთ, შ. დადიანმა გვიჩვენა ომის საშინელებანი და ის ადამიანები, რომლებიც ომში არ იბრძოდნენ, მაგრამ მაინც მათი ცხოვრებით ცხოვრობენ. ნათლად დაგვიხატა პერსონაჟები და ამიტომაცაა, რომ დესის, ლიუდმილას, მიხეილის, მერის, გურის სახეები დიდხანს ამახსოვრდება მკითხველს.

შ. დადიანის პირველი მოთხრობები მხატვრულობის თვალსაზრისით დიდად არ გამოირჩევიან, მაგრამ მათში თანდათანობით იგრძნობა სტილის დახვეწა და მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენა.

შ. დადიანმა შესანიშნავად იცოდა, რომ თუ სათქმელი სათანადო მხატვრულ სამოსელში არაა გახვეული, ის ვერ იქნება ესთეტიკური ტემპის საშუალება. ამიტომ ის მიმართავდა მხატვრული მეტყველების სხვადასხვა სახეს, როგორიცაა: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი და ა.შ. ტროპის ეს სახეები მაღლა სწევენ ნაწარმოების მხატვრულ დონეს. გარდა ამისა მათი გამოყენება ამრავალფეროვნებს ნაწარმოების საერთო დირებულებას და ხელს უწყობს გმირთა სახეების მკაფიოდ გამოძერწვას.

შ. დადიანის მხატვრულ პროზაში დიდ როლს ასრულებს სიმბოლო, ალეგორია, ირონია. ყოველივე ამით მწერალი ამდიდრებს თავისი ნაწარმოების ენას, მის საერთო დირებულებას. სიმბოლო, რომელიც წარმოადგენს გადატანით ნახმარ სიტყვას, ხშირადაა გამოყენებული ნამდვილის მისანიშნებლად. მწერლის შემოქმედების სიმბოლური აზროვნების დასახასიათებლად მნიშვნელოვანია მოთხრობა „უბის წიგნაკიდან“ ერთი პასაჟი:

„...მციოდა და მინდოდა შევმობარიყავ განთქმული კოპიტის შეშა იყო. თუმცა ნედლი, მაგრამ მაინც... განთქმული.

დაინთო კიდეც, მხოლოდ რამდენი ხელის შეწყობა დასჭირდა, სანამ რიგზე აპრიალდებოდა.

აი, ქვევით პატარა ნაფოტები როგორ წრფელად იწვიან – ესენი პიონერებია, ცეცხლის გამჩენი – ზევით კი მომსხო, დაუპობელი ნამორები როგორ უძალიანდებიან, არ ნებდენიან ცეცხლის ჯერ გაუბედავ ალებს.

ნაფოტი კი რამდენი დაიწვა, ზოგიც თითქო სულ უსარგებლოდ, მათი ალი არც კი გაკარებიათ „ზემოურბს“.

მაგრამ სიმხურვალე ხომ შექმნეს, ის საჭირო ტემპერატურა, საცა, უთუოდ, ბოლოს დიდი ცეცხლი გაჩაღდება...

თუმცა როდესაც ყველა დაიწვა, რა დარჩა?

– ნაცარი.

ნუთუ ეს არის ყოველივეს ბოლო?

ოთახში ხომ დარჩა სითბო?“ (დადიანი, 1958: 200).

შ. დადიანი პეიზაჟის ხატვის დიდებული ოსტატია. დასამახსოვრებელი ბუნების სურათები შექმნა მწერალმა მოთხრობაში „სამსონის თმები“:

„ტყის ახალგაზრდა და ხშირ ფოთლებშუა ძლივს აღწევდა ზაფხულის მოელვარე, მცხუნვარე მზის შუქი. ცოცხალ და მანათობელ მაგოულებად, ქსელივით გაბმულიყვნენ ოქროს სხივები და ტყის ლამიან ნიადაგზე რაღაც საოცნებო სახეებს ჰქარგავდნენ...“

ფოთლები რაღაცას ჩურჩულებდნენ, მაგრამ ეს მათი იდუმალი ჩურჩული, ეს ნელი მათი შრიალი იყო, თითქოს, თვით დიადი მჭერმეტყველური მდუმარება უცნაურის ბუნებისა... ერთ დიდ მუხას თავისი ფეხვები შორს გაეშალა, თითქოს ამ ტყის წარჩინებული ეგ არის და სხვა წვრილმანებს ახლოს არ იკარებსო...“ (დადიანი, 1958: 318).

შ. დადიანი მოქმედი პირის დახასიათების მიზნით ხშირად იყენებს აგრეთვე დიალექტიზმებს. მწერალი სიტყვიერი მასალით გვაგრძნობინებს თუ რომელი კუთხის წარმომადგენელთან გვაქს საქმე. ავტორი მოთხრობაში „საზღაპრო ქვეყანა“ მთავარ მოქმედ პირს იმერულად ამეტყველებს:

„იმე! ქე არ შეგიწუხდით!.. ქე ვიცოდი, ამ საქმეს ცოტა ფული უნდოდა, მარა ისე იოლ-იოლ მინდოდა წასვლა, რა ვიცი, მესმოდა სხვები ქე ახერხებსო და!“ (დადიანი, 1958: 224).

„ახლა ჩემი სწავლა-განათლების ამბავი მინდა გიამბოთ, მარა რადა გეგიმეორო. გიმნაზიის ოთხი კლასი მეც ქე გამევიარე, მაჯახრიკა მამაჩემმა... კიდევ წინ წევიდოდი, მარა მშობლებმა მიღალატებ“ (დადიანი, 1958: 220).

„არა, ქე ამბობენ კოწია გადარიბდა, არაფერი არ აქო, მაგრამ მაინც ბედნიერად ქე ცხოვრობს ი კაცი, მაინც კაი დროს ატარებს: წუხელი ისთე იქვიფა და ახლაც რავალი ქალი მიმყავს იმ ოხერთახო“ (დადიანი, 1958: 122).

აღსანიშნავია აგრეთვე შ. დადიანის პროზისათვის დამახასიათებელი ერთი საინტერესო მომენტი, მწერალი რამდენიმე ნაწარმოებში ჩაურთავს ხოლმე სულ სხვა ამბავს. ამგვარად ვღებულობთ მოთხრობას მოთხრობაში. ამ

თვალსაზრისით საყურადღებოა მოთხოვები: „შვილი“, „სამსონის თმები“, „დაუწერელი პოემა“.

შ. დადიანის მოთხოვები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ თავში ჩვენ განვიხილეთ: ა) არისტოკრატიის დეგრადაციის თემა, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ამ მხრივ პრინციპულად ახალი არაფერი უთქვაშს, მის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ის კარგად ამჩნევდა ამ ადამიანთა ტრაგედიის მიზეზებს; ბ) ბურუჟაზის პირველ წარმომადგენელთა სახეები და სოციალური ჩაგვრის მხილება – ამ თემით შ. დადიანმა ქართულ მწერლობაში თემატური სიახლე შეიტანა. მოთხოვებათა ამ ციკლით მან გააშიშვლა კლასთა დაპირისპირებისათვის დამახასიათებელი ჩაგვრა და შევიწროება, მაგრამ არ დავიწყებია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიც; გ) ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მხატვრული სახეები – ამ მოთხოვებში მწერალი გვიხატავს ინტელიგენტთა ისეთ სახეებს, რომლებიც ვერ პასუხობენ ეპოქის გამოწვევებს, არიან პასიურები და დასაღუპად განწირულები. ამიტომაც მწერალი მათ მიმართ თანაგრძნობითა და სიბრალულით არის განწყობილი; დ) მოთხოვები ისტორიულ თემებზე – აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ „უბედური რუსის“ ავტორი ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდა საკუთარი ქვეყნის ისტორიას და ცდილობდა ისტორიულ თემაზე შექმნილ მოთხოვებში აღწერილი ამბებით გარკვეული გაკვეთილი მიეცა თანამედროვეთათვის; ე) ოჯახის, ქალისა და სიყვარულის პრობლემა – შ. დადიანს მართებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული აღნიშნულ საკითხებზე. ის ქალში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდა მამაკაცის თანასწორუფლებიან არსებას, საზოგადოების ღირსეულ წევრს, რომელსაც შეუძლია აქტიურად იმოქმედოს საზოგადოების საკეთილდღეოდ; ვ) სიკეთის თემაზე შექმნილ მოთხოვებში მწერალი ცდილობს მკითხველს ჩაუნერგოს რწმენა სიკეთის უძლეველობაზე და მის საბოლოო გამარჯვებაზე. მას წამს, რომ სიკეთის საკეთებლად რჩეულობა სულაც არ არის აუცილებელი; ზ) „ახალი ცხოვრების“ ამსახველი მოთხოვები – 20-30-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებებში შ. დადიანმა დაგვიხატა ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების სურათები, სადაც აქცენტი მხოლოდ გარეგნულ მხარეზეა გაკეთებული; თ) მეორე მსოფლიო ომის ასახვა – ამ ციკლის მოთხოვებათა უმრავლესობაში ზურგის ცხოვრებაა ნაჩვენები. პერსონაჟები, მართალია, ომში არ იბრძვიან, მაგრამ მათი ცხოვრებით ცხოვრობენ. მათვის ეს ომი სამამულო ომადაა

აღიარებული. იმხანად მათ ასე სწამდათ, მაგრამ მომავალში დრომ ეს თვალსაზრისი გადააფასა. მართალია, შ. დადიანის მოთხოვნები თავიანთი მხატვრული დირექტულებებით მისი სხვა ბელეტრისტული თხზულებების სიმაღლეზე ვერ დგანან, მაგრამ მათი შესწავლის გარეშე სრულყოფილი წარმოდგენა ვერ შეგვექმნებოდა მწერლის მხატვრული პროზის შესახებ.

თავი მეოთხე

რომანები

რომანმა ისტორიული განვითარების დიდი გზა განვლო. მის ჩანასახს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვხვდებით (იამღლიხის „ბაბილონური მოთხოვობები“, ჰელიოდორეს „ეთიოპიკა“, ლონგოსის „დაფნისი და ქლოე“). XII-XIII საუკუნეებში ვრცელ თხოვობით ჟანრებს, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ანტიკურ და ფეოდალურ-სარაინდო ლიტერატურებში, ჩაენაცვლა ახალი ჟანრი – რომანი.

„რომანული ჟანრის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებაზე, მის განვითარებაზე საქართველოში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ XIX საუკუნიდან... ხოლო მისი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბება მოგვიანებით მოხდა“ (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008: 304).

ქართული რომანის სათავეებთან სხვებთან ერთად (ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი, მ. ჯავახიშვილი...) შ. დადიანიც იდგა. მისი რომანებია: „უბედურ რუსი“, „გვირგვილიანების ოჯახი“, აგრეთვე საყურადღებოა დაუსრულებელი რომანები „ურდუმი“ და „გმირები“.

ა) „უბედური რუსი“

ისტორიული რომანი ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საზღვარგარეთის, ისე ქართულ ლიტერატურაში. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ პროსპერ მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“, ალ. დიუმას „დედოფალი მარგო“, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, ალ. ტოლსტოის „პეტე პირველი“, ვ. ბარნოვის „ტრფობა წამებულისა“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და „დიდოსტატის მარჯვენა“. ისტორიული რომანის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია შ. დადიანის „უბედური რუსი“.

შ. დადიანი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიული წარსულის მიმართ. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თვითონ მწერალი მოგონებათა წიგნში „რაც გამახსენდა“. „...რომ მოვიწიფე, ჩემს ერთგვარ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში... ყველა ამაზე ვწუხდი ჩემებურად და აფორიაქებული ვიყავი... სადმე ერთი საყურადღებო ეპიზოდის გამოჭერას... ვლამობდი.

და აი თამარ მეფე და მისი ხანა.

იმ დროს უკვე დიდად მოკეთებული, გაძლიერებული, მორჭმული და სახელოვანი ბიზანტია ისტორიული პირობების გამო უკვე ჩამოქმედითებული იყო და არაბეთსაც თავისი ძველი გავლენა აღარა ჰქონდა. ამ დროს კი საქართველო თავისი კულტუროსნობით და სამხედრო ძალით უკვე დიდად შესამჩნევი იყო. ამისთანა ხანა გვქონდა ქართველებს და ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს? მერე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წავაწყდი, თამარის გათხოვების საკითხეს...“ (დადიანი, 1959: 192-193).

ასე დაიბადა იდეა „უბედური რესის“ დაწერისა, თუმცა ამ ნაწარმოების შექმნა მწერალს „ვარამზე“ მუშაობისას გასჩენია. ისტორიული დრამისათვის მას სჭირდებოდა თამარის ეპოქის შესწავლა, ამ დროს ძალიან დიდი მასალა დაუგროვდა, რომელსაც ერთ მოთხოვბაში ვერ ჩაიტევდა: „სულ პაწია მოთხოვბათ იყო ეს ამბავი განზრახული და მისი დაწერის იდეაც მომწიფდა მაშინ, როდესაც „ვარამს“ ვწერდი და ვეცნობოდი თამარის ეპოქას, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილით. ის იყო სურამში დავიწყე და ვუგზავნიდი გაზე. „საქართველოს“ ალ. შანშიაშვილის რედაქტორობით რომ გამოდიოდა 1916 წელს, მაგრამ თანდათან ამბავი იზრდებოდა, შემდეგ ერთ ხანობაზე შეწყდა კიდეც „საქართველოს“ დამატების გამოცემა და ამან მეც დამიკარგა ხალისი რომანის გაგრძელებისა, თუმცა არასოდეს ფიქრთაგან არ გამშორებია მისი დამთავრება“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11. ხ - 11276/200).

შ. დადიანის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ, „უბედური რესის“ გარდა, მას ჩაფიქრებული ჰქონდა კიდევ ორი რომანი, რომლებიც აგრეთვე თამარ მეფის ცხოვრებას მიეძღვნებოდა. „წრეულს გაზაფხულს „უბედური რესის“ წერის დროს უკვე უფრო გარკვეულათ განმიმტკიცდა ის აზრი, რომ დავწერო კიდევ ორი რომანი თამარის ცხოვრებიდან, რომ „უბედურ რესიან“ ერთად მათ შექმნან სამება თამარის ცხოვრების სრულად აღმწერელნი

მხატვრულ ფორმებში, დაბადებიდან დაწყებული თვით სიკვდილამდე. მაშასადამე, აქ გამოისახება გიორგი III-ის დრო, კარგა ხელმოდებით, დემნა ბატონიშვილის ტრაგედია სავსებით, ეს პირველ ნაწილში და უკანასკნელში კი მეფობა დავით სოსლანისა, შოთა რუსთაველის ცხოვრების ანარეკლი და უმთავრესად სიკვდილ-სასიცოცხლო შეტაკება კლერიკალიზმისა და მანიქერიზმისა... სახელებიც კი გათვალისწინებული მაქვს ორივე რომანისა „დემნა ბატონიშვილი“ და „მანიქერელი“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11. ხ - 11276/257).

მწერლის ეს სიტყვები მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა, სამწუხაროდ, მან მხოლოდ „უბედური რუსის“ შექმნა შეძლო. შ. დადიანს ესმოდა მთელი სირთულე ისტორიულ რომანზე მუშაობისა. აქ არ იქნება ურიგო, თუ გავიხსენებთ მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს, რომელიც მწერალთა სასახლეში, „არსენა მარაბდელის“ განხილვის დროს წარმოუთქვამს: „...დღეში თითო კვერი საპონი რომ შეჭამო, დაახლოებით ამას უდრის ისტორიული რომანის წერაო...“ (ჭელიძე, ქ. „მნათობი“, 1987, №4). ათი წლის განმავლობაში (1916-1926წწ) მუშაობდა მწერალი „უბედურ რუსზე“. რა დიდი ენერგია სჭირდება ამ ჟანრში მუშაობას, ეს ნათლად სჩანს მწერლის მოგონებებიდან. ამ მხრივ საყურადღებოა რომანის დასასრულს მინაწერი: 1916-1926 წწ, სურამი-ბაქო-აბასთუმანი-ახალციხე- მოსკოვი-თბილისი.

შ. დადიანი მოგონებათა წიგნში წერს მის დამოკიდებულებაზე ისტორიულ წყაროებთან. რომანის დაწყებამდე ის გაეცნო სხვადასხვა საისტორიო წყაროებს, ივ. ჯავახიშვილისაგან იღებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ეცვათ მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს, რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორი საკრავიერები პქონდათ და სხვ. აგრეთვე მოსე ჯანაშვილმა მიაწოდა თითქმის ყველა საომარი იარაღების სახელწოდებანი. ბუნებრივია, მწერალს არქივებშიც მოუხდა მუშაობა და ასეთი გარჯით თითქმის ათი წელიწადი წერდა „უბედურ რუსს“.

ცარიზმის ბატონობის პერიოდში, როცა ყველაფერი ეროვნული გათელილი იყო, საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანაზე“ ყურადღების აქცენტირება მწერლის დიდ დამსახურებაზე მიუთითებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის წერილი: „მხატვრული მწერლობა საზოგადოებაზე ისტორიულზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და ამ მხრივ ჩვენი ეროვნული შეგნების განმტკიცებისათვის მეცნიერებაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. სამწუხაროდ, შინაური ყოფა-ცხოვრება და ნივთიერი

კულტურის, ზნე-ჩვეულებათა, ტანისამოსისა, თავსაბურავისა და სხვაც ბევრი ამგვარი ისტორია ჯერ შესწავლილი არა გვაქვს და ეს გარემოება თანამედროვე მწერალს საქმეს უძნელებს... მაგრამ უქვემდება ეს ნაკლიც შეივსება. მაგრამ მანამდე ხომ შემოქმედება ვერ დადუმდება და შეუმცდარობას ამ ქვეყნად ვერავინ და ნურავინ დაიჩემებს“ (ჯავახიშვილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №4, 1939).

ი. ჯავახიშვილის ამ წერილში ნაჩვენებია ის სიძნელეები, რომელიც რომანის ავტორს უნდა გადაელახა. შ. დადიანმა დიდი დროისა და ენერგიის ფასად შესანიშნავად მოახერხა ამ სიძნელეთა გადალახვა. „...მწერლის ამგვარ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუგლია და დაიწერა უაღრესად საგულისხმო რომანი, საგულისხმო არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული დონით, არამედ ისტორიულ-მეცნიერული სიმართლითაც. ნაწარმოებში მეტწილად ობიექტური კეთილსინდისიერებით გაცოცხლდა თამარისდროინდელი საქართველოს ყოფის მრავალი საგულისხმო მომენტი, განზოგადებული ფორმით აისახა და შეფასდა ისტორიული მოვლენები და იმხანად ჩვენში მიმდინარე პროცესები“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 106).

შ. დადიანის დამოკიდებულებას ისტორიულ წყაროებთან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ, რათა გვეჩვენებინა რამდენად ტენდენციური, არაობიექტური იყო მწერლის მიმართ სალიტერატურო კრიტიკა, როცა მას ბრალად სდებდა ისტორიულად ცნობილი ფაქტების შელამაზებას. „...მთავარი ბრალდება ის იყო, რომ მე რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე არ აღვნიშნე, თუ ვერ აღვნიშნე, და თითონ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობაც მეტად შელამაზებულად მქონდა აღწერილი“ (დადიანი, 1959: 195).

პლატონ ქიქოძემ რომანის იდეებს კომიკური უწოდა (ქიქოძე, 1928: 178), გიორგი ნატროშვილმა კი „უბედური რუსი“ აღიქვა როგორც მწერლის იდეური მარცხი, სადაც ისტორია ისეა წარმოსახული, რომ საგულისხმოს არაფერს შეიცავს და მკითხველისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. მისი აზრით, რომანი წარსულის არასწორი გაშუქებაა. კრიტიკოსი თვლიდა, რომ სახელგამმა და „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ უხეში შეცდომა დაუშვეს, შალვა დადიანის მანკიერი წიგნი რომ გამოაქვეყნეს (ნატროშვილი, 1952).

შალვა დადიანმა მოახერხა დაემტკიცებინა ამ ბრალდებების უსაფუძვლობა. მოვიყვანო ერთ ამონაწერს მწერლის მოგონებებიდან: „...ჩემი

პასუხი მაშინაც ეს იყო და დღესაც ეს არის, რომ მე არაფერი შელამაზებული არა მაქვს, არამედ ყველა ჩემს მიერ გამოყვანილი მოვლენები და სახეები ისტორიულ დოკუმენტებზეა დამყარებული... რაც შეეხება რუსეთის გავლენას მეთორმეტე საუკუნეში, საქართველოსთან დამოკიდებულების დროს, რადა თქმა უნდა, სრულიად არ იგრძნობოდა, რადგანაც მაშინ რუსეთი არ იყო გაერთიანებული ერთ სახელმწიფო ერთეულად... ასე რომ ჩემ რომანში ამ მხრივაც ისტორიულ სიმართლისთვისაც არ გადამიხვევია...“ (დადიანი, 1959, 195).

აღსანიშნავია, რომ არაობიექტური იყო კრიტიკა სხვა ბრალდებების დროსაც. აქ იგულისხმება აზრი იმის შესახებ, რომ „უბედურ რუსში“ იდეალიზირებულად არის დახატული თამარის გვოქა, რომ დიდებულთა გვერდით არ გვიჩვენა ხალხის წარმომადგენლები და სხვ.

ეს უსაფუძვლო ბრალდებები აღმოცენებული იყო რომანის ძირითადი კონცეფციის გაუთვალისწინებლობიდან, აგრეთვე იმ ამოცანებიდან, რასაც სალიტერატურო კრიტიკა აკისრებდა ისტორიული ჟანრის ნაწარმოებს.

საყურადღებოა რომანის სათაურის ცვლილებასთან დაკავშირებული ისტორია. შალვა დადიანი მოგონებათა წიგნში რომანს პირველად მოიხსენიებს, როგორც „უბედურ რუსს“, შემდეგში „გიორგი რუსიად“ წოდებულს (მწერლის სიტყვებია). არის ვარაუდი, რომ მას პირველად „ანდერძი“ უნდა რქმეოდა. ამის შესახებ მიუთითებს ანდრო აბრამიშვილი, რომელიც ეყრდნობა შ. დადიანის განცხადებას: „ს. გურჯაანში გზად მომავალმა დავკარგე შავი პორტფელი, რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიუნია“, მოთხოვა „ტყვე“, მერეჭვოვსკის „ლეონარდო და-ვინჩის“ თარგმანი (პირველი წიგნი), ისტორიული რომანის „ანდერძის“ მასალები და სხვა წვრილმანი წერილები და საარტისტო მოწმობები.

არავისათვის ეს ნაწერები და ნაშრომები გამოსადეგი არ არის, ჩემთვის კი ძვირფასია“ (გაზ. „საქართველო“, 1915 წლის 21-26 აგვისტო).

ანდრო აბრამიშვილის აზრით, „...რომანი „ანდერძი“ პირველი სახელწოდება უნდა იყოს რომანისა „გიორგი რუსი“ („უბედური რუსი“), რომელზედაც ავტორი მუშაობდა 1916-1926 წლების მანძილზე...“ (აბრამიშვილი, 1968: 202-205).

რომანის სათაურთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის ეპა ბუჯიაშვილიც. ის მწერლის პირველული ტრაგიზმის მაგალითად იხსენებს იმ აურზაურს, რაც შ. დადიანის „უბედური რუსის“ გამოქვეყნებას მოჰყვა.

„....უბედური რუსი“ პლენუმზე საგანგებოდ განუხილავთ განრისხებულებს – როგორ შეიძლება რუსი უბედური იყოსო და, საბოლოოდ, რომანისათვის „გიორგი რუსი“ დაურქმევიათ...“ (ბუჯიაშვილი, „ობილისი“, 1997: 24 აპრილი).

„უბედური რუსი“ აღებულია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. „ისტორიანის...“ ავტორი წერს: „....ამას ესევითარსა მშვიდობასა, მარჯუბასა და ზეობასა შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან, შევიდა სატანა გულსა სუე-უბედურისა რუსისა, სკვით-რამე სახელდებულისა, და სიტყვით აღიძრა წყენად თამარისა...“ („ქართლის ცხოვრება“, 1959: 40-41).

თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ამ კონტექსტში ნახმარი მსახდველი „სუე-უბედური“ იქცა შ. დადიანის რომანის სათაურში იური უფლისწულის ზნეობრივ მახასიათებლად. შ. დადიანის რომანის ბედი შემდგომში ისე წარიმართა, რომ ავტორს ეს სათაური „უბედური რუსი“ დანაშაულად ჩაუთვალეს.

მიგვაჩნია, რომ შ. დადიანმა რომანის პირვანდელ სათაურს - „უბედური რუსი“ ორმაგი დატვირთვა მისცა. ერთი მხრივ, ეს ტერმინი შესანიშნავად ესადაგება ზნეობრივად დეგრადირებული გიორგი უფლისწულის ნამდვილ სახეს და, მეორე მხრივ, მწერალს ეს სათაური უფლებას აძლევდა თავი ემართლებინა „საბჭოური იდეოლოგიის აღზევების“ წლებში, იმ წლებში, როცა დიქტატორული მეთოდები ბატონობდა ყველა სფეროში, რომ ამ შემთხვევაში ის ეყრდნობოდა მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს და ეს სათაური აღებული პქონდა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

თავად მწერალი კრიტიკოსთა ბრალდებებს დაუკვირვებლობით ხსნიდა და მოგონებათა წიგნში ამის შესახებ წერდა: „...ერთი-ორი სამი წელიწადია, რაც ზოგიერთი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და მე ვფიქრობ დაუკვირვებლობის გამო დამიწუნა მთელი მიმართება რომანის შინაარსისა, ამას სამწუხაროდ აჲყვა ზოგიერთი პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასეთ გამოხდომებს. ამას იმიტომ ვამბობ ასე თამამად, რომ ერთმა პიროვნებამ, როდესაც მწერალთა კავშირში მორიგ კრებაზე არჩევდნენ ამ ჩემ რომანს და მე ჩემ საპასუხო სიტყვაში გამოვეკამათე მომხსენებელს, შესვენების დროს მკითხა: „პუზმა რუსი მართლა გყავთ გამოყვანილიო“. მე დიდი ბოდიშით მოვახსენე, რომ

არ გქონიათ წაკითხული მეთქი და ასე... ბევრი რომანის წაუკითხავად მაკრიტიკებდა“ (დადიანი, 1959: 194).

ყოველთვის ახსოვდა შ. დადიანს ის დიდი წყენა, რაც „უბედურ რუსთან“ დაკავშირებით შეემთხვა: „უბედური რუსის“ გამო შავი დღე მაყარეს – ნაციონალისტად, ბაგრატიონების მეხოტბედ გამომაცხადეს“ (ჭილაძა, 1988: 79).

შ. დადიანისათვის ცნობილი იყო, რომ საკუთარი ქვეყნის დაცემაში ყოველთვის შინაურები პირველობდნენ. სწორედ ამიტომ რომანში სააშკარაოზეა გამოტანილი ქართველებისათვის დამახასიათებელი თვისებები: შუდლი, მტრობა, ინტრიგა და ა.შ.

რომანი ასეთი სურათით იწყება: ქ. სუნჯისაკენ მიემართება დიდგაჭარი ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც დიდი მისია აქვს დაკისრებული: თამარის საქმროდ იური ანდრიას ქე ბოგოლუბსკი უნდა ჩამოიყვანოს. ეს დავალება მას ქართველმა დიდგვაროვნებმა მისცეს, რომლებიც თბილისის ამირამ – აბულა ასანმა დაარწმუნა.

ეს ფაქტი შ. დადიანს შეეძლო „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოეკითხა, მაგრამ მწერალმა უფრო საინტერესო და რეალური ელემენტები შეიტანა რომანში. აბულა-ასანის და საერთოდ დიდგვაროვანთა გულწრფელობა საეჭვო იყო, ამის საფუძველს „ქართლის ცხოვრებაც“ აძლევდა: „ესე ვერა პეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ლირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს“ („ქართლის ცხოვრება“, 1959: 119).

„...ბედისწერის მწარე ირონიად აღიქმება... ის ფაქტი, რომ ისეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის მოგვარება, როგორიც თამარის დაქორწინება იყო, დიდებულების გადაწყვეტილებით, სომები დიდგაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიენდო“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 110).

ზანქანს იმდენად, რა თქმა უნდა, თამარის ბედი (და არა მარტო თამარისა, თამარი ხომ საქართველოს მეფე იყო) არ ადარდებს, როგორც მისი კუთვნილი ასი დრაჟაპანი ბაჯაღლო თქროს დაბრუნება, რომელიც იურის ემართა. „...რა ვქნა, ვაჭარი კაცი ვარ, ასი დრაჟაპანი ბაჯაღლო თქრო დიდი რამ არის, დიდი...“ (დადიანი, 1990: 11). ამ ფაქტით მწერალი გვეუბნება, რომ ანგარებაზე აგებული მმართველობა ადრე თუ გვიან დაინგრევა და ამით ერთგვარი მოტივირება მოგვცა იურის ტრაგედიისა.

ზანქანი ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელ რამოდენიმე თვისებას წარმოაჩენს. „...არა, ძალიან ხალხი კია ეს ქართველები: მიმნდობი, გულპეტილი, დამჯერებელი...“ (დადიანი, 1990: 13),

მიგვაჩნია, რომ ზანქანი რეალისტური სახეა, რადგან ზანქანის მსგავსი გადამთიელნი, ჩვენი კულტურის, ტრადიციების არად ჩამგდებნი მრავლად იყვნენ და არიან მაშინდელ და დღევანდელ საქართველოში. ღირსსაცნობია თუნდაც იმ ადგილის გახსენება, სადაც ზანქანის ფიქრებიდან ირკვევა, რომ მან თავშივე კარგად უწყოდა, რომ იურის დვინო უყვარს, აღმერთებს, მაგრამ „...სანამ ჯვარს არ დაიწერენ არ მივაკარებ და შემდეგ, თავი უმტვრევია მაგასაც და...“ (დადიანი, 1990: 14). მნელი მისახვედრი არ არის, რომ ზანქანი დაუსრულებელ წინადადებაში საქართველოს გულისხმობდა.

ან კიდევ ერთი ასეთი ეპიზოდი: ზანქანი თამარის დაწინდვის შემდეგ იური რუსის ვალს თხოვს ჭიაბერს: „...იურის მართებს ჩემი ასი თუმანი და უბრძანე რომ გამინადდოსო“ (დადიანი, 1990, 270). (თითქოს იჩქარის, მის მიერ დაგეგმილ ბოროტ ნაბიჯს იცის, რაც მოჰყვება). „...ჭიაბერს გული მოუვიდა, რადაც სხვა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენამ ეს გამოთქვა:

—კარგი, ერთი! მცხეთის ტაძარს და მიდამოს არ ეკადრება ასეთი სიტყვები...

ზანქანმა ვერაფერი ვერ გაიგო. გულში კი ფიქრობდა:

„მცხეთის ტაძარი რომელია?!“ (დადიანი, 1990: 271).

აი, ამ ზანქანის ხელშია საქართველო, რომელმაც მცხეთის ტაძარიც კი არ იცის რომელია. „...საუკუნოები მიმადლოდენ. ჩემი ხელი არსადა სჩანს... ვინ წარმოიდგენს, რომ იყო წუთი, როდესაც ხელთ მეჭირა საქართველოს ჩარხი და მე იგი დავატრიალე... სულელები! მაგათ კი ქართველებს, მეფიდან დაწყებული, ყველას პგონია თვით მართავენ თავიანთ საქმეს... ის კი არა, მე ვსწვდი ყურში და... პაიდა! გრიალი მოიღო ბედის ბორბალმა... მე არ მინდა საქართველო დაიღუპოს... საქართველო... ძალიან ტკბილი ლუგმაა. კი არ უნდა დაღუპო, „არც მოკლა და არც აცოცხლო...“ (დადიანი, 1990: 163-164).

მწერალი „...მწვავედ წარმოაჩენს ჩვენი ეროვნული უბედურების ერთ უაღრესად საგულისხმო მომენტს – სხვა ერების წარმომადგენელთა საბედისწერო როლს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში“ (ნიკოლეგიშვილი, 2003: 102).

რომანის დასაწყისშივე მწერალს შემოჰყავს იური ბოგოლუბსკი, რომლის გარეგნობის დახატვაში ის ძირითადად მატიანეს მიჰყვება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „შემდგომთა მცირედისა უამისა, მოიწია კაცი იგი წარვლინებული და მოიყვანა კაცი იგი დიდი გვარიანი და უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსთა, და სხვათარცა არა უმარჯვი, არამედ პირთა მშვენიერი, სრული ანგარებითა და მჭვრეტთაგან დიდად საჩენი, რომელიც იხილეს რა, ყოველთა სონდა ხილვა მისი“ („ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 85).

შალვა დადიანი მემატიანისეული დახასიათებით, რა თქმა უნდა, არ კმაყოფილდება და იურის გარეგნობას ასე გვიხატავს: „მაღალი და მხარბეჭიანი 18-19 წლის ახალგაზრდა იური თავდახრილი იდგა... ოქროსფერი აბრეშუმივით კულულები უცხო გვირგვინად პქონდა შემოდგმული მის ფართო, ლმობიერ, თეთრ-ყირმიზ სახეს, მოლურჯო, ცისფერი თვალები, შავი, ზევით ახრილი გრძელი წამწამებით და მშვიდდურად გაზიდული წვრილი, შავი ფერის წარბები, მართლაც საოცნებო იერს აძლევდა მთელ მის პირისახეს“ (დადიანი, 1990: 15).

მწერალი შემდგომშიც არაერთხელ უბრუნდება იურის გარეგნობას, ყურადღებას ამახვილებს მის ჩაცმულობაზე. „უფლისწულს რუსული, ძველებური ფარჩის ჯუბა ეცვა, თვალ-მარგალიტით მოჭედილი, შვინდისფერი ხავერდის მაგარი საყელო, წითელ და ლურჯ ფერად შედებილი, ტყავის ამომწვარი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და წელზედაც აღმოსავლეთური იერის მახვილი. თავზე არა ეხურა რა: იცოდა, რომ თავმოხდილი, ოქრის ხუჭუჭ-თმებიანი უფრო მშვენიერი იყო“ (დადიანი, 1950: 49).

ქართველმა მემატიანებმა იური წარმოგვიდგინეს გარეგნულად ლამაზ, ფიზიკურად ძლიერ, მაგრამ შინაგანად დადებითი ზნეობრივი ნორმებისაგან დაცლილ პიროვნებად. სწორედ ამ მიზეზებით ახსნეს უამთააღმწერლებმა საქართველოდან მისი გაძევების ფაქტი. შ. დადიანმა თამარის ისტორიებში მოცემული ხარვეზი ერთგვარ შეავსო და თუ „ქართლის ცხოვრება“ გვაკვირვებს თამარის პირველი მეუღლის ესოდენ უკეთურობათა მოულოდნელი გამოვლინებით, რომანში მოულოდნელი არაფერია.

იურის ადრეული წლების შესახებ მწერალი ინფორმაციას გვაწვდის რომანის მეორე თავში, რომელსაც „უფლისწულის გატაცებანი“ პქვია. შ. დადიანი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ჭაბუკი იური, თავის მამულისგან მოცილებული. „ერთხელ ნადირობის დროს... ტყეში ეკალბარდში გაიხლართა

იური... ამ დროს საიდანლაც გამოძვრა მთა-კაცი... ეპლები გაუწია, ცხენიდან ბავშვივით ხელში აიყვანა... მაშინაც კარგი მოყვანილი ჭაბუკი იყო, მაგრამ რედედიამ თავისი მძლავრი მკლავებით ბურთივით ზე აიტაცა... როგორი მძლავრი იყო მისი თვალები... მას შემდეგ ამ კაცმა დაიმორჩილა. თითქო მისი აზრით აზროვნებდა, მისით ცოცხლობდა... პირველად მან გააცნო ის დაუნდობელ „ტყის ალქაჯა სვეტლანას“... და განა მარტო ალქაჯი?.. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მოქნილი და ვნებით ათროვლებული მკლავები მოხვევია იურის მოღერებულ ყელს?“ (დადიანი, 1990: 22-23).

დიმიტრი ბენაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს: იურიმ „ისეთი აღზრდა მიიღო, რომ სხვაგარად მოქცევა არ შეეძლო. ფაქტიურად მისი აღმზრდები იყო არა ევროპულად განსწავლული კუზმა, არამედ ტყის თავისუფალი და ლალი გმირი – მოხეტიალე რედედია... ამრიგად, თავისუფალმა, არსებითად ველურმა აღზრდამ დაამახინჯა შესანიშნავი სილამაზისა და შეხედულების ვაჟაცი“ (ბენაშვილი, 1941: 57). არ შეიძლება მხოლოდ აღზრდაში ვეძებოთ იურის ტრაგედიის ძირითადი მიზეზი. რა თქმა უნდა, გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში, მაგრამ იური უნებისყოფო ადამიანია და ესაა მთავარი მიზეზი მისი პიროვნების დეგრადაციისა.

რომანის პირველი კარი სიმბოლური სურათის აღწერით მთავრდება: იური, საქართველოსაკენ მოდის, ახსენდება „...რედედია, სილადე, თავისუფლება, სვეტლანა, მისი სიგიჟე, თავდავიწყება და გული ამოესკვნა. სწორედ ამ დროს, სულ ახლოს, ფრინველის ფრთების ბარტყუნი მოესმა... შავი ყორანი ფრთების მძიმე ქნევით თავს დასტრიალებდა.

ცხენი შეაჩერა. ყორანი წრეს თანდათან ვიწროდ ავლებდა.

„რა უნდაო?“ – გული მოუვიდა, მშვილდ-კაპარჭი მოიმარჯვა.

რკინის მოკლე და მოსხლეტილი ისარი გაზუზუნდა პაერში.

შვილდის დარმა თითქოს დაიძახა: ამბაა!

ყორანს შუაზე გაერჭო ისარი.

...ერთი შემოტრიალდა ყორანი და გადაიღუპა უფსკრულისაკენ“ (დადიანი, 1990: 29-30).

ეს სიმბოლური სურათი „ენათესავება“ რომანის დასასრულს, სადაც კახელ მახატელის ძეებისაგან დევნილი იური „ლიყიან უფსკრულში“ გადაიჩებდა.

მანამდე კი იური ქართველმა დიდებულებმა გაიცნეს, აბულ-ასანის სასახლეში. დიდებულთა ნაწილი მომხრეა იურის სიძეობისა, ნაწილი კი – არა. ამის შემდეგ იური და მისი გამზრდელი კუზმა საქართველოს სამეფო კარზე მიჰყავთ. თამარმა პირველად უნდა ნახოს რუსეთიდან მოწვეული საქმრო. შ. დადიანმა თამარის პირველი წარმოდგენის როლი რომანში კუზმას დააკისრა: „...როდესაც თამარი პირველად იხილა, თითქო გული ჩასწყდა სამუდამოდ:

„ეს მართლა ღვთაება ყოფილა! ჩვენ საიდან ვბედავთ ესეთი ამაყური ზრახვანი გულს ჩავიდოთ!“

...იური-გიორგის სახე მოღრეცოდა, პირი დაედო და თითქო არაფერს არ უყვრებსო, ისე იყო გარინდული...“ (დადიანი, 1990: 60).

„პირიმზე“ თამართან შეხვედრამ კუზმას პიროვნებაში გამოიწვია კრძალვა და შიში: „...არა ჩვენ მაგას არავინ არ მოგვანიჭებს... წავაგეთ!...“ (დადიანი, 1990: 62). თამარმა კი უცბადვე იგრძნო იურის თვალების სიცივე: „...უნაზესი რაცა აქვს ადამიანს: სულის სარკე, თვალები, მდვრიე აქვს და ბინდგადაკრული... მის თვალებში მე გონება ვერ ამოვიკითხე და სული წმინდა და სპეტაკი ვერა ვპოვე... საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს!...“ (დადიანი, 1990: 73).

ლუკას სახარება გვასწავლის: „სხეულის სანთელი შენი თვალია. როცა შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელია. მაგრამ როცა იგი ბოროტია, შენი სხეულიც ბნელია“ (ლუკა, 11: 34).

იურის გონება ერთი შეხედვით დაეტყვევებინა კეკლუც უტანდარს, ამ პატივმოყვარე დიდი მიზანდასახულობის ადამიანს.

უტანდარის მიმართ იმდენად დიდი იყო ხორციელი ლტოლვა, რომ იურის თამარის მიმართ რაღაც უცნაური გრძნობა ეუფლებოდა. „...რომანში მრავალი შემზარავი ეპიზოდია აღწერილი სოდომის სენით დაავადებული ამ უზნეო პიროვნების ნამდვილი სახის წარმოსაჩენად“ (ნიკოლეშვილი, 1994: 114).

იური დაუახლოვდა თავნება ცვატა გუზანის ძეს და მასთან ერთად, მომავალი მეფისათვის შეუფერებლად იქცეოდა; საუბედუროდ, იურიმ მალე გამოამჟღავნა თავისი უკეთურებანი. უფლისწულს სიღოდა სჭირვებია: „სიღოდა მოვრალის ხუმრობასა პქვიან, მასხარობასა, სიმღერასა, როკვასა. მაგრამ კიდევ უარესი: სიმთვრალის დროს სამებაო ტრფიალების აღმმვრელი მოქმედების აღმნიშვნელია. ან კიდევ, როდესაც ღვინისგან გონება-წართმეული ხმოვანებს უშვერად და უკაფიოდ... სიღოდა ადამიანისათვის ნამდვილი სნეულებაა, ძნელად განსაკურნელი...“ (დადიანი, 1990: 211).

ბევრი ქართველისათვის ცნობილი იყო იურის ეს ავადმყოფობა, მაგრამ ეტყობა, მათ საქართველოს ბედი ნაკლებად აღელვებდათ და ამიტომ გადაწყვიტეს ასე: „პირი დავიდუმოთ! რაც ნახე, არ გინახავს!“ მაგრამ „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც რამ დამალული რომ არ გამჟღავნდეს“ (მარკოზი, 4.22).

უპვე გარდაუვალი იყო: იური საქართველოდან უნდა გაეძევებინათ.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ორწელიწადნახევარს ითმენდა თამარი ქმრის უმსგავსო საქციელს, ხოლო ნაწარმოებში შექმნილია წინაპირობა იმისა, რაც შემდეგში უნდა მოხდეს. კერძოდ, თანდათანობით ნაჩვენებია იურის მანგიერებანი და ამის შემდეგ ბუნებრივია კათალიკოსის გადაწყვეტილებაც და თამარის მიერ წარმოთქმული სიტყვებიც: „მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გამართვად... და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეცრა შენ მიერ...“ (დადიანი, 1990: 319).

შ. დადიანმა ძალზედ მოხდენილი ფორმით, ლაკონიურად გადმოგვცა იურის ბედი:

„...ზაქარია მხარგრძელი წინ გაუძღვა და იური დარაჯებს შეა ჩამდგარი საუკუნოთ გავიდა იმ ადგილიდან, საცა ასე ადვილად შემოვიდა ერთ დროს და საცა მას მოელოდა მეფობა და პატრონობა ქვეყნისა“ (დადიანი, 1990: 321).

იურის სოდომური ცოდვების გამომჟღავნება, რაც მისი ექსორიით დასრულდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფრო საბაბია, ვიდრე მიზეზი. რა თქმა უნდა, საბაბიც კი ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ მიზეზი აქ უფრო დრმაა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას ემყარება.

როგორც უპვე აღვნიშნეთ, შ. დადიანმა შეისწავლა თამარის ეპოქა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით. მისთვის ცნობილი იყო, რომ XII საუკუნის დასასრულს საქართველოში დავით აღმაშენებლის დროინდელი სიძლიერე ქვეყნისა შერყეული იყო, თამარის გამეფებით თავნება ფეოდალები საქართველოს დასუსტებაზე ფიქრობენ. თამარის ქმრად კი მოპყავთ უცხო პირი.

შ. დადიანის კანონიერ წყრომას იმსახურებდა ის, რომ „ხალხს არ ეყოლებოდა მისივე წიაღიდან გამოსული მმართველი“. მისი მოსაზრებით, თუ კი ეს კანონიერი და ბუნებრივი პრინციპი დარღვეულია, შერყენილია ხალხის ყველაზე ძვირფასი უფლებები და იქ ისტორია ფართო გზაზე ვერ გამოვა“ (კანკავა, 1969: 104).

იურისნაირ მეფეზე ოცნებობდნენ აბულ-ასანი და მისი თანამზრახველები, რადგან მათ სურდათ, რომ „თამარს ისეთი ქმარი არ შეერთო, რომელიც მათ ალაგმავდა, მათ თავგასულობას შეზღუდავდა“ (ჯანაშვილი, 1917: 10).

„აბულ-ასანი და ზანქან ზორაბაბელი არას დაგიდევდათ, რუს უფლისწულს რა პირადი დირსებები გააჩნდა ან რა ხნის კაცი იყო. უკვე აქ გამოვლინდა დიდებულთა პირადი ანგარება“ (ჩიჩუა, 1972: 74). ისინი ცდილობდნენ საქართველოს მომავალი მეფე თავიდანვე თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ.

ამგვარად, მეფის დაბრაზის მიერ გადადგმული ნაბიჯი ეროვნული სუვერენიტეტის შელახვა იყო. მწერალმა კი სწორედ ეროვნული დამოკიდებულების იდეა განავითარა რომანში და მოვლენებს ამ კუთხიდან შეხედა.

თამარ მეფემ აშკარად დაინახა, რომ დიდებულთა ნაბიჯები საბოლოოდ მეფის ხელისუფლებისა და ქვეყნის ძლიერების შესუსტებას უწყობდა ხელს. ყოველივე ეს კი თამარ მეფისათვის არასასურველი მოვლენა იყო, ამიტომაც წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას.

„...დირსი კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?.. შეიძლებს ამ დიდად საპატიო მოვალეობის ტვირთვას?.. დიდი დავით აღმაშენებლის ტახტს, მამა ჩემის გიორგი ლომ-გულის სკიპტრას დირსებით შეიფერებს? აქ ხომ არ ცდებიან ქართველები? ვინ არის ეს რუსი, საიდან იცნობენ... იციან მისი ასავალ-დასავალი? ...მაკვირვებს ესოდენ ნაჩქარევი გადაწყვეტა საკითხისა. რისა ეფიქრებათ?..!“ (დადიანი, 1990: 64) – აი, რა კითხვები აწუხებს თამარს.

უცხო არ ეთვისება თამარის სულს, სამართლიანია მისი გულისტკივილი. აქ უნებურად გვახსენდება თამარის მიერ წაკითხული, X საუკუნეში დაწერილი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე ძოწით-მოსილის თხზულების, სიტყვები:

„ყოველ ხალხს თავისი კანონი და ჩვეულება აქვს, ამიტომაც ყოველი ხალხი უნდა ცდილობდეს ამ ჩვეულების დაცვას და განმტკიცებას. ყოველივე კავშირი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მან თავის შორის უნდა გამონახოს და მოიძიოს ამის საშუალება, როგორც ყოველი ცხოველი თავის მსგავსს ეძიებს, ეგრეთვე ხალხმაც ეგეთი წესი უნდა შემოიღოს, – შეუუდლებეს არა უცხო ტომის შთამომავალსა და უცხო ენის პატრონსა, არამედ თავისავე მოდგმისას და მისივე ენის გამგონს. მხოლოდ ამას

შეუძლიან, მეუღლეთა შორის განამტკიცოს მშვიდობა, სათნოება და უნაზესი გრძნობანი...“ (დადიანი, 1990: 77).

დაახლოებით იგივე შინაარსის შემცველია პატარა ლექსი, რომელიც რომანში გვხვდება და რაც თამარს დააფიქრებს კიდევ:

„ყველა ფრინველი ხეზე ზის,

მწყერი მიწაზე გოგდება...

ქალი რად გინდა უცხო მხრის?—

დასწეულდება, მოკვდება!“ (დადიანი, 1990, 67).

„...სულ უბრალო რამემ ჩამაგდო საფიქრალსა: დერეფანში ერთი ოთახიდან სიმღერა შემომექმა... „ქალი რად გინდა უცხო მხრის, დასწეულდება, მოკვდებაო!“ ამ ლექსში დიდი სიბრძნეა. ...მაშ, ვაჟიც რად გინდა უცხო მხრის?..“ (დადიანი, 1990: 75).

ადსანიშნავია, რომ მწერალი ამ საკითხს ჯერ კიდევ 1899 წელს შეეხო, მოთხოვობაში „შავი ქვის მხარე“. რომანში შ. დადიანი კონსტანტინე ძოწით-მოსილის თხზულებით სარგებლობს, მოთხოვობაში კი ამ თვალსაზრისს მამა იოსები ავითარებს.

მართალია, რომანში თამარ მეფის სახე იდეურად თითქმის ყველაზე უფრო დატვირთულია, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული თვითმყოფადობის იდეის მესაყვირედ გოდერძი ჩორჩანელია გამოყვანილი (კანკავა, 1969: 106). გოდერძი ჩორჩანელის შემოყვანა რომანში, როგორც მეთორმეტე საუკუნის პოეტისა, სრულიად გამართლებულია, რადგან ასეთი პოეტები აუცილებლად ჰყავდა შუასაუკუნეების საქართველოს და მათ გარკვეული როლიც შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში.

გოდერძი ჩორჩანელი მთელი არსებით იბრძის საქართველოს კეთილდღეობისათვის. მისი წუხილი ქვეყნის დიდებაზე სამაგალითოა: „...პო, საყვარელო საქართველოვ! რამდენჯერ გაგშავებია... შენი ბედი. რამდენი შავი დილა გაგთენებია... „რა შავ დილა!“ ხალხი რომ მღერის სულ ამ უბედო დღეების შექმნილია, უხსოვარ დროითგან მოდის ეს სიმღერა...“

მერე, რამდენი? რამდენი დილა და საღამო, დღეები, თვეები, წლები, ზოგჯერ... საფიქრელადაც საშინელია, საუკუნოები... მადლობა ზენას, ეხლა ყოველივე გამოვლილია. უკვე ვეხზე წამოვდექით, კვლავ შორს განხდა ჩვენი ხმა დიდებისა...“ (დადიანი, 1990: 153).

მართალია, შ. დადიანმა გოდერძი ჩორჩანელი დაგვიხატა როგორც პროგრესული აზრების ადამიანი, რომელიც თამარ მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის იბრძოდა, მაგრამ მწერალი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ ფაქტზე: გოდერძი ფეოდალია და ბუნებრივია, ამ წრისათვის დამახასიათებელი „ცოდვები“ მასაც ახასიათებს. ეს კარგად ჩანს რომანის შემდეგი აღგილიდან: „...გზა ნაგზაურზე... წყალი ნარწყულზე... ეს უნდა ვისურვოთ, ამ სურვილით უნდა გავიჟდინოთ მთელი სახელმწიფო, მთელი ერი, ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი აზრი... გამიგონია, რომაელები იტყოდნენ, თურმე: ყველა გზებს რომში მიჰყავხარო. ჩვენი ყველა გზებიც შუამდინარეთში უნდა შევიდნენ ისევ. სხვა გზა არა გვაქვს. მთებთან მიჭრებულს ჩვენს სხეულს პგლავ გაშლა უნდა, ჩვენს შენელებულს სისხლს – სიცხე შუამდინარისა, უხვება მისი წყლის გადმოდენისა, ნოყივრება ევფრატის და ტიგროსის მონალექისა...“ (დადიანი, 1990: 155-156).

გოდერძი ჩორჩანელის პერსონაჟს მწერალმა ყველა ის თვისება მისცა, რაც XII საუკუნის საქართველოს წარმომადგენელს, ამავე დროს დიდ მებატონებს და სამეფო კარის კაცს შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ მხრივ ავტორი დამაჯერებლად გვიხატავს მის სახეს.

გოდერძი ჩორჩანელი „...ყველაზე მკაფიოდ და ნათლად გამოხატავს თვით შალვა დადიანის თვალსაზრისს... მისი მეშვეობით ავტორი თამარის სამეფო კარზე დატრიალებულ მოვლენათა შემფასებლად მოგვევლინა... და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მწერალმა ჩორჩანელი მხოლოდ მოვლენათა გარედან მჭვრეტელის, დიდაქტიკოსისა და სიტყვიერი მქადაგებლის როლში კი არ დატოვა, არამედ ამ მოვლენათა შუაგულში მოაქცია და სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთ უმწეო მსხვერპლადაც დაგვიხატა“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 110-111).

„...მას ეროვნული მთლიანობა, მართვა-გამგეობის გონიერება და პარმონიულობა ვერ წარმოუდგენია, თუკი ხალხის მმართველობა სათავეშივე მორღვეულია. ამ იდეითაა შეპყრობილი გოდერძი, რაც არაისტორიულიც კი ჩანს იმუამინდელი საქართველოსთვის... მაინც ავტორის ხსენებული ისტორიული თვალთახედვა ღრმად პატრიოტულია და ის უფრო ხშირად იზიარებს გოდერძის მსჯელობას, მის აზრთა და გრძნობათა ლოგიკას (კანკავა, 1962: 107): „...და ეგ არის კიდევ ჩვენი უბედურება. ყოველთვის ჩვენსას უცხო გვირჩევნია. ეს ჩვენმა სამასი წლის არაბთა ხელში ყოფნამ შემოგვძვნა. ეს მონური აზროვნება...“

—ჩვენა გვგონია, რაც უცხოა — უთუოდ კარგია. მაგრამ თვით უცხოეთში უნდა მიხვიდეთ, რომ ნათლად იგრძნოთ ეს საუცხოობა. ჰმ! საუცხოო! ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად ჩვენის ენიდგან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან... ეგა გვდუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას, მაგრამ რად ვერ მოხდა?! არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქმედების აღმაშენებლის, მოღმა მაინც, რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი?!” (დადიანი, 1990: 102) მხატვრის ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბება, საკუთარი ერის წარსულის სურათი და მომავლის ბედ-იდბალის მოწესრიგება მას სწორედ ეროვნული სუვერენიტეტის ბაზაზე აქვს წარმოდგნილი და არა სხვაგვარად.

საკუთარი ეროვნული ძალების რწმენა ასულდგმულებდა გოდერძის უმრწემეს მეგობარს ჩახრუხაისძეს. ის ადშფოთებულია დიდებულთა გადაწყვეტილებით. „...დღეს დაიღუპა ჩვენი საუკეთესო მისწრაფებანი!.. დღეს დაიღუპა უკეთესი საქართველო...“ (დადიანი, 1990: 114) — აი, ამ სიტყვებით აფასებს ჩახრუხაისძე თამარის დაწინდვას იური ბოგოლიუბსკიზე.

მართალია, ჩახრუხაისძე წინააღმდეგია თამარის დაწინდვისა იური უფლისწულზე, მაგრამ ის თავისი შეხედულებების შესახებ მხოლოდ მეგობართა წრეში საუბრობს, თუმცა რომანიდან ირკვევა, რომ მას აქვს სურვილი ყოველივე ეს დაუფარავად გამოაცხადოს, მაგრამ გონს მოდის და არას ამბობს, სხვებიც ჩუმად არიან.

ჩახრუხაისძის კრიტიკა ამ დაწინდვასთან დაკავშირებით, ძალიან ლამაზი მხატვრული ფორმით აქვს მწერალს გადმოცემული. „...საქართველოს ცა თითქო სირცეგილისაგან იწვისო!“ (დადიანი, 1990: 250).

ჩახრუხაისძის სახის გაგებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მწერალი ერთ-ერთ თავში, სახელწოდებით „სამწერლობო“ (დადიანი, 1990, 212). აქ ჩანს, რომ დგება საჭიროება საერო მწერლობის შექმნისა. „...ძველი ფილოსოფოსნი გარდაიცვალნენ. მათ შორის ყველაზე უხნევი და ყველაზე პატივცემული, მოსე ხონელი დიდი ხანია აღარ იყო. მისი უფროსი ძმა ჩახრუხაისძე და შოთა გადახვეწილნი იყვნენ. ბარამან მანიც შორსაა... მის წრეში დარჩა მხოლოდ ახალგაზრდობა, რომელთაც კამათი უფრო ემარჯვებათ, ვიდრე დინჯი გამოწვლილვა საგანთა...“ (დადიანი, 1990: 213-214) — ასე ფიქრობს ჩახრუხაისძე უმრწმესი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია მატიანეს დაწერა. „...მაგრამ... ეს ხომ ჩახრუხაისძეს არ ემარჯვება. ამას მისი ახალგაზრდა

მეგობარი, სარგის თმოგველი სჩადის. იგი სწერს მატიანეს. თამარის ტახტზე ასვლა მისი აღწერილია და აკი მწიგნობარნი უძრახავენ კიდეც სარგის... მატიანე ასე არ იწერებაო...“ ჩახრუხაისძეს კი „სულ არ ემარჯვება მშრალი მატიანის წერა...“ (დადიანი, 1990: 214).

ახალგაზრდა პიიტიკოსი საინტერესოდ გვიხასიათებს ნამდვილ მწერლობას: „...ადამიანი უნდა იყოს გამოყვანილი, ნამდვილი ადამიანი თავისი გრძნობით და გონებით, ნამდვილი გაჭირვებით და დალხინებით, სიყვარულით და სიძულვილით... მწერლობა ახლოს უნდა იყოს ცხოვრებასთანაო...“ (დადიანი, 1990: 214-215).

რომანიდან ირკვევა, რომ ჩახრუხაისძე „...შეუდგა თავისი სურვილის განხორცილებას... ფიქრობდა, რომ დაგროვილ მასალათაგან ერთ დროს არაკიან ნაწარმოებს დასწერდა... ყველაზე უფრო წიგნში შეხვდებოდით სახელს “თამარს“-ს...“ (დადიანი, 1990: 278-282). ადვილი მისახვედრია, რომ საუბარია ცნობილ ჩახრუხაძის „თამარიანზე“.

ჩახრუხაისძე გოდერმისთან ერთად თამარ მეფის თანამოაზრეა. ის ამჩნევს, რომ სამეფო კარზე მოწინააღმდეგეთა ბანაკი არსებობს, რომლებიც თამარს ლირსეულად ვერ აფასებენ. ისინი იურის საშუალებით ცდილობენ დაასუსტონ ქვეყნის ძლიერება.

ჩახრუხაისძისა და გოდერმის პიროვნების ერთგვარ შეფასებას გვაძლევს ზანქანი. „...მაგათი პატივისცემა კიდევ უფრო გვჭირდება, მგოსნები არიან, მაგრამ დიდი გავლენა აქვთ... მაგათ ფულით ვერ მოიხყიდი, არც ძღვენს შეიძლებან... მაგათი სიტყვა-კი დიდად ფასდება სასახლის კარზე...“ (დადიანი, 1990: 159).

იური უფლისწულმა, მისდა საუბედუროდ ვერ მოახერხა პატივისცემა დაემსახურებინა თამარისა და მისი მომხრე დიდებულებისა, მგოსნებისა. ის თამარის მიმართ ოპოზიციაში მყოფ დიდგვაროვანთა წრეში აღმოჩნდა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი პირადი ზრახვების განსახორციელებლად იყენებდნენ გიორგი რუსს: „...მაშ, ვინ იქნება... მთელი სამეფოს გამგე? იური ხომ არა, ეს უსუსური დღაპი, ლოთი და გარყვნილი?! თავს რად უნდა უცრუოს... რასაკვირველია, დადიანი! იური მხოლოდ თოჯინა იქნება მის ხელში, ეგეც დროებით და შემდეგ... დაემხობა ბაგრატიონი! სულ სხვა მოღვარი ვარდანის-ძე დადიანი აღმობრწყინდება საქართველოს ტახტზე...“ (დადიანი, 1990: 256) – ასეთი ფიქრები ტახტავს თამარის „ერთგულ“ ვარდან დადიანს, რომელმაც

შესანიშნავად იცის იურის ნაკლოვანებების შესახებ, მაგრამ გადაწყვეტილი აქვთ: „...პირი დავიდუმოთ! რაც ნახე არ გინახავს!“ (დადიანი, 1990: 208).

მას შემდეგ, რაც შ. დადიანმა მემატიანეთა ცნობები იურის შესახებ „უბედურ რესში“ გადმოიტანა, თანდათანობით დაიწყო სამზადისი უფლისწულის გასაძევებლად. მისი მოშორება პირველად დადაშ ციოფმა შთააგონა თამარს:

„— ვერ მოვითმინე თამარ... სხვისთვის არავისთვის მიამბნია, პირდაპირ შენ გამცნე ყოველივე... დიდი უღირსი კაცია, პირიმზევ, და... ეხლავ უნდა... მოვიშოროთ თავითგან... (დადიანი, 1990: 311).

ამას დაემატა გოდერძის წერილიც: „...მან მოიწერა, რომ თამარს ეხლავე ებრძანებინა გიორგი რესის გაძევება“ (დადიანი, 1990: 317).

გიორგი რესის გაძევება რომანის მიხედვით თითქმის ანალოგიურია „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული ამ ფაქტისა; უფლისწულმა უნდა დატოვოს საქართველოს საზღვრები და ამოირჩიოს თუ რომელ ქვეყანაში გაემგზავრება. მემატიანე ბიზანტიას ასახელებს, მაგრამ თუ რატომ, არ ჩანს. რომანში კი ვარდან დადიანი ურჩევს იურის ბიზანტიაში გამგზავრებას. „...უეცრად დადიანს თავში რადაც მისთვის სასიხარულო აზრი გაენასკვა, ვერ მოითმინა და იურის მიაძახა:

„—ბიზანტიას, ბიზანტიას...“ (დადიანი, 1990: 320).

ალბათ, შორსმჭვრეტელმა მსახურთუხუცესმა ამით სამომავლო საქმენი გაითვალისწინა.

გადაწყდა რა იურის ექსორიაქმნა საქართველოდან, ვარდან „დადიანს სისხლი თავში აუგარდა:

„რას ამბობენ? დაარღვიეს კანონი დაწინდვისა? წყევლა-კრულვაც მოგვაყოლეს? ვერა, მაგით ვერ შეგვაშინებთ! დადიანი ჯერ ისე არ წამხდარა, რომ ასე ახირებულად დასომოს ბრძოლის ველი!..

...დღესვე უნდა ყოველივე გავმწყაზრო. ყოველივე უნდა ვაცნობო იმერეთს, ბიზანტიას, ბოცოს და გუზანს.

ეხლავე უნდა დავირაზმოთ, ეხლავე უნდა შეგუდგეთ სამზადისსა...“ (დადიანი, 1990: 318-319). მართლაც, ვარდან დადიანის მეთაურობით ძლიერი გუნდი შეიქმნა თამარის წინააღმდეგ.

როგორც მოსალოდნელი იყო, „...თითქმის იმავე დღიდანვე, რაც გიორგი რესი გააძევეს, არ შეწყვეტილა მასთან მიწერ-მოწერა დადიანისა, აბულ-ასანისა და უტანდარის მიერ. არ შეწყვეტილა გზავნა შიკრიკებისა ერზინჯის მთავართან

და არსირუმის მფლობელთან, რომელთაც თავის მხრივ კაგშირი პქონდათ გაბმული ქართველ ქვეგამხედველ დიდებულებთან, ბიზანტიასთან და თვით გიორგი რუსთან“ (დადიანი, 1990: 328).

თამარის პირველი ისტორიკოსი წერს, რომ რუსი იგი ძნელბედი და სუე-უსუე წამოსრულა კონსტანტინეპოლით და მოსულა ქვეყნად ეზინჯისად, კარნუ-ქალაქისად“ („ქართლის ცხოვრება“, გ. II, 1959: 48). ამ დროს „თითქოს თამარის დავალებით მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი მოციქულად გაიგზავნა კარნუ-ქალაქში, სადაც იგი სრულიად შემთხვევით რუს უფლისწულს შეხვდა“ (ცინცაძე, 1956: 130).

მაგრანები არაა თქმული, თუ ვინ იყო მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი. შ. დადიანისათვის კი რომანის წერის დროს ცნობილი იყო პ. ინგოროვგას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. პ. ინგოროვგა წერს: „გიორგი რუსის განდევნის შემდეგ საქართველოს დიდებულთა ერთმა წრემ, როგორც ცნობილია, მოახდინა აჯანყება გიორგის ხელახლად გასამეფებლად, როგორც ირკვევა, ამ აჯანყების მეთაურიც იგივე აბულასან ყოფილა, თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „მეჭურჭლეთა უხუცესისა ნაცვალი“, ე.ი. აბულასანი, წარგზავნილი იყო ელჩად კარნუ-ქალაქის და ერზინჯის სამფლობელოში“ (ინგოროვგა, 1963: 99). უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანში მოვლენათა განვითარება და აგრეთვე, ზემოთ დასახელებული წყაროც საფუძველს აძლევდა შ. დადიანს იურისთან შესახვედრად სწორედ აბულასანი გაეგზავნა. მართლაც, რომანში ვკითხულობთ: „იმავ ხანებში რაღაც საქმისათვის, თავისივე მოთხოვნით, არსირუმს გაგზავნილ იქნა აბულასანი, რომელიც იქ გიორგი რუსს შეხვედრია და უოველივეც საბოლოოთ იქ გადაუწყვეტიათ“ (დადიანი, 1990: 328).

თამარის მოწინააღმდეგე ბანაკი თითქოს მდგომარეობას შეურიგდა. თვით უტანდარიც კი დაუახლოვდა თამარს. ის „...კარგა ხანია შეირიგა თამარმა და ისიც სასახლის კარზე წინანდებულათ ტრიალებდა... ხშირად საპატიო დიოფალთა და მანდილოსანთა თათბირსაც ეწვეოდა და თამარის ქალთა რაზმში ერთი გუნდის უფროსობაც ჩაიბარა“ (დადიანი 1990: 328). უტანდარი ცდილობდა შეუმჩნევლად ემოქმედა.

„მაგრამ აი დადგა დრო. საიდუმლო ძაფები ამოძრავდნენ და თითქო ნიშანი მისცეს ურთიერთსა... ბიზანტიის ჯარს ერზინჯის მთავარი წარმოუძღვა გიორგი რუსის მეთაურობით“ (დადიანი, 1990: 329).

ძალიან ბევრი ქართველი განუდგა თამარს. განდგომილთა და თამარის ჯარის შეტაკება მოხდა ისტორიულად ცნობილ ნიალის ველზე. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ ისტორიულ ბრძოლას, რადგან იგი ამ შემთხვევაში ღალატობს თავის ჩვეულებრივ სიტყვაძვირობას და პათეტიკურ სტრიქონებს უძღვნის ბრძოლის აღწერას“ (ასათიანი, 1974: 166).

შ. დადიანი ზუსტად მიჰყვება „ქართლის ცხოვრებას“. „...აღსანიშნავია, რომ ეს ბრძოლა მას გადააქვს... დამის სიბრუნვეში და გვიხატავს ეფექტურ სურათს მებრძოლთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისას ჩირადდნების შუქზე. ეს თითქოს უფრო ამძაფრებს დრამატიზმს ამ ეპიზოდისას...“ (ასათიანი, 1974: 166).

გიორგი რუსის ჯარი დამარცხდა. თვითონ უფლისწული კი სვანმა ციოყმა „...თამარს მოჰკვარა ტფილის „დვლერჭ“ ჩაბმული“ (დადიანი, 1990, 368). ამასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანაწერი ინახება მწერლის არქივში: „სვანეთში ყოფილა დარჩენილი ოქმულება, რომ გიორგი რუსმა ბერძნები აუჯანყა თამარს და მთელ საქართველოს უპირებდა აოხრებას, მაგრამ თამარმა ძლია... გიორგი სვანეთისაკენ გაიქცა და ამოვიდა უშგულში... ოსებში აპირებდა გადასვლას და მერე რუსეთისაკენ გაქცევას, მაგრამ სვანებმა გაქცეული დაიჭირეს, ჩააბეს „დვლერჭი“ და ასე ჩაათრიეს თბილისამდის“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11, ხ - 11276/200).

თამარმა ისევ ლმობიერება გამოიჩინა იურის მიმართ და ცვატასთან ერთად საქართველოდან გააძევა.

„ისტორიულად ცნობილი ამ ფაქტის გახსენებას რომანში მკაფიოდ გამოვლენილი აზრობრივი უკუფენაც აქვს: ბოროტების მიმართ გამოვლენილი ამგვარი ლმობიერება და მეტისმეტი შემწყნარებლობა მიუტევებელი დანაშაულია. ასეთმა გულჩვილმა პოლიტიკამ ბევრი ვნება მოუტანა საქართველს და, მწერლის აზრით, მას არავითარი გამართლება არა აქვს“ (ნიკოლევშვილი, 2003: 107-108).

ისევ მოიწადინა იურიმ საქართველოში შემოჭრა. ის დაუკავშირდა აბუბექრს, მიიღო მისგან ორი ათასი მებრძოლი და მოაოხრა კამბეზოვანის მხარე, მაგრამ კახელ მახატელის ძეებმა უკუაქციეს.

შ. დადიანს შეეძლო აქ დაესრულებინა რომანი, „ქართლის ცხოვრებაც“ აძლევდა ამის საშუალებას, მაგრამ მწერალი ასე როდი მოიქცა. „იურის ცხენი

მოსხლტა ფერდობს და თითქოს უფსკრულმა ჩაყლაპაო“ (დადიანი, 1990: 368). კამბეზოვანის პრასიანის ჭაობმა ჩაითრია მისი სხეული. „...ყველასაგან მიტოვებული და დამარცხებული, შერცხვენილი და დავრდომილი!..

წელიდგან აღმოსავლური... აბუბექრის ნაჩუქარი პაწია ბასრი მახვილი გაიძრო და ორთავ კაპიტზე ძარღვები გადაიჭრა.

გაშმაგბით გადაჭხედა არემარეს:

„ცოცხალი თავით არ დაგნებდებით!“

ეს იყო მისი უკანასკნელი მტკიცედ ნაფიქრი...

ცხენოსნებმა... რამდენიმე ნაბიჯზე ჩაუარეს სისხლისაგან დაწრეტილ ადამიანს და სულაც ეჭვი არ აუღიათ, რომ მათ გეერდით,

ქიზიყის პრასიანში,

სულსა ლევდა, ოდესდაც ბრწყინვლე ჭაბუკი, უფლისწული იური და ამიერით საქართველოს მემატიანეთათვის,

გიორგი რუსი“ (დადიანი, 1990: 383-384).

შ. დადიანმა არ დაიშურა მხატვრული საღებავები იური უფლისწულის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ უფლისწულს ბევრი ნაკლოვანებები ჰქონდა, მწერალი მაინც ცდილობს ხაზი გაუსვას მის ძლიერ, ვაჟკაცურ მხარესაც. ეს კარგად ჩანს შემდეგიდან: „თითქო მთიბავი სთიბავსო... მის წინ ცხენი და მხედარი ორივ მხრივ გაპობილი ეცემოდნენ.

მოქნევა მისი იყო ელვა, ნაკრავი მისი აუმცდარი“ (დადიანი, 1990: 367).

დ. ბენაშვილის მითითებით, „გიორგის სახით ჩვენს წინ სდგას ნამდვილი რაინდი, მაგრამ მოკლებული რაინდულ ეტიკეტს. ეს უკანასკნელი გიორგი რუსის უბედურებაა და არა მისი დანაშაული“ (ბენაშვილი, 1941: 57).

ავტორმა რომანში არა მარტო თამარის დროინდელი საქართველო დაგვიხატა, არამედ მოგვცა ძალიან საინტერესო და საგულისხმო სახე თამარისა, როგორც მეფისა და როგორც ქალისა.

შ. დადიანი არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი, რომელიც თამარ მეფის თემას შეეხო. თამარზე ჯერ კიდევ მისსავე ეპოქაში იქმნებოდა ლიტერატურული (და არა მარტო ლიტერატურული) ქმნილებები. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შ. რუსთაველის უკვდავი „კევხისტყაოსანი“.

ამის შემდეგ თამარი გვხვდება ქართველ რომანტიკოსებთან (გრ. ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“), ანა კალანდაძის

პოეზიაში („შორია თამარ“), უამრავი ნიმუშია ქართულ ფოლკლორში („თამარ მეფე“, „თამარი“, *** ლატალს მობრძანდა თამარი, *** პოი სიხარულო, „თამარის ციხე“, „თამარ დედოფალ ვიყავ“ და სხვა. თამარის სახე დღესაც არ კარგავს აქტუალობას (ლ. ბუდაძის „პირველი რესი“).

თამარი ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟია. ისტორია მას იცნობს როგორც გონიერ, უძლეველ მეფეს. „სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში, – „ღმრთივ-განბრძნობილი“, „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“. მოსაუბრე „სიტყვითა ოქრონექტარითა“. ზნეობით – „უსაეტაკესი. საოცრად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვანი შემწყნარებელი...“ (სანიკიძე, 1992: 142).

როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, შ. დადიანი ზუსტად მიჰყვება ისტორიას. ზოგიერთ შემთხვევაში გადამეტებულ ერთგულებასაც კი იჩენს მემატიანებისადმი. ნაწარმოები არის მხატვრული ასახვა თამარის ეპოქისა. „რომანს ლირსებას სძენს ის გარემოება, რომ მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თამარის, როგორც პიროვნების, კონკრეტული ადამიანის, სულიერ მისწრაფებათა დახასიათებას. ასე რომ, მკითხველის ცნობიერებაში ღრმად აღიძეს დება სახე თამარისა არა მარტო როგორც მეფისა, არამედ როგორც პიროვნებისაც...“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 108-109).

მართლაც, შ. დადიანი თამარს წარმოგვიდგენს როგორც ჩვეულებრივ, მომაკვდავ ადამიანს, თავისი გრძნობებითა და მისწრაფებებით, მაგრამ მწერალს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ თამარი მეფეა, ძლიერი მეფე და უნაზესი სულის ადამიანი. სწორედ ასეთია შ. დადიანის თამარი.

სამეცნიერო ლიტერატურაში თამარის სახესთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მაგალითად, შალვა რადიანის აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ შ. დადიანი ცდილობდა თამარ მეფის სახე გამოეკვეთა სიყვარულითა და მხატვრული სიძლიერით, ნაწარმოებში იგი მაინც არ არის დახატული, როგორც სახელმწიფოს მეთაური. მწერალი თითქოს ვერ ბედავს თამარის სახის წარმოდგენას მრავალფეროვნებაში. მისთვის თამარ მეფე თავისებური წმინდანია, რომელსაც ადამიანი შორიდან უნდა შეჰყურებდეს“ (რადიანი, 1972: 25).

გვიქრობთ, მწერლისათვის თამარ მეფე მართლაც არის „თავისებური წმინდანი“. ასეთი დამოკიდებულება მეფე-ქალისადმი ავტორის განსაკუთრებული მოწიწებისა და თაყვანისცემის გამოხატულებად მხოლოდ და ეს

დამოკიდებულება სრულიადაც არ ზღუდავს მის მხატვრულ შესაძლებლობებს. შემოქმედი არ ითრგუნება თამარის „წმინდანობით“, პირიქით, იგი არა მხოლოდ მის საზოგადო დამსახურებას წარმოაჩენს, არამედ – შინაგან სამყაროსაც.

ლევან ასათიანი თამარის სახესთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ შ. დადიანს „შინაგანმა ალდომ... უკარნახა არ გადაეხვია ტრადიციული გზისათვის და თამარის სახე მოეცა იმ ასპექტით, როგორიც დარჩენილია იგი ხალხის წარმოდგენაში. ვერ ვიტყვით, რომ ამ გარემოებამ თავისი კვალი არ დააჩნია თამარს, როგორც რომანის გმირის მხატვრულ სრულყოფას, და მართლაც... რომანში თამარი არ გვევლინება სისხლითა და ხორცით სავსე ადამიანად, იგი წარმოადგენს უფრო სიმბოლოს, ოცნებას, მართალია მაღალი თვისებებით და საონოებით დაჯილდოებულ არსებას, მაგრამ მაინც შორეულს, მიუწვდომელს“ (ასათიანი, 1974: 160-161).

დაახლოებით ასეთივე აზრს ავითარებს გურამ კანკავა ამ საკითხთან დაკავშირებით. თამარის „...მხატვრული პორტრეტი ფრესკული წესით არის შესრულებული: ის ბოლომდე „გაცოცხლებული“ არაა, თითქოს მოელი არსებით, მოელი ადამიანური ნიშან-თვისებებით არ ცოცხლობს. შ. დადიანი თითქოს ვერ განთავისუფლებულა იმ ქართველ მონუმენტალისტ ფერმწერთა გავლენისაგან, რომლებიც მეტად ცალმხრივად და სტილიზებულად გვაწვდიან ამ ქართველი მეფის პორტრეტს. ამ ფრესკული ხელწერის გამო მეფე-ქალის სახე მეტად ამორფული, გახევებული, გაუბედავი და მხატვრულად დაუმთავრებელი ჩანს...“ (კანკავა, ქ. „მნათობი“, 1962: №2, გვ.107).

ზემოთ დასახელებული მოსაზრებები თამარის სახესთან დაკავშირებით ძალიან კრიტიკულია. ვფიქრობთ, მწერლის შემოქმედებითი ოსტატობის წყალობით ნაწარმოებში სრულყოფილად აისახა – მეფისა და ქალის – მხატვრული სახე, მათი დაპირისპირება ერთმანეთთან. „თამარის არსებაში მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს მეფე და ადამიანი. რამდენადაც მორჭული, შეუვალი, ბრძენი და უკომპრომისო იყო თამარი, როგორც მეფე, იმდენად ტრაგიკულ და „გულმკვდარ“ პიროვნებად წარმოგვიდგება იგი როგორც ადამიანი“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 115).

მწერალი ოსტატურად გვიჩვენებს, თუ როგორ ეკამათებიან ერთმანეთს თამარ მეფე და თამარ-ქალი. ვფიქრობთ, ამ კამათის ასახვით კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ თამარმა ყველაფერი საქართველოს კეთილდღეობას შესწირა. მას თამარ-ქალი ურჩევს, რომ აღიკვეცოს მონაზვნად, მაგრამ თამარ მეფე

მაშინვე ამ კითხვას შეაგებებს: „—მერე, სამეფო?... მერე, მისი საქმეები?..“ (დადიანი, 1950: 63).

შ. დადიანს გარეგნობის დახატვა მიაჩნია პერსონაჟის დახასიათების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად. „მაღალი ტანის იყო, ახოვანი, ჰაეროვანი, თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და საზრუნავს სიდარბაისლის იერი უცხოდ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის. თვალები ჰქონდა უსაზღვრო ლმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი. მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებოდით, ვერ გაუტოლებოთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ წვრილმან სურგილებში“ (დადიანი, 1950: 60). ამ დახასიათებაში პერსონაჟის შინაბუნებაცაა წარმოსახული.

ნაწარმოებში არის ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც თამარის სახის გაგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

„მეფემ ზე-აიხედა.

ერთი ღრუბელიც არ მოსჩანდა ცის ტატნობზე. მხოლოდ შორს რომელიდაც სწრაფი ჩიტი ლურჯ ეთერში მისრიალებდა.

ბრძენ მეფეს გაედიმა ამის დანახვაზე, თვალი გააყოლა თავისუფლად მონავარდე ფრთოსანს.

და თითქო ამ ფრთებმა წარიტაცეს მისი სურვილებიც ცის კამარაში, იქ გაუჩინარდნენ (დადიანი, 1950: 66). აქ ხაზგასმული უღრუბლო ცა უთუოდ თამარის დროინდელი საქართველოს სახეა, ხოლო ჩიტის ფრთების მიერ წარტაცებული სურვილები თამარ-ქალის სურვილებია.

მთელი ნაწარმოების მანძილზე, სადაც კი გამოჩნდება თამარ მეფე, თითქოს იქვე ჩასაფრებულია თამარ ქალიც, მაგრამ საბოლოოდ ამ ჭიდილში იმარჯვებს მეფე და არა ქალი.

„...თამარ-ქალი რომ დაბრუნდა?

მეფეო, რა პასუხს აძლევ მას? იგი სამუდამოდ იღუპება? გაუხარელი, გულ-დამდუღრული? ნუთუ ის მხოლოდ ზვარაკია გასაწირად გამზადებული?.. ჰო, ზვარაკი მუდამ განწირულია... მუხლებზე გეხვევა, მეფეო, თამარ-ქალი... მუხლი სველდება თამარ-ქალის ცრემლებით თუ თვითონ მეფის...

არა!

თამარ-ქალი განიდევნა!“ (დადიანი, 1950: 261).

აქ კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ერთმანეთს თამარ-მეფე და თამარ-ქალი. დაპირისპირება აქაც ჩვეული მიზანდასახულობით არის გამოყენებული. მწერალი ხაზს უსვამს მეფის მტკიცე ხასიათს. მასში საპირადო თითქმის ჩაკლულია, აღარც კი ჩანს. მეფური მანტიის ქვეშ ფერმკრთალდება პირადი.

მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერალმა მოახერხა ეჩვენებინა თამარის, როგორც „კონკრეტული ადამიანის“ დახასიათება. ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ თამარი შესტრფოდა დემნას. გიორგი მეფე, თამარის მამა „...აღშფოთდა... როს ესმა ხმები, რომ უფლისწულს დემნას, მისი ერთად-ერთი ქალი, თამარი მოსწონსო“ (დადიანი, 1950: 71).

თამარის ფიქრებიდან ირკვევა, რომ გიორგი მეფემ, დემნას თვალები დასთხარა, დაასაჭურისა. საინტერესოა, ეს ფაქტი როგორ არის დადასტურებული ისტორიული წყაროების მიხედვით.

„...გიორგის უფროს ძმას, დღემოკლე მეფეს, დავით მეხუთეს დარჩა ძე, დემეტრე, ანუ დემნა, იმჯერად უკვე 23-25 წლის ვაჟები, „სახე-პეტილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა!. და მეფობა მოსურვებია დემნა ბატონიშვილს. და კაცმა რომ თქვას, ძველი, დავით აღმაშენებელზე ადრინდელი ტახტის მემკვიდრეობის წესით, კიდევაც ეპუთვნოდა ტახტი დავით მეხუთის პირმშოსა და ერთადერთ ძეს.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომლის ასეულიც ცოლად პყავდა დემნა ბატონიშვილს... გიორგი მეფემ შეთქმულთა დიდი ნაწილი შეიპყრო და სასტიკად გაუსწორდა. თვითონ დემნა და მისი სიმამრი ივანე ორბელი ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მეფემ ალექს შემოარტყა ციხეს. ვეღარ გაუძლო... დენმა ბატონიშვილმა და დამით სიმამრისა და სხვათაგან იღუმალ, დემნა თოკით ჩამოეშვა ციხის კედელზე, ბიძა-ხელმწიფეს მუხლებში ჩაუგარდა და აქვითინებულმა, პატიება სთხოვა... ავად მოეპყრო გიორგი ძლეულ მმისწულს. მისი ბრძანებით დემნას თვალები დათხარეს, დაასაჭურისეს და ციხეში ჩააგდეს. იგი ჭკუაზე შეცდა და მალე კიდევაც მიიცვალა“ (სანიკიძე, 1992: 125-126).

როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი დემნასა და თამარის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შ. დადიანის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს ი. ჯავახიშვილს: „...ვიცი რომ ინტრიგა, რომანში ხსენებული, დემნა ბატონიშვილისა და თამარის შუა, თქვენ მიერ სრულიად უარყოფილია, მაგრამ მეც ისე ვიფიქრე, როგორც

ბევრი მხატვარი ფიქრობს. ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებში ისტორიზმს ანგარიში არ გავუწიო“ (შ. დადიანის არქივი, ფონდი 11, ხ - 11276/200).

შ. დადიანის შემოქმედებითი ოსტატობის წყალობით, „უბედურ რუსში“ ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის სინთეზი მოხდა. გამოგონებას ხელოვნებაში ყოველთვის პქონდა და აქვს ადგილი. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. მაგრამ ეს გამოგონება, თუ მოწყვეტილია რეალობას, იმას, რაც ცხოვრებაში ხდება ან შესაძლებელია მოხდეს, ნაკლებად დამაჯერებელია. ასეთი „გამოგონება“ არაა „უბედურ რუსში“. აქ გამოგონება მკაცრად ემყარება სინამდვილეს.

დემნა ბატონიშვილის ისტორიაში მოხსენებული პყავს მწერალს შოთა რუსთაველი, „გაცი ბრძენი და ცის ნიჭად მოვლენილი“ (დადიანი, 1990: 69), რომელიც ალბათ აჯანყების შემდეგ გადაიხვეწა სხვათა მსგავსად, სხვათაშორის, ისტორიულად დადასტურებულია, რომ დემნა ბატონიშვილის აჯანყებაში მონაწილეობდა შოთა ართავაჩოს ძე (სანიკიძე, 1992: 126). თამარისათვის „უცნობებიათ, რომ „შოთა ამჟამად არაბეთს იმყოფებაო“ (დადიანი, 1990, 69). საყურადღებოა თამარის სიტყვები: „...უნდა ვუბრძანო, ცნობა მიაწვდინონ, რომ დასტურს ვაძლევ სამშობლოში დაბრუნებისას... დირსეული კაცი ჩემს ტახტან უნდა იმყოფებოდეს“ (დადიანი, 1990: 69).

თამარის სიბრძნე, გონიერება, შორს გამჭვრეტელობა, როგორც მეფისა, დამაჯერებლადაა ნაწარმოებში გამოვლენილი. მას, ერთი წუთითაც, ვერ ვნახავთ აჩქარებულ, სულსწრაფ „თამარ-ქალად“. ის, თითქოს დანანებით ამბობს: „...ეს მაკვირვებს: ნუთუ ქართველებში არ მოიძებნა ისეთი მოყმე ვინმე – სამეფო ტახტის დირსი ყოფილიყო?!

...რუსუდანი შეფიქრიანდა. გაუბედა:

–თამარ! ნუთუ ვინმე გეგულვის მათ შორის და არ ამჟღავნებ?..

თამარმა ნაღვლიანის თვალით გადახედა...

...საპირადო ყოველი აქ დავიწყებულია, მკვდარია და აღარ არსებობს“ (დადიანი, 1990: 74).

აქ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მართლაც „მძიმეა გვირგვინი მეფეთა“. დირსსაცნობი აქ ავტორის მიზანდასახულობა უნდა იყოს: ქალურის აქცენტირებით, მისი „დათორგუნვის“ ჩვენებით მეფურობის აღზევება და მეფის განდიდება. „უინტერესო არც ამგვარი ანგაზონიზმის ზოგადი ტრაგიკული ხასიათია.

...მაგრამ ხდება ისე, როგორც საქართველოს „კეთილდღეობისათვის“ მებრძოლ დიდებულებს ჰქონდათ გამიზნული. ჯვარს იწერენ თამარ მეფე და გიორგი უფლისწული. ამ ეპიზოდში არის ძალიან საინტერესო, ალეგორიული მომენტი.

„...კათალიკოსს ბეჭდები გადასცეს.

მან დაწინდულთ სამ-გზის შეუცვალა და გამოაცხადა დაწინდულად ამიერით გიორგი და თამარი.

ამ დროს მოისმა საშინელი ჭექა და გრიალით გადაიარა ტაძარზე.

მთელი ხალხი შეიძრა.

რა იყო? ქუხილი ოქტომბერში?! იშვიათი ამბავია, თითქმის არ ყოფილი...“ (დადიანი, 1990: 262).

ეს ფაქტი შემთხვევით არ აქვს მწერალს მოტანილი. თამარში არის ორი საწყისი: მამაკაცური და ქალური ერთად, თამარი – ქალი და თამარი – მეფე. ამას მწერალი უკავშირებს ორ საწყისს: მიწას, როგორც ქალურ საწყისს და ზეცას, ცას, როგორც მამაკაცურ საწყისს. როცა თამარი იწინდება, ცა არის მოწმენდილი, გაკრიალებული, ანუ როგორც მეფე, მისი სინდისი, საქმე არის წმინდათ და უღრუბლოთ. მაგრამ როგორც ქალი, ამ დროს, იტანჯება და როცა დაიწინდებიან, ის „გრიალი“ სინამდვილეში ცამ კი არა, მიწამ მოიღო. მიწა მოიშალა, მოინგრა. ნიშანდობლივია, ისიც რომ, როგორც შემდეგში ირკვევა, ეს მოხდა იმ ადგილებში, სადაც მიწა უბატონოა და თავისუფალია. ეს ეპიზოდი მწერლის მიერ ალეგორიულადაა გააზრებული. მიწის მონგრევა, როგორც თამარ-ქალის გულის მორღვევა.

იგივე შეიძლება დავუკავშიროთ შაქარას პერსონაჟსაც. მან, როგორც კი, დაინახა თამარში ქალი „ერთი რეტიანივით დაბარბაცდა და შემდეგ მოსხლეტილი, ჩანგრეული დარბაზის გვირგვინში ჩავარდა“. ისიც მიწამ ანუ ქალურმა საწყისმა დაღუპა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი რუსის აღსასრულიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ბოლოს უფსკრულში გადაიჩება.

„აყალო მიწა იკრავს გულში ესე მასპინძლურად...

სულის მწარით მოუნდა ამოსვლა, ბავშვურის ჟინით, გაგიჟებით...

ორივ ხელი მაგრა წაავლო მომსხო ფესვებს...

მაგრამ აგერ ფესვები შეინძრა, მიწა მომძლავრდა და იურიმ მიწიანუესვიანი ძირს ზღართანი მოიღო (დადიანი, 1990: 381-382).

გიორგი რუსიც მიწამ ანუ ქალურმა საწყისმა დაღუპა. ასე გამოიყენა მწერალმა სიმბოლოები თამართან მიმართებაში, მისი სახის უკეთ წარმოსაჩენად.

მწერალი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თამარისა და გიორგი უფლისწულის დაწინდვის უდიდეს შეცდომას, რამაც ოვსთა ბატონიშვილი, თამარზე უიმედოდ შეეგარებული, იმსხვერპლა კიდეც.

აქ საყურადღებო სახეა დავით სოსლანის პერსონაჟი. მისი ფიქრებიდან ირკვევა, რომ არც ის ყოფილა გულგრილი თამარის მიმართ.

„ის, რაც გულში ბავშვობიდანვე სასოებით პქონდა ჩამარხული – ტრფიალება თამარისა – ნაცარწყვრილ ცეცხლად, ყრუდ მგზნებარებდა მის გულში.

ამისი მიზეზი იყო დემნა ბატონიშვილი, პირველი მიჯნური თამარისა და თვით თამარის მიერ შეწყნარებული...

ხოლო, როდესაც დემნა დაიღუპა, სოსლანის გულში კვლავ იფეთქა იმედის სიხარულმა, მაგრამ...

ეს სიხარული მყისვე დაიჩრდილა, ოდეს აღმოჩნდა, რომ მის „უმრწემესს გიორგის აგრეთვე სწვავდა მძლავრი სახმილი ციური თამარისთვის.

ვერც გიორგის შეელია“ (დადიანი, 1990: 189).

აქ, ვფიქრობ, უფრო ფსიქოლოგიური მომენტია. მართალია, თითქოს დავით სოსლანი სადად მსჯელობს (თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროს გიორგი დაკრძალულიც არ არის), მაგრამ ფაქტია, რომ მის არსებაში „რაღაც შორეული იმედი“ (მწერლის სიტყვებია – მ. 6.) ჩნდება, მისთვის თანდათან იწმინდება გზები და ყოველივე ამას, ის კარგად გრძნობს. გიორგი ჯერ არც კი დაუსაფლავებიათ და დავითი უკვე საპირადოზე ფიქრობს:

„...რა მძლავრი ყოფილა სიცოცხლე...

სიცოცხლე!

თვით უძვირფასებს დანაკარგთან სათავისოდ ჯიუტობს, თურმე.

ამ სიცოცხლეს მისთვის უნდა ბედნიერება და... სხვას არ დაგიდევს (დადიანი, 1990: 190).

ბუნებრივია, ასეთი ფიქრები არ უნდა ტანჯავდეს ერთგულ ადამიანს, მით უფრო, რომ მან სიცოცხლეში შეძლო და თავისი საპირადო უკანა პლანზე გადასწიო.

„...ნუ თუ უხარია დაღუპვა მის საუკეთესო მეგობართა?! ისეთი ხალხის, რომლებიც მუდამ თავს ერჩია.

ისეთების, რომელთაც, როდესაც თავს შეადარებდა, თამარის საქმროდ გონება მუდამ მათ რჩეობდა.

მაგრამ... დაიღუპნენ თრივენი სოსლანის უნებურად. სოსლანი მათთვის მუდამ გულწრფელად თავდადებული იყო. აკი დაამტკიცა კიდევ მისი საქციელით“ (დადიანი, 1990: 189-190).

აღსანიშნავია, რომ სწორედ დავით სოსლანზე შეაჩერებს ყურადღებას თამარის მამიდა, რუსუდანი, მას შემდეგ რაც თამარი თავის ფიქრებს გაუზიარებს.

„...დავით სოსლანი!... ჩემი გაზრდილია, თამართანაც ბავშვობითვე შეზრდილი... უკეთესს ვისდა გვოვებთ?.. ჭაბუკი სრულიად დირსი მეფობისა; ნაკვთად კარგი, პირად ტურფა, ზომიერი, მწიგნობარი, ზრდილი და მეომარი უცხო...“ (დადიანი, 1990: 78). ამ აზრებს რუსუდანი მხოლოდ საკუთარ თავს უმჯდავნებს, რადგან ამის გახმაურება უკვე დაგვიანებული ამბავია.

დავუბრუნდეთ ისევ თამარის პერსონაჟს. აღსანიშნავია, რომ რომანში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი თამარის მიერ მოწყობილ კულტურულ ღონისძიებათა აღწერას. მიმდინარეობდა ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების მშენებლობა, გაცყავდათ სარწყავი არხები, ათინაში იგზავნებოდა ახალგაზრდობა სწავლის მისაღებად და ა.შ. ყოველივე ეს თამარს დიდ ავტორიტეტს უხვეჭდა.

თამარის სახის დასახასიათებლად ნიშანდობლივია მისი თავმდაბლობა და სისადავე. ის არ იშურებდა ძალასა და ენერგიას ყოფილიყო იქ, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო, ამას ნათლად ადასტურებს რომანის ერთ-ერთი თავი „მზღავრი“. ამ თავში აღწერილია თუ როგორ ეხმარება თამარი ზვავის მიერ დაზარალებულ სოფლის მოსახლეობას.

თამარი ამავე დროს არის დიდსულოვანი ადამიანი. მან გიორგი რუსი გააძევა საქართველოდან, მაგრამ მისი გამზრდელი კუზმა შეიწყნარა და კახეთში დაასახლა. „თამარმა დიდად შეიგრდომა... და უხვი საჩუქარიც უბობა: ამომწყდარი კვირიკეს ძეების საპატიონო კახეთში კუზმას გადაულოცა“ (დადიანი, 1990: 287).

ამგვარად, თამარის სახის დახატვისას შ. დადიანი მიმართავს როგორც მატიანებს, აგრეთვე თავისი მწერლური ოსტატობის წყალობით გვიჩვენებს თამარს, როგორც „თამარ-ქალს“, თავისი ვნებებითა და ქალური თვისებებით. თუმცა სალიტერატურო კრიტიკაში მითითებულია, რომ მწერალი თამარის სახის

შექმნისას გაჰყვა მატიანეებს და დახატა ის განყენებულად ყოველგვარი ადამიანური თვისებების და გრძნობების გარეშე. ამის გამო თამარმა, როგორც ისტორიული რომანის ტიპმა, წააგო. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ შ. რადიანი (1961: 25), გ. კანკავა (1969: 57), შ. ჩიჩუა (1972: 79-80), ლ. ასათიანი (1974: 160-162).

ვფიქრობთ, რომ „უბედური რესი“ XII საუკუნის საქართველოს მხატვრულ მატიანედ არა მხოლოდ თამარ მეფის დვაწლის აღწერის გამო იქცა, არამედ მთავარი პერსონაჟის სულიერი სამყაროს შესანიშნავი წარმოჩენის წყალობითაც. თუ მწერლისათვის მატიანე შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ ძალად იქცა, მისივე თხზულებამ საუკუნეთა მშრალ ფაქტებში მიმალული ყველაზე „ადამიანური“ და „რეალისტური“ – განცდების ისტორია აღადგინა.

თამარის სახეს უპირისპირდება აბულ-ასანის მეუდღე უტანდარი. მწერალი უტანდარის გამოჩენისთანავე მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. „...შველივით იერიანი, მტრედივით მოგოგმანე... შვენებით სრული იყო ტურფა ასული... ბევრნი აბულ-ასანის ცოლს თვით თამარსაც ადარებდნენ: მოჰვავს იერითო. მხოლოდ დაკვირვებულნი იტყოდნენ: ეს უფრო მიწიერი სილამაზეა და თამარს... ციურიც ახლავსო“ (დადიანი, 1990: 38).

უტანდარი გამოირჩევა ამპარტავნობითა და მიზანდასახულობით, საგუთარი თავის ზომაზე მეტად დაჯერებულობით. „...იგი თვით არის ძლიერი და შეიძლება, სხვებს უფრო უნდა ეშინოდეთ მისი... მისი ახოვანი გულ-მკერდი თითქო ხარბათ აპობდა სასახლის ეზოს ჰაერს, რომელიც გზას უთმობდა დასახული საწადელისაკენ გაშურებულ სეფე-ქალს...“ (დადიანი, 1990: 129-131). „დასახული საწადელი“ უტანდარისათვის იყო იური უფლისწული, ამ გზაზე მას ეღობებოდა თამარი, რის გამოც შეიძულა იგი. იურის სილამაზით მოჯადოებული უტანდარი ყოველგვარ საშუალებას იყენებს თავისი სურვილების მიღწევისათვის. შემთხვევამ ის შეახვედრა კევორქ ჩესტუნიანის გადიას ანუშავს, რომელსაც საროსკიპო გაუხსნია. მწერალს ეს ფაქტი შემთხვევით როდი აქვს ფიქსირებული, ამით მას სურს სააშკარაოზე გამოიტანოს ფეოდალიზმის გამრყვნელი ზემოქმედება ადამიანზე.

უტანდარის პერსონაჟთან დაკავშირებით იკვეთება კევორქ ჩესტუნიანისა და ანუშავის მეტად საინტერესო სახეები. უტანდარის საქციელით გახარებული კევორქი (უტანდარი მას ოქროთი სავსე ქისას ჩუქნის) წარმოთქვამს ასეთ სიტყვებს:

„—სასაცილო კია ცხოვრება! სულ ქალის ჟინზე ყოფილა დამოკიდებული. მის გარშემო ოქროები ცეკვავენ და იმდენს იტრიალებენ, ისევ თავის ბუდეში ვარდებიან.

არა, ძალიან მადანს მივაგენით მე და ზანქანმა:

თამარის ხაზინა იურის მეოხებით, აბულ-ასანის დოვლათი უტანდარის ნაზი ხელით...

დაჯექი და ფეხი მოირთხი, კევორქ!

თავისით მოვა ყველა! (დადიანი, 1950: 178).

იმავე აზრს, მხოლოდ სხვა სიტყვებით, ავითარებს ანუშაკი:

„როგორ ყველაფერი ერთ რიგზე მიდის ცხოვრებაში, მისი დიდებული, მისი მცირე, მეფე და პაიკა, თუ გულის თქმამ დაიპყრო... სულ ერთია! მუდამ-ჟამ ერთგვარ ხრიკს მიმართავენ... ეს დიოფალიც ამ გზით მიდის... მე კი ვატყობ, რომ გავკეთდი...“ (დადიანი, 1990: 136).

ასეთი ეპიზოდებით მწერალი არაერთგვაროვნად მიგვითითებს, რომ ჩვენმა ქმარებამ ძალიან ბევრ ზანქანს, კევორქ ჩესტუზიანს და ანუშაკს გაუძლო. ასეთი ადამიანები ყოველთვის მრავლად იყვნენ საქართველოში.

დავუბრუნდეთ ისევ უტანდარის სახეს. მიუხედავად იმისა, რომ ის თბილისის ამირის, აბულ-ასანის მეუღლეა, ეს არაა საკმარისი. უტანდარი უფრო მაღალ მწერვალებს მიელტვოდა, პირველობაზე ოცნებობდა. მას დიდი სურვილი აქვს ნახოს თამარი დამცირებული, გაქელილი.

„...იური საყვარელია უტანდარის. იგი უკვე ცოლია მისი ნამდვილი და სწორ-უტყუარი. ნამდვილი დედოფალიც მომავალში ის იქნება საქართველოსი!

თამარის მხოლოდ სახელი იქნება...

მისი საყვარელი გასთელავს მას!“ (დადიანი, 1990: 231).

იურის საქართველოდან გაძევებამ უტანდარის მიზნები დაამსხვრია. თუმცა არც ამ ფაქტის შემდეგ დაუთმია ფიქრები პირველობაზე. უტანდარი ამჯერად აბუბექრს, ადარბადაგანის სულტნის მემკიდრეს, დაუკავშირდა. მისი შემწეობითაც ელოდა განდიდებას აბულ-ასანის თავნება მეუღლე.

ამგვარად, შ. დადიანმა უტანდარის სახით დაგვიხატა აღვირახსნილი, ბიწიერი გრძნობით სავსე და პატივმოყვარე სეფე-ქალის ტიპი, რომელსაც შესწევს დიდი ნებისყოფა და საოცარი ლტოლვა პირველობისაკენ. ის ამ გზაზე ყოველგვარ საშუალებას მიმართავს.

შ. დადიანმა ცნობილ ისტორიულ პირებთან ერთად დაგვიხატა გამონაგონი პერსონაჟი უტანდარის სახით, რომელსაც სიუჟეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი დააკისრა.

რომანის მოქმედ პირთაგან საყურადღებო სახეა თბილისის ამირა აბულ-ასანი. სწორედ მისი წყალობით მოიწვიეს იური ბოგოლუბსკი საქართველოს სამეფო კარზე. აბულ-ასანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში. თამარ მეფე პატივით და დიდებით ეპყრობა მას, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მისთვის საკმარისი. როგორც ბევრი სხვა დიდებული, აბულ-ასანიც პირველკაცობისათვის იბრძვის. მწერალმა აბულ-ასანი დაგვიხატა აგრეთვე, როგორც გაჭართა მფარველი და მათი თანამზრახველი. კერძოდ, ის ტრიალებდა ზანქან ზორაბაბელისა და კევორქ ჩესტუზიანის წრეში და მათგან ხელს ითბობდა.

აღსანიშნავია, რომ გაჭრებთან აბულ-ასანის ურთიერთობაზე არც ერთ ისტორიაში არაა საუბარი.

როგორც ცნობილია, XII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ე.წ. „მესამე წოდების“ წარმომადგენლები. აბულ-ასანი და ზანქანი სწორედ „მესამე წოდებას“ ეკუთვნოდნენ (მესხია, ქ. „მნათობი“, №1, 1970: გვ.163). ამრიგად, უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი, როგორც საქართველოს მეფის – თამარის გათხოვება იყო, „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა გარეშე ვერ გადაწყდა.

შ. დადიანმა რომანში შესანიშნავად დაგვიხატა გაჭართა სულიერი სამყარო, გვიჩვენა მათი მიზნები. ისინი კარგად იცნობენ ქართველთა ბუნებას: „...ქართველებს თვალში აქვთ ჭკუა“ – ასე აფასებს ჩვენს მიმდობელობას და გულკეთილობას ზანქან ზორაბაბელი (დადიანი, 1950: 12).

ნაწარმოების ერთ-ერთი ადგილი მიგვანიშნებს თუ რა თავისუფლად შეუძლიათ გაჭრებს მიმოსვლა ოთხივე მხარეს. თვით ზანქანის სახლში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნის გაჭრები:

„აქ კარგა-ბლომა საზოგადოება იყო თაგ-მოყრილი.

მამაკაცის ქართული კაბები; არაბული თეთრი ხალათი და დოლბანდი; ბიზანტიური დალმატიკა; ებრაული, თავით ბოლომდე შებნეული, ანაფორასავით ტანსაცმელი, თავისი განუყრელი სკლატითა და ბეწვ-შემოვლებული, მრგვალი ქუდით; სპარსული ქლამიდა, აბა ქოშები და ხმალი; სამოგვით შემოსილი

ფეხები და რომიდან ჩამოსული პაპის ნუნციის სამოსით მორთული ნაქვთი“ (დადიანი, 1990: 104).

ვაჭართა ფეხის დახატვისას შ. დადიანმა ყურადღება მიაქცია კიდევ ერთ ასეთ საკითხს:რომ „იყვნენ თავისუფალი და არათავისუფალი ვაჭრები“, „ვაჭართუხუცესები“, „დიდვაჭრები“, „ქმა ვაჭრები“ და სხვა“ (დუმბაძე, 1966: 17). სწორედ ამის ანარეკლია ის, რომ დიდვაჭარ ზანქანს ჰყავს ყმა-ვაჭარი კევორქ ჩესტუზიანი. ეს ყმა-ვაჭარი ოცნებობს ზანქანობაზე.

„...როდის იქნება, რომ... ქურთისტანიდან ახლად გადმოხვეწილი, კევორქ ჩესტუზიანი, ზანქანისთანა საპატიო ადგილს დაიპყრობს... მაგრამ აბა სად შევძლია საცოდავ კევორქს ზანქანობა. ეგ არწივია, ზღვასა და ხმელს ევლება... კევორქი კი პატარა ტურამელაა, შინაურ საქათმოებს ჩასციებია“ (დადიანი, 1990, 164).

ზანქანი, მართალია, უბრალო, გაუნათლებელი სოვდაგარია, მაგრამ ამავე დროს ერთობ „ბრძნულ“ დარიგებებს აძლევს კევორქ ჩესტუზიანს: „...როდესაც მოგიხდეს ჩარხის ხელის წავლება, ისე მოიქეც შენ არა სჩანდე... სხვებს ეგონოს, ჩვენ ვატრიალებთო...“ (დადიანი, 1990: 165).

ასეთი ფსიქოლოგიის ზანქანი ყველას კალთას უკოცნის და ეფარისევლება. ყოველივე ამის გამო ის რომანში დახატულია როგორც ანგარებიანი და ზნედაცემული ადამიანი.

როდესაც იური მეორედ გააძევეს საქართველოდან, ზანქანი მიხვდა, რომ ამ ქვეყანაში აღარ ედგომებოდა და მთელი ოჯახით არსირუმს გაიქცა.

შ. დადიანს „უბედურ რუსში“ დახატული ჰყავს კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მეორეხარისხოვანი პერსონაჟი – ყივჩადი შარაგანი. მისი სახე მინდა დავუპირისპირო იმ ზანქანს, რომელმაც ვერ გაიგო „მცხეთის ტაძარი რომელია?“ (დადიანი, 1990: 271). ამ მხრივ საინტერესოა ყივჩადი შარაგანისა და კუზმას საუბარო.

„...მე ბევრი მომივლია ქვეყნები!.. ერთი რამ შემიმჩნევია, განსაკუთრებით მისრეთში: იქაური შენობები, ბუმბერაზია... თითქო უნდა თავისი სიდიადით შეგაშინოს და გადიპყროსო... ბიზანტიიაში – კი უფრო მოხდენილად არის ნაგები ტაძრები და სასახლეები, მაგრამ ამ უზარ-მაზარობას ვერც იქ ასცილებიან... აქ კი, საქართველოში, მათთამ შედარებით, მომცროა ყოველივე, მაგრამ სამაგიეროდ რა მოხდენილია, რა კოხტა, რა კეკლუცი! აი, შეხედე, ამ არშიას,

უბრალო ზოდია ოქროსი... მაგრამ როგორ თავის ალაგას არის, როგორ შეჰვერის ამ ვარდისფერ ქვას, ფერ-მიღებულსა!“ (დადიანი, 1990: 53-54).

ეს ეპიზოდი მრავალმხრივაა საყურადღებო. შარაგანის სიტყვებში შესანიშნავად მოსჩანს ქართველი კაცის სადა ბუნება და ხასიათი. კიდევ ერთ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მწერალმა შესაძლო სხვადასხვა ვარიანტებიდან არჩევანი გააკეთა შარაგანზე, სწორედ ყივჩაღის პირით გააცხადა ის სინამდვილე, რაც XII საუკუნის საქართველოსთვის იყო ნიშანდობლივი. აზრის ნათელსაყოფად კვლავ შარაგანისა და კუზმას დიალოგს დავუბრუნდებით;

კუზმა აღფრთოვანებულია შარაგანის განსწავლულობით და ეუბნება:

„—შენ, მეგობარო, ბევრი რამ გცოდნია... მეცნიერი კაცი ყოფილხარ...

—არა, მეცნიერი არა, მაგრამ... აქ, ამ ქვეყანაში, უფიცობა სირცხვილია... თითქმის ყველა მწიგნობარია, ყველამ იცის მათი წარსული, მათი ვითარება... ზოგი ხომ ისე დახელოვნებულია ამ საქმეში, რომ ბერძენ-ფილოსოფოსთ არ ჩამოუვარდება. აი, აქ-კი, მე მოვიკოჭლებ, თუმცა სიამოვნებით ვისმენ ხოლმე მათ დავა-პაექრობას მაღალ საგნებზე...“ (დადიანი, 1990: 55).

აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიულ ექსკურსს მწერალი შემთხვევით არ მიმართავს. მითუმეტეს, ეს ეპიზოდი (კუზმასა და შარაგანის საუბარი) ისეთ მნიშვნელოვან ნაწილშია ჩართული, როდესაც დარბაზი ელოდება თამარის გამოსვლას, როცა პირველად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს „თამარ პირიმზე“ და გიორგი რუსი.

რომანში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ვარდან დადიანი, სახლთუხუცესი თამარის სამეფო კარისა. ვარდან დადიანი იმ დიდებულთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ცდილობდნენ თამარის სამეფო კარის დასუსტებას და საკუთარ ზრახვათა განხორციელებას. მწერალი მის დასახასიათებლად მრავალნაირ ხერხს მიმართავს, განსაკუთრებით კი მას სხვადასხვა მიზანდასახულობის ადამიანთა აღქმაში წარმოგვიდგენს. გავიხსენოთ, ოსთა ბატონიშვილის, ჯადაროსის სიტყვები:

„—ვერ შევწამებ, ქვეყანა არ უყვარდეს, მაგრამ საპირადო მე მგონი, მეტი ახლავს მუდამ მის ზრახვებს და მის მოქმედებას“ (დადიანი, 1990: 90).

ნაწარმოების პერსონაჟთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ვარდან დადიანის პერსონაჟი. ოსთა ბატონიშვილისაგან განსხვავებულად ფიქრობს

გოდერძი ჩორჩანელი (თუმცა მოქმედების განვითარების შემდეგ გოდერძი იძულებულია შეიცვალოს თავისი მოსაზრება):

„...დადიანი საზოგადოდ ფრთხილი კაცი იყო და ისეთს არას იტყოდა საშემდეგოდ წინ დახვედროდა... დიდი მამულის შვილი არის... ხომ ბევრი ცუდი ხმები მიმოქრის ამაზე... მხოლოდ საპირადო აწუხებსო! – მაგრამ მამული, სამშობლო, მისი აღორძინება, გაშლა და გადაფურჩქვნა შეიძლება სხვებზე უფრო მძლავრად ამას უტოკებდეს გულს“ (დადიანი, 1990, 94).

ავ. ნიკოლეიშვილის მართებული მოსაზრებით „სიმართლის, ისტორიული ჰერმარიტების ობიექტურად გამოხატვის პრინციპისადმი ერთგულებამ შ. დადიანს თავისი გვარის ეს შორეული წინაპრებიც კი არ დაანდობინა და მთელი სიმკვეთრით წარმოაჩინა მისი მზაკვრული და ბოროტი ადამიანური ბუნება“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 104).

დადიანის ზრახვების წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია რომანის ის ეპიზოდი, სადაც მისი ფიქრებია გახმაურებული:

„აი, მოდის თამარ, მოდის ზეიმით, მოდის როგორც მეფე, მოდის მის საუკუნოებით სამეგვიდრო ქალაქში! ეს ასეა გარეგან, მაგრამ ნამდვილად-კი მოდის, როგორც ტყვე ხელ-ფეხ შეკრული, დაპყრობილი დადიანისაგან. გასაქანი არსაითა აქვს და ამიერიდან აეხადა მეფის უფლება... მაშ, ვინ იქნება... მთელი სამეფოს გამგე? იური ხომ არა, ეს უსუსური დლაპი, ლოთი და გარყვნილი?! თავს რად უნდა ეცრუოს... რასაკვირველია, დადიანი! იური მხოლოდ თოჯინა იქნება მის ხელში, ეგეც დროებით და შემდეგ... დაემხობა ბაგრატიონი! სულ სხვა მოდგმა ვარდანის-ძე დადიანი აღმობრწყინდება საქართველოს ტახტზე... ვერავინ ვერ დაგიპყრო, მე დაგიპყარი, თამარ!“ (დადიანი, 1990: 256).

გარდან დადიანი იურის გაძევების შემდეგ, რა თქმა უნდა, მის მხარეზე იბრძოდა, ისტორიულად ცნობილ ნიალის ველზე მისი სურვილები საბოლოოდ განადგურდა სწორედ ნიალის ბრძოლის დროს.

თამარმა ჩვეული დიდსულოვნება გამოიჩინა და იურის წამქაზებელი, ვარდან დადიანი მაინც დაინდო. ეს ეპიზოდი იმდენად მაღალი ოსტატობითაა გადმოცემული, რომ თითქოს საკუთარი თვალით ვხედავთ განადგურებულ, დამარცხებულ დადიანს; მწერალი მიგნებულად ამხელს მოღალატე სახლთუხცესის ფიქრებს:

„...მძლიე, თამარ! კარგად იქცევი, მე უარესად მოვიქცეოდი!“ (დადიანი, 1990, 360).

ძლეული ვარდან დადიანი საგებით ბუნებრივ გზას აღმოა. ალბათ, ეს იყო მისთვის ერთადერთი გზა, როლითაც შესძლებდა მის მიერ ჩადენილი ცოდვების მონანიებას:

„—ამ ჟამად ეს მაქვს სათხოვარი: ნუ გამაძევებ, მეფეო! მე წავალ ოდიშს და მარტვილის მონასტერში დავეჭუდნები...“ (დადიანი, 1990: 360).

ვარდან დადიანის სახით მწერალმა დიდებულთა იმ ნაწილის სულისკვეთება გამოხატა, რომელნიც სამეფო კარის დასუსტებისა და დაუძლეურებისათვის იბრძოდნენ. მისი მსგავსი, სამწესაროდ არასოდეს ყოფილან საძებარნი საქართველოში.

„უბედურ რუსს“ ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მწერალმა თითქოს რომანში წარსულის არასწორი გაშუქება მოგვცა. შ. დადიანის მოგონებათა წიგნიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი მას რომანის წაუკითხავად აკრიტიკებდა (დადიანი, 1959: 194).

იმდროინდელმა კრიტიკამ ყურადღების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ რომანში მაღალი ოსტატობითაა დახატული მეორე რუსის სახე, უფლისწულის აღმზრდელი კუზმას სახით. „...რომანში ერთი კაცის, მართალია, მეფისწულის, მაგრამ ერთი კაცის უბედურება დავახასიათე — იგონებდა მწერალი — ჩემმა მტრებმა კი მთელ რუსეთზე გადაიტანეს ეს ხასიათი, თითქოს რუსების წინააღმდეგ დამეწეროს ეს რომანი. „დაავიწყდათ“ რომანში მეორე რუსი — გიორგი უფლისწულის აღმზრდელი — კუზმა რომ დავხატე უდიდესი სიყვარულით. ქართველი ქალი სწორედ მას შევრთე ცოლად და გავაძედნიერე... იმ კაცს ჩემი რომანი წაკითხული არა პქონია და ისე გამომიხტა „ტრიბუნაზე“, გაჟყვიროდა, შალვა დადიანმა რუს ხალხს დიდი შეურაცხყოფა მიაჟენაო, როცა ამ ხალხის ტიპად გიორგი რუსი გამოიყვანაო... არა, ტახტზე უფლება ჩამორთმეულ უფლისწულს რათ „გამოესარჩდნენ“ ასე თავგამოდებით, და არა უფრო მდაბიო წრიდან გამოსულ, მშრომელ და პატიოსან კაცს კუზმას, დღემდის ვერ ამიხსნია...“ (ჭილაძა, ქ. „კრიტიკა“, 1988: №3, გვ.80).

განსაკუთრებით ის არის ხაზგასმული, რომ კუზმა ისტორიული პირი კი არ არის, არამედ ავტორის ფანტაზიონია შეთხული. „თავისი ადამიანური კეთილშობილებით ავტორმა კუზმა რუსი უფლისწულის სრულ ანტიპოდად დაგვიხატა, ამით არაორაზროვნად გამოავლინა თავისი შემწყნარებლური და კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ამ ერისადმი“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 114).

მწერალმა კუზმა რუსი იმისათვის შემოიყვანა რომანში, რომ ერთგვარად შეემცირებინა ის უარყოფითი შთაბეჭდილება, რომელსაც გიორგი უფლისწულის სახე იწვევს.

„რომანის პირველი გვერდებიდანვე კუზმა ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც... კეთილი იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანი, რომელიც თავისი ქმედების დიდ მომავალზე ოცნებობს. მისი იდეალი იყო ერთიანი, ძლიერი, აყვავებული ქვეყანა. სწორედ ეს აკავშირებდა მას ანდრია ბოგოლებსკისთან (სალია, ქ. „კრიტიკა“, 1977: №2, გვ. 97).

ანდრიას ტრაგედიის შემდეგ კუზმას იმედი მხოლოდ იური იყო. ის ფიქრობდა, რომ იური შეძლებდა ანდრიასეული ტახტის დაბრუნებას. „...მინდოდა, უწინარეს ყოვლისა, იურისაგან მამასავით მხედ და ჯანსაღი მეომარი გამოსულიყო, ამიტომ იყო არ ვუშლიდი, როდესაც კი მოიჩიტა, ტყვ-დრეში მარტო თარეშს. მინდოდა გაჩვეოდა ბუნების სტიქიონთა ატანას, მარტოობას, საშიშროებას, მეომრულ სიმკვირცხლეებს... ლალად უნდა გაზრდილიყო მომავალი შურისმაძიებელი“ (დადიანი, 1990: 27). „...მაგრამ კუზმამ შეცდომა დაუშვა, მან უფლისწული ცალმხრივად აღზარდა. განავითარა მასში ფიზიკური მონაცემები, ხოლო მის სულიერ სამყაროზე ერთი წუთითაც არ უფიქრია“ (სალია, ქ. „კრიტიკა“ №2, 1977: გვ. 98).

მართალია, რომანი არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიმსჯელოთ, რამდენად ზრუნავდა კუზმა იურის სულიერ აღზრდაზე, მაგრამ ვერც მის ცალმხრივად აღზრდაში დავდებო ბრალს მას ასე ხელადებით. კუზმა იმდენად დადებითი პერსონაჟია, რომ არ შეიძლებოდა მას იურის სულიერი სამყარო ყურადღების მიღმა დარჩენოდა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კუზმა ქართველ ქალზე ქორწინდება. „...კუზმა რუსი ამ ქართველ ქალს აღმერთებდა“, – შენიშნავს შ. დადიანი (ჭილაძა, ქ. „კრიტიკა“, №3, 1988: გვ. 80).

ეს ქართველი ქალი, სვანი დადაშ ციოუის და, ნანულია. მწერალმა მაღალი ოსტატობით გვიჩვენა კუზმასა და ნანულის პირველი შეხვედრა.

„...რეტი დაესხა კუზმას.

...უმიზეზო, უცნაურმა ბედნიერებამ თითქო მის გულში ჯადოსნური ხალიჩა გაშალა. ეს მოხდა ესე უეცრად და... სრულიად უმიზეზოდ...

თითქო სრულიად გაუმარტვილდაო, გარბენა უნდა, ხტომა, დიდი სიმძიმის აწევა, აი, ამ გუმბათიან დერეფნის ხელში დაჭერა...

ნაწულიც მოჯადოებულივით უძრავად იდგა...
სამოც წლამდე მიღწეული კუზმა და თექქსმეტამდე აფეთქილი მთიული ნაწული.

ორთავენი, თითქო ერთს სიხარულს შესდგომოდნენ, ერთი უცნაური საგალობლის წართქმას აპირებდნენ“ (დადიანი, 1990: 201-202).

კუზმას უსაზღვრო სიყვარული ნაწულისადმი სხვებისთვისაც თვალში საცემი იყო:

„...ერთის დანახვით სულ უბრალოდ და ჩვეულებრივ ეპურობიან ერთი მეორეს, მაგრამ დაკვირვებული თვალი იგრძნობს ამ ორ, ასაკით განსხვავებულ სხეულში, როგორი ერთიანი სურვილი ფეთქავს ერთი მეორის სიყვარულით გადაწეული...

არც გადახვეულნი არიან, არც ხელი-ხელს უკიდიათ. ცოტა განრიდებითაც-კი დგანან ერთი მეორეზე, მაგრამ ორივ სხეულს ეტყობა ერთი მეორისკენ მისწრაფება“ (დადიანი, 1990: 313).

კუზმასა და ნაწულის ბედნიერება ცვატას გასროლილმა ისარმა სამუდამოდ მოკლა. „როყიო ისარმა ... დააბნელა მზე ნაწულისა, ჩააქრო ენით გამოუთქმელი სიხარული კუზმასი“ (დადიანი, 1990: 315).

როდესაც გიორგი უფლისწულის მომხრეებს აპატიმრებდნენ, მათ შორის ვხედავთ კუზმასაც. თამარი საგსებით ბუნებრივად იქცევა, როცა კუზმას ასეთი სიტყვებით მიმართავს:

„შენ რათ დაუტუსადებიხართ? შენ არაფერი დაგიშავებია, მხოლოდ ერთგული იყავ შენის გაზრდილისა და აქ რა არის სააუგო... მხოლოდ მან ვერ გაგიმართლა იმედები...“ (დადიანი, 1990: 359).

ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ კუზმა რუსი მწერალს დახატული ჰყავს ყოველმხრივ დადებით პერსონაჟად, მაგრამ მწერალი მაინც ვერ ასცდა იმდროინდელ კრიტიკას და „ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელიც მას რომანის გამოქვეყნების შემდგომ არაერთგზის წაუყენეს, რუსი ხალხისადმი უპატივცემულობა და უარყოფითი დამოკიდებულება იყო, მაგრამ, როგორც ამის გამო თავად ჭ. დადიანსაც ხაზგასმით აქვს აღნიშნული, ეს ბრალდება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და ერთი პიროვნების მანკიერებათა მხილება მთელ ხალხს არამც და არამც არ უნდა მიეწეროს“ (ნიკოლეიშვილი, 1994: 113).

რამდენადაც სძაგს (მაგრამ სადღაც ეცოდება კიდევ) ავტორს გიორგი რუსი, იმდენად უყვარს კუზმა და ამიტომ მკითხველსაც ასევე განაწყობს. რომანში აშკარად იგრძნობა ავტორისეული სიმპათია მისადმი.

შესაძლებელია, მწერალმა კუზმას, მეორე რუსის, მხატვრული სახე იმისათვის შექმნა ნაწარმოებში, რომ რომანი „გადაერჩინა“. შ. დადიანმა თანამედროვეობის გასაკრიტიკებლად გამოიყენა ისტორიული ეპოქა, მან ფართო საზოგადოების დასაინტერესებლად მთლიანად გამოგონილი პერსონაჟი შემოიყვანა ნაწარმოებში. შეიძლება ეს პერსონაჟი იმ ეპოქის ერთგვარ ხარჯადაც მივიჩნიოთ, რომელშიც შ დადიანი ცხოვრობდა.

ჩვენს ნაშრომში მალიან ხშირად განვიხილავთ ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთმიმართების საკითხს, ცნობილია, რომ შ. დადიანმა „უბედურ რუსში“ დიდი ზომიერებით შეძლო თამარის საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული წარმოსახვა. იგი ერთგულია მატიანების მიერ გადმოცემული ფაქტებისა, მაგრამ ზოგჯერ, არ უწევს მათ ანგარიშს. მაგალითად: შ. დადიანს გოდერძი ჩორჩანელი გამოყვანილი ჰყავს „ეთერიანის“ ავტორად.

„—ეს არის ის განთქმული მწერალი... ამ ბოლო ხანებში „ეთერიანი“, აბესალომ და ეთერის ამბავი რომ დასწერა, სახელოვანი გოდერძი ჩორჩანელი“ (დადიანი, 1990: 83).

ეს ფაქტი მწერლის ფანტაზიის ნაყოფია და სიმართლეს არ შეესაბამება.

ანალოგიური შემთხვევაა დავით სოსლანთან დაკავშირებით. მწერალი მას მიაწერს „ალლუზიანის“ ავტორობას.

„—დავითმა ჩვენ გმირთა-გმირის ალლუზის და სხვათა ამბავი ეგოდენ მშვენივრად შევკინძა, რომ საამური რამ სასმენელი გამოვიდა...“ (დადიანი, 1990: 84).

შესაძლებელია, შ. დადიანი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა ნ. გამრეკელის ცნობას. მან ეს პოემა გამოსცა 1885 წელს და თხზულების წინასიტყვაობაში შემდეგი აღნიშნა: „ეს პოემა... ვგონებ... არის დაწერილი თვით მეორე ქმრისაგან თამარ დედოფლისა დავით სოსლანისაგან“ (გამრეკელი, 1885: 111).

„უბედური რუსის“ მიხედვით, თამარმა დავით სოსლანზე იქორწინა გიორგი რუსის მეორედ გაძევების შემდეგ, რაც 1191 წელს მოხდა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, თამარი მეორედ 1189 წელს გათხოვდა.

„1189 წელს 23 წლის თამარმა მეორედ იქორწინა დავით სოსლანზე...“
(სანიკიძე, 1992: 131).

იური ბოგოლუბსკი ორჯერ შემოიჭრა საქართველოში, „...გიორგი რუსმა... რამდენჯერმე სცადა საქართველოს ტახტისა და მისი სწორუპოვარი დედოფლის დაბრუნება... მაგრამ ვერაფერს გახდა, იგი ამ ბრძოლას გადაჰყვა...“ (სანიკიძე, 1992: 132).

მაშასადამე, გიორგი რუსის თვითმკვლელობა მწერლის მხატვრული გამონაგონია.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ხასიათის გადახვევები არ აუფასურებენ ნაწარმოების ისტორიულ-შემცნებით ღირსებას. აგტორმა მსგავსი გადახვევის უფლება იმით მოიპოვა, რომ მათ შედეგად გაზარდა დამაჯერებლობა და ეფუტი.

შ. დადიანი გამოგონილი პერსონაჟებისა და ეპიზოდების სახით არ აკნინებს სინამდვილეს, პირიქით, ამით ხელს უწყობს ამ სინამდვილის მხატვრულ აღქმას.

შ. დადიანს ხშირად საყვედურობდნენ, რომ „უბედურ რუსში“ თამარის, როგორც მეფის ერთგვარი იდეალიზაცია მოახდინა, მშრომელთა მწარე ხვედრი კი ვერ გვიჩვენა, საკმაო სისრულით ვერ დახატა ხალხი (ბურთიკაშვილი, 1952, 42). მართალია, რომანში მოქმედება ძირითადად სამეფო კარზე მიმდინარეობს, მაგრამ მწერალს დაბალი ფენების წარმომადგენლებიც ჰყავს გამოყვანილი რომანში. ასეთია, ბაზალეთელი გლეხი ბერუა ბოლოტუაშვილი, სვანი დადაშ ციოყი, მისი და ნანული, თაფლო და შაქარა ბოლოტუაშვილები და სხვ. მწერალი ცალკეული პერსონაჟის პირით, მანც ახერხებს იმდროინდელი გლეხობის სულისკვეთების გადმოცემას. ამ მხრივ, საინტერესოა ახალგაზრდა გლეხის ქალის, თაფლოს, სიტყვები:

„—ეს თავისუფლება თვით ჩვენ მოვიპოვეთ... აზატები ვართ ეხლა... თორემ წინედ მთიული ერისთავები, კახელი ქორიკოზები და შაბურიშვილები გვემდლავრებოდნენ... ავუჯანყდით, ვძლიერ და ეხლა, დიდი დავითის შემდეგ, უბატონოდა ვართ... არავის ყმებად არ ვითვლებით, მარტო აბულ-ასანს ვექვემდებარებით... ისიც ომიანობის დროს...“

„...მონასტრებსა და ხატებს ჩვენ თვით ჩვენის ნებით ვემსახურებით. ბატონი კი? დაიწყევლოს მათი სახსენებელი...“ (დადიანი, 1990: 220).

რომანში არის ამის მსგავსი რამოდენიმე ეპიზოდი, რითაც შ. დადიანი იჩენს დაინტერესებას სოციალური პრობლემატიკით. „ნაწარმოებში ავტორისეული მიზანსწრაფვა იმგვარად იშლება და ვითარდება, რომ სოციალური პრობლემატიკა მწერლის ინტერესთა სფეროში არ შედის... ფრაგმენტულად, რამდენადაც საამისო შესაძლებლობას მოქმედების განვითარება იძლეოდა, შ. დადიანს არც ეს საკითხი დაუტოვებია უყურადღებოდ“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 111).

საინტერესო სახეა ბერუა ბოლოტუაშვილი. ის მწერლის მიერ მოაზრებულია, როგორც სამშობლოს ერთგული, პატრიოტი ადამიანი. ერთ-ერთ თავში, მოთხოვთბილია, თუ როგორ დააზარალა მეწყერმა ბაზალეთელი მოსახლეობა, ბერუა ძალიან განიცდის ამ ფაქტს, რომ „...საჭიროების დროს ჩვენს გვარში რაზმი ვიღასაგან შევადგინო, ომში რომ დაგჭირდე ვიღასით დაგეხმარო?.. ომი რა სანატრელია, მაგრამ ე ბიჭები გამერყვნებიან სახლში ჯდომითა... სამოცდაათამდე მარტო ჩემი ნაშიერია. მე ის მაწუხებს, წინეთ სამასამდე მაინც დავარჩევდი ვაჟკაცებსა და ეხლა არ ვიცი, ჩემიანთ გარდა რამდენს-ლა შევკრებ...“ (დადიანი, 1990: 276).

„უბედურ რუსზე“ მუშაობის დროს შ. დადიანი, როგორც თვითონ იხსენებს, აწუხებდა მოსე ჯანაშვილს და თითქმისს ყველა საომარი იარაღების სახელწოდებანი მისგან შეიტყო, განსაპუთრებით ისრებისა, რაც ასე უხვად არის წარმოდგენილი რომანში:

„...მეომარს რომ აქვს ბუდეში ამოჩრილი, ბოძალო პქვიან და იხმარება მსხვილ ნადირთათვის... მცირე რაზმს რომ აქვს გადაკიდებული, ქეიბურია, ეგეც მხეცთათვის არის მომარჯვებული... მეორე გუნდი რომ მოსხანს, სარჩა და ქიბურჯი პკიდია წვრილ ნადირთათვის. დანარჩენს კი, შენც იცნობ, ბრძოლაში სახმარი ისრებია და აქ საყალნოს უწოდებენ“ – უხსნიდა შარაგანი კუზმას (დადიანი, 1990: 238).

საყურადღებო სურათს იძლევა საომარი იარაღების ჩამოთვლა: „ჯავშანი და ხაფთანი, მოჭედილი მუზარადები და წვრილ-თვალას ჩაბალახები, პოლიტიკი და საბარკულნი, ჩუგლუგი და ხიშტი, ხმალი და მახვილი, ლახტი და გურზი, პოროლი და შუბი, მშვილდისარი ულევი, უამრავი და ნაირ-ნაირი“ (დადიანი, 1990: 237-238).

ეოველივე ეს უდიდეს დირსებას შეადგენს მწერლისას, რომელმაც შესანიშნავად შეძლო თამარის ეპოქის კულტურის მაღალმხატვრული აღწერა.

რომანიდან ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, თამარის დარბაზის მორთულობა (დადიანი, 1990: 46-46), დაწინდვის წესების შესრულება მცხეთის ტაძარში (დადიანი, 1990: 236-237), ბიზანტიის სამეფო კარის აღწერილობა (დადიანი, 1990: 86) და ა.შ.

შ. დადიანს კარგად ესმოდა ისტორიულ რომანზე მუშაობის სირთულე ბეჭრ სხვა საკითხთან ერთად მან ჩვეული მხატვრული ოსტატობით აღწერა საომარი მოქმედებანი, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. ჩვენ, ზემოთ, გაკვრით შევეხეთ ნიალის ბრძოლას, რომელიც ისტორიულად დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს. შ. დადიანმა მემატიანის სიტყვებზე დაყრდნობით შექმნა დრამატული ეპიზოდი, რომელიც წარუშლებულ კვალს ტოვებს მკითხველის მეხსიერებაში.

„...სულ-გაკმენდილი ლაშქარი, ანაზდად, დასტა-დასტა დაწყობილი, ამ დამის წყვდიადში, ციხე-ბურჯივით შემკვრივებული, გამზადდა იერიშის მისაღებად...

—ჰა მაგას!..

გაისმა დადიანის რაზმიდან საომარი შეძახება და თითქო ნიაღვარივით მოსკდა ერთი დიდი ტალღა განდგომილთა ჯარს.

და გაჩნდა ჯოჯოხეთი ნიალის ველზე...

გმინვა, ხვეშა, შეყვირება, ხმლების ჩხრიალი, გურზთა ხათქი-ხუთქი, ცხენების მკერდთა შეჯახება, გადათელვა, დაკოდვა, სიკვდილი, ყოველივე ერთი მეორეში აირია და გამოსცემდა ხმას უცნაურს, ვაჟისაგან შედედებულსა...

ნიალის უშველებელი მინდორი ადარ მინდვრობდა, თითქო ჯადოსანს მთები დაედგა ამ ტრიალ ველზე. ხოლო ეს მთები იქა-აქ ჯერ კიდევ ფეთქავდა...

მთების გარშემო... ბეჭრი იყო მიმოფანტული ბალახებსა და ჯაგნარებს შორის, აგრეთვე ამ მთებს შეა ბეჭრი იყო ცალ-ცალკე გუნდად ხელჩართვით ცოცხალი მებრძოლი...

კიდევ ერთი სასტიკი შეტვება და ნიალზე მყოფ განდგომილთა თითქმის ყველა მეთაურები თამარის ჯარს ხელთ ჩაუვარდა“ (დადიანი, 1990: 351-353-355).

შესანიშნავადაა აღწერილი ასევე გიორგი რუსის მეორედ შემოჭრა საქართველოში და ბრძოლა კამბექოვანში კახელ მახატელის ძეთა ლაშქართან (დადიანი, 1990: 366-367).

„უბედური რუსის“ შესწავლამ ცხადყო, რომ შ. დადიანი მემატიანეთა ცნობებს ოსტატურად იყენებს რომანში. ის, სინამდვილესთან ერთად, ხატავს

ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი არც პქონიათ, მაგრამ სავსებით შეესაბამებიან წარსულის რეალურ სურათებს.

„უბედურ რუსში“ დახატულია XII საუკუნის საქართველო თავისი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებით, თავისი კულტურით, ფეოდალური დაჯგუფებების დაპირისპირებითა და ბრძოლით, მხილებულია შური, მტრობა და საერთოდ, ქართველებისათვის დამახასიათებელი დალატი.

„...ქართველები ფრიად შემცული ხალხია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი პქონიათ: თავის-თავის დალატი. უკეთუ მათგანი ვინმე ზე-წამოიწია და გალონიერდა, შემდეგ თავს მაღლა იდებს და ურჩობას იწყებს. თვით მეფესაც აღარ ეცუება, საზოგადოს ივიწყებს, საპირადოზე გადადის. ასეთი მდგომარეობა ეხარბება სხვებს და ეხლა ისინი იწყებენ ამავე გზით სიარულს, რომ შემდეგ ერთი-მეორეში შუდლი მოვიდეთ, ან კიდევ მათი შემაერთებელი ტახტი დაამხონ... სულ ასეა ხოლმე, უკეთუ ტახტზე ლირსეული და მძლავრი პიროვნება არ დაჯდება...“ (დადიანი, 1990: 56), – ასე აცნობდა ქართველებს ყივჩაღი შარაგანი კუზმას.

ქართველთა ორგულობა და დალატი იყო განმაპირობებელი მიზანი იური უფლისწულის ჩამოყვანისა საქართველოში. თამარის დაქორწინება, ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დიდებულების გადაწყვეტილებით, სომებ დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიენდო. იმ ზანქანს, რომელმაც ვერ გაიგო „მცხეთის ტაძარი რომელია?!“ ანდეს იმ სახელმწიფოს ბედი, სადაც „უკიცობა სირცხვილია... სადაც თითქმის ყველა მწიგნობარია...“

„უბედური რუსი“ ძლიერია დამაჯერებლად გამოკვეთილი პერსონაჟებით, ხასიათებით. „ლიტერატურული გმირი თანამედროვეა თუ ისტორიული, საბოლოო ჯამში გამოხატავს შემოქმედის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ამიტომ ზოგჯერ ისტორიულ-ლიტერატურულ გმირში შეიძლება უფრო მძაფრად იყოს გამოსახული შემოქმედის მსოფლმხელველობა, ვიდრე რომელიმე თანამედროვე პერსონაჟში...“ (კალანდაძე, ქ. „მნათობი“, 1980: №11).

ჩვენი აზრით, შ. დადიანის მთელი მემკვიდრეობიდან ყველაზე საუკეთესო მაინც მისი ისტორიული რომანი „უბედური რუსია“.

მწერალი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი ისტორიისადმი. მან ძალიან ბევრი გააკეთა ამ სფეროში და სწორედ ისტორიულ თემებზე შექმნილმა ნაწარმოებებმა დაუმპვიდრეს შ. დადიანს ერთ-ერთი უნიჭიერესი ქართველი ბელეტრისტის სახელი.

„უბედური რუსის“ თემა საინტერესო აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლოსაც. სულ სხვა თაობისა და ლიტერატურული მრწამსის მწერალმა, ლაშა ბუდაძემაც მიმართა შ. დადიანის მიერ ხორცშესხმული ამბავი მანაც გამოიყენა რუსული აგრესის სამხილებლად. მის მოთხოვბაში – „პირველი რუსი“ იმდენად დაუფარავადაა გაშიშვლებული გიორგი რუსის ამორალური მხარე, რომ ნაწარმოების გამოქვეყნებას დიდი აჟიოტაჟი მოჰკვა ქართულ საზოგადოებრიობაში.

პრაქტიკულად, ამ მოთხოვბას გულგრილად არავინ დაუტოვებია. ის რაც შ. დადიანმა თავის რომანში ქვეტექსტის სახით გამოხატა, ლ. ბუდაძემ დია ტექსტით განუცხადა მკითხველს. თუმცა პოსტმოდერნისტული ქსოვტიკით დაწერილი მისი ტექსტი რეალისტურ მწერლობას შეჩვეულ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა უკრიტიკოდ ვერ მიიღო.

ნეგატიური დამოკიდებულება იყო შ. დადიანის რომანზეც და თითქმის იგივე განმეორდა ერთი საუკუნის შემდეგ ლ. ბუდაძის მოთხოვბაზეც. ლ. ბუდაძე იხსენებს, რომ ვინც მეტად ხმაურიანად მლანძლავდა, იმათ საერთოდ არ პქონდათ ეს ტექსტი წაკითხული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შ. დადიანსაც ბევრი რომანის წაუკითხავად აკრიტიკებდა. მიუხედავად იმისა, რომ „უბედური რუსი“ კონკრეტულ იტორიულ ფაქტებზე აგებული რომანია, ლ. ბუდაძის შემთხვევაშიც იგივე შეიძლება ითქვას, ორივე მწერალი ამას იყენებს თავისი თანამედროვეობის გასაკრიტიკებლად.

„უბედური რუსი“ განზოგადებული სათაური იყო, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ და სიღრმისეულად აჩვენებდა რა პრობლემასთან პქონდა საქმე ქართველ ერს. უბრალოდ მწერალმა პრობლემები ისტორიულ ეპოქაში გადაანაცვლა და იქედან დაინახა. ლ. ბუდაძესაც ეს თემა მხოლოდ იმიტომ აინტერესებდა, რომ თავის თანამედროვეობისათვის ისტორიის გარკვეულ მხარეებზე აეხილა თვალი. მისი აზრით, ცენზურამ ნაწილობრივ გაიმარჯვა: ტექსტი ვერ აკრძალეს, როგორც საბჭოურ დროს, მაგრამ უურნალისტების შეშინება კი მაინც შეძლეს, ვინაიდან ავტორის ნამდვილი პოზიცია არცერთ არხეზე არ გასულა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხსენებულ თემას გურამ ბათიაშვილმაც მიუძღვნა რომანი „უამი დუმილისა და უამი უბნობისა“ (2002-2005 წწ).

რომანის მთავარი პერსონაჟი ზანქანი, შეიძლება ითქვას, სრული ანტიპოდია იმ ზანქანისა, რომელზეც ჩვენ უკვე ვსაუბრობდით „უბედური

რუსის“ განხილვის დროს. გ. ბათიაშვილის წარმოსახვით ის საქართველოს სამეფო კართან საქმაოდ დაახლოებული ებრაელი დიდგაჭარია, რომელიც თავისი პიროვნული თვისებებით ერთგვარი სიმპათიით განაწყობს მკითხველს მის მიმართ. როგორც ა. ნიკოლეიშვილი მიუთითებს „ზანქან ზორაბაბელის პიროვნული სახისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ რომანის მთავარი პერსონაჟის ადამიანური ბუნება მწერალმა ცალმხრივად და ფრაგმენტულად კი არ გაიაზრა, არამედ ყოვლისმომცველად, მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად ქცეული ეველა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით“ (ნიკოლეიშვილი: 2008, 35-360).

ისევე როგორც „უბედურ რუსში“, გ. ბათიაშვილის რომანშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაომობილი დიდგვაროვანთა მზაკვრული ზრახვების ჩვენებას. ისინი თამარის საქმროს შერჩევის დროს მხოლოდ პირად სარგებელზე ფიქრობდნენ. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა აბულასანისა და მისი ბანაკის წევრთა სახეები. გ. ბათიაშვილის ეს რომანი იმ კუთხითაც საგულისხმოა, რომ მასში ისტორიულ მოვლენათა ახლებური გააზრებაა მოცემული.

რაც შეეხება „უბედური რუსის“ მხატვრულ მხარეს, ამ კუთხით მას ერთმნიშვნელოვნად მაღალი შეფასება აქვს მიცემული სალიტერატურო კრიტიკაში.

ნაწარმოებში გამოირჩევა როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟების ენა. მათი მეტყველება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა თვით პერსონაჟის ბუნების გამოხატვისა. პერსონაჟთა ენაში კარგად უნდა ჩანდეს სპეციფიკა მეტყველებისა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პერსონაჟის სოციალურ წრეს. „უბედურ რუსში“ შეინიშნება სხვაობა მეფის, დიდებულებისა და მდაბიოთა მეტყველებას შორის დაბალი წრის წარმომადგენლები ასე მეტყველებენ:

„იი, აბა რასა ბრძანებ დიდო ბატონო...“ (დადიანი, 1990:225).

„უბედური რუსის“, როგორც ისტორიული რომანის, ენის განხილვისას მის თავისებურებას განსაზღვრავს ნაწარმოების უანრობრივი და თემატიკური სპეციფიკა. რომანში ასახული ეპოქის გამოსახატავად გამოყენებული ენა ძირითადად არ განსხვავდება თანამედროვე ქართულ ენისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორის ენას მთელი რიგი თავისებურება არ ახასიათებს. რომანის კითხვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს არქაიზაცია.

ისტორიული პერსონაჟების მეტყველებაში გამოყენებული არქაული ფორმები ეპოქის სურნელებას უფრო მძაფრად შეგვაგრძნობინებს.

მაგალითები:

„ქალმა თავი აიღო წიგნისაგან და... უთხრა:

– განვედ ჩემგან!..

– არა გრცხვენისთ?..“ (დადიანი, 1990:295);

„მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გამართვად... და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ...“ (დადიანი, 1990:319);

„იწყო მზემან დასვლად“ (დადიანი, 1990:235);

„დედოფალი რუსუდან გიწოდსთ თავისთან“ (დადიანი, 1990:91);

„უბედურ რუსში არქაულ კონსტრუქციებს მრავლად ვხვდებით თამარ მეფის, დავით სოსლანის, რუსუდანის, გოდერძი ჩორჩანელისა და სხვა ისტორიული პირების მეტყველებაში, ეს ბუნებრივიცაა.

შ. დადიანის პროზისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ლაკონიური დიალოგები. მის შემოქმედებაში დიალოგს შესაბამისი მხატვრული დანიშნულება გააჩნია. მწერალი შემთხვევით არ მიმართავს ამ ფორმას და მას ყოველთვის მაშინ იყენებს, როდესაც მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა ყველაზე მიზანშეწონილია სწორედ დიალოგის მეშვეობით. მოცემულ მხატვრულ სტრუქტურაში მის როლს სხვა ფორმა თუ ხერხი ვერ იტვირთავს.

დიალოგი ცოცხლად წარმოაჩენს პერსონაჟთა სახეებს და ადამიანთა ურთიერთობათა შინაგანობას ააშკარავებს. „უბედურ რუსში“ გვხვდება პერსონაჟის თავის თავთან პირდაპირი, შეუფარველი დიალოგიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რომანის ის ეპიზოდი, სადაც თამარ-მეფე და თამარ-ქალი კამათობენ.

„ – აბა, რას ჩადიხარ, თამარ?!“

ამბობდა ქალი.

– რა გინდა მოიმოქმედო?... გინდა გაპყვე ამ შორეულ უფლისწელსა?... რაკი არ გელირსა ამქვეყნიური ბედნიერება... აღიკვეცე მონაზვნად, წადი მონასტერში...

– მონასტერში?

დაიწყო მევემ.

– მერე სამეფო?... მერე, მისი საქმეები?...

– სამეფოს რას დაეძებ, შენ შენს თავზე იზრუნე...

– ჩემი თავი უნდა დავთმო, ბედშავო თამარ!... ქვეყნის ბედი უმაღლესია ჩემს საპირადოზე...“ (დადიანი, 1990: 63-64).

რასაც უნდა შეეხებოდეს მსჯელობა დიალოგებში, ყველაფერი ემსახურება ადამიანის შეცნობის ამოცანას, მისი შინაგანი თუ გარეგანი მისწრაფებების გახსნას.

შ. დადიანი პეტაჟის – ბუნების სურათების ხატვის დიდებული ოსტატია. მწერალს პეტაჟი მოხმობილი აქვს პერსონაჟთა განწყობილების უკეთ წარმოჩენის მიზნით. მაგალითად:

„მზე მიექანებოდა დასავლეთისაკენ. მისი ოქროთი იყო დაგანძული ახლო მდებარე ტყის, უკვე შეყვითლებული და ზოგან წითლად აჭგიგებული ფოთლები.

ირგვლივ საარაკო მყუდროება იყო გამეფებული...

მზემ თითქო უკანასკნელი შარავანდედი დააყენაო ავადმყოფს.

ერთგული სამ-ვაჟაცი მიუახლოვდა გიორგის და თავს დაადგა: მზემ მოსვენება არ დაურღვიოსო.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა მისი თანშეზრდილის ბედი“ (დადიანი, 1990: 183).

ჩვენი ნაშრომის ხასიათიდან გამომდინარე, არა გვაქს საშუალება ამომწურავად ვისაუროთ შ. დადიანის ლიტერატურულ ოსტატობაზე, მაგრამ თქმულიდანაც ნათელია, რომ ის ორიგინალური სტილის მწერალია. მის ენას ახასიათებს მელოდიურობა და ლაპიდარულობა. შ. დადიანისათვის დამახასიათებელია ტიპაჟის, მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების გამოკვეთის იშვიათი ძალა და უნარი. მწერლის დვაწლი ქართული ენის ისტორიაში საკმაოდ დიდია. შ. დადიანმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ბ) „გვირგვილიანების ოჯახი“

შ. დადიანს გადაწყვეტილი პქონდა შეექმნა ფართო მხატვრული ტილო, რომელშიც ასახული იქნებოდა იმდროინდელი საქართველოს ყველა სოციალური წოდების ცხოვრება და მათი მისწრაფებები. ეს ვრცელი ტილო უნდა ყოფილიყო ტრილოგია „მენჯი რობუ“. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვაწვდის მწერლის არქივი:

„ძირითადად რა უნდა იქნეს „მენჯი“?

ჩვენი დროის საქართველოს ყველა ფენების ისტორია. გამარჯვება რევოლუციის, ხალხის...

1905 წლის პირველი რევოლუციით უნდა გათავდეს პირველი ნაწილი...

„მენჯში“ მეორე ნაწილი უნდა დაიწყოს 1917 წლიდან და გაგრძელდეს გადატრიალებამდე.

მესამე ნაწილი კი იქნება ნაწილობრივ ომამდელი მშენებლობა მენჯი-რობუსი, რომელსაც ოდესდაც პქონდა ოდრო და იქ არის ნიშნები რადიუმის ბუდობისა, აგრეთვე სამკურნალო წყალი... შემდეგ კი განვლილი მეორე მსოფლიო ომი და დაბრუნებული ხალხი კვლავ მუშაობაში ჩაბმული.

...ბედი ჩემი გმირებისა:

იეროთეოსი – ჯერ ბოლშევიკი, შემდეგ მიმხრობილი მენჯევიკებს და ბოლოს ისევ ბოლშევიკი, უსასტიკესი თავის სოფელში.

სხვათაშორის, ეს ახვრეტინებს ბარამსაც. ბოლოს ხდება სოფელში „თვითმპურობელი“, მაგრამ რომ გაუგებენ, თვითონაც იღუპება, მოკვდება დიდ გადასახლებაში.

გამეხი – ფაბიანისტი, ჩვენებური ბოლომდე. მეორე ნაწილში კვდება თავისი სიკვდილით. სიცოცხლეში იერო და სხვები ცოტა შეაჯანჯლარებენ, მაგრამ ზემდგომი ორგანოები უშველიან და კვლავ განაგრძობს თავის „განმანათლებელ“ თანაგრძნობის როლის შესრულებას...

ლევარსი კვიზინია – ყიდულობს ტაიას მამულებს და სამოსახლოს. ხელს მიჰყოფს შავი ქვის მრეწველობას. როდესაც ყველაფერს ჩამოართმევენ, გული გაუსკდება.

თოლისქვამი – ბოლოს მისი ცოლია და როგორც ნაჩვენებია, ისე მიდის მისი დღენი...

კესარია – გადატრიალების დროს „დიდ ამბებშია“.

ნექტარინა – მოესწრება ყველაფერს. შეურიგებელია. ყველაფერი ჩამორთმეული და გამოსახლებელი, თუმცა აშკარა მოწინააღმდეგეთა რიგებში არ მოხვედრილა. ცხოვრობს შევრდომილად, აცხოვრებს ერთხანს მდვდელი, შემდეგ რომელიმე გლეხის ოჯახი... ახლა მდვდელი პყავს საყვარლად, მაგრამ თითქმ „სამოწყალოდ“, მოწყალებისათვის უზიარებს აღერსს. ძილხანი დიდხანს თან პყავს და კვლავ ის არის მისი ავან-ჩავანი. ერთხანს ძილხანის შემონახულ და აგრეთვე თავისი ძვირფასი ნივთების გაყიდვით ცხოვრობენ. შეიძლება ქუთაისშიც გადასახლდეს სანიკიძის ოჯახში თავის ძილხანთან ერთად...

ბარონება – ლენინგრადში ომის დროს შიმშილით მოკვდება. იყო ჩვენში, მაგრამ ვერ მოითმინა და იქ მოკვდა...

ბარონოვსკაიას – ბეგი მოუკლეს 905-ში, თუმცა მანამდე იხსნა ციმბირში გაგზავნისაგან. ერთხანს იცხოვრა კიდეც ჯვარდაწერილმა მასთან პეტროგრადსა და ლენინგრადში, შემდეგ დროებით რომ ჩამოვიდნენ ბერთემს, იქ მოკლეს ბეგი ტერორისტებმა, ჯგუფენაიას ჯგუფმა. თვითონ კი ისწავლის უმაღლესში, ე.ი. განაგრძობს თავის სწავლას და ბოლოს პროკურორის თანაშემწე ხდება. შეიძლება იერო მაგან გაასამართლოს“ (საქ. გ. ლეონიძის. სახ. ლიტ. მუზეუმი, შ. დადიანის ფონდი, ბ-25409/12).

ეს ვრცელი ამონაწერი მწერლის საარქივო მასალიდან, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მას სურდა შეექმნა ტრილოგია, რომლის პირველ წიგნს შ. დადიანმა მოგვიანებით „გვირგვილიანების ოჯახი“ უწოდა. აღსანიშნავია, რომ მას გადაწყვეტილი პქონდა, პირველ ნაწილში, ე.ი. „გვირგვილიანების ოჯახში“ მოექცია 1905 წლის რევოლუციაც. რომანში კი მხოლოდ ის მოვლენებია მოცემული, რომლებიც საქართველოში 1905 წლის რევოლუციის წინა ხანაში განვითარდა.

„გვირგვილიანების ოჯახის“ დასაწყისი ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა, 1945 წლის დასასრულს, ხოლო ცალკე წიგნად 1956 წელს გამოვიდა. რომანს ქართველმა სალიტერატურო კრიტიკამ „უბედური რესისაგან“ განსხვავებით, გამოქვეყნებისთანავე დადებითი შეფასება მისცა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„შალვა დადიანის ახალი ნაწარმოები „გვირგვილიანების ოჯახი“ შეუნებელებელი ინტერესით იკითხება... იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პირველი რევოლუციის წინა პერიოდის სახალხო მოძრაობაზე, ამ ეპოქის

მოვლენებს ავტორი აღიქვამს ჰეშმარიტი მხატვრის თვალით და ასევე ასახავს მათ“ (აფხაიძე, 1959: 195).

„...თითქოს თავისი ცხოვრების გვირგვინად მან დაგვიტოვა ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწარმოები, რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“. ყოველ მწერალს აქვს ნაწარმოები, რომელშიც ის ცდილობს ყველა თვისება, ყველა ნიშანი, ყველა დამახასიათებელი სტილიური მხარე და ინტონაცია გააერთიანოს, ერთგვარად შეაჯამოს თავისი შემოქმედება. ასეთია, ჩვენი აზრით, „გვირგვილიანების ოჯახი“ (ჭილაძე, 1964: 165).

„...თავისი ცხოვრების მიწურულში, შალვა დადიანმა შექმნა მრავალმხრივად საყურადღებო ბელებრისტული ნაწარმოები „გვირგვილიანების ოჯახი“... ამ რომანში ცხოვრებისეული მასალის დრმა ცოდნით, მკაფიოდ გამოკვეთილი ადამიანური ხასიათებისა და კოლორიტული უანრული სურათების მწყობრი სისტემით გაცოცხლებულია ქართული სოფლის ვითარება ორი საუკუნის მიჯნაზე, ნაჩვენებია თავადაზნაურული წოდების სრული ქონებრივი და ზნეობრივი დეგრადაციის... სურათები. და ყოველივე ეს რომანში გამოხატულია გონებამახვილურად მოფიქრებული, საოცრად ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიციის ალიბში“ (ედენტი, 1976: 42).

„გვირგვილიანების ოჯახი“ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია არა მარტო თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვით, წარსულისა და მომავლის შეჯვარების ერთგვარი ინტუიციური გააზრებით, არამედ ორიგინალური მხატვრული სტრუქტურითაც; საგულისხმოა ავტორის თავისებური ჩარევაც პერსონაჟთა ურთიერთობაში. ერთი სიტყვით, ეს რომანი უქმდება ქართული პროზის საგულისხმო მოვლენაა“ (კალანდაძე, ქ. „მნათობი“ 1980: №11, გვ. 152).

იმ სითბოსა და სიყვარულს, რაც რომანის გამოქვეყნებამ მოუტანა თავად შ. დადიანიც აღიარებდა. „გვირგვილიანების ოჯახი“, რომელმაც არამც თუ ჩვენში, არამედ თვითონ მოსკოვშიც, ჩვენი დეკადის დროს, მეტად კარგი შეფასება მიიღო და დღეს 85 წლის კაცს, მართალია, თავდახრილი ჯდომა მიყვარს, მაგრამ როდესაც წამოვდგები და გავიარ, ჩემი დამფასებლის მიერ გამხნევებული, წელში ვსწორდები და ყელი მოღერებული მაქვს“ (დადიანი, 1959: 196).

მართლაც, „გვირგვილიანების ოჯახი“ მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მწერლის მთელი მხატვრული მემკვიდრეობიდან. აღსანიშნავია, რომ შ. დადიანი თავისი ცხოვრებით აქტიურად იყო დაკავშირებული XIX საუკუნის ბოლო

წლებისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში განვითარებულ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან და 1905-1907 წლების რევოლუციურ მოვლენებთან. „გვირგვილიანების ოჯახი“ მხატვრული ასახვაა იმ მოვლენებისა, რომლებიც ჩვენში 1905 წლის რევოლუციას უძღვოდა წინ.

რომანის პირველივე გვერდზე მწერალი გვაცნობს გლეხობის ინტერესებისათვის მებრძოლ მანჩა ჯგურენაიას, რომელსაც შეტაკება მოუხდება სოფლის წურბელა ბანძღისთან და სასამართლოს ბოქაულ ევტიხი ბაწელაძესთან. ამ ორ, განსხვავებულ კლასს შორის ურთიერთობა თანდათანობით მწვავდება ნაწარმოებში. იმთავითვე მკითხველი ეცნობა ორ სხვადასხვა, მტრულად განწყობილ ბანაკს. ერთ მხარეს არიან გვირგვილიანები, ხოლო მეორე მხარეს – გლეხობა.

შ. დადიანი რომანის დასაწყისშივე ამხელს სოციალურ უკულმართობას. ის მანჩა ჯგურენაიას პირით გვიცხადებს სიმართლეს. მანჩას აზრით, ბუნებაში „ყველაფერზე უკეთესი მაინც ადამიანია, უბედურება კი ის არის – ვერა აქვს მოწყობილი ცხოვრება. სიდუხჭირით აუვსია ამ ქვეყნის სიკეთე“ (დადიანი, 1956, 10). ამ სიდუხჭირის დასაძლევად აუციებელია ბრძოლა, განწმენდა:

„...ტეხური მატულობს. მთაში წვიმს და პატარა მდინარეები „გულს ასკდებიან“, ტეხურზე მოაქვთ იერიში. ჰა. ჰა! ტეხურიც ბრაზობს... ახირებულად არ იკარებს ამ მღვრია სტუმრებს და დაუზოგავად მიერეკება ფოთისაკენ, ზღვისაკენ, რომ იქ ჩაღუპოს ეს არამკითხეები. ეს უნდა გვინდოდეს ჩვენც, ადამიანებს, „განწმენდა მწიკვლისაგან“ (დადიანი, 1956: 10-11) – წერს ავტორი და რომანიც ამ „განწმენდისათვის“ ბრძოლას ემსახურება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „გვირგვილიანების ოჯახი“ გამოირჩევა პერსონაჟთა სიმრავლით, რაც საერთოდ ახასიათებს შ. დადიანს. ამის გამო მწერალს ზოგჯერ აკრიტიკებდნენ კიდევაც. მწერალი კი, კრიტიკის მიუხედავად, აუცილებლად მიიჩნევდა პერსონაჟთა სიუხვეს. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ბევრ მოქმედ პირს სათანადო ადგილის მიჩენა, თავისი ზუსტი დახასიათება სჭირდება, მაგრამ მწერალს ამ დროს ახსენდება ერთი მნიშვნელოვანი ამბავი თავისი ცხოვრებიდან: „განა ტყუილა ვიყავ ერთ დროს რეჟისორი?“ (გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, შ. დადიანის ფონდი, ხ - 25409/2).

მართლაც, შ. დადიანი რეჟისორული სიზუსტით მიუჩენს თითოეულ პერსონაჟს თავის ადგილს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ პერსონაჟებზე, რომლებიც სოფლის გლეხობას წარმოადგენენ. მიუხედავად მწერლის წარმომავლობისა, მისი სიმპათია და თანაგრძნობა აშკარად მათ მხარეზეა.

მწერალმა გვირგვილიანთა დიდი ოჯახიდან გამოარჩია ერთი, ყველაზე უმცროსი გვირგვილიანი – ტაია, რომელთანაც კავშირშია თითქმის ყველა დაბალი ფენის წარმომადგენელთა სახე.

ტაია ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ნექტარინა მასზე ამყარებდა იმედს, რადგან უშვილძიროდ გადაგების გზაზე დამდგარი გვირგვილიანების ერთადერთი მემკვიდრე ტაია იყო სწორედ.

ქუთაისი იმ დროისათვის, როცა ტაია იქ სწავლობდა, წარმოადგენდა დემონსტრაციების, არალეგალური კრებების და რევოლუციონერთა ცენტრს. ამის შესახებ შ. დადიანის მოგონებებიც არსებობს. ქუთაისში საზაფხულოდ ჩამოდიოდნენ სტუდენტები, რომლებსაც თავიანთი „პროტესტის პანგები“ შემოჰქონდათ ქალაქში, ბალის ბოლო კი რევოლუციონერთა ერთ მთავარ თავმოსაყრელად იყო გადაქცეული. ყოველივე ამის გამო ქუთაისის ბულვარი სულ სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და მდგომარეობის ხალხს იზიდავდა.

„გვირგვილიანების ოჯახში“ კი ქუთაისის ბულვარის დახასიათება ასეთნაირად იკითხება:

„ბარამ!.. ახლა იქით გაიხედე, ჩრდილოეთით. იქ, სკამებზე ჩამომწკრივებულა ახალგაზრდობა. ესენი იცი, ვინ არიან? – ეუბნება ვამეხი თავის ძმას – პირველი მარქსისტები, „პატარა ჯგუფის ხალხი დიდი საქმის გამკეთებელი“... აი აქედან არის, რომ მალე გამოსცემს ხმას დიდი ჭექა-ჭუხილი. ესენი ამჟამად პატარა საყვირები არიან მხოლოდ“ (დადიანი, 1956: 315-316).

სწორედ ამ ახალგაზრდებში ტრიალებდა ტაია გვირგვილიანი. მას მეტსახელად „ვეფხვე“ ეძახდნენ. ტაია იმდენად გაიტაცა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომ მზად არის უარი თქვას პირად ბედნიერებაზე. ნექტარინას სურვილი იყო ტაიას მისი გაზრდილი, თოლისქვამი შეერთო ცოლად, მაგრამ რომანში მოვლენები ნექტარინას სურვილების საწინააღმდეგოდ ვითარდება.

საყურადღებო შინაარსისაა წერილი, რომელიც თოვლისქვამმა მიიღო ტაიასაგან: „...მე ისეთი მოვალეობა მაწევს, რომ შენი ნახვის თავი არა მაქვს... არც ჩვენიანების... მე ისეთ საქმეში ვარ ჩაბმული, რომ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე პკიდია. ჩემზე თუ ფიქრობდი ოდესმე, იცოდე, ეგ ბავშვური გატაცება იყო და

ამიერიდან ნულა იფიქრებ. შენს ბედს ეწიე. ერთი კია: თუ მოახერხებ. ხალხს ემსახურებ; შენც ხედავ რა დრო დგება. და ეს იქნება შენი ადამიანური ვალის მოხდა ხალხის „წინაშე. ტაია“ (დადიანი, 1956: 133).

მწერალი ცდილობს ტაია დაგვიხატოს ყოველმხრივ დადებით პერსონაჟად, კიდევაც ახერხებს და მკითხველს სიმპათიით განაწყობს ამ პერსონაჟისადმი. თუმცა, ჩვენი აზრით, მასაც აქვს სუსტი მხარე. მას გაბედულება აკლია და ვერ ახერხებს სიყვარული და საქმე ერთმანეთს შეუთავსოს და პოულობს კიდევაც „გამოსავალს“. „საქმის“ მომიზეზებით, სოხოვს თოლისქვამს, რომ შენს ბედს ეწიეო.

ტაიას აქვს მეორე, ძლიერი მხარე – ხალხის საქმისადმი თავდადებული სიყვარული და ბრძოლა. ამის გამოა, რომ ბერთემელი გლეხობა დიდი სიყვარულითაა განწყობილი მის მიმართ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხობას იმდენად აქვს გული გატეხილი თავადაზნაურობაზე, რომ ბოლომდე არც ტაიას ენდობიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ობიშხიას სიტყვები:

„...ნურსადაც ნურაფერს ახალი თაობის შესახებ ნუ ლაპარაკობთ. აქ ჩვენში, ფარნა ბჟალაასთან თუ შეიძლება განდობა, თორემ სხვა არ ვიცი. ვამეხი და ტაია ჰო, მაგრამ რა ვქნა! ამ კნიაზების იმედი საერთოდ თავის დღეში არ მქონია“ (დადიანი, 1956, 200). ეს ფრაზა გვახსენებს ილია ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებს:

„...რად მიზამს კეთილსაო, ჩემი რაოვო?.. ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა“ (ჭავჭავაძე, 1985: 284).

სწორედ ტაიამ ჩაუყარა საფუძველი ბერთემში რევოლუციონერთა წრეს. შ. დადიანი განსაკუთრებული სიფაქიზით გვიხატავს ამ წრის წევრთა სახეებს.

მწერალმა მკითხველს ყველაზე ადრე მანჩა ჯგურენაია გააცნო. ეს პერსონაჟი ნაწარმოებს რომანტიკულ ელფერს აძლევს. მანჩა ბათუმის ქარხანაში მუშაობდა. მან ვერ აიტანა ქარხნის უფროსის სისახტიკე და მოკლა იგი, თვითონ კი ტყეს შეაფარა თავი. მან იცის, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა, მოძრაობა. მანჩასათვის ტეხური ისეთივე სიმბოლოა, როგორიც ილიასათვის თერგი იყო.

ტაია გვირგვილიანს გვერდში უდგას სოფლის ახალგაზრდები: მიქე, ჩელა, თადა და სხვები. სწორედ მიქესა და ჩელას საშუალებით ჩამოყალიბდა, ფაქტობრივად პირველი რევოლუციური წრეები სოფელ ბერთემში. მიქე ცდილობს არალეგალური კრებების დახმარებით გლეხობა მოამზადოს

მომავალი ბრძოლებისათვის. რომანის დასასრულს ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ იგი ბერთემის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. სამწუხაროდ, რომანში არ არის ნაჩვენები ის გზა, რომელიც მიქემ გაიარა.

მიქესავით „ახალი თაობის“ კაცია თადა. ის შეუდრეკელი და შემტევია. ისინი სოფელში ავრცელებენ გაზეთ „ბრძოლას“, რომელსაც ერთგვარი პროკლამაციის დანიშნულება აქვს და უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებლობისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

თადა გლეხობას მოუწოდებს იბრძოლონ საკუთარი უფლებების დასაცავად. თადა ამ ბრძოლაში მეთაურობას, უპირველეს ყოვლისა, უფროსებს სთხოვს, მაგრამ უმოქმედობის შემთხვევაში, ის მზადაა თვითონ იკისროს ეს საპასუხისმგებლო საქმე. მას ამ ბრძოლისათვის აქვს „თავი გადადებული“. ის დაუფარავად აცხადებს, რომ იბრძოლებს არსებული წყობილების წინააღმდეგ, რომ დაამხოს რუსეთის თვითმპყრობელობა და მისი იმპერატორი.

განსაკუთრებით ადსანიშნავია მოხუცი ობიშხიას სახე. მას მთელი სოფელი პატივს სცემს. ობიშხია გონიერ გლეხად ითვლება ბერთემში. მან იცის, რომ ქვეყნად უბედურება ტრიალებს. ამ უბედურების წინააღმდეგ ადრეც ბევრი იბრძოდა, (ობიშხია მაგალითად უტუ მიქავასაც ასახელებს), მაგრამ ყველა მარცხით დამთავრდა, უსამართლობამ კი იმატა. ამის გამოა, რომ ის ყველაფერს ჰქვის თვალით უყურებს, ძალიან ფრთხილია, ამავე დროს გონებაფხიზელიც.

ობიშხია თანდათან რწმუნდება შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში. მას კარგად ესმის, რომ საჭიროა ერთმანეთის გატანა, მაგრამ საკმარისად ესეც არ მიაჩნია. ობიშხია საუბრობს დიდ ძალაზე და ამიტომ საჭიროდ თვლის რუსეთის ჩაგრულ კლასთან კავშირის დამყარებას.

ობიშხია რომანის ბოლოს ბერთემის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და გლეხებს საჭირო დარიგებას აძლევს.

მკითხველს დიდხანს ამახსოვრდება ფარნა ბუალაას სახე.

ყოველგვარი უსამართლობის და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლმა ფარნამ სიცოცხლეს გამოასალმა გლეხების სამულველი მოურავი გუბატი და ამ ქმედებით ყველას აჩვენა, რომ ის შეურიგებელი მებრძოლია ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

შ. დადიანმა დიდი სიყვარულით დაგვიხატა არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი გუდუიას სახე. მასში უკულმართ სინამდვილეს დიდი სიძულვილი დაუგუბებია. სიძულვილს კი შერისძიებამდე მიუყვანია.

რომანში იგრძნობა, რომ გლეხობა ერთსულოვნად მზადაა ბრძოლისათვის. მათ, მართალია, ეპიზოდური როლები აქვთ, მაგრამ მაინც ღირსაცნობია, რომ ისინი შეურიგებელნი არიან არსებული სინამდვილისადმი. ესენი არიან: ღარიბ-ღატაკი ქუხილია, სესია, იოსე ხუბუნია, ლუკა კოტია, სტეფანე, ეგი სართანია და სხვები.

„გვირგვილიანების ოჯახში“ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ მამაკაცთა გვერდით მწერალმა დაგვიხატა ძალიან საინტერესო და რეალისტური სახე ქალისა. ეს არის ჩელა ჭითანაა, მიქეს და, რომელიც მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთის“ პერსონაჟს, მართას მოგვაგონებს.

ჩელა აღტაცებულია, რადგან მისი ძმა „ახალთაობის“ კაცია. ჯერ ყველაფერი გარკვეული არა აქვს, მაგრამ გრძნობს რაღაც ლტოლვას ამ „ახალთაობის“ ადამიანებისაკენ. ტაიამ სწორედ ჩელასა და მიქეს დაავალა ბერთემში ახალგაზრდათა რევოლუციური წრეების ჩამოყალიბება. ჩელა თავის თანატოლებს პატიჟებდა სახლში და სოციალურ საკითხებზე მსჯელობას აჩვევდა. ამ მიზნით, მათ უკითხავდა ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებს, რომლებშიც აღწერილი იყო თავისი წრის ადამიანების ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. ჩელას მიზანი გამართდდა, მან, მართლაც განაწყო სოფლის ქალები მომავალი ბრძოლებისათვის.

ბერთემის ორგანიზაცია იმდენად გაძლიერდა, რომ მან გვირგვლიანების ოჯახიდან ყველა მოსამსახურე გაიყვანა. ახლა მათ მეთაურობთ ობიშებია, გუდუია, ქალებს კი – ფანთა, ჩელა. ყოველივე ეს კი თავზარს სცემს გვირგვილიანებს.

მართალია, რომანში მოქმედება ძირითადად ბერთემსა და ქუთაისში მიმდინარეობს, მაგრამ იმდენად დიდია მისი მხატვრული განზოგადების ძალა, რომ მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს პირველი რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის ხასიათი მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამგვარად, შ. დადიანმა დიდი სიყვარულით შექმნა ხალხის წარმომადგენელთა სახეები. მათში ნათლად ჩანს ჯანსაღი ბუნება ადამიანისა. რომანში ეს ადამიანები გამოირჩევიან სიმართლითა და პატიოსნებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ წრეშიც მოქმენა მწერალმა მოღალატე ადამიანი ანტოს სახით. „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ლიტერატურაში პირველად შენიშნა შ. დადიანმა გლეხების წრეში დაბადებული მოენე გლეხის ხასიათი“ (ჭილაძა, 1964:

172). ოგი გვირგვილიანების ოჯახის მოურავის, გუტატის ჯაშუშია. ანტოს სახით მწერალს საინტერესო ტიპაჟი ჰყავს შექმნილი.

ასეთი სახით დაგვიხატა შ. დადიანმა სოფელ ბერთემის რევოლუციური ძალები, გვიჩვენა მათი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

„გვირგვილიანების ოჯახში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრებას, რომელსაც მწერალი ერთი ოჯახის ქრონიკის საფუძველზე გვიჩვენებს.

ამ კუთხით პარალელის გავლება შეიძლება შედრინის სატირულ რომანთან „ბატონი გოლოვლიოვები“, სადაც გვირგვილიანების მსგავსად მწერალი ამ ერთი ოჯახის მაგალითზე გვიჩვენებს მემამულეთა კლასის დეგრადაციას. სალტიკოვ-შედრინი თსტატურად გვიხატავს როგორ მიდის გოლოვლიოვების მამულში ყველაფერი გადაშენებისა და განადგურებისაკენ და რამდენად უნაყოფოა ყოველგვარი ცდა ამ დაცემის შესახერებლად.

მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის დახასიათებით ფეოდალური საქართველოს განზოგადებული სახე მოგვცა. რღვევის გზაზე დამდგარი არისტოკრატიის შუაგულში შ. დადიანმა გვირგვილიანების რძალი – ნექტარინა მოაქცია. ნექტარინა თავისი ქმედებით, აღვირასსნილობით ძალიან პგავს უტანდარის პერსონაჟს „უბედური რუსიდან“. შეიძლება ითქვას, რომ ხასიათის ზოგიერთი შტრიხით ნექტარინა უფრო მაღლა დგას უტანდარზე.

ნექტარინა ცდილობს შეინარჩუნოს გვირგვილიანთა მამული და მაიორატის შექმნაზე ოცნებობს. ამ მიზნის მისაღწევად, ნექტარინა ცდილობს თავისი აღზრდილი თოლისქვამი გვირგვილიანთა ერთადერთ მემკვიდრეს, ტაიას მიათხოვოს და მის ხელში გააერთიანოს ამ ოჯახის წარმომადგენელთა მამულები. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაიამ სხვა გზა აირჩია. ამის შემდეგ, ნექტარინამ გუტატის რჩევით გადაწყვიტა თოლისქვამი ლევარსი კვიზინიას – შეძლებულ ფოთელ ვაჭარს მიათხოვოს. აქ, კიდევ ერთხელ, საზგასმულია ნექტარინას ანგარებიანი ბუნება. მას, სიმდიდრით სახელგანთქმული, კვიზინიას ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდა და არა თოლისქვამის კეთილდღეობაზე ფიქრი.

ამავე დროს ნექტარინას სახეში დიდი ოსტატობითაა ნაჩვენები მისი ვნებააშლილი ხასიათი. ის ჯერ კიდევ სიცოცხლეში დალატობს ქმარს. მას მოიხსენიებს როგორც „ერთ ლვთის გლახაებს“. მას მხოლოდ იმიტომ „გაჟყვა, რომ მისი მაზლი, ტაიას მამა, არჩილი ჯერ კიდევ გაუთხოვარს შეუყვარდა

გაგიჟებით, მაგრამ რაკი მასთან შეერთებას „რჯულიერად“ ვერ ეღირსა, იმდენი იხერხა, რომ გვირგვილიანების ოჯახში მაინც შემოვიდა და... არჩილს ფიზიკურად მაინც დაუახლოვდა...“ (დადიანი, 1956: 139). ქმარს, უნიათო სამსონს, გაგებული პქონდა ეს ავხორცობა, მაგრამ წინააღმდეგობის ნაცვლად, ნექტარინას მესაიდუმლის, ძილხანის სანთიობოსაკენ გაიკვლია გზა.

არჩილ გვირგვილიანის გარდაცვალების შემდეგ ნექტარინამ მოურავ გუტატისთან გააპა სამიჯნურო რომანი. მწერალი მძაფრად აკრიტიკებს ამ ორი პერსონაჟის ურთიერთობას. ერთგან ირონით შენიშვნავს: „...უმამაკაცოდ განა შეიძლებოდა გაეძლო გუნებით ისეთი აღტკინების ქალს, როგორიც ნექტარინა იყო“ (დადიანი, 1956: 139). როდესაც ფარნამ სიცოცხლეს გამოასალმა გუტატი ნექტარინასთვის თითქოს უკელაფერი დამთავრდა, მაგრამ ეს იყო დროებითი. სწორედ ამ დროს, გუტატის დაკრძალვის დღესვე გამოძებნა მისი შემცვლელი, მღვდელი თევზდორე სისორდია.

ასე იმედგაცრუებული ელოდება ნექტარინა ახალ უსიამოვნებებს. როგორც მწერლისეულ გეგმაში ვნახეთ, რომანის შემდგომ ნაწილებშიც ნექტარინას ცხოვრება დაახლოებით ასევე უნდა წარმართულიყო.

საინტერესოა, თუ როგორ შექმნა მწერალმა ამ ქალის ტიპი.

ალექსანდრე ჩავლეიშვილმა თავის დროზე მიმართა წერილით შ. დადიანს და სთხოვა გაეცა პასუხი რამდენიმე კითხვაზე. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი კითხვა იყო: „გვირგვილიანების ოჯახში“ ვინ გყავთ გამოყვანილი პროტოტიპებად?“ (ჩავლეიშვილი, 1962: 80).

შ. დადიანს ამ კითხვაზე ასე უპასუხნია: „გვირგვილიანების ოჯახში“ ნექტარინა, მაგალითად, ერთი რომელიმე კნეინიდან არ არის აღებული, არამედ ესეც შემკრებლობითი სახეა. ამისთანები იყვნენ ერთ დროს...“ (ჩავლეიშვილი, 1962: 30).

ნექტარინა მოგვაგონებს მწერლის ბიცოლას, მიქელაძის ქალს, ნასას. მის შესახებ მწერალი მოგონებათა წიგნში წერს:

„მესამე ბიცოლა იყო მიქელაძის ქალი. ეს სულ სხვა ტიპის ადამიანი იყო. უდრეკი ხასიათის, დიდი ნებისყოფის პატრონი და უყვარდა მბრძანებლობა. ყველანი ერიდებოდნენ და ანგარიშს უწევდნენ. დიდი პატივმოყვარე ქალი იყო და სამაზრო ქალაქიდან ბერთემისაკენ ისე არ დაიძვრებოდნენ მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე ან პოლიციის ბოქაული, რომ ნასასთან არ გამოევლოთ და იქ სტუმართმოყვარე მასპინძლის გულუხვობა არ განეცადათ.

თვითონ ნასა კარგი ახოვანი მოყვანილობის და მწყაზარი, მაგრამ ცოტა მკაცრი სახის პატრონი იყო და მისი ქმარი სამსონი... ერთი ჩია კაცი იყო და თავის ცოლთან ისე გამოიყურებოდა, როგორც ერთი ვინმე მისი შინაური მხლებელთაგანი.

ნასამ აკი არ დაუფასა ქმრობა და მთელი მისი მამული და შეძლება ოფიციალურად თავის თავზე დაამტკიცებინა. ასე რომ ბერთემში ეხლა სამმო მამულში ნასა გამოდიოდა ერთ-ერთ მემკვიდრედ.

ნასამ დიდხანს იცოცხლა. მოუსწრო 1905 წლის რევოლუციამ და თავის სახლ-კარიდან გაძევებული, თავის ქმრის სიკვდილის შემდეგ, რომელიდაც მისი ერთგული გლეხის სახლში გარდაიცვალა თითქმის სრულიად გაღარიბებული და უპატრონო.

შვილი არა ჰყავდა. შვილობილად აყვანილი ჰყავდა თავისი ძმისწული...“ (დადიანი, 1959: 67).

ამ ვრცელი ამონაწერიდან თვალნათლივ იგრძნობა ნექტარინას და ნასას შორის საერთო შტრიხები.

სალიტერატურო კრიტიკაში ნექტარინას ანტიპოდადა მიჩნეული ჩელა. „ჩელა... უპირისპირდება ნექტარინას, წარმავალი კლასის ამ უკანასკნელ ნაშიერს. ჩელა ხალხის მომავალია, ქართველი ქალის ხვალინდელი დღის სახებაა!“ (ციციშვილი, 1974: 263-264).

მწერალი ოსტატურად უპირისპირებს ერთმანეთს ნექტარინასა და ჩელას თვალებს: „ნექტარინას მედიდური თვალები ჰქონდა, ლამაზი მოყვანილობისა და ჩხია, მაგრამ თითქოს სიცივე ჰქონდა იქიდან... თითქოს არ იკარებს არავის, ვინა ხართ, თქვე ჭია-ღუებორ?!“

ჩელას შავი თვალები კი სულ სხვა გამომეტყველებისა იყო: არც მას ჰქონდა ლმობიერი, ისიც თითქოს თავის სულში თუ შინაგან არავის არ იკარებდა, მაგრამ გამჭვალავი ჰქონდა გამოხედვა, გეგონებოდათ, რასაც უყურებს უნდა თავით ბოლომდე შეისწავლოს, გაიგოს მისი კიდე-განიო.

და აი, შეხვდნენ ერთმანეთს ამ ორი სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა... წარმოშობის ადამიანის თვალები...

ნექტარინას ამპარტავნობით სავსე თვალებმა... ვერ გაუძლეს ჩელას გამომეტყველებას“ (დადიანი, 1956: 137).

ამ ეპიზოდით მწერალი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ერთი (ჩელა) მომავალია, მეორე კი (ნექტარინა) წარმავალი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნექტარინას და, ბარონესა მინადორა, მისი ქალიშვილი დაგმარა და მათი ნათესავი მარინა რიაბინინა. რომანში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მარინა რიაბინინას. ვოლკოვის ცინიზმს ის ერთგვარად უპირისპირებს საკუთარ ცოდნას საქართველოს წარსულისას. მარინას წაკითხული აქვს ილიას „განდეგილის“ რუსული თარგმანი და ამით გამოწვეულ აღტაცებას ვერ მალავს, მოსწონს ქართული თეატრი, მისი ნიჭიერი მსახიობები.

მარინას ხასიათის სიმტკიცე გამოსჭვივის მის გადაწყვეტილებაში: გაჭირვების დროს კიდევ უფრო ერთგული ხდება თავისი სატრუქოსი და მზადაა კატორდაშიც გაჰყენს მას.

საყურადღებოა ისიც, რომ მწერალი მართებულად უპირისპირებს მარინა რიაბინინას დაგმარას სახეს. დაგმარა – განებივრებული, ფუფუნებაში აღზრდილია. მას წარმოდგენა არა აქვს ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაშიც აღზრდა გვევლინება ნაკლოვანებების წყაროდ. დაგმარას ნაცვლად მინადორა ზრუნავდა და წყვეტდა ყველაფერს. შვილის ნაცვლად ის აზროვნებდა. ზოგიერთი შტრიხით დაგმარას მოგვაგონებს ნექტარინას აღზრდილი თოლისქვამი. მასში ყოველგვარი პირადული ჩაკლულია და ნექტარინას ჩრდილად არის ქცეული. მწერალი დაგმარასაგან განსხვავებით დიდი სითბოთი გვიხატავს თოლისქვამის პორტრეტს.

როგორც რომანის სათაურიდან სჩანს, მწერალმა ერთი ოჯახის ისტორია აგვიწერა, მაგრამ გვირგვილიანების ოჯახის დანარჩენი წევრები სხვა თვისებებითა და განწყობილებებითაა გამოსახული. თუ ნექტარინა ცდილობს შეაკავშიროს ძმები გვირგვილიანები და ოჯახის ძველი დიდება დაიბრუნოს, ძმები – ვამეხი, ბარამი და ბეგი – განსხვავებული მრწამსის არიან: ვამეხი გვაოცებს თავისი პუმანიზმით, გლეხებისადმი უანგარო დამოკიდებულებით; ბარამიც ცდილობს გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებას, ბეგი კი უფრო უნიათოა პრაქტიკულად, თუმცა გამოირჩევა გონების სიმახვილით, შინაგანი სიწმინდით და აგრეთვე შესანიშნავი გარეგნობითაც. მათი ძმისშვილი ტაია კი რევოლუციონერია, აგრეთვე განსაკუთრებულად უყვარს სოფელს, მთელი სოფლის გლეხობას თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ ამოვისვამთო – ასე ახასიათებს მას გლეხი მიქა.

ტაია გვირგვილიანის შემდეგ თავისი კლასის განწირულებას რომანში ყველაზე უკეთ ვამეხი გრძნობს. მკითხველი იმთავითვე სიმპათიით განეწყობა ამ

საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანის მიმართ. მას ალექსანდრე მეორის დროს ოცი წლის კატორდა მიესაჯა და მხოლოდ ნიკოლოზ მეორის ხანაში დაბრუნდა სამშობლოში, დაბრუნდა როგორც ღირსებაახდილი და მამულჩამორთმეული ადამიანი.

ვამეს გვირგვილიანი მწერალს დახატული პყავს, როგორც უაღრესად განათლებული, ის ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და „მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ მოაცილა იგი მწერლობასაც და სამშობლო მხარესაც“ (დადიანი, 1956: 289).

კატორდიდან დაბრუნებული ვამეხი უარს ეუბნება ნექტარინას მამულებზე, რადგან იცის, რომ სულ „მალე მესაკუთრეობა მოისპობა... მაიორატობა კი... ჭირი მოგჭამა!.. მიწას ვინც ამუშავებს, მიწაც მისია. ჩვენ, თავადები კი, განწირულები ვართ... მთელი თავადაზნაურობა ჩვენშიაც და რუსეთშიაც განწირულები არიან“ (დადიანი, 1956: 161).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვამეხი გლეხობის იდეოლოგად გამოდის რომანში. მას ერთგვარად აშინებდა ლოზუნგი – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ რადგანაც, მისი აზრით, აქ არ იყო გათვალისწინებული გლეხთა საკითხების მოგვარება.

ვამეხს დიდი პატივისცემით ეპურობიან სოფელში. იმდენად ამაღლებული შეხედულება აქვთ მასზე, რომ სასწაულსაც კი ელოდებიან ზოგჯერ მისგან. ამ მხრივ საინტერესოა იოსეს ქვრივის, რუსუნდიას ფიქრები:

„ვამეხი ხომ დვთაებრივი კაცია!

თავიდანვე ასე იწამეს მან და მისმა უბედურმა იოსემ ვამეხის პიროვნება. შეიძლება მან გააცოცხლოს კიდეც მიცვალებული. მოხდეს ის, რაც არასოდეს არ მომხდარა“ (დადიანი, 1956: 56).

ვამეხის პერსონაჟი საინტერესო შეხედულებებს გამოთქვამს ქალზე. ის ავითარებს მწერლის აზრს, რომელსაც ერთ-ერთ შენაკადში ვეცნობით. კერძოდ: მეუღლეობა, ავტორს გააზრებული აქვს არა მარტო როგორც ცოლ-ქმრობა, არამედ ნამდვილი უღლის გაწევა, თანატოლობა, თანასწორობა. მას სწამს ქალის ნამდვილი, ადამიანური პოტენცია. ვამეხი ამაყობს, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობდა ქალის კულტი, მანდილოსნისადმი პატივისცემა, რომ ქართველი კაცი ეთაყვანებოდა ქალს. ამით გატაცებული ვამეხი დიდი სიყვარულით წერს გამოკვლევას „ქალის კულტი საქართველოში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვამეხს კარგად აქვს შეგნებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება. აი, როგორ რჩევას აძლევას ის მანჩა ჯგურენაიას:

„აბრაგობას თავი უნდა დაანებო. გასაკეთებელი მაინც ბევრი გვექნება, მხოლოდ სულ სხვა მხრით და სხვაგვარი“ (დადიანი, 1956: 91) – ვამეხი გრძნობს, რომ „რაღაც სხვაგვარია“ საჭირო, მაგრამ ბოლომდე ვერ არის გარკვეული. ის დაინტერესებულია მაღნეულის დამუშავებით, ოღონდ არ შეუძლია კონკრეტული გზის დასახვა, პრაქტიკულად უუნაროა. მას აწუხებს საქართველოს ბედი და ამბობს კიდევაც: „საქართველოს მომავალი საშინელია“, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს და სასოწარკვეთილებაში გარდება. ის გიორგი მუხრანსკის ცნობილ თეორიას უჭერს მხარს, რომელიც პატარა ერების დიდ ერებში გათქვეფას მოითხოვდა. თუმცა შ. დადიანს „სრულიადაც არ ჰყავს წარმოდგენილი ვამეხი როგორც დასრულებული, პოლიტიკურად შეუმცდარი მოაზროვნე. ავტორს, და მასთან ერთად მკითხველსაც, ვამეხი უყვარს იმის გამო, რომ იგი მრავალ საკითხში თავის წოდებრივ ინტერესებზე მაღლა დგას“ (აფხაიძე, 1959: 198).

საინტერესოა თვით მწერლის აზრი ვამეხის შესახებ: „ვამეხი ხომ ვამეხი იყო, მაგრამ იმასაც აწუხებდა, აკავებდა ის არტახები, რომლებიც მას შემოჭერილი პქონდა თვით ბავშვობიდანვე... ეს იყო ის სასუნთქი პაერი, რომლითაც სუნთქავდა მისი „დამოუკუდებელი ფილტვები“.

და... მას უნდა ესუნთქა იმ ზომაზე და იმ ოდენობით, როგორიც მას მიჩნეული პქონდა ეპოქისაგან.

ის ამას ვერ წაუვიდოდა.

აღზრდა, ცრუმორწმუნეობა, ტრადიციები... მას ავალებდა მჯდარიყო ერთგვარ „კალაპოტში“ და მას არ გადასცილებოდა.

ის არ იყო გენიოსი“ (გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, შ. დადიანის ფონდი, ხ - 25409/12).

სწორედ ამ „კალაპოტშა“, შეზღუდულობამ გამოიწვია ვამეხის გულგატებილობა. მას არ უნდა სხვებს გადასდოს მისი სკეპსისი. ის საკუთარ თავს ყველაფერში დაგვიანებულად თვლის და დიდი სევდით ამბობს ასეთ სიტყვებს:

„მე ახლა მექათმე ვარ და სხვა არაფერი. თავს ვეძალები, თორებ აღარაფერი აღარ მახალისებს, ყოვლისავე რწმენა დაგარგე...!“ (დადიანი, 1956: 354).

ვამექ გვირგვილიანი გაორებულ პიროვნებად პყავს მწერალს წარმოდგენილი. ის, ერთი მხრივ, პეტოლგანწყობილია სოციალ-დემოკრატებისადმი, მეორე მხრივ კი მხარს უჭერს ეროვნულ-პატრიოტულ იდეალებს. მისი აზრით, სოციალ-დემოკრატებს სამშობლოც არა სწამთ... ისინი ზრუნავენ კაცობრიობისათვის, ანუ უკეთ, კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის – პროლეტარებისათვის. პროლეტარს კი სამშობლო არა აქვს, არ სჭირდება. მაშასადამე, ქართველი ხალხიც უნდა გაითქვიფოს კაცობრიობის ამ ნაწილში და დაკარგოს თავისი ეროვნული სახე, ეროვნული თვისებები, ის რაც საუკუნეობით გამოუმუშავებია ქართველობას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

„...ამდაგვვარი მსჯელობის პათოსი და სულისკვეთება, ქვეტექსტი და მიზანდასახულება საბჭოური პერიოდის ეროვნული პოლიტიკისადმი შინაგანად კრიტიკული დამოკიდებილებითაც იყო განპირობებული (ნიკოლეიშვილი, 2003: 127).

ვამეხი – ეს არის „ზედმეტი“ ადამიანი ახალ ცხოვრებაში, გაორებული პიროვნება. ვამეხი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟებთან.

ზედმეტობა, ერთადერთობა, უნაყოფობა – ეს კ. გამსახურდიას პერსონაჟების – თარაშისა და კონსტანტინე სავარსამიძის თანამდევვი თვისებებია.

ისევე როგორც ვამეხს, მათაც განათლება ევროპაში მიიღეს. ისინი ცდილობენ მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებას, მაგრამ მათი მსოფლმხედველობა გაორებულია. კონსტანტინე სავარსამიძემ უველგან ხელმოცარულმა ქვეყნის დაქცევა ინატრა.

თარაში, კონსტანტინე და ვამეხ გვირგვილიანი ზედმეტი ადამიანის ტიპები არიან, რომლებსაც ახალ დროში უჭირთ დამკვიდრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ. დადიანი „გვირგვილიანების ოჯახის“ გმირების პროტოტიპებს ხშირად პირადად შეხვედრია ცხოვრებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვამეხი. ცნობილი ფაქტია, რომ ვამეხის პროტოტიპია ერთ დროს ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე დავით ჩქოტუა.

შ. დადიანი წერს, რომ „დავით ჩქოტუასთანა კაცი, ნაკატორდალი, რევოლუციონერი, ვადადასრულებული, უპარტიო, 70-იანი წლების კაცი.

გვარეულობის წევრი, ჩამოვიდა, უსახლკაროა და თავის ძიძიშვილებს შეეკედლა... აქედან ბევრი რამ ხლართი გამოვა“ (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი). მკვლევარ ა. ჩავლეიშვილს კი ის შემდეგს წერდა: „ვამეხი? ამისთანა ინტელიგენტები იყვნენ მე-70-ე წლების თაობაში და მათ მოაღწიეს (ზოგიერთებმა) რევოლუციამდე. ისე კი ვამეხის ბიოგრაფიამ შეიძლება მოგვაცნოს თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, მაგრამ პირდაპირ დავითი მაინც არ არის“ (ჩავლეიშვილი, 1962: 80).

მართლაც, ტიპი არ შეიძლება დაემთხვეს პროტოტიპს, მაგრამ ვამეხისა და დავით ჩქოტუას ბიოგრაფიათა ძირითადი შტრიქები თითქმის იდენტურია (დავით ჩქოტუას შესახებ თითქმის ამომწურავ ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ალ. ჩავლეიშვილი, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ დავკონკრეტდებით).

ვამეხისაგან სრულიად განსხვავებულია მისი ძმები – ბარამი და ბეგი. ისინი ნექტარინას წრეშიც უცხოდ გრძნობენ თავს და ვერც ვამეხის გზაზე ახერხებენ დგომას. ბარამზე, შეიძლება ითქვას, რომ არ არის ძალიან დაშორებული ხალხს და გლეხობასთანაც კარგ დამოკიდებულებაშია. განსაკუთრებულად უყვარს თავისი ტყე, სადაც ყოველი ხე მისი დარგულია. ბარამის სურვილია, რომ ყველამ მშვიდობიანად და შეთანხმებით იცხოვროს.

„...ბარამი თითქოს გულწრფელად ცდილობს გლეხებისადმი დახმარების გაწვას, მაგრამ ეს გულუბრყვილო და გონებაშეზღუდული ადამიანი სრულიად ვერ ერკვევა თანამედროვე სოციალურ სიტუაციაში“ (ციციშვილი, 1974: 269). მიგვაჩნია, რომ გ. ციციშვილი ძალიან მკაცრად აკრიტიკებს ბარამს, რადგან რომანიდან ირკვევა, რომ ის ხედავს მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ცხოვრების ცვლილებას და ამას მტკიცნეულად განიცდის:

„ო, რა შხამი ჩამაწვეთა ვამეხმა? თუ თვით ცხოვრებამ? მეც ხომ ვხედავ, მეც ხომ მესმის, ირგვლივ რა ხდება ცხოვრებაში! პაი, ბეჩაო, ბეჩაო ბარამ!“ (დადიანი, 1956: 170). სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, ბარამი მართლაც ვერ ერკვევა შექმნილ სიტუაციაში.

ბარამისაგან განსხვავებით ბეგი შინაგანი სიწმინდითა და შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩევა, მაგრამ ცხოვრებისეული სიბრძნითა და ბრძოლისუნარიანობით არც ის გვაოცებს. ბეგის მიერ ვოლკოვის მოკვლა აღიქმება, როგორც ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა. სწორედ ბეგის ეს ქმედება აღამაღლებს მას მკითხველის თვალში და, ბუნებრივია, მათ სიმპათიებსაც იმსახურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ შ. დადიანმა გვირგვილიანების გარდა, ამ წოდების სხვა წარმომადგენლებიც დაგვიხატა. უპირველეს ყოვლისა, ამ შემთხვევაში უურადღება უნდა გავამახვილოთ მიტო გავლენიშვილზე. მიტო დაცლილია ყოველგვარი დადებითისაგან. მწერალი გვარწმუნებს, რომ ცუდმა აღზრდამ მიიყვანა ის ამ მდგომარეობამდე. მიტო გავლენიშვილს ძალიან ბევრი „წინაპარი“ ჰყავს ქართულ მხატვრულ პროზაში.

იმ მრავალფეროვანი პერსონაჟებიდან, რომლებიც რომანშია გამოყვანილი, ყველაზე უფრო ძლიერად, როგორც ეს სალიტერატურო კრიტიკაშია აღნიშნული, ნექტარინას მოურავისა და საყვარლის გუტატის სახეა მოცემული. ქართულ ლიტერატურაში იშვიათი როდია მოურავთა სახეები, მაგრამ შ. დადიანმა მაინც შეძლო რამდენიმე ახალი შტრიხით გაემდიდრებინა საერთოდ მოურავის ტიპი.

აღსანიშნავია გუტატის თავგასულობა გლეხობის მიმართ. ის მაჯლაჯუნასავით აწევს სოფელს და გასაქანს არ აძლევს გაჭირვებულ გლეხობას. გუტატი თავისივე თავგასულობის მსხვერპლი ხდება. რომანში ისეა მოვლენები განვითარებული, რომ გუტატის სიკვდილი ლოგიკური დასასრულია ამ პერსონაჟისა. მწერალი ქმნის წინაპირობას იმისას, რომ გუტატი აუცილებლად უნდა დაიღუპოს და მკითხველიც გრძნობს ამის აუცილებლობას.

შ. დადიანმა „გვირგვილიანების ოჯახში“ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც დახატა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სოფლის მევახშე ბანძღი. ის წურბეელასავით წოვს სისხლს პატიოსან ადამიანებს. ბანძღის უარყოფითი მხარეების გამოაშკარავებით მწერალი მკითხველსაც გადასდებს თავის სიძულვილს ამ პერსონაჟისადმი.

რომანში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე გაჭართა კლასის წარმომადგენლებს. მწერალი დაწვრილებით აღწერს ამ კლასის ფსიქოლოგიას და შენიშნავს, რომ მთელი სიმდიდრე ქვეყნისა მათ ხელში გროვდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ლეგარსი კვიზინიაზე. ლევარსი ყოფილი გლეხია, მან დააგროვა დიდალი ქონება და ცდილობს დაუმოყვრდეს გვირგვილიანებს. ლევარსი, რა თქმა უნდა, თავისი სიმდიდრით ახერხებს ცოლად შეირთოს ნექტარინას აღზრდილი თოლისქვამი. გლეხობა კი, პირიქით, ცდილობს ლევარსის დაუახლოვდეს, პატივისცემით ეპურობიან მას. „...თავიანთი თავი თითქოს მეტად დაბლა საფეხურზე მდგომად მიაჩნდათ, ხოლო ლევარსი

ამაღლებულად... ერთმა ნაამხანაგარმა ისიც კი სოხოვა, რომ უკადრებინა და მის სახლში მირონი შეეტანა, ე. ი. მოენათლა მისი პატია ბავშვი“ (დადიანი, 1956: 69).

ლევარსი კვიზინიას და განსაკუთრებით ბანძღის მწერალი უპირისპირებს ბენოია ვაჭარს. ბენოია, ბანძღისაგან განსხვავებით, ხალხს როდი ძარცვავს. პირიქით, მისი დიდი სურვილია გლეხობას მდგომარეობა შეუმსუბუქოს. თავდაპირველად გაოცებას იწვევს ბენოიას ასეთი მოქმედება, მაგრამ რომანის შემდგომ ნაწილებში ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ ბენოია ცნობილი რევოლუციონერის იცკა რიჟინაშვილის დავალებით პროკლამაციებს ავრცელებს. თვითონაც რევოლუციონერია და სავაჭრო საქონელთან ერთად სოფელში საბრძოლო განწყობილება მოაქვს.

ბენოია ვაჭარს მოგვაგონებს აგრეთვე ბესარიონ კოტია, რომელიც ქუთაისში მუშაობს ნოქრად. ის, რომანის მიხედვით, ახალი თაობის კაცია, თანაუგრძნობს დაბალ ფენებს და ეწვევა რევოლუციური ბრძოლის პროპაგანდას.

მწერალმა რამდენიმე შტრიხით შესანიშნავად დაგვიხატა სოფლის მდვდელი, თედორე სისორდია. ამ „წმინდა“ სულიერ მამას მეტად მდაბალი ინსტიქტები ახასიათებს. ის გუტატის სიკვდილის შემდეგ ნექტარინას საყვარელი ხდება. თედორე მდვდელის სახე ამ წოდების დეგრადაციის გამომხატველია.

შ. დადიანმა ნაწარმოებში შექმნა ყოფილი მასწავლებლის, შემდეგ მეფის ადგილობრივი მოხელის, ბოქაულ ევტიხი ბაწელაძის სახე. ის ცხოვრების სიდუხჭირემ და არსებულმა პირობებმა აქცია მეფის მოხელედ. მწერალს თითქოს კიდევაც ებრალება ევტიხი და მიგვანიშნებს, რომ ამ ადამიანის გულის სიღრმეში სადღაც ისევ ბჟუტავს ადამიანური გრძნობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შ. დადიანმა ძალიან ვრცლად აგვიწერა ქუთაისი. ის შესანიშნავად გადმოგვცემს რევოლუციონერთა ფარულ კრებებს, ქუთაისის ოეატრალურ მოღვაწეთა რევოლუციურ საქმიანობას და ა.შ. მწერალი უმეტესად რეალურ ამბებს გადმოგვცემს. ამის ნათელსაყოფად შევადაროთ ორი ამონაწერი ავტორისა. მოგონებათა წიგნში მოგვითხრობს: „...საბრძოლო იარაღები, ხელყუმბარები და სხვა ამგვარი დიდი საიდუმლოებით მზადდებოდა ჩვენი ოეატრის საბუტაფორიო და სარეკვიზიტო განყოფილებაში. ყოველივე ამას მეთაურობდა ჩვენი სცენის ე.წ. მაშინისტი, აწ განსვენებული სერგო ჭელიძე. რასაკვირველია, პოლიცია ამას სუჟველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა, მაგრამ მაინც, როდესაც თეატრში, ანგრაქტების დროს, პარტერი დაბნელდებოდა, მთელი თეატრი არალეგალური პროკლამაციებით მოიფინებოდა და შემდეგ,

როდესაც გაანათებდნენ თვითონ ლადო მესხიშვილი გამოდიოდა... და ხალხს მიმართავდა მგზნებარე სიტყვებით“ (დადიანი, 1959: 147-148).

„გვირგვილიანების ოჯახში“ ეს ფაქტი მწერალს ასე აქვს გადმოცემული: „...წარმოდგენის დროს თეატრში ჩაქრა სინათლე და რომ განათდა, დარბაზი პროკლამაციებით იყო მოფენილი, ამავე დროს ვითომდა ხალხის დასამშვიდებლად სცენაზე გამოვიდა მესხიშვილი, წარმოთქვა ცხარე სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ და ხალხს მოუწოდა აჯანყებისაკენ... ეგ მესხიშვილი ყველას გახსოვთ რა ავადაც იყო, ჩვენ, თავადაზნაურობამ, მოვუგროვეთ ფული, გავგზავნეთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ, მოვარჩინეთ, ახლა დაბრუნდა და აქ ხალხს გვიძუნტებს“ (დადიანი, 1956: 396-397).

მწერალი აქ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ზემომოტანილ ადგილებს.

რომანში მნიშვნელოვანია იმ პერსონაჟთა სახეები, რომლებსაც ქართველების, როგორც პატარა ერის სიძულვილი ამოძრავებთ. ამ მხრივ დამახასიათებელია ვოლკოვის დამოკიდებლობა ჩვენი ქვეყნისადმი. მას არ სჯერა, რომ ქართველი შეიძლება იყოს განათლებული. ვოლკოვს ქართველები ველურებად მიაჩნია. ცინიზმი და აბუჩად აგდება ქართველებისა იქამდე მიდის, რომ საბოლოოდ ამ ყველაფრის მსხვერპლი ხდება. ბეგი გვირგვლიანმა „წმინდათა წმიდის შემგინებელს რევოლვერით სული გააფრთხობინა“.

რომანის ბოლო ნაწილში ვხვდებით ვოლკოვის თანამოაზრე რუსებს და გარუსებულ უცხოელებს. ესენია: ცარიზმის ძველი მოხელე შეპელიოვი, გარუსებული გერმანელი შტეინბერგი და ქუთაისის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ბაგაროდსკი, პროკურორი ფონ ლემლიენი.

ასევე ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბებს პროკურორ ლემლიენის ცინიკური დამოკიდებულება ქართველებისადმი, აბუჩად აგდება რუსთაველისა. ბეგი მზადაა ლემლიენიც გამოასალმოს წუთისოფელს. „...ამიტომაც გახდა ეს სასამართლო ეროვნული დირსების დაცვის ასპარეზი, რაც ნათლად დადასტურდა, ერთი მხრივ, მრავალრიცხვან დამსწრეთა ერთსულოვანი პატრიოტული განწყობილებით, მეორეს მხრივ კი ბრალდებულის დამცველი გაქილის მოსე ქოქოძის მჭერმეტყველური გამოსვლით“ (ნიკოლეიშვილი, 2003: 131).

შ. დადიანი გამოირჩევა ხალხის ადათ-წესების, ტრადიციების ზუსტი გადმოცემით. „გვირგვილიანების ოჯახი“ ამ მხრივ გამორჩეული ნაწარმოებია.

რომანში აღწერილია ბევრი ისეთი ეპიზოდი, რომელიც სამეგრელოს ეთნოგრაფიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთებია: ჭვენიერობა, კაპუნობა, ბზობა, ჯარიანობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შ. დადიანმა ხალხურ ადათსაც სოციალური საფუძველი მოუნახა. ამ მხრივ, საინტერესოა ჭვენიერობის აღწერა: „ჭვენიერობა“ ...ერთი ძველისძველი... ბანდაში შემორჩენილი დღეობა იყო... „ჭვენიერობაც“ ჩვეულებრივს, მხოლოდ უფრო მრავალრიცხოვან „ჯარიანობას“ წარმოადგენდა: ცხენების ჭენება, ჯირითი, თარჩია, ცეკვა-თამაში, ფერხული თავისი სიმღერებით, ბურთაობა და სხვა. მხოლოდ ამ დღეს შეკრებილ ხალხს შაურ-კარის ეკლესიის ეზოში ხეც უნდა მოეთხარა... დიდალი ხალხი შეესკოდა ერთ-ერთ წინასწარ მიჩნეულ არცოუ ისე მომცრო ხეს და... მოთხოვთ ხელით და არავითარ იარაღს... არა ხმარობდა... სიმბოლო, სოციალური რადაც აზრი უნდა იყოს ამ ჩვეულებაში... ხის მოთხოვთ უფრო გლეხობა დებულობდა მონაწილეობას... ამ ჩვეულებას უფრო გლეხები მისდევენ“ (დადიანი, 1956: 303-304).

მწერალი კარგად იცნობდა სამეგრელოს ეთნოგრაფიას, რაზეც მიუთითებს რომანის ის ადგილები, სადაც მოცემულია ჩაცმულობის, ვარცხნილობის, სხვადასხვა საჭმელების აღწერა, რაც ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულად გვეჩვენება. ამას თვით მწერალიც ამჩნევს და გვებოდიშება კიდეც ერთ-ერთ შენაკადში.

ერთი თავისებურება ახასიათებს, აგრეთვე, ამ ნაწარმოებს. პერსონაჟთა დიდი უმრავლესობა მწერლის პირადი ნაცნობები, მეგობრები და მეზობლები არიან. ესენი არიან: ლადო მესხიშვილი, ალ. წულუკიძე, სერგო ჭელიძე, ელო ანდრონიქაშვილი, გიორგი შარვაშიძე, იცკა რიუინაშვილი, მეველე და მრავალი სხვა.

„გვირგვილიანების ოჯახი“ ეხმაურება ილიასა და აკაკის პროზას (სხვათაშორის მწერალი რომანში უხვად იყენებს მათ ფრაზებს). ეს ბუნებრივიცაა, რადგან შ. დადიანი XIX საუკუნიდან „მოსული კაცი“ იყო. ამასთანავე, რომანში გამოვლენილია ის ახალი, ორიგინალური, რაც საზოგადოდ შ. დადიანის სტილს ახასიათებს.

„გვირგვილიანების ოჯახი“ მხატვრულ-სტრუქტურული თვალსაზრისით ორიგინალური ნაწარმოებია. რომანში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენაკადები, რომლებიც მრავალ საინტერესო საკითხს ეხება და ხელს უწყობენ

მწერალს სათქმელის უკეთ წარმოჩენაში. შენაკადები უფრო ორიგინალურს ხდიან „გვირგვილიანების ოჯახს“. „ისინი თავისებურ სახეს სძენებ ნაწარმოებს და უმრავლეს შემთხვევაში, თავიანთი ნართაული, სიმბოლური აზრით იმ თემასა და იდეაზე მიგვანიშნებენ, რაც სათანადო ქვეთავში მხატვრულ სახეებში უნდა გაიშალოს“ (ციციშვილი, 1974: 253).

როგორც მწერალი განმარტავს ერთ-ერთ შენაკადში, შენაკადი „ეს არის ავტორის ლირიკული გადახვევა“ (დადიანი, 1960: 12). ამ „ლირიკულ გადახვევაში“ უმრავლეს შემთხვევაში, გამოთქმულია შ. დადიანის დამოკიდებულება ასასახი მასალისადმი.

„ბელეგტრისტიკაში ეს მიღებული არ არის. მაშ მეც რად არ მიგვაგბი გატკეპნილ ბილიკს? – კითხულობს ავტორი და იქვე განმარტავს: „ჩემი თხრობის მსვლელობას ვაჩერებ განგებ და გადმოვცემ რაიმე შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე“, რომელიც შემდეგ შეგხვდებათ (დადიანი, 1960: 12).

შენაკადებში გამოყვანილი ციბედულის გამო არაერთგვაროვანი მოსაზრებები იყო გავრცელებული სალიტერატურო კრიტიკაში. „ამ შენაკადებში“ არავითარ მისტიკურ სახესთან არა გვაქვს საქმე, წერდა შალვა რადიანი – როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი კრიტიკოსი ამ ნაწარმოების პირველად გამოქვეყნებისას. ციბედული რეალური სახეა, რომელსაც მწერალი მოსავს რომანტიკული იერით. ციბედულთან გამოსაუბრებით გარდა იმისა, რომ ავტორი ერთმანეთთან ორგანულად აკავშირებს ამბავთა ხლართს და შინაარსის განვითარებას, აგრეთვე გამოთქმულია მწერლის შეხედულება ცხოვრებისა და ადამიანების შესახებ“ (რადიანი, 1972: 57).

საინტერესო გერონტი ქიქოძის სიტყვები, შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახის“ გამო ნათქვამი: „ვინ არის ეს ციბედული, რომელსაც რომანისტი მრავალჯერ მიმართავს თავის ნაწარმოების შენაკადებში? შეიძლება ეს რომელიმე კონკრეტული პიროვნება იყოს, რომლის შეხვედრას წარუშლელი კვალი დაეტოვებინოს ავტორის მასოვრობაში. შეიძლება ეს იყოს ქალურობის იდეის განსახიერება, მუდმივი ქალურობა, რომელის შთაგონების გარეშე შეუძლებელია მამაკაცის შემოქმედება“ (ქიქოძე, 1963: 318).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიიჩნევს, რომ ციბედული მწერალს მარადქალურობის ინდივიდუალიზებულ სახე-სიმბოლოდ ჰყავს დასახული. ციბედული მისი განმარტებით კაცობრიული მშვენიერი ქალია“, იმ სიმბოლური იდეალის განსხეულებული გამოხატულებაც, რომელსაც საუკუნეობით ეძიებს

„უდიდესი გონიერებისა და გრძნობის ათრთოლებულ-მწყურვალე გული ადამიანებისა“ და მაინც ვერ მოუძებნია. ამიტომაც თვითვე ქმნიან მის წარმოსახვით სახეს (ნიკოლეიშვილი, 2003: 114).

აღსანიშნავია, რომ ციბედულთან დაკავშირებით არსებობს შ. დადიანის მოგონება. ის უდიდესი მაღლიერების გრძნობით არის გამსჭვალული ციბედულის მიმართ. „ქალის სილამაზის უზომო ტრფიალი მჯირდა და რაც რამ დამიწერია ამ ციბედულის მადლია. აი, იმ ლამაზი ქალის მადლი, ახლა აქ ამ დარბაზში რომ ზის, აი, სწორედ ის... მაგრამ ხელი კი არ მიუშვერია, არამედ მიმართა დარბაზს. დარბაზში კი ლამაზმანები მშვენიერ სქესთაგან ცოტანი როდი იყვნენ. და რომელი ერთის მისამართით იყო წარმოთქმული ეს ხოტბა – გამოუცნობი დარჩა. წარამარა ყველა უკან იხედებოდა და ეძებდა იმ ქალს დარბაზში (ჭილაძა, ჭ. „კრიტიკა“, 1988: №3, გვ. 79).

მართლაც, ძნელია დაჟინებით ვამტკიცოთ, თუ ვისი ან რისი სიმბოლო იყო ციბედული. ერთი რამ კი ნამდვილად ცხადია: ამ ხერხით მდიდრდება და მრავალფეროვნდება ნაწარმოების შინაარსი, ფართოვდება სათქმელის არე. შეიძლება ითქვას, რომ ეს მწერლის ორიგინალური მიგნებაა. საოცნებო ციბედულისადმი მიმართვით, მასთან გასაუბრებით შ. დადიანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ზოგი საკითხისადმი, რომელიც რომანის სიუჟეტში ვერ ეტეოდა.

შ. დადიანი არ აკონკრეტებს, თუ რისი სიმბოლოა ციბედული. ალბათ, ასეც სჯობია, რადგანაც ამით მკითხველს უტოვებს უფრო მეტ საფიქრალს, შეიძლება მისი „ციბედული“ – სიმბოლო იყოს გაფრენილი სიჭაბუკისა, სიუჟარულისა (ის ხომ საკმაოდ ხანდაზმული იყო, როცა ეს ნაწარმოები შექმნა).

შენაკადები იმასაც ცხადყოფს, რომ ავტორს მეტად ღრმად აქვს ყოველი დეტალი მოფიქრებული, და თუ რაიმე ტრადიციულს გვერდს უხვევს, ამას განხრას და სავსებით მოფიქრებულად სჩადის... შენაკადებში ავტორი მეტად მოხდენილად გვამცნობს რომანის ოქმატიკურ-კომპოზიციურ სირთულეს და ამის მიზეზებს ასასახი მასალის თავისებურებაში ხედავს (ციციშვილი, 1974: 254).

„გვირგვილიანების ოჯახში“ ოცდაოთხი ლირიკული შენაკადია. აქედან გამომდინარე უწოდებს მწერალი თავის რომანს „ბელეტრისტულ მდინარეს თავისი შენაკადებით“ (დადიანი, 1956: 12).

შენაკადების საშუალებით, ციბედულთან გამოსაუბრებით, მწერალი ოსტატურად წარმოაჩენს საკუთარ თვალსაზრისსა და პრინციპებს.

„...დიდხანს ვიცხოვრე საცვიფრელ ეპოქაში და ჩემმა სათაყვანო საქართველომ ჩემ თვალწინ განვლო დიდი, ისტორიული გზა.

ბევრი რამ ვნახე და განვიცადე.

სირცხვილი იყო, სხვა რომ არა ვთქვა რა, ეს არ აღმენუსხა ჩემის სუსტი ძალით...

მეც მინდა შევაქო ჩემი სათაყვანო საქართველო.

აქ, მართალია, მარტო ქება არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მე ისეთ დროს ვეხები, რომ იქ საქებარი ცოტა მოიძებნება. მაგრამ ამ საერთოდ კი მის საზეიმოდ, მის ასამაღლებლად არის ჩემი კალამი მომართული.

შენ ეს კარგად გესმის, ტურფა ციბედულ!

ჩემო ჩამგონებელო, ჩემო ყველავ!“ (დადიანი, 1956: 17-18).

ზოგჯერ შენაკადები თვითმიზნურ შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შენაკადებს მწერლის სათქმელის გამოვლენის საქმეში დიდი როლი ეკისრება.

„განა არ ვიცი, რომ ზოგს არ მოსწონს ეს ჩემი შენაკადებიო“ – ამბობს ავტორი და სთხოვს მკითხველს: „თუ დმერთი გწამო, ნურვის მწერალს ნუ შემადარებთ, ნურც ჩვენსას და ნურც უცხოსო“ (დადიანი, 1956: 434-435).

შ. დადიანმა თითქოს წინასწარ განჭვრიტა ის შენიშვნები, რომელიც რომანთან დაკავშირებით შეიძლებოდა გასჩენოდა მკითხველს. მწერალი ციბედულს უტყდება ასეთ საკითხებში და მასთან საუბარში მსჯელობს მათ შესახებ. რომანში ამის მრავალი ნიმუშია.

„...შეიძლება დააშინოს ზოგიერთი შენთან (ციბედულთან – მ. ნ.) ჩემმა ასე ხშირმა საუბარმა. მაგრამ კიდევ მეტი უბედურება ის იქნება, თუ თვით ნაწარმოებში დააშინა „ზედმეტმა ადგილებმა“.

მაგალითად, რა საჭიროა სასულიერო ამდენი წვრილმანი – ეკლესია, ზიარება და სხვა. ვის რად უნდა ეს ჩვენს დროში?

ან ეს სადიდმარხვო საჭმელები!..

ან ვიღაც „ბენოია-ვაჭარი“ სად გამონახა ავტორმა. მაინცდამაინც „ტიპიური“ რომ არ არის? (დადიანი, 1956: 124-125).

„ციბედულ!

მე ვამჩნევ, რომ ამ ნაწარმოებში მეგრულ სიტყვებს უხვად ვხმარობ.

მომიტევე.

შეიძლება ეს არცთუ ისე საჭირო იყოს.

განა ქართული ენა მდიდარი არ არის?“ (დადიანი, 1956: 278).

„ახლა, ციბედულ... ამ ჩემს თხრობაში კიდევ მინდა სხვა ხალხი გამოვიყვანო და შენ ამისთვის ნუ დამტუქსავ.“

ერთხელ ერთმა კრიტიკოსმა ერთ ჩემს ნაწარმოებზე დამიწერა – ძალიან ბევრი მოქმედი პირი ჰყავს ავტორს გამოყვანილი და მკითხველს მათი სახეები ერევა ერთიმეორეშიო...“

აქ კი, ამ ნაწარმოებში, მიუხედავად კრიტიკოსის დარიგებისა, თავს ვერ ვიკავებ და ვაუხვებ მოქმედ პირებს“ (დადიანი, 1956: 315).

შეიძლება ითქვას, რომ შ. დადიანმა ამ „შენაკადებით“ ტრადიციული გზა მწერლობისა ახლით შეცვალა. თითქოს მკითხველთა განტგირთვისთვის მოიგონა „შენაკადებიც“ და „ციბედულიც“.

შ. დადიანი განსაკუთრებულად შერჩეული დეტალებით გვიხატავს პერსონაჟებს. მწერალი ყოველთვის ყურადღებას ამახვილებს ისეთ არსებით დეტალზე, რომლითაც უკვე იხსნება პერსონაჟის ხასიათი. მაგალითად:

„მართლაც უცნაური შესახედაობის იყო ქუხილია. მაღალი, მხარბეჭიანიც, მაგრამ საერთოდ უშნოდ მოყვანილი. როგორდაც დაგრეხილი, დაღრეცილი... სახე პირი სულ ბალნით პქონდა დაფარული. ძლივს მოუჩანდა ცხვირი და წვრილი, მთიულური თვალები. შეჭადარავებული თმა ბეჭებამდე წვდებოდა, წვერ-ულვაში ისე პქონდა აბურძგნული, თითქოს სავარცხელი თავის დღეში არ გაჰკარებოდეს, აქაც ჭაღარა ერია, მაგრამ კარგა ვერ გაარჩევდით, ეს ჭაღარა იყო, თუ ყალიონის კვამლით შეყვითლებული თმა..“

მეტისმეტი მსხმოიარე კაცი იყო“ (დადიანი, 1956: 259).

შ. დადიანი პერსონაჟების დასახასიათებლად აგრეთვე ხშირად მიმართავს მათი ჩაცმულობის აღწერას:

„ან როგორ აცვია? შავი კასტორის, მაუდის ჩოხა, ჩვენებური მეგრული შალის კი არა, ტანს რომ კოხტად ადგება, საქილეებიც რა მაღალზე აქვს გაჩოჩხილი და შიგ ვერცხლის მოქროვილი ქილებიც რომ უწევია... შარვალი ჩამოშვებული პქონია და „პოლსაპოჟები“ აცვია... ლევარსის ამჟამად ქუდი არ ახურავს და მოუჩანს კარგა ძალზე მელოტი წითელი ბალნით გარშემოსილი თავი“ (დადიანი, 1956: 235).

ზოგჯერ კი პორტრეტი სოციალურ უკულმართობაზე მიგვანიშნებს:

„ტანზე ჩოხა-ახალუხის მაგივრად შინ მოქსოვილი შალის ნაცრისფერი ხალათივით რაღაც ეცვა და რადგან ეს ხალათი მკერდოან გახსნილი პქონდა,

ეტყობოდა, რომ საცვალი არ გააჩნდა. შარვალიც ნაცრისფერი შალის პქონდა. წელზე ქამრად უბრალო თალათინის ღვევის მაგვარი პქონდა შემორტყმული, ქალამანიც ღორის ტყავისა ეცვა შიშველ ფეხებზე და ამ ქალქმნებისა მუდამ ძალზე რცხვენოდა... მაგრამ ამას ხომ ტყუილა არ ეძახდნენ ქუხილია-გაჭირვებულს“ (დადიანი, 1956: 259-260) – ამ შემთხვევაში ჩაცმულობის აღწერასთან ერთად მოქმედი პირის სახელიც მისი დახასიათების ერთ-ერთი საშუალებაა.

შ. დადიანი „გვირგვილიანების ოჯახში“ ტიპობრივი გარემოს შექმნის მიზნით ხშირად იყენებს მეგრულ ლექსიკას. მაგალითები:

„—უი, ნანა, ნანა! სი ქოგალექ!—თანაგრძნობით წარმოთქვა ფართამ მეგრულად“ (დადიანი, 1956: 75).

„—ხენწიფე?—ხეჭიფე!—ჩაათავა მეგრულად...

—გოდინი იშო!—მუს-რე ჩვარჩვალან ე? თი ხეჭიფეს ფერი ხე უღუ-ათაქი, ოდიშის გითმაშქანა მაღოსი“ (დადიანი, 1956: 80).

მწერალი აგრეთვე ხშირად იყენებს ანდაზებს, ხალხურ ლექსებს, გამოცანებს, შაირებს, რაც სათქმელის უფრო სხარტად და კონკრეტულად გადმოცემას უწყობს ხელს.

შ. დადიანი ანდაზის საშუალებით მკაფიოდ გვამცნობს სათქმელს, ერთი მოხდენილი ფრაზით ღრმად წვდება გამოსახატავის შინაარსს:

„— მართალი ყოფილა: ავი კაცი აღდგომასაც ავიაო!“ (დადიანი, 1956: 192). ამ ანდაზის საშუალებით გახსნილია ბანძინის („გვირგვილიანების ოჯახი“) ბუნება, რომელიც ღარიბ-ღატაკებს აწიოკებს. როგორც ვხედავთ, ერთმა წინადადებამ დაახასიათა პერსონაჟი და ამავე დროს მოხდენილად გადმოსცა სათქმელი.

შ. დადიანი აგრეთვე ფართოდ წარმოგვიდგენს აფორიზმებს. აღსანიშნავია, რომ მწერალი „გვირგვილიანების ოჯახში“ ძირითადად შ. რუსთაველის ცნობილ აფორიზმებს იყენებს. ზოგჯერ აფორიზმი ლოგიკური დასკვნაა პერსონაჟის მოქმედების. ასეთია, მაგალითად, მოენე ანგოს შესახებ ნათქვამი აფორიზმი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“ (დადიანი, 1956: 270).

ანდაზები და აფორიზმები, ისევე როგორც ტროპის სხვა სახეები, ემსახურებიან შ. დადიანის პროზის მხატვრული დირებულების ამაღლებას.

შ. დადიანის მხატვრული სტილის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილ პოეტთა სტრიქონების ხშირი გამოყენება მის

ნაწარმოებებში. აქ გვხვდება შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აპაკი წერეთლის და სხვათა სტრიქონები. ამ პოეტთა პოეტური ტაქტები სათქმელის ემოციურ აღქმას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ „გვირგვილიანების ოჯახი“ სტრუქტურულად ძალიან საინტერესო ნაწარმოებია, თვითონ პრობლემატიკის მხრივაც ძალზე საყურადღებოა. სწორედ ამ რომანში გვიჩვენა შ. დადიანმა როგორ დაიშალა პატრიარქალური ოჯახი. მწერალი ასახავდა ზუსტად იმ როგორ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობდა XX საუკუნის დასაწყისში და ფაქტიურად მან ამ პერიოდის შეფასების თაგისი გერსია მოგვცა. თუნდაც პროგრესულად მოაზროვნე ვამების სახით, რომელიც მიხვდა დროის ცვლილებას. მას კარგად ესმის, რომ ადარ შეიძლება პატრიარქალური ყოფით ცხოვრება, ეს პრობლემები, ეპოქის ისტორიული ცვალებადობა, შესანიშნავად აჩვენა შ. დადიანმა „გვირგვილიანების ოჯახში“.

„გვირგვილიანების ოჯახში“ სოციალური პრობლემებია წინა პლანზე წამოწეული. რომანში აღწერილია მეოცე საუკუნის ის პერიოდი, როცა რევოლიციურმა ზეგავლენამ სოფელში შეადწია და ამ გზით შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება სოფელში. ზოგადად, ეს თემა აქტუალური არ არის მხოლოდ შ. დადიანისათვის. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, 6. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ და სხვ. მწერალმა მხატვრული მრავალფეროვნებით დახატა სოფლის ახლად დაბადებული რევოლუციის ძალები, აგრეთვე მოწინააღმდეგე წარმომადგენლები. ასე რომ, რომანი ეხმიანება ჩვენი იმჟამინდელი ისტორიიდან კარგად ცნობილ არაერთ მნიშვნლოვან მოვლენას. მართალია, „გვირგვილიანების ოჯახში“ მწერლის მიერ გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება დრომ გადააფასა, მაგრამ ვფიქრობთ, „გვირგვილიანების ოჯახი“ მრავალ ახალ თაობას მიაწვდის სულიერ საზრდოს, ჩაახედებს საქართველოს წარსულში. მიგვაჩნია, რომ ინტერესი ამ ნაწარმოების მიმართ არასოდეს განელდება.

გ) შალვა დადიანის დაუსრულებელი რომანები

შ. დადიანის მხატვრულ მემკვიდრეობაში გვხვდება დაუსრულებელი რომანები: „გმირები“ და „ურდუმი“.

1906 წელს თბილისში გამოვიდა ქართული ბეჭდვითი სიტყვის ახალი ორგანო „პატარა გაზეთის“ სახელწოდებით. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე კოტე მესხი. 1906 წელს „პატარა გაზეთში“ (№3) დაიბეჭდა შ. დადიანის რომანი „გმირები“, პირველი თავი - „ჯურდმულში“. შ. დადიანის რომანის დასაწყისის დაბეჭდვის გამო კოტე მესხის გაზეთი დაუხურავთ (სიგუა, ჟ. მნათობი, 1974, №11).

რომანი „გმირები“ საინტერესო სურათით იწყება: ორი მეგობარი, დამის თერთმეტ საათზე აჩქარებული ნაბიჯით მიემართება „ერთობის“ შეკრებაზე. გამოცდილი მკითხველი იგრძნობს, რომ ნაწარმოების მთავარი გმირია თავადი ვაზიანი. ის შიშობს, რომ ერთობის წევრებს დააფრთხობს მისი თავადობა, მაგრამ მეგობარი ამშვიდებს: „იმათ კარგად იციან, რომ თავადებშიც ურევიან ადამიანები“ (დადიანი, ჟ. მნათობი, 1974, №11).

რომანში ერთ-ერთი ახალგაზრდა ორატორის პირით თვითმპყრობელური რეჟიმია გაკრიტიკებული, მთავრობას, რომელსაც ხალხის ნდობა დაუკარგავს, ორატორი ცოცხალმკვდარსა და თავრეტდასხმულს უწოდებს, რომელიც უკანასკნელ ხავსს ეჭიდება წყალწაღებულივით.

მწერალი საინტერესო შტრიხებით გვიხატავს კრების თავმჯდომარის პორტრეტს. მას ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი, ციხეშიც ბევრჯერ მჯდარა და დიდი ხანიც არ არის რაც იქიდან გამოუშვეს, მაგრამ ის იერი სულიერად მაღალი ადამიანისა, რაც ასე ასხვავებს რჩეულს უბრალო მოკვდავისაგან, მაინც შერჩენილი აქვს.

რომანის დასაწყისშივე აშკარად იგრძნობა, რომ ამ შეკრებაზე სიტყვით გამოსული მშვენიერი ელიკო თავდავიწყებით შეუყვარდება ვაზიანს. მწერალი ნამდვილად გვაძლევს ამის ვარაუდის საფუძველს. ნაწარმოებში ნაჩვენებია, როგორ ძლიერ აუტოკდა გული ელიკოს ტკბილი ხმის გამგონეს და როგორ შეერყა სულის მშვიდობა თავად ვაზიანს.

შ. დადიანი ამ ერთ პატარა თავში ოსტატურად ახერხებს, რომ მკითხველი დააინტერესოს და მიიზიდოს. პირველივე თავიდან ცხადი ხდება აგტორის

ჩანაფიქრი, მისი პოზიცია. ნაწარმოების დაუმთავრებლობა ანუ ის ამბავი, რომ მწერალს იგი იძულებით შეაწყვეტინეს, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ შ. დადიანი ლიტერატურაში გამოვიდა როგორც ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი.

„პატარა გაზეთი“ შემდეგში ისევ გამოდიოდა, სულ ოცდარვა ნომერი დაისტამბა, მაგრამ „გმირების“ გაგრძელება, სამწუხაროდ, არც ერთ ნომერში აღარ დაბეჭდილა. შეიძლება მწერლის ერთგვარი უცნაურობაც იყოს, რომ კარგად დაწყებული რომანი აღარ დაამთავრა. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. „გმირების“ შემდეგ იგივე ბედი ეწია „ურდუმსაც“.

შ. დადიანს „ურდუმზე“ მუშაობა 1934 წლის იანვარში დაუწყია, რასაც მოწმობს მისი ერთი ჩანაწერი: „დღეს პირველი დღეა 1934 წლისა. დღეს დავიწყე ჩემი დიდი ხნის განზრახული რომანი „ურდუმი“ უტუ მიქაას ცხოვრებიდან (საქ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტ. მუზეუმი. შ. დადიანის ფონდი. ხ-25419/3-10).

შ. დადიანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესანიშნავად ესმოდა ისტორიულ ჟანრში მუშაობის სირთულე, ამიტომაც უდიდესი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ საქმეს. ამას ადასტურებს მწერლის მიერ ჩამოწერილი საარქივო, ნარატიული, ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წყაროების სია, რომელთაც ის ეყრდნობოდა ამ რომანზე მუშაობისას (ლიტერატურული მუზეუმი).

1935 წელს, ჟურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში დაიწყო „ურდუმის“ ბეჭდვა. ამ რომანის თემად მწერალს აღებული აქვს ქართველი გლეხების აჯანყება XIX საუკუნის 50-იან წლებში, ფეოდალური არიტოკრატიისა და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. შ. დადიანი ოსტატურად გვიხატავს ქართველი გლეხების დუხშირ ცხოვრებას, თავადაზნაურობის მხრიდან მათ ჩაგვრასა და დამცირებას, რაც მიზეზი გახდა გლეხთა ცნობილი აჯანყებისა, რომელსაც მწერალი უძღვნის ამ დაუმთავრებელ რომანს.

გლეხთა აჯანყების თემა ჩვენ გვხვდება გ. ნინოშვილთან („ჯანყი გურიაში“) და გ. ჯავახიშვილთან („არსენა მარაბდელი“).

საინტერესოა გლეხთა ეს აჯანყება ისტორიული წყაროების მიხედვით როგორაა დადასტურებული. ოსმალთა ჯარების განდევნის შემდეგ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ახლომახლო მდებარეოდა, ხელახლა აღსაღები შეიქნა. მმართველი წრეები ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. პირიქით, მთელი ზარალის ანაზღაურებას მებატონები იმ გლეხების ხარჯზე აპირებდნენ, რომელთაც ომერ ფაშას ჯარის შემოსევა

ქველაზე მეტად დააწვათ მხრებზე. პირველი მაგალითი გლეხთა ძარცვისა თავადაზნაურებს დედოფალმა ეკატერინემ მისცა, როდესაც გლეხებს ანაზღაურების გარეშე ამჟავებდნენ. მათ არც ბინას აძლევდნენ, არც სამუშაო იარაღს, არც საჭმელს და უმინდოდ სიმინდსაც არ უჯევავდნენ დედოფლის წისქილში. სვეწნა-მუდარამ ვერ გაჭრა. გლეხებს შიმშილით სიკვდილი ელოდათ. გლეხობა აჯანყდა. მათ სათავეში მართალია თოდუა ჩაუდგა. აჯანყებულთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ასე დაიწყო გლეხთა აჯანყება ხობისწლის მარცხენა ნაპირზეც, რომელსაც სათავეში უტუ მიქავა ჩაუდგა. უტუსა და მართალიას ჯარები 1856 წელს ერთმანეთს შეხვდა ოჩხომურში და იქ მოხდა აჯანყებულთა გაერთიანება. გაერთიანებულ ჯარს კი „ურდუმი“ უწოდეს. აჯანყებულთა ხელმძღვანელად უტუ მიქავა დაადგინეს, მოადგილედ კი მართალია თოდუა. უტუმ მალე დაინახა, რომ ბრძოლის გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა და „ურდუმი“ დაშალა. ამით მრავალი გლეხი იხსნა უმიზნო დაღუპვისაგან. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, უტუ და მართალია დაიჭირეს და ციმბირის გზას გაუყენეს.

„ურდუმი“ შ. დადიანს ჩაფიქრებული ჰქონდა სამ ნაწილად. „სამ გუმბათში შემწყვდეული, შეყინული ამბები“ – ასეთი ქვესათაური მისცა მან რომანს. აღსანიშნავია, რომ დღემდე გამოქვეყნებულია „ურდუმის“ მხოლოდ ექვსი თავი, რომელიც „პირველ გუმბათს“ ეკუთვნის და მას მწერალი „ავაი-ვავას“ უწოდებს. შ. დადიანს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით აქვს ასახული გლეხების მძიმე ცხოვრება, თუ როგორ ჩაგრავენ მათ მებატონები, სულს ხდიან გადასახადებით და ა. შ. რომანში ნაჩვენებია, თუ როგორ მწიფდება ახალგაზრდა უტუ მიქავაში ზიზღი და შეურიგებლობა ბატონყმობისადმი. „რა არის თავადი და რა არის მოჯალაბე? განა თრთავენი ადამიანები არ არიან? რად არსებობს მათში განსხვავება? რად არის, რომ ერთი მუშაობს და მეორე ქეიფობს? რად არის, რომ ერთი ემსახურება, გადასახადს იხდის, სხვადასხვა ბეგარას, მეორე კი უზრუნველია და ნებიერი? ვინ გააჩინა ასე? დმგრომა?“ (დადიანი, ქ. „მნათობი“, №2, გვ. 6-10) - ასეთი კითხვები აწუხებს უტუს.

რომანის გამოქვეყნებულ ნაწილში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დავით დადიანის სასახლის კარზე მიმდინარე ინტრიგებს და აგრეთვე სასამართლო პროცესებს.

ნაწარმოებში შთამბეჭდავადაა დახატული გლეხთა სახეები, რომელთაც კარგად ესმით ბატონყმური ექსპლოატაციის არსი. ასეთები არიან: მართალია

თოდუა, მომავალი აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, თასიკოჩი ლვინჯილია, უტუს ბიძა და ერთ-ერთი მეთაური 1838 წელს სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყებისა, კოჩა თოდუა, მურზა ფაჩულია და სხვები.

ამ რომანშიც კარგად იგრძნობა, რომ მწერალმა შესანიშნავად იცის სამეგრელოს ისტორია, ხალხის ზნეჩვეულებები და ახერხებს ამ ყველაფრის წარმოდგენას ლამაზ მხატვრულ ფერებში.

„ურდუმს“ სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკოსები განიხილავენ, როგორც სამეგრელოს 1857 წლის აჯანყების ფონზე გაშლილ რომანს, აჯანყების მეთაურად კი უტუ მიქავაა მიჩნეული. ადსანიშნავია, რომ რომანის გამოქვეყნებულ ნაწილში აჯანყების კვალი ჯერ არ ჩანს და უტუც მხოლოდ ჩვიდმეტი წლის არის. ანუ რა გვაფიქრებინებს, რომ „ურდუმი“ უტუ მიქავას ცნობილ აჯანყებას ეძღვნება? ისტორიული წყაროდან გამომდინარე რომანის სათაურიც აჯანყებასთან არის დაკავშირებული („ურდუმი“ აჯანყებულებმა გაერთიანებულ ჯარს უწოდეს) და მეორე, ნაწარმოების მთავარი გმირი უტუ მიქავაა.

რომანში შესანიშნავადაა ნაჩვენები თუ როგორ და რატომ იზრდება უტუს პიროვნებაში მეამბოხე. ამის მრავალი მაგალითია ნაწარმოებში და საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე მათგანზე ყურადღების გამახვილება. უტუმ ერთხელ თავის მებატონის ეზოში ხელებშექრული და ხეზე მიბმული თავისი მეზობელი ნახა. „წელ ზევით გაეშიშვლებინათ, დანის წვერით ტანი დაესერათ და ზედ მაწონი გადაესხათ. ბუზები დასეოდნენ და პაპანება სიცხეში იმანჭებოდა საცოდავი. რომ იკითხა, რა ამბავიაო, უთხრეს, ბატონს „ოდიდი-პიჩური“ (სადიდმარხვო) ვერ გადაუხადა და იმისათვის სჯიანო... მაშ ამისათვის ასეთი სასჯელი? ეს არის ყმობა? ამას ჰქვია ბატონობა?

უსამართლობა და ძალმომრეობა ყოფილა ბატონებისა.

პირველად მაშინ გაუელვა ამ აზრმა უტუს“ (დადიანი, ჟ. „მნათობი“ №2, გვ.6).

ან კიდევ: ერთხელ ბატონის სახლში ვიდაცას რაღაც მოეპარა. დაიბარეს უტუ და ცხელი წყლით სავსე ქვაბში ხელები ჩააყოფინეს. მანდ წმინდა ჯვარი ასვენია და ამოიღეო. თვითონ ბატონის ცოლმა შეუხვია დამდუღრული ხელები. ცოტა ხნის შემდეგ რომ გაუხსნეს, აფუთქული ჰქონდა. გადააბრუნეს და სცემეს. ეუბნებოდნენ – გამოტყდიო. არაფერ შუაში იყო და გულწრფელ უარს ამბობდა. ცემას რომ მოუმატეს, თვალთაგან კურცხალი გადმოსცვივდა, მაგრამ

გაბოროტდა და პირი სულ მოკუმა. ამ დროს მისი ტოლი ბიჭინა იქვე იღება და „პარკაცობდა“.

რომანში ასეთი ეპიზოდებით ნაჩვენებია თუ როგორ ხდებოდა ადამიანისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანის, ღირსების შელახვა, რაც პროტესტის გრძნობას იწვევდა გლეხებში. ამას ემატებოდა დავით დადიანის სასამართლოს დაწესებულების მექრთამეობა და სიცრუე. ცნობილი ფაქტია, რომ ყველა დროში ადამიანი პროტესტს უსამართლობის წინააღმდეგ გამოთქვამს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც ჩვენი აზრით, მომავალი აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მოტივია.

შ. დადიანი (ისევე როგორც „უბედურ რუსში“ გარდან დადიანს) „ურდუმშიც“ არ ინდობს დადიანთა გვარის დიდ წინაპარს, თავის პაპას, ტარიელ (ტაია) დადიანს, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარე იყო.

„ურდუმი“ პერსონაჟთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მწერალი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიმპატიით ახასიათებს უტუ მიქავას ბიძას, თასიკოჩის. იგი სამეგრელოს გლეხთა 1838 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო. თასიკოჩი გლეხებს მოუწოდებს ერთობისაკენ და ბუნებრივია, უტუს პიროვნების ჩამოყალიბებაში მის შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. თასიკოჩის სიტყვებში გაცხადებულია გლეხთა აუტანელი ცხოვრების პირობები: „ერთი მოსვენებული ცხოვრება არ უნახავს ჩვენს გვარსა და ჯილაგს. დამე რომ დაიძინებ, დილით არ იცი, რა მოგელის. ბატონი რა გუნებაზეა, მარცხენა ფეხზე წამოდგა თუ მარჯვენაზე. მოუნდება – ახალ ბეგარას შეგვაწერს, მოუნდება – სულერთიან აგვაწიოკებს, მოუნდება – დედა-ბუდიანად გაგვყიდის... შინ ვერაფერი გაგვიჩენია – ბატონს მიაქვს, ენა ვერ დაგვიძრავს – მათრახით აგვაჭრელებენ, ან დილეგში ჩაგვალპობენ“ (დადიანი, ქ. მნათობი, 1935, №2, გვ. 11) – ეს სურათი გვიჩვენებს იმუამინდელ სინამდვილეს და ამდენად მეტად საგულისხმოა.

„ურდუმში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსეთის არმიის გენერალს, ივანე მუხრან-ბატონს, რომელიც დავით დადიანის სიძეა. ის იბრძვის სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და რუსეთის შემადგენლობაში მისი გაერთიანებისათვის. აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ივანე მუხრან-ბატონს ზოგიერთი ქართველიც ემხრობა და დახმარებასაც უწევს.

„ურდუმი“ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. შ. დადიანი შესანიშნავად გვიხატავს იმ დროის ჩაცმულობას,

ხალხის ხელულებებს, საუბრის კილოს. რომანში ხშირად მიმართავს მეგრულ ლექსიკას, თუმცა ეს სავსებით ბუნებრივიცაა და აუცილებელიც.

სამწუხაროდ, კარგად დაწყებული რომანი მწერალმა არ დაამთავრა. აქედან გამომდინარე, ძნელია დაუმთავრებელ რომანზე მსჯელობა, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ „ურდუმის“ სახით ქართულ მწერლობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ექნებოდა.

დასპუნები

1. შალვა დადიანის მოღვაწეობა დაემთხვა საქართველოს ისტორიის ურთულეს, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქას, რომლის მხატვრული ინტერპრეტირებისას მწერალი ისტორიული სიმართლის, ზნეობრივი ფასეულობების ერთგული რჩება, მაგრამ ამასთან ერთად იმპლიციტური პლანის საშუალებით მოიცავს ზედროულ ასპექტებს, რის გამოც მისი პროზა დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

2. ნაშრომში კომპლექსურად და დღევანდელობის პოზიციებიდანაა განხილული შ. დადიანის პროზის პრობლემატიკა და მხატვრული თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მწერლის ყრმობისდროინდელი და საბჭოთა ეპოქაში შექმნილი არაერთი ნაწარმოების მიმართ, რომლებიც დღემდე სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ იყო. აგრეთვე მწერლის მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით შევეცადეთ მოგვეცა მისი პროზის ჟანრობრივ-თემატური და მხატვრული ანალიზი. ყოველივე ამან კი შეგვაძლებინა რამდენადმე ახლებური თვალთახედვით წარმოგვეჩინა შ. დადიანის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი.

3. შ. დადიანის ადრინდელი ნაწარმოებები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან მწერლის შემოქმედებით ზრდაზე. მართალია, ზოგჯერ ამ ნაწარმოებების სიუჟეტი პრიმიტიულია, მოვლენების განვითარება – გულუბრყვილო ხასიათის მატარებელი, მაგრამ აქვე გვხვდება ნიშნები, რომლებიც საბოლოო ჯამში განვითარდნენ და მწერლის პროზისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ თვისებებად ჩამოყალიბდნენ. ასეთებია, პირველ რიგში, თემატიკის მრავალფეროვნება, ფოლკლორული ნიმუშებისა და ცნობილ პოეტთა ტექსტების მისეული თვალთახედვით ინტერპრეტირება და ა. შ.

მართალია, მწერლის ყრმობისდროინდელი პროზა განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მაგრამ დიდ როლს ასრულებს შ. დადიანის მწერლური გემოგნების დახვეწასა და ჩამოყალიბებაში.

4. შ. დადიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა მცირე ჟანრის ნაწარმოებებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში მან, ერთ-ერთმა პირველმა, შემოიტანა ქართულ მწერლობაში პროზის მცირე ჟანრი და შექმნა ალეგორიულ-სიმბოლური მინიატურების მრავალი ნიმუში.

თუმცა იგი ამ უანრში განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ აღწევს, მაგრამ სხვა მწერლებთან ერთად გარკვეულ როლს ასრულებს მის განვითარებაში.

შ. დადიანის მცირე უანრის ნაწარმოებები გამოირჩევიან მწერლისათვის დამახასიათებელი თავისებური, ორიგინალური წერის მანერით. ისინი საკმაოდ მაღალი მხატვრული ლირებულებებისაა. მწერალმა პოეზიისა და პროზის სინთეზის საშუალებით გააძლიერა სიტყვის ემოციურობა.

5. შ. დადიანის მოთხრობები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არ დარჩენილა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი თითქმის არც ერთი აქტუალური პრობლემა, რომელსაც შ. დადიანის მოთხრობებში თავისებური ასახვა არ ეპოვა. მწერალმა, როცა თავის ნაწარმოებებში გააშიშვლა ჩაგრძა და შეგიწროება, რომელიც თან სდევდა კლასთა დაპირისპირებას და ფორმაციის ცვლილებას, ქართულ მწერლობაში ერთგვარი თემატური სიახლე შემოიტანა. ქართულ ლიტერატურაში სოციალური პრობლემატიკა ყოველთვის აქტუალური იყო და ეს თემატიკა მნიშვნელოვანია შ. დადიანის შემოქმედებაშიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ მწერლისათვის მხოლოდ კლასობრივი შეხედულებები არ არის ამოსავალი. მისთვის, ამასთანავე, მთავარია ადამიანი და საყოველოაო ლირებულებები.

შ. დადიანის პირველი მოთხრობები მხატვრულობის თვალსაზრისით დიდად არ გამოირჩევიან, მაგრამ მათში თანდათანობით იგრძნობა სტილის დახვეწა და მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენა.

6. შ. დადიანის მხატვრული მექანიდრეობიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „უბედური რუსი“. მწერლის შემოქმედებითი ოსტატობის წყალობით, რომანში ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის სინთეზი მოხდა. გამოგონებას ხელოვნებაში ყოველთვის პქონდა და აქვს ადგილი. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. მაგრამ თუ ეს გამოგონება მოწყვეტილია რეალობას, იმას, რაც ცხოვრებაში ხდება ან შესაძლებელია მოხდეს, მაშინ იგი ნაკლებად დამაჯერებელია. ასეთი „გამოგონება“ არაა „უბედურ რუსში“. აქ გამოგონება მკაცრად ემყარება სინამდვილეს.

7. რაც შეეხება თამარის სახის გაგებას შ. დადიანის „უბედურ რუსში“, ნაშრომში ეს თემა სრულებით ახლებურად არის წარმოჩენილი. თუ მანამდე კრიტიკოსები მეფე-ქალის სახეს მეტად ამორფულად, გახევებულად და მხატვრულად დაუმთავრებლად მიიჩნევდნენ, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მწერლის შემოქმედებითი ოსტატობის წყალობით ნაწარმოებში მეტად შთამბეჭდავად აისახა სახე თამარისა, როგორც მეფისაც და როგორც ქალისაც. მიუხედავად

იმისა, რომ მწერალი თამარს მოკვდავ ადამიანად წარმოგვიდგენს, მას ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ იგი პირველ ყოვლისა მეფეა. ასე რომ, მწერალი თანაბარი ძალით წარმოაჩქნს თამარის საზოგადო დამსახურებასაც და მის პირვნულ ადამიანურ სამყაროსაც.

8. „უბედური რუსის“ თემა საინტერესო აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლოსაც. კერძოდ სულ სხვა ეპოქისა და ლიტერატურული მრწამსის მწერალმა – ლაშა ბუდაძემ, შ. დადიანის მიერ ხორცშესხმული ამბავი რუსული აგრესის სამხილებლად გამოიყენა. მის მოთხოვბაში - „პირველი რუსი“ დაუფარავადაა გაშიშვლებული გიორგი რუსის ამორალური მხარე. ის, რაც შ. დადიანმა თავის რომანში ქვეტექსტის სახით გამოხატა, ლ. ბუდაძემ დია ტექსტით განუცხადა მკითხველს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხსენებულ თემას გურამ ბათიაშვილმაც მიუძღვნა რომანი „უამი დუმილისა და უამი უბნობისა“ (2002-2005 წწ). რომანის მთავარი პერსონაჟი ზანქანი, შეიძლება ითქვას, სრული ანტიპოდია იმ ზანქანისა, რომელიც შ. დადიანმა დაგვიხატა „უბედური რუსში“. გ. ბათიაშვილის წარმოსახვით, ზანქანი საქართველოს სამეფო კართან საკმაოდ დაახლოებული ებრაელი დიდვაჭარია, რომელიც თავისი პირვნული თვისებებით ერთგვარი სიმპათიით განაწყობს მკითხველს მის მიმართ.

„უბედური რუსი“ მხატვრულობის თვალსაზრისით გამორჩეული ნაწარმოებია. ეს რომანი ძლიერია ოსტატურად, რეალისტურად გამოსახული პერსონაჟებითა და ხასიათებით. შ. დადიანის ენისათვის დამახასიათებელი მელოდიურობა, ლაპიდარულობა „უბედური რუსში“ მოცემულია მთელი თავისი სიძლიეროთ.

9. „უბედურ რუსთან“ ერთად შ. დადიანის მხატვრული მემკვიდრეობიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „გვირგვილიანების ოჯახი“. დისერტაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ნაწარმოების მხატვრულ-სტრუქტურული ფორმის ანალიზს. სტრუქტურული თვალსაზრისით რომანი ორიგინალურია. მწერალს ნაწარმოებში შემოაქვს შენაკადები, რაც ეხმარება მას სათქმელის უკეთ წარმოჩენაში. შეიძლება ითქვას, რომ შ. დადიანმა ამ „შენაკადებით“ ტრადიციული გზა მწერლობისა ახლით შეცვალა. თითქოს მკითხველთა განტვირთვისათვის მოიგონა „შენაკადებიც“ და „ციბედულიც“.

10. „გვირგვილიანების ოჯახი“ მხატვრული ასახვაა იმ მოვლენებისა, რომლებიც ჩვენში 1905 წლის რევოლუციას უძღვდა წინ. მასში ოსტატურადაა დახატული დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრება, რომელსაც მწერალი ერთი ოჯახის ქრონიკის საფუძველზე გვიჩვენებს. რომანი ეხმანება ჩვენი იმუამინდელი ისტორიიდან კარგად ცნობილ არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას. მართალია, მწერლის მიერ გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება დრომ გადააფასა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, „გვირგვილიანების ოჯახი“ მომავალ თაობებს მაინც ჩაახედებს საქართველოს წარსულში.

11. ნაშრომში განხილული გვაქვს შ. დადიანის დაუსრულებელი რომანები: „გმირები“ და „ურდუმი“. მართალია, ამ რომანების მცირე ნაწილია შექმნილი, მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართულ ლიტერატურას მათი სახით საინტერესო ნაწარმოებები შეემატებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაიძე შ. კრიტიკული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", 1959.
2. ასათიანი ლ. ლიტერატურული წერილები, ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი", 1974.
3. აბრამიშვილი ა. ლიტერატურული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1968.
4. ბათიაშვილი გ. ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა. თბილისი: გამომცემლობა „საარი", 2007.
5. ბახტრიონელი ლ. „გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „შალვა დადიანი", მნათობი, 1977, №1.
6. ბენაშვილი დ. ხელოვნების საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „ფედერაცია", 1941.
7. ბურთიკაშვილი ა. „შალვა დადიანი". თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება", 1952.
8. ბუღაძე ლ. „მესამე სართული". თბილისი: გამომცემლობა „არეტე", 2003.
9. ბუჯიაშვილი ე. „თავადი რომელსაც ცუდი არავისზე უთქვამს", თბილისი, 1997, 24 აპრილი.
10. გაგოშიძე შ. შალვა დადიანის ადრინდელი ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება", 1971.
11. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", 2008.
12. დადიანი შ. „ურდუმი". მნათობი, 1935, №3, №4, №5, №10, №11-12.
13. დადიანი შ. „ურდუმი". მნათობი, 1937, №6-7.
14. დადიანი შ. „გმირები". მნათობი, 1974, №11.
15. დადიანი შ. რჩეული თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1958.
16. დადიანი შ. გვირგვილიანების ოჯახი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", 1956.
17. დადიანი შ. რაც გამახსენდა. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება", 1959.
18. დადიანი შ. „უბედური რუსი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი", 1990.
19. დუმბაძე მ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი: 1966.

20. დოჩანაშვილი გ. სამოსელი პირველი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1990.
21. დოჩანაშვილი გ. მოთხოვობები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1987.
22. ელეფთერიძე ი. საამური მწერალი. ლომისი, 1923, №23.
23. გართაგავა ი. შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი”, 1962.
24. კანკავა გ. ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები. თბილისი: 1969.
25. კანკავა გ. ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები. მნათობი, 192, №3.
26. კალანდაძე ლ. გზა და გზა. მნათობი, 1980, №11.
27. კვანჭილაშვილი ტ. ლიტერატურა და ცხოვრება. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1976.
28. ლიტერატურის თეორია. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
29. ლორთქიფანიძე ნ. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება”, 1989.
30. მაისურაძე ნ. შალვა დადიანი. საქართველოს ქალი, 1974, №5.
31. მერიმე პ. შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა, ნოველები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1986.
32. ნატროშვილი გ. მანკიერი რომანი და რედაქტორის უპრინციპო ბოლოსიტყვაობა. კომუნისტი, 1952, №135.
33. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. ქუთაისი: გამომცემლობა „მოწამეთა”, 1994.
34. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
35. ნიკოლეიშვილი ა. ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-ურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან. II. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
36. ნინოშვილი ე. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1984.
37. ჟღენტი ბ. მწერლობა და თანამედროვეობა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი”, 1976.

38. რადიანი შ. რჩეული თხზულებანი. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1972.
39. სალია რ. 1905-1907 წლების რევოლუციის წინადღე „გვირგვილიანების ოჯახში”, პირველი სხივი, 1977, №12.
40. სალია რ. ხალხთა მეგობრობის პრობლემა შ. დადიანის რომანებში. კრიტიკა, 1977, №2.
41. სანიკიძე ლ. დედა ისტორია. ტ I. თბილისი: გამომცემლობა „გრაალი”, 1992.
42. სიგუა ალ. ორიოდე ეპიზოდის გახსენება. კრიტიკა, 1975, №2/
43. სიგუა ალ. შალვა დადიანთან ერთად. მნათობი, 1975, №11.
44. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1959.
45. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1973.
46. ქიქოძე გ. რჩეული თხზულებანი. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1963.
47. ქორქია რ. როგორ წერდა შალვა დადიანი. კრიტიკა, 1975, №2.
48. შეღლიაშვილი დ. შალვა დადიანის უცნობი ჩანაწერები. ცისკარი, 1975, №4.
49. ჩავლეიშვილი ა. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1962.
50. ჩიჩუა შ. ქართული რომანის პრობლემები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1972.
51. ჩხეიძე რ. ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი”, 1992.
52. ცანავა რ. მეტაფორა. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
53. ცინცაძე ი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი: 1956.
54. ციციშვილი გ. შალვა დადიანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1974.
55. ციციშვილი გ. შალვა დადიანის პროზა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ლიტერატურული ძიებანი. ტ. X, 1956.
56. ჭავჭავაძე ი. მოთხოვობები. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1985.

57. ჭილაია ა., შუშანია ო. ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
58. ჭელიძე ვ. მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები. მნათობი, 1987, №4.
59. ჭილაია ს. წიმაპრები და მეგობრები. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
60. ჭილაია ს. უახლესი ქართული მწერლობა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.
61. ჭუმბურიძე გ. ძველი პანგები და ახალი ფორმა ჩვენს მწერლობაში. სახალხო გაზეთი, 1912, №586; №588.
62. ხარატიშვილი გ. შალვა დადიანი და ქართული კინო. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.
63. ჯავახიშვილი ი. წერილი შალვა დადიანისადმი. ლიტერატურული საქართველო, 1939, №4.
64. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი. ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.
65. ჯანაშვილი მ. თამარ მეფე. თბილისი: 1917.
66. ჯიბლაძე გ. შალვა დადიანის საგალობელი. მნათობი, 1976, №3.
67. ჯიბლაძე გ. კრიტიკული წერილები. ტ. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

არქივები და მუზეუმები

1. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი. შ. დადიანის ფონდი. 25409/12; 25409/2; 25419/3-10; 25409/18-19; 25409/19.
2. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. შ. დადიანის არქივი. (ფონდები: 11276/43-44; 11276/18; 11276/52; 11275/20; 15248; 11276/149; 11276/200; 11276/257;

